საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს არის ინტერვიუ, რომელსაც საზოგადოება ერთ წელზე მეტია, ელის!!! „ალია ჰოლდინგის“ ფოტორეპორტიორი და „რუსეთის ჯაშუში“ გიორგი აბდალაძე ყველა კითხვას პასუხობს!!!


ქრონიკა

სპეცნომერი

„ყოველთვის იღვწე სიმართლისათვის და უფალი ღმერთი იბრძოლებს შენთვის“
ძველი აღთქმა, სიბრძნე ზირაქისა, თავი 4.28

„გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, პრეამბულა: „აუცილებელია, უფლებებს იცავდეს კანონის ძალა იმის უზრუნველსაყოფად, რათა ადამიანი იძულებული არ გახდეს, მიმართოს აჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ...




„ამ ინტერვიუს შემდეგ თუ მე, ან ჩემი ოჯახის წევრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნა, მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება მიხეილ სააკაშვილს, ვანო მერაბიშვილს და ზურაბ ადეიშვილს!!!

24


N39/561/ 24-29 სექტემბერი ~~2012 წ.~~ 1937 წ.

PRESS

ორშაბათი ფასი: 2 ლარი

სამშაბათი ალია ხუთშაბათი ალია შაბათი ალია

WWW.ALIA.GE

გამოდის 2001 წლის 5 თებერვლიდან


– ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბაჩო ახალაია ციხის ბადრაგებს ბრძანებას აძლევდა, რომ პატიმართან მისული ცოლები მათ გაეუპატიურებინათ და ისე შეეგზავნათ საკუთარ ქმრებთან... შეიძლება ამის ამსახველი ვიდეოც რომ გამოქვეყნდეს?

– მეტსაც გეტყვით, – ამ საქმეში უშუალოდ თვითონ მონაწილეობდა ბაჩო ახალაია... არათუ ავალებდა, ბაჩო ახალაია თვითონ მონაწილეობდა, გიმეორებთ!.. პატიმრებმა ამ საკითხთან დაკავშირებით პირდაპირ ჩვენებები მისცეს.

„გაზეთ „ქრონიკის“ საშუალებით ვაკეთებ ოფიციალურ განცხადებას, – ხელისუფლება ცდილობს, ციხის ბუნტი გამოიწვიოს, იგეგმება სპეცდანიშნულების რაზმის შეყვანა, იქნება მსხვერპლი, ასევე ხელისუფლება ეხვეწება რუსეთს, რომ აქ მოაწყოს რამე პროვოკაცია ცხინვალთან, იმ მხარეს დაეშვა სამხედრო ვერტმფრენი...“

„ეს კომპრომატები არ იქნება საზოგადოებაზე გათვლილი, მათი მიზანია, უცხოელებს გააგებინონ: გვაქვს სერიოზული საფრთხეები... არჩევნები არ ჩატარდება! გამოცხადდება საგანგებო მდგომარეობა, ამის მიზეზად დაასახელებენ, რომ ოპოზიცია არ აძლევს მშვიდობიანად არჩევნების ჩატარების საშუალებას!“



„მოძღვრები გამოდიან და ამბობენ, რომ პატიმრები აღსარებას გვაბარებდნენ და ვიცოდით, რომ მათ აუპატიურებდნენ, მაგრამ ამას ხომ არ ვიტყოდითო?!.“

„ის, რაც ვაჩვენეთ, აბსოლუტურად საკმარისია იმისთვის, რათა საზოგადოება დაირაზმოს. ჩვენ ნამდვილად არ ვაპირებთ, საზოგადოებას ვაჩვენოთ ის, თუ როგორ აუპატიურებდნენ ბავშვებს ციხეებში, ეს არის ამაზრზენი და გულისამრევი. ამის შემდეგ საზოგადოება შოკიდან ძალიან დიდი ხანი ვერ გამოვა. ეს მასალები არის ევროსტრუქტურებში. ჩვენ რომ სულ გაგვაქრონ აქედან, ამ პროცესს ველარავინ გააჩერებს...“

„ნაცებს“ ჰქონდათ სრული საერთაშორისო მხარდაჭერა, ჩამოვიდა უამრავი მაღალი საერთაშორისო დონის ჩინოვნიკი. ასევე იყო ფულე, მაგრამ როცა ფულემ ნახა ეს კადრები, გამწარებულმა ჭიქა ისროლა და იძახდა, – ეს როგორ მომატყუესო?!. მისი ლობისტებიც კი ველარ იღებენ ხმას. ჩვენ ასევე გავგზავნეთ ფაილები ჯონ მაკკეინთან და სხვა მაღალი რანგის ადამიანებთან...“

## სკანდალური ინტერვიუ ვლადიმერ ბედუკაძესთან

10

## სამი სკანდალური საქმე, რომლის ამოქექვის სააკაშვილს სიკვდილივით ეშინია!!!

ეს ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც მიხეილი იუსტიციის მინისტრად დაინიშნა

6

## ლალი მოროშკინა:

„ახლა პირველად გასახელებ სამ პიროვნებას, სამ მკვლელს: ნინო დანელია, ნინო ქობალია და მაია მამფორია!“

18

პასუხისმგებელი რედაქტორი: მანანა გიორგაძე ტირაჟი: 11 500 ეგზემპლარი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.25

## „30 000-ზე მეტი სტუდენტი გამოვა ქუჩაში, რომლებიც უკან დახევას არ აპირებენ!!!“



ციხეებში მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, ამბობენ, რომ პატიმრები ერთმანეთს დაუპირისპირეს და გადაუმოწმებელი ინფორმაციით (კვირა დღე იყო და საპატიმროში ადვოკატი ვერ შევიდოდა), 23 სექტემბერს „ქრონიკისთვის“ ცნობილი ხდება, რომ პატიმარმა პატიმარი მოკლა. საპროტესტო ტალღაა აგორებული ციხეებშიც, „პირველის“ ინფორმაციით, რუსთავის მეორე დაწესებულებაში 3 ათასმა პატიმარმა შიმშილობა გამოაცხადა. ამის პარალელურად, პროტესტის ნიშნად, თბილისში აქციები გრძელდება. „ორშაბათიდან 30 000-ზე მეტი სტუდენტი გამოვა ქუჩაში, — აცხადებს „ქრონიკასთან“ საუბრისას „თავისუფალ სტუდენტთა კავშირის“ თავმჯდომარე, ნიკოლოზ მეტრეველი:

– მოგეხსენებათ, რომ ძალიან ბევრი ახალგაზრდა გამოვიდა ქუჩაში, ჩვენი რესურსი კიდევ უფრო გაიზრდება, ჩვენ ვგეგმავთ, 30 000 გამოვიდეთ ქუჩაში. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი აქციები იქნება მშვიდობიანი. იყო რაღაც პროვოკაციების მცდელობები და იგივე თუ განმეორდება, პასუხისმგებლობას ვაკისრებ პირადად მიხეილ სააკაშვილს და მის უკანონო რეჟიმს. მინდა, ასევე ხაზგასმით ვთქვა, რომ არ ვაპირებთ უკან დახევას და გაჩერებას. ეს უკანონობა ამ ქვეყანაში უნდა დასრულდეს... ხელისუფლებამ სცადა, ჩვენს რიგებში დეზორგანიზაცია შეეტანა, მათ ეშინიათ ახალგაზრდების პროტესტის, რადგან სააკაშვილმა იცის, რომ ადრე თუ გვიან ახალგაზრდები დავასრულებთ მის რეჟიმს. აქციები არის მშვიდობიანი და ჩვენ რომ ჩავკლათ ახლა მუხტი, ეს ნიშნავს ძალიან ცუდ შედეგს! მე იმასაც გეტყვით, რომ წლები დაგვჭირდა იმისთვის, რათა ახალგაზრდები გამოგვეფხიზლებინა, გამოგვეყვანა ქუჩაში. თქვენ ნახეთ არაერთი უკანონობა, რომელიც ამ ხელისუფლებამ ჩაიდინა, მაგრამ ახალგაზრდები ყოველთვის ჩრდილში იყვნენ, ახლა ჩვენ ქუჩაში ვართ და ბოლომდე დავიცავთ ადამიანის უფლებებს, ბოლომდე ვიბრძოლებთ იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რაც ამ ხელისუფლებამ დანერგა! ახლა მთავარია, რომ ჯაჭვი არ გაწყდეს. დაგვიპირისპირდა სტუდენტთა ერთი ნაწილი, ესენი არიან ხელისუფლებასთან დაახლოებული სტუდენტების ჯგუფი, მაგრამ ნამდვილი, თავისუფალი სტუდენტები ბრძოლას არ შევწყვეტთ.

*დარეჯან მეფარიშვილი 577 40-40-08*

23 სექტემბერს ჩემი ნაცნობი დამიკავშირდა და მითხრა, გლდანის ციხეში პატიმრების მიერ საჩქაროდ დაწერილი წერილი მაქვს და აუცილებლად უნდა გადმოგცეთო. ნაცნობს მალევე შევხვდი და აკანკალებული ხელით დაწერილი პატარა წერილიც გადმომცა: „გლდანი. ბედნიერებამ მითხრა, ნუ მეძებ. ჩვენი ბედნიერება აქედან გამოსვლა არის. გთხოვთ, ყველა ერთად იყოთ. დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც აქ ხართ. გარედან ყველაფერი ნათელია, მაგრამ შიგნით რა ხდება, არ იცით. ჩვენ გვიჭირდა ამის დაწერა, მაგრამ ამ მდგომარეობამ გაგვაბედინა. ახლა თქვენი იმედი გვაქვს. 23.09.2012“. ჩემმა ნაცნობმა გლდანის ციხეში სავია, რომელიც ამ ყველაფერში მონაწილეობდა! ერთი პატიმარი ამბობს, – ეს ფაქტები რომ ხდებოდა, ერთი მამაო შემოდიოდა, რომელსაც ყველაფერს ვუყვებოდით, მაგრამ გარეთ არ გამოჰქონდაო... ასევე ამ საზარელ დანაშაულებში მონაწილეობდნენ ვინმე „ბექუ“ და „ციკლოპა“ (ასე ეძახიან მათ პატიმრები), ისინიც არავის დაუკავებია. რეალურად, პატიმრები ისევ არიან საშინელი მუქარისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ! დამნაშავეების უმრავლესობა ისევ ციხეში მუშაობს და ისევ ემუქრებიან პატიმრებს! ისევ



## რა წერილი გადმოსცეს „ქრონიკას“ გლდანის საპყრობილიდან?!

**ამჟამად მიმდინარე სხვა მოვლენებზე მიამბო, თუმცა ბევრი საუბარი არ ისურვა, რადგან ფიქრობს, რომ პატიმრები ისევ დგანან საშიშროების წინაშე.**

**მამუკა ჯავახიშვილი:**

– ეს წერილი პატიმრებმა დაწერეს დილის 5 საათზე, მაშინ, როცა ყველას ეძინა. ვრცელდება ინფორმაციები, რომ ვითომ, პატიმრებმა შეწყვიტეს შიმშილობა, მაგრამ გლდანის მესამე და პირველ კორპუსში პატიმრებს შიმშილობა არ შეუწყვეტიათ! ის მსჯავრდადებულები, რომლებიც ხმამაღლა ვერ ამბობენ ყველაფერს, უერთდებიან ამ წერილის შინაარსს და, ფაქტობრივად, ამ წერილით გვაწვდიან ხმას! პატიმრების უდიდესი თხოვნაა, რომ ხალხი არ დაიშალოს, – თქვენ რომ დაიშალოთ, ჩვენ უარესს გვიზამენო. ისევ ციხეში მუშაობს გიორგი ახალაია, მისი ზუსტი სტატუსი არ ვიცი, მაგრამ ის ბაჩო ახალაიას ახლო ნათესავია, რომელიც ამ ყველაფერში მონაწილეობდა!

აძახებინებენ – ბიძინას რაა? – დედის ტყ...ნაო!.. კიდევ ერთი, მე მინდა, ერთი ფაქტზეც გიამბოთ, გლდანის ციხეშია პოლიტპატიმარი შოთიკო იამანიძე („ქართული პარტიის“ წევრი, – ნ. ლ.), გემახსოვრებათ, მაშინ ეს ამბავი გახმაურდა, ის ნარკოტიკებს არ ეკარებოდა, მაგრამ ჩაუდეს წამალი და დაკავების დროსაც გაუკეთეს ნარკოტიკი. ახლა, როცა ტულუში ამბობს, რომ ყველა პატიმრის ნახვაა შესაძლებელიო, მამამისს არ აძლევენ უფლებას, ნახოს თავისი შვილი და ეუბნებიან, – მერე მოდიო. ოჯახის თხოვნაა, სასწრაფოდ აჩვენონ მათ შოთიკო! აქვე მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო „ობიექტივს“, რადგან სწორედ ირმა ინაშვილის დამსახურებაა, რომ საზოგადოებამ ნახა რეალურად, რა ხდება ციხეებში.

*ნინო ლაბარტყავა 571 99-92-33*

## ახალაიას მხილების შემდეგ პატიმარ კიკნაძეს საფრთხე ემუქრება!

გლდანის მერვე საპყრობილეში გადაღებული პატიმართა წამებისა და შეურაცხყოფის ამსახველი ფირის გასვლიდან 4 დღის შემდეგაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არაფერი შეცვლილა. საქმეს ვერც ეტაპობრივმა საკადრო ცვლილებებმა უშველა და ვერც გამინისტრებულმა სახალხო დამცველმა. პატიმართა წამება, ცემა-ტყეპა ისევ რომ გრძელდება, ამას უკვე საპატიმროებში შესული სასულიერო პირებიც ადასტურებენ. ერთ-ერთი გახმაურებული ფაქტი არის რუსთავის მეექვსე საპყრობილეში მკვლელობაში ბრალდებულის, სამუდამო პატიმრობა მისჯილი გოდერძი კიკნაძის სასტიკად ცემის ფაქტი. პატიმრის დედა აცხადებს, რომ მისი შვილი უდანაშაულოა და 13 წლის წინანდელ მკვლელობაში აწ უკვე ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, ბაჩო ახალაია მონაწილეობდა: „ჩემი შვილი დიდი ხანი დუმდა, რადგან სიმართლე რომ ეთქვა, ეშინოდა, მოკლავდნენ. ცოტა ხნის წინ გადაწყვიტა, ყველაფერი ეთქვა, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, სამუდამო პატიმრობას ისევ სიკვდილი ურჩევნია. ძალიან მეშინია! ერთადერთი შვილი მყავს და იმასაც მიკლავენ!“ – განაცხადა ადამიანის უფლებათა ცენტრთან საუბრისას კიკნაძის დედამ. მდგომარეობა პატიმრის ციხეში „დაკარგვამ“ გაართულა. კიკნაძეს ადვოკატი ცალკე ეძებდა, ოჯახი – ცალკე. საბოლოოდ, სახალხო დამცველის აპარატმა გოდერძი კიკნაძე ცოცხალი აღმოაჩინა. პატიმარმა ომბუდსმენის წარმომადგენლებთან და ადვოკატთან საუბარზე უარი განაცხადა. „სახალხო დამცველის წარმომადგენელი იმყოფებოდა რუსთავის №6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც მსჯავრდადებულ გოდერძი კიკნაძეს შეხვდნენ. მსჯავრდადებული გოდერძი კიკნაძე იყო ძალიან აგრესიული, არ ისურვა საუბარი არც სახალხო დამცველის წარმომადგენელთან და არც საკუთარ ადვოკატთან, რომელიც სახალხო დამცველის წარმომადგენლის დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაუშვეს საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მოსანახულებლად. შესაბამისად, მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, მსჯავრდადებულ კიკნაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, სინამდვილეს არ შეესაბამება“, – აღნიშნულია განცხადებაში.

სხვათა შორის, ახალაიას საახლობლომ, ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე, სოციალურ ქსელში „გამოფინა“ ბაჩანა ახალაიას დაბადების მოწმობა და „დაადასტურეს“, რომ ახალაია 13 წლის წინ სკოლა დამთავრებული კი იყო, მაგრამ „მკვლელობაში მაინც ვერ მიიღებდა მონაწილეობას ასაკის გამო, ძალიან პატარა იყო ამ დროს“-ო. როცა კიკნაძეს ოჯახი, არასამთავრობო სექტორი და სახალხო დამცველის აპარატი ეძებდა, ახალაია ჯერ კიდევ შს მინისტრი იყო, რატომღაც, ახალაიას საახლობლომ კითხვას, – ამჯერად თუ ხელეწიფება ახალაიას, ანგარიში გაუსწოროს რომელიმე პატიმარს, კონკრეტულად კი კიკნაძეს, პასუხი არ გასცა. „ქრონიკისთვის“ მოწოდებული ინფორმაციით, კიკნაძის მდგომარეობა ახლა შედარებით უკეთესია, თუმცა მისი ოჯახის წევრები საფრთხეებზე ისევ საუბრობენ და ახალაიასგან კიკნაძის დაცვას ითხოვენ.

*დარეჯან მეფარიშვილი 577 40-40-08*

# პატიმრის წამების ახალი ვიდეომასალა გამოქვეყნდა





## გლდანის საპყრობილის ოფიცერი დათა აკობია მოწმეთა დაცვის პროგრამაში ჩასვეს და საქართველოდან გააპარეს?!

სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე" კვირას, 23 სექტემბერს, გვიან ღამით გავრცელდა კიდევ ერთი ამაზრზენი ვიდეომასალა, რომელიც ასევე ეხება პატიმართა წამების ფაქტს. გავრცელებული კადრებიდან ჩანს, როგორ ასმევენ ფსიქიკურად ავადმყოფ პატიმარს მერვე საპყრობილის ჯალათები შარდს და როგორ აძალებენ სადღეგრძელოს თქმას... ამ და სხვა ამაზრზენი კადრების გამო, დაკავებულ პირებს პატიმრების წამება წაუყენეს ბრალად. დაკავებული 11 ბრალდებულიდან ორის – ბორის ფარულავასა და გლდანის მერვე საპყრობილის ოფიცერ დათა აკობიას ადვოკატები აცხადებენ, რომ ამ დრომდე ვერ ხვდებიან მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირებს. სალომე აბულაძისა და მამუკა ნოზაძის ინფორმაციით, დაკავებულების ადგილსამყოფელის შესახებ მათ არაფერი იციან. პატიმრების ძიების საქმეში ჩაერთო სახალხო დამცველის აპარატიც. სანამ ადვოკატები პატიმრების ძიებაში იყვნენ, თბილისის საქალაქო სასამართლოში შედგა პროცესი, რომლის დასრულების შემდეგაც ერთ-ერთი ბრლდებულის, ლევან ფხალაძის ადვოკატმა განაცხადა: „ლევან ფხალაძე რეზონანსულ საქმეში ყველაზე უმდაბლესი რგოლია. ფაქტობრივად, ის არის ბრძანების შესრულების მსხვერპლი. ამ ეტაპზე უდანაშაულობის პრეზუმპციას ვერ დავარღვევთ, უბრალოდ, მოგახსენებთ, რომ ფხალაძე აქტიურად თანამშრომლობს გამოძიებასთან... ძირითადად აქცენტი არის იმაზე, რომ მას ვინმე ბედუკაძემ მისცა გარკვეული დავალება, ბრძანება. მან სისრულეში მოიყვანა ბრძანება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დაემუქრნენ, რომ სამსახურიდან გააგდებდნენ"... ცნობისთვის: სასამართლომ დაკავებულთაგან ოთხს პატიმრობა წამების მუხლით შეუფარდა, დანარჩენ ექვსს კი – პატიმრებისადმი დამამცირებელი მოპყრობისთვის. ამ საქმეზე სასამართლოს მომდევნო სხდომა 8 ნოემბერს გაიმართება. თუმცა უკვე გამოკვეთილია ის კონტურები, თუ რა მიმართულებით წაიყვანს ამ ამბავს „ნაცხელისუფლება". საუბარია იმაზე, რომ პროკურატურა გაუჩინარებულ პატიმარ აკობიას კიდევ ერთი, ამჯერად სკანდალური ჩვენების გავრცელებისთვის ემზადება. ეს ინფორმაცია, სანდო წყაროზე დაყრდნობით, „ჯი-ეიჩ-ენმა" კვირას ღამის 12 საათზე გაახმაურა. ინფორმაციის თანახმად, აკობია ალიარებით ჩვენებაში ივანიშვილის მაკომპრომეტირებელ ფაქტებზე ისაუბრებს. კერძოდ, ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებულ პირებს დაადებს ხელს და იტყვის, რომ ციხეში პატიმართა წამება ივანიშვილის შეკვეთით ხდებოდა (ალბათ, ამაზე მიანიშნებდა თავის გამოსვლაში 23 სექტემბერს ვანო მერაბიშვილიც). დავით აკობიას ადგილსამყოფელი კი ისევ უცნობია. ადვოკატებმა ბოლო ინფორმაცია 22 სექტემბერს მიიღეს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მათ განუცხადეს, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფი მოწმეთა დაცვის პროგრამაში ჩართეს და ციხიდან გაუშვეს. თუმცა დავით აკობია დღემდე არც ოჯახის წევრებს და არც სხვა ახლობლებს არ შეხმიანებია.

გლდანის მერვე საპყრობილის ყოფილმა თანამშრომელმა, დავით აკობიამ, სამსახური აგვისტოს ბოლოს დატოვა. მის მიერაა გადაღებული გლდანის მე-8 საპყრობილის ე. წ. კარანტინში პატიმართა ცემის კადრები. კადრების გავრცელების შემდეგ აკობია საქართველოს დატოვებას გეგმავდა, თუმცა 19 სექტემბერს საქართველო-სომხეთის საზღვარზე დააკავეს. იმავე დღეს პროკურატურამ გაავრცელა დავით აკობიას აღიარებითი ჩვენება. აღიარებით ჩვენებაში აკობია ყვება, რომ 2012 წლის 5 აგვისტოს გლდანის მერვე დაწესებულების უსაფრთხოების ინსპექტორი ბორის ფარულავა დაუკავშირდა და უთხრა, რომ გადაღებული ჰქონდა გლდანის საპყრობილეში პატიმრების ცემის კადრები და ეს რომ გაეგოთ, დაიჭერდნენ. ამასთან, ფარულავამ მას სთხოვა, საზღვარგარეთ წასვლამდე ერთი კადრი სჭირდებოდა და მას გადაელო, რის სანაცვლოდაც სოლიდურ თანხას დაჰპირდა... არ არის გამორიცხული, რომ პატიმრის გაუჩინარება სწორედ ამ დამატებით ჩვენებას უკავშირდებოდეს და აქ კიდევ არის ერთი ნიუანსი – აკობია დაკავებისთანავე განსაკუთრებული სტატუსის პატიმრად გამოაცხადეს. იურისტების განმარტებით, ეს სტატუსი გულისხმობს მთელ რიგ „პრივილეგიებს", ანუ პატიმრისგან როგორც კი მიიღებენ ჩვენებას, შეიძლება მას შემდეგ იგი არც კი გამოაჩინონ: „განსაკუთრებული სტატუსი ნიშნავს იმას, რომ ოჯახმა რომც არ იცოდეს, სად არის პატიმარი, ამის გამო პასუხი არ მოეთხოვება დამკავებელს, ასევე შეუძლიათ პატიმარი სამუდამოდ გააქრონ. ღმერთმა ყველა დაიფაროს მკვლელობისგან, მაგრამ ასეთიც შეიძლება მოხდეს, უკეთეს შემთხვევაში, გაიყვანენ საქართველოდან, თუ საჭიროდ მიიჩნევენ, გაუკეთებენ პლასტიკურ ოპერაციას და ახალი დოკუმენტაციით ახალ ცხოვრებას დაიწყებს, ისე რომ, ოჯახს არც კი ეცოდინება, სადაა ეს პირი. ამიტომ ახლა პატიმრის ძებნა ალბათ მაინც უშედეგოდ დასრულდება", – აცხადებს „ქრონიკასთან" იურისტი გოდერძი ქათამაძე.

*დარეჯან მეფარიშვილი*
*577 40-40-08*

ახლად გამინისტრებული ე. წ. სახალხო დამცველი, გიორგი ტუღუში, მინისტრის როლში მალევე შევიდა და „ნაციონალურად" ამეტყველდა. სააკაშვილი ტელევიზორების გამ-

ეს ცალკე თემაა, მაგრამ ისე, მაინტერესებს, პატიმრები ტელევიზორს სად უყურებენ?! ამიტომაც დასკვნა ასეთია: ბატონ ტუღუშს აღარ სურს, ხალხმა კიდევ ნახოს ის, რაც რეალუ-



## გიორგი ტუღუში: „ყველა ტელეარხმა შეწყვიტოს პატიმართა წამების ამსახველი ფირების ტრიალი..."

ორთვის რჩევას იძლევა (მანამდე მსგავს განცხადებას გაზეთებზეც აკეთებდა, არ უყვარს თავისუფალი მედია და მოკალით), ტუღუშმა კი ტელევიზიებს მოუწოდა, პატიმართა წამების ამსახველი ვიდეო-მასალები ეთერში აღარ გაუშვათო. ამის შესახებ სასჯელაღსრულების მინისტრმა 22 სექტემბერს გლდანის მერვე საპყრობილეში განაცხადა. მას რომ დავუჯეროთ, დაწესებულებაში სრული სიმშვიდეა". არადა, ამ ციხეში მოშიმშილეთა შესახებ ცნობები ისევ ვრცელდება. „ყველას გთხოვთ, ყველა ტელეარხმა შეწყვიტოს პატიმართა წამების ამსახველი ფირების ტრიალი. ეს ართულებს მგომარეობას. გვაცადეთ ამ ადამიანების ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია", — აღნიშნა ტუღუშმა. ააა, პატიმრებზე ზრუნავს?! აქამდე სად იყო?! თუმცა

რად ხდებოდა ციხეში, საზოგადოებას დაავიწყდეს, ასე საპროტესტო ტალღაც ჩააქრონ და მხოლოდ სააკაშვილის დემაგოგიის ამარა დარჩნენ, რომელიც ყოველდღე რაღაც აბსურდს გვიმტკიცებს. საინტერესოა, რას ფიქრობენ „მაესტროსა" და „მე-9 არხზე" ტუღუშის ამ თხოვნაზე?

**თამარ რუხაძე** „მე-9 არხი", საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:

– თუ მდგომარეობა და საჭიროება მოითხოვს, როგორ გითხრა, აღარ მივცემთ ამ კადრებს–მეთქი? ეს შეიძლება, სულაც არ არის მინისტრის მიერ დიქტატორული მოწოდება, პირიქით, შეიძლება კეთილგანწყობილი მოწოდებაა, მაგრამ ის კადრები რომ არ ყოფილიყო ეთერში, ის ცვლილებები არ მოხდებოდა ციხეში, რაც ამ დღეებში მოხდა. რომ გაიღო კარი და ჟურნალისტები ციხეში შევიდნენ, იქ უკვე თავად პატიმრებმა დაიწყეს ამაზე ლაპარაკი, რაც მანამდე ყურმოკვრით გამოდიოდა... ჩვენ ვნახეთ, რომ ამან სასიკეთო შედეგებიც გამოიღო. გასაგებია, ეს მოწოდება მინისტრის მოვალეობაა, მაგრამ ჩვენ გვაქვს ჩვენი მოვალეობა. არიქა, ტუღუშმა თქვა და არაფერს გავუშვებთ ეთერში, მასე არ არის. ჩვენ ვმოქმედებდით პროფესიული საჭიროებიდან გამომდინარე და ვიმოქმედებთ ასე.

**ხატია ქვათაძე**, „მაესტროს" საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:

– თუ ეს კადრები დაძაბულობას ქმნის, ჩვენი მიზანი ეს არ არის. თუ ვინმეს ამით დისკომფორტი ექმნება, ეს ჩვენი მიზანი არ არის. ჩვენი მიზანია, მაყურებელმა ახალი ამბავი იცოდეს. ახალ ინფორმაციას არანაირად არ დავმალავთ, მინისტრის თხოვნა კი არ არის აპრიორი. ჩვენთვის მაყურებლის ინტერესი არის ამოსავალი. ამაზე საერთო გადაწყვეტილება იქნება მიღებული და ისე ვიმოქმედებთ.

*თამარ ოქრუაშვილი*
*599 10-93-50*

„ალია-ჰოლდინგი"

ალია ქრონიკა

დამფუძნებელი და რედკოლეგიის თავმჯდომარე — გიორგი ბრეგვაძე

რედკოლეგია:
მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212033
პირადი (☎106)
დიმიტრი ტიკარაძე
(593 938118,
2212180 პირადი ☎ 110)
თამაზ ბესტაევაშვილი
(577-749 989; 2212180 პირადი (☎112)

საინფორმაციო სამსახურის რედაქტორი
ნანა არჩვაძე (790 97-87-86)
221-21-80 პირადი (☎110)

მედიაჯგუფი:
1. ვარდიაშვილი ნელი 790 658 195
221 21 80 ან 233 20 06 (226)
2. ზედელაშვილი გელა 790 333 803
221 21 80 ან 233 20 06 (128)
3. როსტიაშვილი თამარ 790 330 803
221 21 80 ან 233 20 06 (123)
4. ოქრუაშვილი თამარ 790 433 395
221 21 80 ან 233 20 06 (129)
5. სამხარაძე ნინო 790 411 422
221 21 80 ან 233 20 06 (130)
6. სახვაძე მიხეილ 21 21 80 ან
233 20 06 (108)
7. ჩუბინიძე დიმიტრი 790 642 577
221 21 80 ან 233 20 06 (228)
8. მეფარიშვილი დარეჯან 790 402 520
221 21 80 ან 233 20 06 (119)
9. თვალაბეიშვილი ნანა (ქუთაისი)
595 73 73 90
10. ქანთარია მამუკა (ლანჩხუთი)
597 09 98 98
11. ფოტო: გიორგი აბდალაძე

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
გიორგი ციხელაშვილი (599 920 999)

სარეკლამო სამსახური
☎ 2212-099
577-732-000
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ჭრელი ჩარჩოთი, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.




რედაქციის მისამართია:
აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ.
I სართული
(ალექსიძის ქუჩა)
☎2333-170; Fax:2330-500, E-mail:
qronika@alia.ge

# უფლება-დამცველი დაჩი ცაგურია სოფო ნიჟარაძის გამო დააპატიმრეს?!

ნელი ვარდიაშვილი
599 65-81-95

მიშა შოკიდან გამოვიდა თუ არა, ეგრევე ჩვეული ტერორი განაგრძო. პირველი მსხვერპლი იმ ადამიანებიდან, ვინც სააკაშვილის გარეწრობა და ციხეებში წამება გააპროტესტა, დავით ფაცაცია და ლაშა მესხია იყვნენ, რომლებსაც 40-დღიანი პატიმრობა შეუფარდეს. ცნობისთვის, მესხიამ მშრალი შიმშილობა დაიწყო... იმავე დღეს, ანუ 21 სექტემბერს დააკავეს შოთა ბაზერაშვილი და კონსტანტინე ლაბარტყავაც, რომლებიც 20 დღით იქნებიან დატყვევებულები. ამას მოყვა რუსთავში „ქართული ოცნების" 5 აქტივისტის აყვანა. 22 სექტემბერს კი თბილისში, ელბაქიძის ქუჩაზე, თითქოსდა პოლიციისადმი წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით, ადამიანის უფლებების ცნობილი დამცველი, დაჩი ცაგურია დააკავეს ბექა ალადაშვილთან ერთად. ეს არ არის ამ დღეებში სააკაშვილის ბრძანებით დაპატიმრებულთა სრული სია და მათი რიცხვი ყოველ წუთს იზრდება. მიშას კანონის მკვლელმა მოსამართლეებმაც უკვე შეასრულეს დაკვეთა და თითოეულ მათგანს განაჩენიც გამოუტანეს — პატიმრობა. როგორც ითქვა და მერე სახალხო დამცველის წარმომადგენლებმაც დაადასტურეს, ცაგურია და მასთან ერთად დაპატიმრებული ახალგაზრდა, დაკავების მომენტშიც და შემდგომ პოლიციაშიც მაგრად სცემეს. მათ ცემაში მონაწილეობდნენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ადამიანებიც. დაკავებულების თქმით, ცემის შემდეგ პოლიციელები დასცინოდნენ, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ და ცოცხთან ერთად ფოტოებიც გადაუღეს.

**„ქრონიკას" მოძრაობა „არას" ერთ-ერთი დამფუძნებელი და საპროტესტო აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი, ლევან ჩიტაძე ესაუბრა:**

– წამების სკანდალური ვიდეო-მასალების გამოქვეყნების შემდეგ, იმ პროცესების გარდა, რომელიც ზედაპირზე ჩანდა, მიდიოდა ქვე-პროცესებიც. თვითონ „ნაცმოძრაობაშიც" იწყებოდა რღვევა, ამიტომ ამ რეჟიმის იდეოლოგებმა, ბოკერიამ და უგულავამ, პროტესტი რომ შეეჩერებინათ, კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს. უგულავამ გამოიყენა საკუთარი გავლენა საპატრიარქოში და პატრიარქთან სტუდენტების პირველი შეხვედრა სწორედ უგულავას ჩარევით მოხდა. ამ 4 „ნაციონალ" სტუდენტს არანაირი შეხება არ ჰქონია აქციებთან. შეხვედრის შემდეგ პატრიარქის კურთხევა სხვაგვარად გააჟღერეს, თითქოს პატრიარქმა უთხრა, პროცესი არის დასრულებული და დაიშალეთო, სინამდვილეში, პატრიარქს უთქვამს, თუ მოთხოვნები შესრულდება, მერე შეეწყვიტათ პროტესტიო. საზოგადოება ყველა შემკვეთისა და შემსრულებლის დასჯას ითხოვს და ჯერ ეს არ არის შესრულებული. კვლავ უგულავას მცდელობით, ახალგაზრდების „ნაციონალური ჯგუფის" პატრიარქთან შესვლა მეორეჯერაც მოხდა. მათ უთხრეს უწმინდესს, რომ აქციების ორგანიზატორები თავად არიან, თითქოს პროცესები უკონტროლო გახდა, სტუდენტები აგრესიულობენ, უნივერსიტეტში შეჭრასა და იქაურობის დაწვას აპირებენ. იქიდან გამოსულებმა კიდევ ერთხელ გაახმოვანეს, რომ პატრიარქმა მათ აქციების შეწყვეტა მოუწოდა... 22 სექტემბერს, ანუ იმ შეხვედრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, გავრცელდა საპატრიარქოს განცხადებაც, სადაც განმარტეს პატრიარქის ქადაგება, ანუ დადასტურდა, რომ მართალი ვიყავი და უწმინდესს არ მოუწოდებია ის, რაც აგენტ-პროვოკატორმა სტუდენტებმა გაავრცელეს... ახლა, პროვოკაციების „დარტყმებს" ვილებთ ჩვენ, სპონტანური აქციების რეალური ორგანიზატორები. ორი დღეა ვცდილობთ, პატრიარქს შევხვდეთ, მაგრამ, ჯერჯერობით, ეს ვერ ხერხდება. თქვენი გაზეთით ხმამაღლა ვაცხადებ, ის სტუდენტური ჯგუფები, რომლებიც პატარ-პატარა აქციებს მართავენ სხვადასხვა ადგილებში ან შეცდომაში არიან შეყვანილი პროვოკატორებისგან, ანდაც თავად არიან აგენტ-პროვოკატორები. ისინი ცდილობენ, დაშალონ ხალხი და მოახდინონ მათი დეცენტრალიზაცია. შაბათს ფილარმონიასთან მოვიდა რამდენიმე ადამიანი და მითხრა: ჩვენ ვასრულებთ პატრიარქის დავალებას, ყველანი ქაშვეთთან უნდა წავიდეთო. მეორემ მითხრა, რომ მამა დავითზე უნდა წავსულიყავით, სხვა ჯგუფმა თქვა, რომ მიდიოდნენ გლდანში. ჩვენ ვინარჩუნებთ ცხელ წერტილად ფილარმონიას. თუ აქ ხალხი დაიშალა, ეს ნიშნავს, რომ თბილისში საპროტესტო პროცესები მოკვდა. გლდანში გამოხატული პროტესტი, რეალური ძალების ქალაქიდან გადასროლა, არის პროტესტის ჩავარდნა, რაც ხელისუფლების ინტერესებშია. არ უნდა დავუშვათ, რომ ეს პროცესი მოკვდეს. ორშაბათიდან უფრო მეტი ენერგიით უნდა გამოვიდეთ ფილარმონიასთან. მხოლოდ იქ უნდა იყოს აქციები.

**— რატომ, მაინცდამაინც, ფილარმონიასთან?**

– ეს არის სტრატეგიული ადგილი თუნდაც ვიზუალური თვალსაზრისით. ძალიან კარგად ჩანს აქედან მთელი პერიმეტრი და ხალხი ერთმანეთს კარგად ხედავს. დარბევა თუ დააპირეს, იქ არის ბევრი ქუჩა და ხალხი თავს შეაფარებს. მანდ თუ ბევრი ადამიანი მოვა, დარბევას, ადამიანებზე ხელის აწევასა და პროვოკაციას ვერავინ გაბედავს. ამიტომ გვინდა, რომ ყველა მოვიდეს მხოლოდ ფილარმონიასთან. ჩვენ ყოველდღე ვიკრიბებით ფილარმონიასთან 5 საათზე, ეს ყველამ უნდა გაიგოს!!!



21 სექტემბერს, ღამის 12 საათზე, დასრულდა თათბირი უგულავასთან, სადაც იყვნენ მისული აგენტ-პროვოკატორი სტუდენტები. ისინი დიდძალი ანაზღაურების სანაცვლოდ დაითანხმეს, რომ ჩაიცვამდნენ სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების მაისურებს და მოაწყობდნენ პროვოკაციებს, – დაიწყებდნენ ჩხუბს, გააჟღერებდნენ ხელისუფლებისთვის სასურველ ინიციატივებს... სავარაუდოდ, ეს სტუდენტები ვიზუალურად ეცოდინებოდა საპატრულო პოლიციას და ზონდერებს. მათ ხელს არ ახლებდნენ და დაიწყებდნენ სხვა ადამიანების დაჭერებს.

**— ვინ არიან ეს სტუდენტ-პროვოკატორები?**

– მათი იდენტიფიკაცია ჯერ ბოლომდე არ მომხდარა, მაგრამ ისინი არ ერიდებიან მეგობრებთან ამ საკითხებზე საუბარს. შაბათს კიდევ ერთი პროვოკაცია მოგვიწყვეს, რომელშიც გულანთებული სტუდენტებიც ჩაითრიეს. ტელევიზიიდან ხალხი უკვე იშლებოდა. „მაკდონალდსთან" სამი „მარშუტკით" პოლიციის „სპეცნაზი" იყო მობილიზებული, ექვსი კი საპატრულო ეკიპაჟი იდგა. ამ დროს სტუდენტმა გოგონამ მოირბინა ჩემთან და მითხრა, – გვაკავებენ, მანქანას გვართმევენო. მათკენ წავედი. ქუჩის მოპირდაპირე მხრიდან რომ გავუსწორდი პოლიციას, მაშინ დაიწყეს მათი დაკავება. ატყდა წივილ-კივილი. რამდენიმე ქალბატონი და მამაკაცი მოვარდნენ ჩემთან და არ მომცეს საშუალება, იქით წავსულიყავი. მამაკაცი მეუბნებოდა, რომ გაიგონა, როგორ გადასცეს პატრულის თანამშრომლებს „რაციაზე", ჩიტაძე მოდის, აბა თქვენ იცითო. მეორე ადამიანმა, ვინც სტუდენტების დაკავების ადგილას იმყოფებოდა მითხრა, რომ ასევე გაიგონა, როგორ გადასცეს „სპეცნაზს", აბა თქვენ იცითო და შემაგინეს. ამ ხალხმა ჩამსვეს ავტომანქანაში და იქაურობას გამაცილეს. ბოლოს აღმოჩნდა, რომ მხოლოდ 3 გოგონა იქნა დაკავებული იქ და ისინიც მალევე გაუშვეს სასამართლოს გარეშე. უბრალოდ, ჩამოსვეს პატრულის მანქანიდან. როგორც ჩანს, მათ იცოდნენ, რომ ამ ახალგაზრდებთან გარკვეული ურთიერთობა მქონდა. მათ წათრევასა და წივილ-კივილზე გავხდებოდი, სავარაუდოდ, აგრესიული და ამ პროცესშიც ჩავერეოდი, მერე დამაკავებდნენ ისვე, როგორც დააკავეს ჩვენი ბიჭები. ორგანიზატორებიდან 4-5 ბიჭილა დავრჩით და ეცდებიან, ჩვენც აგვიყვანონ.

**— დაჩი ცაგურიას დაკავება მართლა სოფო ნიჟარაძის გამო მოხდა? ამაზე რატი ამაღლობელი საუბრობდა...**

– იმ ღამეს, 18 სექტემბერს, როცა წამების ამსახველი პირველი ვიდეო-მასალა გავრცელდა, იცით, რომ ფილარმონიაში „ვერის უბნის მელოდიებს" მიშაც ესწრებოდა. გადავწყვიტეთ, ორ ეტაპად შევსულიყავით შიგნით, თუ ერთ ჯგუფს აღმოაჩენდნენ და გაანეიტრალებდნენ, მეორე ჯგუფი გამოხატავდა პროტესტს. რამდენიმე ჩემს მეგობართან ერთად შევედით დარბაზში კონცერტის დაწყებამდე და ყველას დასანახად ცოცხით ზევით დავსხედით. გვინდოდა, ყურადღება ჩვენზე გადმოეტანინათ და სხვა ჯგუფებს მოეხერხებინათ გეგმის განხორციელება. ჩემთან მოვიდა დაცვა და ცდილობდა ცოცხის წართმევას, მაგრამ ერთი ამბავი ავტეხეთ, ქვეყანაში სადაც ადამიანებს ცოცხებით აუპატიურებდნენ, კონცერტების დრო არ იყო. ამ გაწევ-გამოწევის პარალელურად, მეორე ჯგუფმა, რომელშიც დაჩი იყო, მოახერხა და ცოცხები სცენაზე აიტანა. გვინდოდა ცოცხები ნიჟარაძისთვის და ბუბა კიკაბიძისთვის გადაგვეცა... იმის გამო, რომ სააკაშვილს ამ ქალისადმი სექსუალური ლტოლვა აქვს, იგი მსოფლიო ვარსკვლავი გახადეს, გარეთ ასეთი რაღაც ხდებოდა და ისინი იქ ტაშ-ფანდურობდნენ (ცნობისთვის: მხოლოდ ცაგურიას დაკავების შემდეგ გახდა ცნობილი, რომ „ვერის უბნის მელოდიები" შეჩერდა, – ნ. ვ.)... ცაგურიას დაკავება იმ დღესაც უნდოდათ, როცა იუსტიციის სამინისტროსთან ჩატარდა აქცია, მაგრამ მაშინ ვერ შეძლეს, მერე კი ფილარმონიიდან ჟურნალისტებთან ერთად წავიდა დაჩი და ვერც მაშინ მოახერხეს მისი აყვანა. შაბათს გააკეთეს ეს და რა მიზეზით?! ავადმყოფები არიან!!! ცხადია, იგი იმ ღამის გამოც დააკავეს, როცა ნიჟარაძესთანაც გამოვხატეთ ჩვენი სამართლიანი პრეტენზია და იმის გამოც, რომ ამ აქციებს ხელმძღვანელობდა. დაჩი დაკავების შემდეგ ცოცხებით სცემეს... რაც შეეხება ფაცაციას, იგი სასამართლოს შემდეგ დილმის „კპზ"-ზე გადაიყვანეს.

# პოლიციის უფროსის მოადგილემ ადვოკატი სცემა

ფარიზან მოღვარიშვილი
577 40-40-08

**ხელისუფლება ციხეებში პატიმრებს აწამებს და სცემს, საპატიმროს გარეთ კი „გასანადგურებელი კლასის" აქტივისტებს დასდევს. 22 სექტემბერს წალენჯიხაში პოლიციამ მოწმის სახით დაბარებული „ქართული ოცნების" აქტივისტი, ბექა ძვაბავა დააკავა, მის ადვოკატს კი წალენჯიხის პოლიციის უფროსის მოადგილემ სცემა.**

**დეტალებზე „ქრონიკას" ადვოკატი ანჟელა ჯოგბაია ესაუბრა:**

– ძვაბავა რაღაც ქურდობის საქმეზე დაიბარეს მოწმედ, მაგრამ იქ მისული დააპატიმრეს. პოლიციაში გამომძიებელ მარინა ლომაიას ორდერი რომ წარვუდგინე, მითხრა, შეგახვედრებთ ძვაბავასო. ამ დროს დამინახა პოლიციის უფროსის მოადგილე რუსლან აბულაძემ, რომელმაც გამომძიებელი გარეთ გაიყვანა, იქიდან დაბრუნებულმა კი მითხრა, ორდერს გიბრუნებ, ძვაბავას თქვენ აღარ დაიცავთო. მას ვუთხარი, რომ აბულაძის ჭკუაზე არ ვივლიდი, რა წესი იყო ეს, უკვე ვიცავდი ამ ბავშვს და რადგან აბულაძეს არ უნდოდა, უარი უნდა მეთქვა? საქმე ის არის, რომ იმ მომენტში ძვაბავას ჩვენება უნდა მიეცა და აბულაძეს არ სურდა, ეს ჩემი თანდასწრებით გაეკეთებინა, დაკავებულის ინტერესები მე არ უნდა დამეცვა... ცოტა ხანში აბულაძე მომიახლოვდა, ამიფრიალა ცხვირწინ რაღაც ფურცლები და დამიწყო საქმის გარჩევა. ისე ახლოს მოვიდა ჩემთან, მუცელზე ხელი მივადე, გაიწიე-მეთქი და ამ დროს გამარტყა სახეში ხელი. მეც დავარტყი, გრძელი ფრჩხილები მაქვს და ნაკაწრი დარჩა შუბლთან, – ამას არ დაგითმობ, შენ მე ხელი როგორ გამარტყიო?

**— ანუ პოლიციის უფროსის მოადგილე გალახეთ?**

– მე თავს ვიცავდი, აბა, რა მექნა? საშინელი სიტყვებით მომაყენა შეურაცხყოფა, მისგან აგრესია ისეთი იყო, სხვა პოლიციელები ჩაერივნენ და გაიყვანეს. მერე პოლიციის მეორე მოადგილის პირით შემომითვალა, – შენც გაჩერდი და მეც გავჩერდები, არ გიჩივლებო, კიდევ აქეთ მედავება. მოწმეები პოლიციელები არიან, 40-მდე პოლიციელი იყო გარეთ, მაგრამ არა მგონია, რომელიმემ უფროსის წინააღმდეგ გაილაშქროს, მაგრამ მე მაინც ვუჩივლებ, რა თქმა უნდა... აქვე გეტყვით, რომ გვიან ღამით წალენჯიხის პოლიციის შენობასთან აქცია გაიმართა. პოლიცია იძულებული გახდა, დაკავებული ძვაბავა გაეშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკლამა

# „სმარტის“ სუპერმარკეტი რუსთაველის გამზირზეც გაიხსნა

თბილისის კოლორიტულ უბანში, რუსთაველის გამზირზე, „ვისოლ ჯგუფმა“ მომხმარებლის საყვარელი ბრენდი, სუპერმარკეტი „სმარტი“ გახსნა. „სმარტის“ ქსელი გაფართოებას განაგრძობს, რაც ნიშნავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ხელმისაწვდომ ფასებსა და მყუდრო გარემოში დროის სასარგებლოდ გატარებას. საქართველოს ფოსტის ყოფილ შენობაში გახსნილი ახალი სუპერმარკეტი „სმარტი“ სამ სართულზეა განთავსებული. გერმანული, ჰოლანდიური, ესპანური, იტალიური თუ ადგილობრივი წარმოების ყოველდღიური მოხმარების უმაღლესი ხარისხის პროდუქტების ფართო არჩევანი და დემოკრატიული ფასები, „სმარტ კაფე“, გერმანული და ქართული ტექნოლოგიებით გამომცხვარი უგემრიელესი საკონდიტრო პროდუქტები, მზა კერძები და სასმელები, თავისუფალი ინტერნეტზონა და უმაღლესი ხარისხის მომსახურება მომხმარებელს „ჩემი სუპერმარკეტის“ აღქმას უმძაფრებს და სრულ კომფორტს უქმნის. სუპერმარკეტში ბანკომატი, სწრაფი გადახდის აპარატები და სხვა სერვისების აპარატებია განთავსებული.



„სმარტის“ სუპემარკეტების ქსელის განვითარება აქტიურ ფაზაში შედის. ჩვენ გარკვეული პერიოდის წინ მიზნად დავისახეთ, დედაქალაქში შეგვექმნა სრულიად განსხვავებული ტიპის სუპერმარკეტი, რომელიც გამორჩეული იქნებოდა საკუთარი დიზაინით, სავაჭრო ინვენტარით, ტექნოლოგიებით, ანუ, ზოგადად, ერგონომიკით, გამორჩეული იქნებოდა მომსახურების ხარისხით და სასაქონლო ასორტიმენტით. მოხარული ვართ, რომ დღეიდან სწორედ ასეთი ტიპის სუპერმარკეტი თბილისის ცენტრში, ქალაქის კოლორიტულ უბანში, ნებისმიერი გემოვნებისა და მოთხოვნის მქონე მომხმარებელს საშუალებას მისცემს, ევროპული სტანდარტების, უმაღლესი ხარისხის პროდუქტებითა და მომსახურებით ისარგებლოს. ყველაზე მეტად ის გვახარებს, რომ ყოველი ობიექტის გახსნა ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ასობით ოჯახში შემოსავლის წყაროს გაჩენას ნიშნავს“, – აცხადებს „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტი, სოსო ფხაკაძე.



სუპერმარკეტში 223 ადამიანი დასაქმდა. „სმარტის“ თითოეული თანამშრომელი სპეციალური ტრენინგის შემდგომ საქმდება და დაზღვევითა და უფასო კვებით სარგებლობს. რამდენიმე თვის შემდეგ ამავე შენობაში „ვისოლ ჯგუფი“ გახსნის ამერიკული მულტინაციონალური კომპანია „ვენდის“ რესტორანს და, საერთო ჯამში, „ვისოლ ჯგუფს“ მხოლოდ ამ ობიექტზე „სმარტსა“ და „ვენდიში“ დასაქმებული ეყოლება 300-ზე მეტი ადამიანი.

„სმარტის“ ქსელის განვითარება გრძელდება და უახლოეს თვეებში „სმარტის“ სუპერმარკეტები თბილისის სხვადასხვა უბნებში, გუდაურში, ბათუმში, ქუთაისსა და ფოთში გაიხსნება. მომავალი სამი წლის მანძილზე „ვისოლ ჯგუფი“ „სმარტის“ სუპერმარკეტების ქსელის მნიშვნელოვან გაფართოებას გეგმავს და 3000-მდე ადამიანს დაასაქმებს.

„ვისოლ ჯგუფმა“ „სმარტის“ ქსელის განვითარება 2010 წელს დაიწყო. „სმარტის“ სუპერმარკეტები დღესდღეობით წარმატებით ფუნქციონირებს ალმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე, ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონში, კახეთის გზატკეცილზე, მარნეულში, ყვარელსა და ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გორის მონაკვეთზე.

*სალომე ავალიანი*

რეკლამა

# უსაფრთხო ინტერნეტვაჭრობა

ბანკი “ქართუ”-ს VISA ბარათთან ერთად!

**გაააქტიურეთ VBV სერვისი!**

ბანკი “ქართუ” ჩვენს რეგიონში პირველი და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც გთავაზობთ ინტერნეტ ტრანზაქციების უსაფრთხოების უმაღლეს სტანდარტს.
ახალი სერვისის მეშვეობით ონლაინ ტრანზაქციის პროცესში მოწმდება ვებ-გვერდზე შეყვანილი, ბანკი “ქართუ”-ს პლასტიკური ბარათის მონაცემებისა და მისი მფლობელის იდენტურობა. აღნიშნულ სერვისს, ბანკთან ერთად, უზრუნველყოფს საერთაშორისო საგადახდო სისტემა VISA International.




ბანკი ქართუ CARTU BANK

www.cartubank.ge

VERIFIED by VISA

კლიენტთა მომსახურების განყოფილების ნომრებზე:
(+ 995 32) 292 55 92, (+995 599) 92 55 92

3D secure

# სამი სკანდალური საქმე, რომლის ამოქექვის სააკაშვილს სიკვდილივით ეშინია!!!

## ეს ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც მიხეილი იუსტიციის მინისტრად დაინიშნა

დარეჯან მიფარიშვილი
577 40-40-08

„ახალაიამ ციხეებში შეძლო ის, რაც მე ვერ მოვახერხე იუსტიციის მინისტრობისას. მკაცრი ზომებით მან დაამყარა წესრიგი ციხეებში. გასაკეთებელი ბევრად მეტია და კიდევ უფრო მეტი სიმკაცრით!" – ეს სიტყვები 2009 წელს თქვა მიხეილ სააკაშვილმა. სააკაშვილმა მაშინ, ნებსით თუ უნებლიეთ, სიმართლე თქვა! დიახ, სიმკაცრე და არა კანონიერება! გზა ხსნილია: „გასაკეთებელი ბევრად მეტია და კიდევ უფრო მეტი სიმკაცრით"! დიახ, სააკაშვილმა მაშინ მართალი თქვა და საერთოდ, მიშა ყოველთვის სიმართლეს ამბობდა. ახლაც, საპყრობილეში გადაღებული უმძიმესი კადრების გავრცელების შემდეგაც, სიმართლე თქვა, როცა ახალაიას „ბევრად მეტი" გაკეთებული უცებ გახდა სისტემური კრახი. მაშინაც „მართალი კაცი" იყო მიშა, როცა ეს ამბავი მოხდა: „თინა ქეიდენაუმ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრისას წუხილი გამოთქვა თავდაცვის მინისტრის პოსტზე ბაჩო ახალაიას დანიშვნის თაობაზე, რომელსაც ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ცუდი რეპუტაცია ჰქონდა. მაშინ სააკაშვილმა უთხრა ქეიდენაუს, რომ ახალაიასთვის მიეცა შანსი, რათა მას დაემტკიცებინა რეფორმისადმი ერთგულება", – წერს ვიკილიქსი. როდის ამბობს სიმართლეს ე. წ. რეფორმების მამა, რომელიც პარალელურად ვარსკვლავთბიჭუნაც იყო? როდის იყო მიშა გულწრფელი, 2001 წელს, როცა თავისი მინისტრად ყოფნის 50-დღიან პერიოდს აფასებდა და ამბობდა: „იუსტიციის სამინისტროში მოვიდა ახალი გუნდი, რომელმაც შეძლო წარმატებული რეფორმის ჩატარება", თუ ახლა, როცა ამბობს, რომ სასჯელაღსრულების სისტემა ძირფესვიანად შესაცვლელია? სააკაშვილს, როგორც ჩანს, „ნაციონალური სკლეროზი" დაემართა და ახლა ის დროა, წარსულში დალექილი მისი „საქმენი საგმირონი" კიდევ ერთხელ გავიხსენოთ:

მიხეილ სააკაშვილი 2000 წლის 12 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრად. ეს ის პერიოდია, როცა სააკაშვილი და მისი გუნდი უკვე აღარ უხდის მადლობებს არჩევნებში დახმარებისთვის მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრ კახა თარგამაძეს. სააკაშვილი მინისტრად მოვიდა რიხით და მინისტრობის 50 დღე ისეთი რიხით დააპირა, თითქოს მართლა ააშენა სასჯელაღსრულების სისტემა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ 50-დღიან პერიოდში, პირველი რაც გააკეთა სააკაშვილმა, ეს იყო დაწესებულებებიდან ჯართის გაზიდვა და ზუსტად ერთი წლის თავზე, თანამდებობიდან გადადგომამდე, ზუსტად 5 (რა საკრალური ციფრია) დღით ადრე მეხუთე საპყრობილეში კანონიერი ქურდის, თეიმურაზ დიასამიძის მკვლელობით დაასრულა მინისტრობანას თამაში. „ქრონიკას" ხელთ აქვს მაშინდელი გენერალური პროკურორის ხელმოწერილი დასკვნა, რომელიც ეხება არა მარტო ჯართის გატანის ფაქტებს, არამედ ამ მკვლელობასაც და კიდევ ბევრ რამეს. სააკაშვილი კორუფციას ამარცხებდა იუსტიციაშიც, ამიტომ საჭიროდ მიიჩნია, ბრძოლა სახელმწიფო ქონების განიავებით დაეწყო. ახლა საქმის მასალები და მეტი არაფერი:



სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ჯართის უკანონო მოჭრასა და გატანას ეხება, გენერალურ პროკურატურაში მას შემდეგ აღიძრა, რაც კომპლექსურმა შემოწმებამ დაადგინა, რომ სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულება, ფაქტობრივად, გაძარცული იყო. მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დადგინდა, რომ ჯართის გატანა ოფიციალურად გაფორმდა, როგორც დაწესებულებების რემონტი. მიშას ადრეც უყვარდა მშენებლობა, მინისტრობის ჟამს. ჰოდა, ახალი კორპუსების ასაშენებლად რამდენიმე დაწესებულებაში გააუქმა არსებული საწარმოები. მართალია, ზოგან ეს საწარმოები, ფაქტობრივად, არ მუშაობდა, მაგრამ სადაც საწარმო მუშაობდა, მაგალითად, ქალთა დაწესებულებაში, იქაც ჯართად აქცია. დასკვნაში წერია, რომ ციხეებში არსებული დაზგა-დანადგარები ჯართად რეალურ ფასზე 50-ჯერ ნაკლებად გაიყიდა და რამდენიმემილიონიანი სამუშაოდ ვარგისი (დახლოებით 50-წლიანი გარანტიით) ტექნიკა კაპიკებად გაიყიდა. დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ ჯართად გაყიდული ტექნიკიდან შემოსული თანხა უგზოუკვლოდ გაქრა. გენერალური პროკურორი ამ დასკვნას უგზავნის შევარდნაძეს. პრეზიდენტის კანცელარიიდან პასუხი იგვიანებს, საბოლოო ჯამში, ეს დასკვნა ცნობადაც არ მიილო პრეზიდენტმა. გენერალური პროკურატურა იძულებული გახდა, საქმე თაროზე შემოედო;

მეორე სისხლის სამართლის საქმე ეხებოდა საპატიმრო ადგილებში მოწამლული თევზის შეტანის ფაქტს. იმ პერიოდში ეს იყო ტაბუდადებული თემა, რომლის დეტალებიც არ გახმაურებულა. საქმის მასალების მიხედვით გაკეთებული დასკვნა გენერალურმა პროკურორმა ისევ შევარდნაძეს გადაუგზავნა. კანცელარიაში დასკვნა „გაიბნა", „დაიკარგა". იგივე დასკვნა მეორედ არავის გადაუგზავნია პრეზიდენტისთვის. საქმის მასალებით ირკვევა, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში პროდუქტი ბაზრობიდან შეჰქონდათ. არ ვიცი, მიშას „ბაზარნიკები" სად პოულობდნენ ვაჭრებს, რომლებიც გაოთხმაგებულ, ზოგჯერ გახუთმაგებულ ფასებში აძლევდნენ რეფორმატორ ნოვატორს პროდუქტებს, მაგრამ ფაქტია, კარტოფილი, რომელიც მაშინ 35-40 თეთრი ღირდა, მიშას 90 თეთრი უჯდებოდა, ვაშლი – 1,2 არადა, ბაზარში 30 თეთრიდან იწყებოდა ფასები და 1,20 თეთრამდე არ ადიოდა, ხახვში, ზეთში, პურშიც კი გაორმაგებულ ფასებს იხდიდა იუსტიციის სამინისტრო. ერთხელ მქონდა ბედნიერება, თავად მენახა მიშას „ბაზარნიკების" ნაყიდი კარტოფილი. პროდუქტი ტალახში რომ ყოფილიყო დაყრილი, ეს არ იქნებოდა დიდი ტრაგედია, ბოლოს და ბოლოს, კარტოფილი ხეზე არ მოდის. კარტოფილი ნაგავში ეყარა, კარტოფილის „მთაზე" კი ძაღლი იყო წამოსკუპებული. კარტოფილი




ძალიან წვრილი იყო და 90 თეთრად კი არა, ძალიან უნდა გეცადა, 30 თეთრად მაინც რომ გაგეყიდა. 2 ცალი კარტოფილი წამოვიღე მაშინ და მთელი სამი საათი დავკარგე მეორე დღეს ბაზარში, როგორმე „ციხის კარტოფილის" მსგავსი რომ მეპოვა. 25 თეთრი დამიფასეს, შევევაჭრე და 20 თეთრად მაძლევდნენ. ნუ, თუ ახლა ვინმე იტყვის, რომ ეს ტყუილია და მე მოვიგონე, შეუძლია თავად გამოითხოვოს პროკურატურიდან შესაბამისი საქმეები და ჩაიხედოს, თუკი, რა თქმა უნდა, ეს საქმეები ჯერ არ დაუწვიათ. სამზარეულოში, სადაც ქურაზე უზარმაზარი ქვაბი იდგა, შარდისფერ წყალში ცურავდა რამდენიმე კარტოფილი, მაკარონი და რამდენიმე თავი ხახვი. ეს იყო მიშას რეფორმირებული ციხეები და ევროპული სტანდარტი. მიშას გამინისტრებიდან რამდენიმე თვეში სასჯელაღსრულება თევზის სკანდალმა მოიცვა, როგორც ზემოთ ვთქვი, გენპროკურორის დასკვნა კანცელარიაში დაიკარგა. საქმე იყო ასე: სამინისტრომ იყიდა რამდენიმე ათეული ტონა თევზი. როცა დაასაწყობეს ეს თევზი, უკვე ყარდა და სამეურნეო სამსახურის თანამშრომელმა დააფიქსირა კიდეც ეს. –შენ არავინ გკითხავსო! – უთხრეს და დაახლოებით ერთ კვირაში თევზი დაწესებულებებში შეიტანეს. „ციხე აყროლდა, როგორც კი გავხსენით თევზი, – იხსენებდა მაშინ ერთი ციხის უფროსი, – ვაცნობე ზემოთ, არ შეიძლება ამ თევზის ჭამა-მეთქი, – შენ არავინ გკითხავსო! – მითხრეს. ვიფიქრე, არ შევიტან ზონაზე, ასჯერ მირეკავდნენ დღეში. რაღაცნაირად დავეჭვდი, რატომ მაიძულებდნენ, ვერ მივხვდი, არადა, აშკარად გაფუჭებული იყო". საბოლოოდ, ყველა დაწესებულებაში „აითვისეს" გაფუჭებული თევზი. სისტემა პატიმართა მასობრივმა მოწამვლამ მოიცვა. სააკაშვილი ძალიან შეშინდა, ექსპერტიზამ დაადგინა, თევზი მოწამლული რომ იყო, ისიც დადგინდა, რომ უკვე გაფუჭებული იქნა შეტანილი სისტემაში, ისიც დადგინდა, რომ ორჯერ მეტი იყო გადახდილი, ვიდრე სალი თევზი ღირდა. მოკლედ, განზრახ ჩადენილი დანაშაული სახეზე იყო და ეს დანაშაული პატიმრების გენოციდის ტოლფასი იყო. ეს იყო ყველაზე დიდი სკანდალი, რომელიც ისე მიჩქმალეს, პასუხი არავის აგებინეს!

მესამე ასევე ძალიან სკანდალური საქმე ეხება „კანონიერ ქურდს". თეიმურაზ დიასამიძის განზრახ მკვლელობის ფაქტზე გენერალურ პროკურატურაში შეტყობინება 2001 წლის 16 ოქტომბერს, მიშას გადადგომამდე 5 დღით ადრე შევიდა. ამონარიდი საქმის მასალებიდან: „ინფორ-

მაციის მიღებისთანავე შემთხვევის ადგილზე გავიდნენ გენპროკურატურის საზედამხედველო სამმართველოს, კრიმინალისტიკური სამსახურისა და თბილისის სასჯელაღსრულებითი პროკურატურის ოპერატიული მუშაკები. ამავდროულად, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე პირთა ჯგუფის მიერ, განსაკუთრებული სისასტიკით განსასჯელ დიასამიძის განზრახ მკვლელობის ფაქტზე. საქმეზე ჩატარდა გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები, კერძოდ, კრიმინალისტთა ჯგუფის მონაწილეობით დათვალიერდა და ფოტოგრაფირებულ იქნა შემთხვევის ადგილი და გვამი, ამოღებულ იქნა დანაშაულის ჩადენის იარაღები, ორი ქარხნული წესით დამზადებული ორლესული ხანჯალი, თვითნაკეთი ფიქსატორიანი დანისა და ოთხი სხვადასხვა ტიპის დანის სახით, რომელზეც აღენიშნებოდა სისხლის ლაქები. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ იქნა დანაშაულებრივად გამოყენებული რკინის ძალაყინი, ამოღებულ იქნა ასევე შესაძლო ეჭვმიტანილთა ტანსაცმელი, რომელთა ნაწილსაც აღენიშნებოდა სისხლის ლაქები. დაინიშა გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა... ჩატარებული წინასწარი გამოძიების პირველადი მონაცემებით ირკვევა, რომ განსასჯელი თემურ დიასამიძე თბილისის მეხუთე საპყრობილეში გადმოიყვანეს ქუთაისის მეორე საპყრობილიდან 2001 წლის 17 ივნისს. წარსულში ორჯერ ნასამართლევმა დიასამიძემ 1997 წელს ბათუმში მოკლა „კანონიერი ქურდი" გ. ჩხაიძე, რისთვისაც იდევნებოდა ქურდული სამყაროს მხრიდან და არსებობდა ოპერატიული მონაცემები მისი შესაძლო ფიზიკური ანგარიშსწორების შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, საპყრობილის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით განსასჯელი თ. დიასამიძე მოთავსებული იყო სხვა პირებისაგან განცალკევებით მკაცრ იზოლაციაში მეორე სარეჟიმო კორპუსის სარეჟიმო საკანში, სადაც დღის განმავლობაში იმყოფებოდა კორპუსის უფროსი და რეჟიმის განყოფილების კონტროლიორი. დაახლოებით 13.30 საათზე ამავე კორპუსის გვერდით ფლიგელში ე. წ. კანონიერი ქურდების 49-ე საკანში განთავსებულმა პატიმართა ჯგუფმა ე. წ. კანონიერი ქურდების გურამ სვანიძის, ზვიად პაპიაშვილისა და ალექსანდრე ქურასბედიანის („წრიპა") შემადგენლობით, ისარგებლეს რა საპყრობილის სამორიგეო განაწესის წევრთა აშკარა სამსახურებრივი გულგრილობით, გასეირნებაზე ყოფნისას მოახერხეს სარეჟიმო კორპუსში შეღწევა, ცივი იარაღითა და ძალაყინით შეიარაღებულებმა გატეხეს მე-40 საკნის კარი და განსაკუთრებული სისასტიკით, დანების მრავალჯერადი დარტყმით გულმკერდისა და სხეულის სხვადასხვა ადგილებში, ასევე ყელის არეში მიყენებული დაზიანებებით მოკლეს განსასჯელი დიასამიძე. ამავდროულად, თავიანთი დანაშაულის განზრახ შენიღბვის მიზნით, ზემოთ ხსენებულმა პირებმა გატეხეს 39-ე საკნის კარი, სადაც მოთავსებული იყვნენ სამუდამო პატიმრობა მისჯილი პირები გულიაშვილი, კალანდია, კიკნაძე, რომელთაგან ეს უკანასკნელი



გამოცხადდა ბრალის აღიარებით, როგორც დანაშაულის ერთპიროვნულად ჩამდენი". გამოძიებას ციხის თანამშრომლებმა მისცეს ჩვენება, არც ერთი თანამშრომლის ჩვენება ერთმანეთს არ ემთხვეოდა, არც ერთ მათგანს სიმართლე არ უთქვამს. პარალელურად, იუსტიციის სამინისტროში იმართება ბრიფინგი და მიხეილ სააკაშვილი შსსსკენ იშვერს თითს და აცხადებს, რომ მას და მის რეფორმებს მტერი ჰყავს და ვილაცები განზრახ, დავალებით, მოსყიდვით ჩადიან დანაშაულს. პარალელს თუ გავავლებთ, სააკაშვილის კარიერულ ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. მას ახლაც ებრძვიან, ახლაც ვილაცის დავალებით ჩაიხადეს პატიმრებმა შარვლები, ახლაც ფული აიღეს წამებისთვის პატიმრებმა და მაშინაც ასე იყო. დიასამიძე სიკვდილს გარკვეული ანაზღაურების საფასურად დათანხმდა. სხვათა შორის, მკვლელობაში ბრალდებულ „კანონიერ ქურდთაგან" ყველა სააკაშვილის გაპრეზიდენტების მერე კარგა ხანს ციხეში იყვნენ, ერთი დღესაც პატიმარია. მაშინ ამბობდნენ, რომ სამინისტრო დიასამიძესთან მისასვლელ გზებს ეძებდა და ამიტომ გადმოიყვანეს ქუთაისიდან თბილისში, მაგრამ სხვებმა „გრეხები" არ აპატიეს დიასამიძეს და ვიდრე მიშა მას მოლაპარაკების მაგიდასთან დაისვამდა, მანამ მოკლესო. „გამოძიებით დადგენილია, რომ 2001 წელს 18 აგვისტოს ადგილი ჰქონდა ე. წ. კანონიერი ქურდის, კახაბერ მიქაძის და ალექსანდრე ქურასბედიანის მხრიდან განსასჯელ დიასამიძეზე თავდასხმის მცდელობას, რომლის განხორციელება არ მოხერხდა მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ხსენებული ფაქტი დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ დამალულ იქნა და აღნიშნულზე წინასაგამოძიებო შემოწმება არ ჩატარებულა. გარდა ამისა, სერიოზული განსჯის საფუძველს ტოვებს ის გარემოება, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია, ჩვენთვის გაურკვეველი უსუსურობის გამო, მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის შემდგომ თითქოსდა და მოსალოდნელი გართულების მიზეზებით ვერ ახერხებს ელემენტარული სარეჟიმო ღონისძიებების ჩატარებას, მათ შორის, ეჭვმიტანილ პირთა საკნების ჩხრეკას და მათგან შესაძლო მტკიცებულების ამოღების ორგანიზებას". ანუ გენერალურმა პროკურატურამ შევარდნაძეს აცნობა, რომ საქმე ჰქონდათ არა მხოლოდ ქურდულ გარჩევებთან, არამედ სახელმწიფო მოხელეების ინტერესთან. მართალია, ამ დასკვნაში მითითებული არ იყო სააკაშვილის ინტერესებზე, მაგრამ მინიშნებით ყველაფერი ითქვა. მაშინ იმასაც ამბობდნენ, რომ ამ დასკვნის გამო გენერალური პროკურორი შევარდნაძემ დაიბარა და დაწვრილებით გამოჰკითხა, რა მოხდა სინამდვილეში.

მაშინ ძალიან აქოთდა ყველაფერი, კანცელარიას ხშირად „სტუმრობდა" სააკაშვილი. ისიც კი ითქვა, რომ შეიძლება ამ საქმეს მიშა გადაჰყოლოდა. ამ მკვლელობას წინ უსწრებდა ქუთაისის ციხიდან პატიმართა გაქცევის ფაქტი, რა დროსაც ციხიდან დაუბრკოლებლად გავიდნენ პატიმრები. მათ თანამშრომლებს ისე ჩაუარეს, ვერც ვერავინ შენიშნა ისინი. სააკაშვილმა თავი მარტივად გადაირჩინა. ფაქტიდან ცოტა ხანში, როგორც კი დადასტურებულად გაირკვა, რომ განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები ციხიდან გავიდნენ (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) და მათ მორიგემ გაუღო კარი, ხოლო კარამდე ერთმა ჩინოსანმა მიაცილა, მოაწყო ბრიფინგი და ისეთი სიტყვა დაახეთქა, იმავე წამს კახა თარგამაძე ამოახტუნა სავარძლიდან. თარგამაძემ პრესკონფერენციით უპასუხა და სულ უსუსური ეძახა. ახლა ნაკლებად საინტერესოა, როგორ შეამკო მიშა კახამ. მე მინდა შემოგთავაზოთ სააკაშვილის ტექსტი. პარალელები თქვენ გაავლეთ და დასკვნებიც თქვენთვის მომინდვია: „იუსტიციის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის თავიდან მოშორების მიზნით გაერთიანდნენ როგორ თავად სამინისტროს ზოგიერთი თავზეხელაღებული თანამშრომელი, ასევე, სამწუხაროდ, სამართალდამცველი სისტემის ზოგიერთი თანამშრომელი. ამის ნათელი დადასტურებაა ქუთაისის ინციდენტი, როდესაც პირველ ეპიზოდში ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა თავისი დანაშაულებრივი დაუდევრობით და პირდაპირი ხელშეწყობით, ყველა ბრძანების უხეში დარღვევით, გარეთ გაუშვეს სახიფათო დამნაშავეები, რისთვისაც ნებისმიერ ქვეყანაში დაპატიმრებული და დასასჯელი იქნებოდნენ. ამის სანაცვლოდ ამ დრამის მეორე ეპიზოდში, ყოველგვარი ნორმების დარღვევით, გამოძიების ასეთი გულგრილობა არც შემთხვევითი არ ყოფილა და ვშიშობთ, არ უანგარო. თუმცა მისი შედეგები სცდება კონკრეტული ფაქტის ფარგლებს და, პრაქტიკულად, მსგავსმა ფაქტმა შეიძლება მთლიანად გამოიწვიოს პენიტენციური სისტემის სერიოზული დესტაბილიზაცია და სერიოზული პრობლემები შეუქმნას საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მსგავსი საბოტაჟის ინიციატივა არ მოდის არც პროკურატურის, არც შსს-ს ხელმძღვანელობიდან და მაინც ცალკეული ელემენტების უპასუხისმგებლო ინიციატივაა. როგორიც არ უნდა იყოს მსგავსი საბოტაჟისა და გამიზნული ქმედების მიზანი, ჩვენ მაინც შევძლებთ სისტემაში წესრიგის დამყარებას და საზოგადოებისთვის უსაფრთხოებისა და დაცვის გარანტიების მიცემას". ეს სააკაშვილის სიტყვებია.

და კიდევ ერთი სკანდალი, რომელიც მის სახელს უკავშირდება: ზემოთ მოყვანილი სიტყვების ავტორისგან პატიმრებს დაცვის გარანტიები უნდა ჰქონოდათ, წესით, და რა ხდება ამ დროს? ერთ-ერთ დაწესებულებაში პატიმრებს შორის, პირდაპირი გაგებით, ომი გამოცხადდა. მსჯავრდადებულები ერთმანეთს მუხებით გაუსწორდნენ. ამ ომს გრადი და ტანკი აკლდა, მსხვერპლი საგანგაშო იყო. დაიხოცნენ როგორც პატიმრები, ისე პატიმრების ახლობლები. სააკაშვილმა მოაწყო ბრიფინგი, ხელი გაიშვირა კახა თარგამაძისკენ და განაცხადა: არ გადავდგები თქვენს ჯიბრზე! არც გადადგა და არც გადააყენეს. არადა, მისი წინამორბედი ჯონი ხეცურიანი პატიმრების ომს კი არა, პატიმრების გაქცევას გადააყოლეს. გახსოვთ, ალბათ, ხეცურიანი აბსანძის, ქობალიასა და სხვათა ციხიდან გაქცევის შემდეგ მოხსნეს და სად-ის თავმჯდომარე გივი ყვარელაშვილიც ზედ მიაყოლეს.

*გაგრძელება იქნება*





# „ალია“ მაგარია!“

## რეპორტაჟი სტუდენტთა აქციიდან

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50



მახსენდება და ახლაც ყურში მაქვს „რიჩარდ მესამეში“ რამაზ-რიჩარდის ხმა, ელისაბედზე რომ ამბობს, – კუდიანია, ხელი გამიხმოო. ამაზე კენტრბერის ეპისკოპოსის გაუბედავი შეპასუხება: „თუ მართლაო“? რიჩარდი ნელა ტრიალდება მისკენ: „თუოო? როგორ თუ „თუოო“? იმ ბოზ დედაკაცს იცავ? მოჰკვეთეთ თავი!“ გენიალურია რობიკო. მართალია, ნიკა ქავთარაძეს არ ევასება, მაგრამ მაინც გენიალურია! ეჭვი მაგარი რამეა. ეჭვიანობით დაავადებულია ქვეყნის პირველი პირი და ვრცელდება მეათასეზე. ეჭვი და კიდევ მტრის ძიება ყველგან და ყველაფერში. ამაში მე და ჩემი მეგობარი ნელი ვარდიაშვილი, 21 სექტემბერს, ღამის 11 საათზე, ფილარმონიასთან აქციის დროს, ღრმად დავრწმუნდით. დავიწყოთ იმით, რომ საშიშროება პრეზიდენტის სიტყვებიდან ჯერ იუსტიციის ახალი სახლის გახსნაზე გვენიშნა, როცა სტუდენტებს სულ „სულელები“ და „ვილაცისგან მართულები“ ეძახა და მერე, როცა გავიგეთ, რომ გზად სამართალდამცველებსა და სტუდენტებს შორის შეხლა-შემოხლა მოხდა. ფილარმონიისკენ მივდივართ. ადგილზე ხალხის მცირედი რაოდენობა და ძალიან ბევრი პოლიციელი გვხვდება. პატრული ორ რიგად არის ჩამწკრივებული ქუჩის ორივე მხარეს და ხალხისკენ სახით დგას. მარმარილოზე ქვიშაა მობნეული. ლურჯჟაკეტიანი ქალი ეჭვს გამოთქვამს: ეს იმიტომ, რომ წყლის ჭავლს რომ მიასხამენ ხალხს, იმათ ფეხი გაუცურდეთ და ვერ გაიქცნენო. – ნწ, არაო, – თავს აქნევს ილლიაში ჩანთაამოჩრილი ძალიან გამხდარი ქალი, – ეგო, იმიტომააო, რომ პირიქით, გაქცევა შევძლოთო. მოკლედ, ჯერჯერობით, არც გაქცეულს და არც გამოქცეულს ვერ ვხედავ. კიბეზე სამი ქალი დგას, – 40 წუთია, რაც პოლიცია მოვიდა და ჯერჯერობით დგანან და გამოაცხადეს, დაცალეთ აქაურობაო. ამას მეუბნება ქალი (რამხელა საიდუმლოს მიმხელს???) და უცებ იქვე მდგარი მეორე ჩემკენ ტრიალდება: საიდან ხარ და რატომ იწერ ჩვენს ლაპარაკს? ვამბობ, საიდანაც ვარ, ჟურნალისტის მოწმობას ვაჩვენებ. ქალს არ სჯერა, – ნუ იწერო.

– ჟურნალისტი ვარ და მასალას ვაგროვებ. გნებავთ, დამელაპარაკეთ, გნებავთ, – არა. რაც შეეხება ჩაწერას, ჩავრთავ თუ გამოვრთავ დიქტოფონს, ჩემი საქმეა, მით უმეტეს, ხედავთ, ვინც ვარ.

– ჩვენს დაკითხვას თავი დაანებეთ და ისე დაწერეთ მასალა. ყველაფერი საშიშია.

– მე აქ თქვენთან საჭორაოდ არ მოვსულვარ. არც დასაკითხად. რაც შეეხება შიშს, თუ ახე გეშინიათ, ქალბატონო, წადით სახლში.

მე თუ მკითხავთ, ჟურნალისტები უფრო მეტნი ვართ, ვიდრე დანარჩენები. პოლიცია გვიყურებს მოთმინებით და ალბათ, ისინი თავის ბრძანებას ელოდებიან. მიწისქვეშა ამოსასვლელთან ასაკოვანი ღვთისმსახური დგას და რამდენიმე ბერია მასთან ახლოს. მღვდელი მშვიდად მელაპარაკება:

– ორივე მხრიდან სიმშვიდეა, იქიდანაც ქართველები დგანან და აქედანაც, რა გვაქვს გასაყოფი? ჯერჯერობით, არაქართული ქცევის არაფერი შემიტყვია. ნელნელა, ისე, კი იზრდებიან (ილიმება), საიდანღაც ამოდიან. მე რა მძიმე იმაში ვარ, ხომ ხვდებით, მდგომარეობაში? ესეც შვილია, ესეც შვილია.

უცებ აღელვებული მოხუცი ქალი მორბის ჩვენკენ: ტელეგრაფთან ბევრნი დგანან, ჩაფხუტიანები და აქეთ წამოვლენ, არ მივცეთ საბაბი, მამაო. ახლა თუ ეს ამბავი გაჩერდა, სამუდამოდ კატორღაში ვართ. ეგება, ბავშვებს მიმართოთ, თქვენ უფრო დაგიჯერებენ. მამაო, იცოდეთ, თქვენც მიგაყოლებენ ზედ.

– (მღვდელი) რა ვქნა, მიმაყოლონ. მეც თქვენსავით გამოვიარე და ხალხი რომ დავინახე, გავჩერდი მაგის გამო. ბავშვებს ხელი არ ახლონ, ქვეყანა არ დააქციონ მეტად.

ამასობაში რამდენიმე სტუდენტი გამომწვევად დგება სპეცნაზელების წინ და პლაკატებს უფრიალებს. რალაც მომენტში ახლოს აღმოვჩნდი ერთ-ერთ სამართალდამცველთან. მაღალი, ბრგე ბიჭია. ჩუმად მეკითხება, – საიდან ხარო? ინსტინქტურად მეც ჩუმად ვპასუხობ და უცებ, ჩემდა მოულოდნელად, ძლივს გასაგებად მესმის: „ალია“ მაგარია“. მობრუნებულს იქვე ქალი მხვდება და გაკაპასებული ხელს მკიდებს მკლავზე: წელან პატრიარქზე შენ რა თქვი? სანამ ჩამოვარდნილ ყბას გავასწორებდე, კომპანიონი ჩემზე ხელს აშვებინებს: ეგ არ იყო, ეგ ახლა მოვიდაო. ბოდიშის მაგვარს ბურტყუნებენ და მშორდებიან. ოპაა! სიტუაციას ჰქვია „დაუბერენიავოპატარანიკამქვიაო!!!“ ზევიდან ფილარმონიის განათებული ეკრანი დაგვყურებს, ხუთოსნების ლოზუნგი იწერება: „სიმართლე არ იყიდება“, „სიკეთე არ იყიდება“, „შვილების მომავალი არ იყიდება“. ლიდერები ხალხს დაშლისკენ მოუწოდებენ. დაჩი ცაგურია ზის მიწაზე. მაინტერესებს, რა მოხდა, გავრცელდა ფოტოები, პატრულს რომ გამოჰყავს და საიდან, გაუგებარია.

– მე რომ შევალწიე დღეს იქ, სადაც სააკაშვილი სიტყვით გამოდიოდა და მას შევძახე და მან ეს გაიგო, იქიდან გამომიყვანეს. ეგ ფოტოები გავრცელდა. გიორგი უძილაური დგას და ვილაცას ელოდება.

– სააკაშვილმა იცის, რომ როგორც კი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება, საპარლამენტო ხელისუფლებას დაკარგავს და პარლამენტში მოვა ახალი ძალა და ის მიილებს მისი იმპიჩმენტის საკითხს.

ამას მელაპარაკება გიორგი და ვხედავ, ქვემოთ, ნელი დგას და ლამპიონების შუქზეც ჩანს, რომ გაფითრებულია, – რა მოხდა–მეთქი? და, – ძალლივით მომექცა ეს ხალხი, გამომაგდესო. ხალხში თუ ბერები იგულისხმებოდნენ, ვერ წარმოვიდგენდი. წრეში დგანან სასულიერო პირები და მათ შორის შავი სამოქალაქო ტანსაცმლით დაბალი წვერიანი კაცი. მღვდელი რალაცას ლაპარაკობს. დიქტოფონს ვაწვდენ ბერებს შორის, – ძალიან გთხოვთ, ნუ მეხუტებითო, – ეჭვიანად მეუბნება ერთი სასულიერო მამა. რა, რა და მასთან ჩახუტება ნამდვილად არ მინდა, სურვილიც არ მაქვს. ამას ხმამაღლა ვამბობ. აქ უკვე ის დაბალი წვეროსანი გამოდის ასპარეზზე. ერთი, ხელი არ უკრავს, დანარჩენი არ დაუკლია: ხომ გითხარი, ახლოს ნუ მოდიხარ და ნუ იწერ-მეთქი, – კბილებში ცრის. ამის შემდეგ მე და ნელის მოგვყვება და, – პროვოკატორები ხართო, – საშინელი ზიზლით გვეუბნება ჟურნალისტებს. აქ უკვე წონასწორობას ვკარგავ და მოვითხოვ, თავად წარმოადგინოს პირადობა. „ოცნების“ წევრი ვარო! – ამაყად გვიცხადებს. აქ მივმართავ მაია ფანჯიკიძეს: ჩვენ გვაქვს ამ პიროვნების ფოტო და გთხოვთ, დაგვიდასტუროთ ეს ადამიანი, რომელიც ასე გამომწვევად და პროვოკაციულად იქცეოდა, ნამდვილად არის თუ არა თქვენი პარტიის წევრი? თუ არის, მაშინ რა უფლებით იქცევა ასე? ჩემთვის სულერთია, „ნაციონალი“ არ დამზოგავს თუ „ოცნების“ წევრი. ეს ყველამ გავითვალისწინოთ. ეტყობა, იმ დღეს ბევრი ეჭვი დაგროვდა და ამანაც იმოქმედა: პირი მაქვს ისე გამშრალი, რომ ვერ ვლაპარაკობ, არადა პოლიციას წინ ბოთლებით წყალი უდგას და მათთან მივდივარ. რალა უნდა მითხრან, უარი? დღეს ისეთებს ვისმენ, მათი უარი არ გამაკვირვებს. ოფიცერს მივადექი.

– აუ, წყალი რომ არ დაგვრჩა? ერთი წუთით, ახლავე მოგიტანთ (ვილაცას ხმამაღლა ეძახის, ისინი „შკოდისკენ“ გარბიან და იქიდან გადმოაქვთ რამდენიმე შეკვრა). წყალზე უარს როგორ გეტყვით. ცუდი რა არის, იცით? ხალხის უმრავლესობა მიგვიჩნევს მტრად. ნუ გვიყურებთ მტრებივით. თითქოს ჩვენ არ გვიყვარს, არ გვტკივა, არ განვიცდით. ჩვენც ხალხი ვართ. თქვენ გყავთ პოლიციელი ნათესავი? ის ხომ ისე გიყვართ, პროფესიის გარეშე, ჩვენც ეგრე შეგვხედეთ.

– მე ვერ წარმოვიდგენდი დღეს, რომ სასულიერო პირები ასე მოგვექცეოდნენ და პოლიციელები მოგვეფერებოდნენ (ამ დროს „ატბოი“ ცხადდება და ჩემი ახალი ნაცნობები სასწრაფოდ იშლებიან სირბილით. მხოლოდ იმას ვარკვევ, რომ ძველი თბილისის განყოფილება ყოფილა). ეჭვების დღე დამთავრდა. დამთავრდა??

„ვ გორდამ აძინოჩესტვე“ მოშორებით დგას ირაკლი წერეთელი დიდი ჯოხით ხელში.

– ეს ჯოხი აქ ვის გასარეკად გაქვთ მოტანილი?

– ფეხი მტკივა, ვერ დავდივარ და იმიტომ მიჭირავს.

ალექსანდრე ელისაშვილი დგას მეგობრებთან ერთად. ახალგაზრდა ქალი მიდის და ხმამაღლა ეუბნება, – თეა თუთბერიძე მეტი არ მოიწვიოთ, თორემ გავჩეჩავ და მისი ცოდვა მოგეკითხებათო. აღმოჩნდა, რომ იმ ცნობილი ეთერის შემდეგ თუთბერიძე სწორედ ელისაშვილმა დაიცვა გამწარებული მაყურებლისგან, რომელიც ტელეკომპანიასთან მივარდა თუთბერიძის „გასაჩეჩად“. მეტს არ ვიზამ, არც მაგას და არც თავხელიძეს მეტს არ მოვიწვევო, – ფიცს დებს ელისაშვილი. ამასობაში ხმაურით შემოდის და შემოდის სტუდენტთა კოლონები. სტუდენტები კვლავ და კვლავ მოითხოვენ დათა ახალაიას, დიმიტრი შაშკინის, ბაჩო ახალაიას, ზურაბ ადეიშვილის, ხათუნა კალმახელიძის დასჯას. მარტო გადადგომა არ არის საკმარისი, ეს ხალხი სისხლის სამართლის წესით უნდა გასამართლდნენო.

ჟურნალისტი მაკა დეკანოსიძე (ეს ის ჟურნალისტია, მეორე დღეს რომ პოლიცია ძალიან დაინტერესდება და დევნას დაუწყებს) მეუბნება, სათქმელი მაქვსო:

– რაც შეეხება საპატრიარქოს ამბებს, მე ეგ კარგად ვიცი: მთელი ეს პერიოდი ვიყავი დაკავებული იმით, რომ აგენტი გამომემჟღავნებინა. აღმოჩნდა, წვრილი ნაწნავები რომ ჰქონდა, ქებურია. ეგ გავარკვიე. ეს გოგო ჯერ „მოდულთან“ იჩენდა რალაც ინიციატივებს. ორთაჭალასთან სცადა სტუდენტების გახლეჩა და თავზის აბნევა, სად წასულიყვნენ, არ დაუჯერეს სტუდენტებმა, რომ წასულიყვნენ რეზიდენციასთან. მანამ მოახერხა, რომ შეხვედრა პატრიარქთან, მასთან ერთად კიდევ მეგობრები [illegible] იყო, ის არ [illegible] და ამ გოგომ მოახერხა პატრიარქთან საუბარი. ილიამ იკითხა, ხომ მიაღწიეთ ახალაიას გადადგომასო? კიო და მეტი არაფერი არ გვინდაო, – ასე უპასუხა პატრიარქს. ილიამ ამაზე უთხრა, – მაშინ არჩევნებამდე მიდით მშვიდადო. მას არ უთქვამს, დაიშალეთო. უთხრა, რომ შეინარჩუნეთ მუხტიო. ამ გოგომ კი გარეთ სხვანაირად გამოიტანა. სწორედ ამ გოგოს ურეკავს „რუსთავი 2“, როცა არც ერთ სხვა მონაწილეს არ ურეკავს. თუ სხვა ვინმე ამბობს რამეს, გადის მხოლოდ ამ გოგოს კომენტარი. ყველა სხვა დაბლოკილია. გავიგეთ, რომ ეს გოგო განმეორებით კიდევ იმყოფებოდა საპატრიარქოში, დაცვამ აგვიწერა და მას გამოაქვს ეს ცრუ ინფორმაციები. 2 დღეა, ამას დავდევ.

სტუდენტებს ვესაუბრები და ისინიც დაბნეულები არიან უწმინდესის ნათქვამის გამო. მოგვიანებით, საპატრიარქო გააკეთებს განცხადებას და ჭეშმარიტება ითქმება, მაგრამ, ჯერჯერობით, ფილარმონიის წინ სტუდენტები გაუგებრობაში არიან. ჯანსულ ჩარკვიანია მოსული და ასეთ ამბავს ამბობს: გავარკვიეო, რომ დედაჩემმა სამჯერ ერთსა და იმავე დღეს იმშობიარა და ერთმა და იმავე ბებიაქალმა ამშობიარა, ეს რომ გავარკვიე, მივხვდი, რომ ესენი ფეხებს ვერ მოგვჭამენო. ვოტ ტაკ!

ჩემი პირველარხელი მეგობარი მხვდება და მეუბნება:

– ამ ფაქტებმა იცი, რატომ იმუშავა? ადრე რომ მიეცათ ეს კადრები, არ ექნებოდა რეზონანსი, ახლა ძლიერი საპირწონე დგას გვერდით და იმიტომ. ხომ ხედავ, ამ ხალხმა გადაბარგება რომ დაიწყო იქითა მხარეს? ლამის რიგი დგას. მე რით ვგრძნობ, იცი? ცნობილ მეძროვეებს რომ დავინახავ. ხედავ, ლაშა ბულაძე გამოჩნდა, აქამდე გინახავს ეს მიტინგზე? ეკა კვესიტაძისნაირი სასტავი რომ გამოჩნდება. მაინტერესებს, თავის გადაცემაში რას დადებს? არავინ ხელს არ უშლის, გესმის? არავინ არ მიიღო მაგის განცხადება, სამი მეგობრის გარდა. 98% ვინმეს რომ მოეგო, ეს არ მინდოდა და სწორედ ეგ ხდება, ასე ვხედავ! ეგ ხდება სწორედ, ამ ხალხს ვერ დააკავებ. მერე იმათთან გვექნება საბრძოლი, გული მიგრძნობს, თუ იმათაც გაუტიეს.

კიდევ ერთი კოლონა შემოდის და ყვირიან, – ნაპერწკალი შევინარჩუნოთ, ნაპერწკალიო. დაველოდოთ მოვლენებს.



ნინო სამხარაძე
599 71-14-22

**ტოტალური რეპრესიები იწყება, სააკაშვილი აბსოლუტურად უკონტროლოა. ის ყველანაირად შეეცდება, რომ საზოგადოებას საშინელებათა კადრები გადაავიწყოს. ჩატარდება კი არჩევნები?.. დიდი ალბათობით, ამ ვითარებაში შესაძლოა, არჩევნები არ ჩატარდეს, ვიდრე ხალხის მეხსიერებიდან პატიმრების გაუპატიურებისა და წამების კადრები არ წაიშლება. რამდენად შესაძლებელია, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდეს და რა მეთოდებს აამუშავებს სააკაშვილი? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „ქრონიკის" კითხვებს უპასუხებს — ვალერი გელბახიანი.**



**„ეს კომპრომატები არ იქნება საზოგადოებაზე გათვლილი, მათი მიზანია, უცხოელებს გააგებინონ: გვაქვს სერიოზული საფრთხეები... არჩევნები არ ჩატარდება! გამოცხადდება საგანგებო მდგომარეობა, ამის მიზეზად დაასახელებენ, რომ ოპოზიცია არ აძლევს მშვიდობიანად არჩევნების ჩატარების საშუალებას!"**

**„ორშაბათიდან შავი პიარით ხელისუფლებამ თუკი შეძლო, რომ ოპოზიცია მდგომარეობიდან გამოიყვანა, ასეთ შემთხვევაში ოპოზიცია წააგებს! იწყება ნერვების ომი და ვინც ამ ომში წააგებს, ის დამარცხდება!"**

**— ბატონო ვალერი, ალბათ, დღეს ფიქრობთ, რომ პოლიტიკურ დევნილობაში ყოფნა გაცილებით უკეთესი გზა იყო, ვიდრე სააკაშვილის ჯალათების ციხეში მოხვედრა. მაგარი გადარჩენილი ხართ. გაუპატიურებისა და წამების კადრების შემდეგ თქვენი რეაქცია რა იყო?**

– ნამდვილად გადარჩენილი ვარ... ყოველთვის არსებობდა საუბრები, რომ ციხეში მსგავს ფაქტებს ჰქონდა ადგილი. როდესაც დავბრუნდი პოლიტიკური დევნილობიდან, ძალიან ბევრმა ადამიანმა ჩათვალა, რომ სააკაშვილის ციხეში უნდა ვმჯდარიყავი... ახლა მინდა იმ ადამიანებს შევეკითხო, – სააკაშვილის ჯალათების ციხეში ამისთვის მამწესებდნენ, რაც თავისი თვალით ნახეს, ამ საშინელებისთვის მიმეტებდნენ? იმისათვის, რომ სააკაშვილს ვებრძოდი, ეს უნდა ყოფილიყო ჩემი ცხოვრების ფინალი? არ ვიცი, ყველას თავისი გზით გაუმარჯოს... ვუთანაგრძნობ ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ჯალათების ციხეებში ზის, არც ერთ ადამიანს არ ვუსურვებ ასეთ ციხეებში მოხვედრას, თუნდაც ჩემი მოსიხლე მტერი იყოს. ადამიანი სულიერ ტანჯვას უძლებს და ვერ უძლებს ფიზიკურ ტანჯვას. ვიშინსკის ცნობილი ფრაზა არსებობს: „აღიარება არის მტკიცებულების დედოფალი". თქვენ წარმოიდგინეთ, ვინ არ აღიარებს ასეთი არაადამიანური ზეწოლის, წამების შემდეგ? აბსოლუტურად ყველა წავა აღიარებაზე, ნურავინ იტყვის, რომ ის გმირია. წამების ქვეშ ნებისმიერ დანაშაულს ხელს მოაწერ. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, თუ ადამიანი აღიარებს დანაშაულს, ეს არის უტყუარი მტკიცებულება. მინდა საზოგადოებას შევახსენო, – ჩემი პირველი დაპირისპირების მიზეზი „ნაციონალურ მოძრაობასთან" იყო სწორედ კანონის ასეთი რეფორმირება. ერთი მოწმის ჩვენება საკმარისია იმისთვის, რომ დანაშაული დამტკიცდეს. ამის თაობაზე ბოკერიასთან მქონდა პირადი კონფლიქტი, იმის გამო, რომ ქართულ მართლმსაჯულებას სპობდნენ. პრესით არასოდეს არ მითქვამს და ახლა ვიტყვი, – მე შევუთანხმდი ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, რომელიც იყო პარლამენტის თავმჯდომარე. მასთან მივედი და ვუთხარი, – მოდით, ქალბატონო ნინო, დავანებოთ ყველაფერს თავი, ამათ რაც უნდათ, ის აკეთონ, ვერ მოვერევით, მაგრამ ვიბრძოლოთ ერთი მიმართულებით და ეს მიმართულება იყოს მართლმსაჯულება, რომ სასამართლოში იყო ეს საპროცესო კოდექსი ევროპულ კანონმდებლობასთან. პირველ რიგში, ევროპულ ქარტიასთან, ადამიანის უფლებათა დეკლარაციასთან და ასე შემდეგ, რაც დასაბუთებული მქონდა უამრავი საერთაშორისო მაგალითით... როცა ეს წაიკითხა ქალბატონმა ბურჯანაძემ, იცით, რა მითხრა? – თუ ეს მართალია, მაშინ ამ ხელისუფლებასთან არანაირი ურთიერთობა არ ღირსო. მე ეს მითხრა, მაგრამ როცა დაიწყო ამ საკითხების განხილვა, ყველა გავათავისუფლოთ ამათი პოლიტიკური გავლენისგან. ნინო დამეთანხმა, მან მთავარი სხდომა დანიშნა რამდენიმე კომიტეტთან ერთად. დეპუტატებს დაევალათ, რომ მოხსენებით გამოვსულიყავით. მე იქ სიტყვა არავინ არ მომცა, დარბაზიდან გამომაძევეს. კონცეფციის განხილვა კი არ მოხდა, არამედ იქ მოხდა ჩემზე თავდასხმა. ყველა გამოსვლა ასე იწყებოდა, – ვალერი გელბახიანს რა უფლება ჰქონდა, რომ ამ საკითხზე გამოსულიყოო? რადგან „აღორძინების" ყოფილი წევრი ვიყავი, იმ პარტიის წევრი, რომელიც ადამიანის უფლებას არღვევდა და ახლა ეს კაცი გვედავება ჩვენ მართლმსაჯულებაზეო. თითქოს მე წავაგე. მე არაფერი წამიგია. უბრალოდ, მაშინ ისინი მომერიენ, თორემ მაშინაც მართალი ვიყავი და დღესაც მართალი ვარ, როდესაც ამაზე ვლაპარაკობ. მაშინ არ მყავდა მხარდამჭერები, რათა საზოგადოებისთვის ჩემი პოზიცია გამეცნო და მათ შემდგომ ჩემთვის მხარი დაეჭირათ. მეტსაც გეტყვით, – როდესაც საქართველოში საპროცესო კოდექსი შეიცვალა, შეიცვალა ისე, რომ უდანაშაულო ადამიანის მაქსიმალურად დასჯა შეიძლებოდა. ამის შესახებ 25-გვერდიანი მოხსენება დავწერე პარლამენტის თავმჯდომარის – ნინო ბურჯანაძის სახელზე, შენახული მაქვს ეს მოხსენება. მივმართე, რომ წინაალმდეგობა- ჩემი წინადადება იყო იგნორირებული, რის შემდეგაც მე გავხდი იძულებული, დამებეჭდა პროკლამაციები და გამევრცელებინა პარლამენტში, რომელშიც ვწერდი, რომ უდანაშაულო ადამიანის დაჭერა შეიძლებოდა ამა და ამ მუხლით და ბოლოს ვამთავრებდი შემდეგი სიტყვებით, – ეს აქლემი თითოეული თქვენგანის კართან დაიჩოქებს, დეპუტატებო და იცოდეთ, პირველად თქვენ გელით ეს საფრთხე-მეთქი, მაგრამ არც ერთმა მათგანმა ეს საფრთხე არ გაითვალისწინა და ამ კაბალურ კანონს მაინც ხმა მისცეს. მას შემდეგ გავიდა რამდენიმე დღე, „ნაცმოძრაობიდან" დეპუტატები შემოვიდნენ ჩემთან ოთახში და სინანულით მითხრეს, – რატომ არ დაგიჯერეთ, მაგრად გაგვასულელესო... როცა ვკითხე, რატომ-მეთქი, ერთმა მიპასუხა, – ჩემი ბიძაშვილი დაიჭირეს უსამართლოდ, მეორემ მითხრა – ჩემი დეიდაშვილი დაიჭირეს უდანაშაულოდო. ახლა რაღა ეშველება, რა შეცვლის ამ კანონს? – არაფერი... ამ ყველაფერს რომ საზოგადოებას ვახსენებ, ჩემ თავს კი არ ვიქებ, მაშინ მინდოდა, ქართული საზოგადოებისთვის მეთქვა, – ხალხო, ჩვენ ამათი გზა დაგვღუპავს-მეთქი და მივედით კიდეც აქამდე. ახლა ყველა იწყებს საუბარს ამ სკანდალურ ფირებზე, სანამ ეს ხალხი ქარის წისქვილის შედეგს არ ნახავს, მანამდე არაფერს იჯერებს. ანგარიშსწორების ფაქტები იყო, არის და იქნება. თქვენ ნუ გგონიათ, რომ ანგარიშსწორების მოტივაცია არ აქვს მეორე მხარეს, მე ვხედავ, პოლიტიკური პროცესი საით მიდის და როგორ მიდის.

**— ფაქტია, რომ პენიტენციურმა კრიზისმა ქართული საზოგადოება ააღელვა, თქვენი ანალიზით, საით მიდის პოლიტიკური პროცესი?**

– დიახ, პენიტენციურმა კრიზისმა საზოგადოება ააღელვა, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. მივესალმები ამ პროცესს, რომ ახლა მაინც აღელდა საზოგადოება, მაგრამ ახალი ხელისუფლება რომ მოვა, რა იქნება მერე? კიდევ ათი წელი უნდა დაგვჭირდეს, რომ აღელდეს საქართველოს მოსახლეობა? ამიტომ ახლავე უნდა იყოს საუბარი იმაზე, რომ რა სამართლებრივი სისტემა და მეთოდოლოგიური ცვლილებები უნდა დაინერგოს იმისთვის, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდეს. მე ვფიქრობ, რომ ანალოგიური ტალღა უნდა წამოვიდეს საზოგადოების მხრიდან სასამართლოს სისტემის მიმართ. რაც ხდება პენიტენციურ სისტემაში ჯოხით და ცოცხით, ის არ ხდება სასამართლოში, მაგრამ უკანონობა კეთდება კანონით. მთლიანად ამ სახელმწიფოს არსებობა არის კითხვის ნიშნის ქვეშ. მომავალმა პოლიტიკურმა ძალამ უნდა გასცეს კითხვას პასუხი, – როგორ გახდის სასამართლო სისტემას სამართლიანს? როცა ხელისუფლების სათავეში მოდიოდა მიხეილ სააკაშვილი, ის გვპირდებოდა, რომ სასამართლოს გახდიდა სამართლიანს, მაგრამ მივიღეთ ფაშისტური მეთოდოლოგია. მე არ ვიცი, შემდგომი ხელისუფლება რას გააკეთებს, მაგრამ ყველა მომავალი ხელისუფლება უნდა დაფიქრდეს ამ საკითხებზე...

**— „ნაცმოძრაობა" სერიოზულ კრიზისშია, ფაქტობრივად, მათი რეიტინგი გაცამტვერდა და ისინი წელში გადატყდნენ. რა პროვოკაციებს უნდა ველოდოთ მათი მხრიდან?**

– ორშაბათიდან „ნაციონალური მოძრაობა" უმკაცრეს ღონისძიებებს გაატარებს. „ნაციონალურმა მოძრაობამ" ეს პროცესი მიუშვა, შეეცადა, თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და სააკაშვილმა მყისიერი რეაგირება მოახდინა, მაგრამ ის გადავა მწვავე შეტევაზე. დაიწყება შავი პიარკამპანია, კომპრომატების ომი, ალბათ, გამოქვეყნდება საზიზღარი მასალები ოპოზიციის მიმართ. რას დაიჯერებს ხალხი და რას – არა, ახლა ამაზე არ ვსაუბრობ. ეს კომპრომატები არ იქნება საზოგადოებაზე გათვლილი, ხალხზე ამ ხელისუფლებას არაფერი აქვს გათვლილი, ხელისუფლებას მხოლოდ თავის თავზე აქვს გათვლა. მათი მიზანია, უცხოელებს გააგებინონ, აი, რა სიტუაცია გვაქვს ჩვენ, მტრები გვიტევენ, გვაქვს სერიოზული საფრთხეები. ჩვენ კი ვქენით ის, რაც ვქენით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვას ვაპატიოთ, არც ჩვენიანს ვაპატიეთ და არც სხვებს ვაპატიებთ. ორშაბათიდან ჩვენ ვნახავთ საზიზღრობას, ყველა კომპრომატი იქნება გამოტანილი, შეთითხნილი თუ მოპოვებული, ყველაფერს გააკეთებენ, რომ გამოჩნდეს, თითქოს „ნაცმოძრაობა" არის ყველაზე რეალური ძალა, ყველა სხვა დანარჩენი არის აგენტურული ქსელი, დაახლოებით იქნება ოპოზიციური ლიდერების ჩანაწერები სხვა ვიღაცებთან. შეეცდებიან, ეს პროცესი მონიათლოს, ვითომ სახელმწიფოს ორგანიზებულ დამნაშავეებთან აქვს საქმე, ამას მისცემენ სახელმწიფო გადატრიალების მიმართულებას. აი, რა გათვლა აქვთ ახლა „ნაციონალებს", – თუ მათ შავ პიარს ექნება რეაქცია საზოგადოების მხრიდან, რომ ეს არის სიყალბე, თუ ტყუილის მანქანას ხალხი დაუპირისპირდება და ქუჩაში გამოვა, მათ უკვე აღარ სჭირდებათ ხელოვნურად ქუჩის დემონსტრაციების შექმნა სტუდენტური თვითმმართველობებიდან, არამედ ეს სურათი ექნებათ ოპოზიციიდან, აი, მაშინ სრული შესაძლებლობა მიეცემა ხელისუფლებას, გამოვიდეს და თქვას, – ჩვენ გვინდოდა, მშვიდობიანი პროცესებით მივსულიყავით არჩევნებამდე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ამბავი არ გამოდის და ვიდრე არ იქნება სტაბილური გარემო შექმნილი, არჩევნები არ ჩატარდება. გამოცხადდება საგანგებო მდგომარეობა, ამის მიზეზად დაასახელებენ, რომ ოპოზიცია არ აძლევს მშვიდობიანად არჩევნების ჩატარების საშუალებას და ეს რეალური ოპოზიცია კი არ არის, სინამდვილეში საქმე გვაქვს შავბნელ, მაფიოზურ, რუსულ-პუტინისტურ მეხუთე კოლონასთან, რომელსაც სახელმწიფო გადატრიალება უნდა ქვეყანაში.

**— თქვენ მაინც ფიქრობთ, რომ 1-ლ ოქტომბერს არჩევნები არ შედგება?**

– მე თქვენ წინა ინტერვიუში გითხარით, რომ კონკრეტიზაციისგან თავს შევიკავებდი, მაგრამ ახლა თავს ველარ ვიკავებ და ახლა გეუბნებით, – ის, ვინც დღეს საქართველოში ფიქრობს, რომ დამარცხებულია ხელისუფლება, სინამდვილეში ის გაკოტრებულია და ამაზე არავინ დაობს და ვისაც ჰგონია, რომ ოპოზიციასთან მივა ხელისუფლება და ეტყვის, – მშვიდობიანად წავალ და თქვენ მობრძანდითო, ის ძალიან მცდარ აზრზე დგას. ხელისუფლება არავითარ კომპრომისზე არ წავა. ის, რაც გააკეთა სააკაშვილმა, როცა მყისიერი რეაგირება მოახდინა, ნუ გგონიათ, რომ ეს იყო მათი დათმობა, ეს იყო მათი პიარი. საერთაშორისო თვალსაზრისით უნდა მოეგოთ ეს პროცესი, ნუ ფიქრობენ, რომ ეს პროცესი მათ მოიგეს, ყველას ვარწმუნებ, ვთხოვ, ილუზიებში ნუ იქნებიან, ამიტომ იყავით ძალიან ფრთხილად. არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა" გაკოტრებულია. გარწმუნებთ, რომ პროპორციულ არჩევნებში ხელისუფლება ველარ იგებს, მე შესაძლოა მანამდე ჩემი პროგნოზები მქონდა და სხვანაირად ვფიქრობდი, მაგრამ პატიმრების გაუპატიურების, წამების კადრების ჩვენებამ გადატეხა „ნაციონალური მოძრაობა" და რეალობა შეცვალა. ყველაზე კარგი გამოსავალია, სიმშვიდით მივიდეთ არჩევნებამდე, იქ ვერავინ ველარ გაბედავს ყუთების გატაცებას, არჩევნების გაყალბებას, მაგრამ ორშაბათიდან შავი პიარით ხელისუფლებამ თუკი შეძლო, რომ ოპოზიცია მდგომარეობიდან გამოიყვანა, ასეთ შემთხვევაში, ოპოზიცია წააგებს. იწყება ნერვების ომი და ვინც ამ ომში წააგებს, ის დამარცხდება.

დარეჯან მეფარიშვილი
577 40-40-08

# სკანდალური ინტერვიუ ვლადიმერ ბედუკაძესთან



**„— ერთ-ერთ ფირში შენი ხმა ისმის...**

**— კი, ჩემი ხმაა...**

**— მაგ ფრაზაზე გეკითხები ზუსტად: „ცოცხი რომ გაქვს ტრაკში, ქურდი ხარ?“ ამას შენ ამბობ!**

**— კი, მაგრამ რას ცვლის ეს?“**

ვიდრე შემოგთავაზებდეთ ინტერვიუს ციხეში პატიმართა წამების ამსახველი ვიდეოფირის ავტორთან, მანამ მინდა გითხრათ, რომ ჯალათების ერთი ნაწილი, რომელიც ამ ფირებზეა აღბეჭდილი, „ნაციონალური პარტიის“ დამფინანსებელთა სიაში აღმოაჩინეს. ამ სიის ფოტოასლს ინტერვიუსთან ვურთავ.

„ქრონიკას“ ესაუბრება **ვლადიმერ ბედუკაძე:**

**— მე და შენ ერთად გვიმუშავია, იცი? სად-ში 2001 წლიდან რამდენიმე წელი პრეს-სამსახურის უფროსი ვიყავი. შენ, მგონი, წარდგენა უკვე არც გჭირდება, ყველა გიცნობს, მაგრამ არ ვიცით მერაბიშვილის ის მოადგილე, ვინც პატიმრების წამების ჩანაწერი გადმოგცა.**

– რას ლაპარაკობ, გავწირო კაცი? გაიწირება ამით.

**— თუ გაწირვაზეა ლაპარაკი, არ დაგავიწყდეს, რომ მერაბიშვილს 5 მოადგილე ჰყავდა და ახლა შენ ყველას აყენებ დარტყმის ქვეშ.**

– მე რომ საქართველოში ვიყო, ხომ წარმოგიდგენია, რა დღეში ჩამაგდებდნენ, ეჭვი გეპარება, რომ აღიარებითი ჩვენება უკვე არ მექნებოდა დაწერილი? გეპარება ეჭვი, რომ ყველაფერს არ გააკეთებდნენ სასურველი შედეგის მისაღწევად, ოღონდაც თავი დაეძვრინათ ამ ყველაფრისგან? მომენტალურად, ერთ საათში მათქმევინებდნენ, როგორ გადმომცეს ამ ფირისთვის 2 თუ 5 მილიონი თამაზაშვილმა ან ივანიშვილის რომელიმე მომხრემ და ხომ დამთავრდებოდა ამით ყველაფერი.

**— ახლა პატიმრები ბუნტის პირას არიან.**

– იმიტომ, რომ დიდი ნაწილი იმ თანამშრომლებისა, რომლებიც მათ აწამებდნენ, ისევ მუშაობს. მომწერეს, ჯანჯღავა ისევ თანამდებობაზეაო. ეს ჯანჯღავა გუშინ სადისტი იყო და დღეს ანგელოზი გახდა, რახან ტულუში მოვიდა მინისტრად? ტულუშმა არ იცოდა, რა ხდებოდა სისტემაში? „ლისის“ რომ ამუშავებს, დაადოს ახლა ხელი და ჰკითხოს, – შენ არა ხარ ის მალხაზ ლვინიაშვილი, ხალხს რომ აწამებდიო? გამოუშვას, აბა, თუ მაგარია.

**— სად-ი პარალიზებულია, გააუქმეს დეპარტამენტი, ვერ ხედავ? მეტი რა ქნან ამ ეტაპზე?**

– ეს იმ გიჟმა გააკეთა და რა შეცვალა ამით? ხო, ჩემი დაკვეთა იყო, თურმე, ყველაფერი, მე ხომ მივეცი, თურმე, აკობიას 400 დოლარი? თან წუწურაქად რომ გამოვყავარ ამათ, 2 მილიონი აილოო, ჩემზე ამბობენ და 400 დოლარზე მეტი ვერ გავიმეტე, თურმე, აკობიასთვის. 24-ში უნდა გამოექვეყნებინათო და ჩვენ ჩავუშალეთ, დავასწარითო, ახლა ამბობენ. რა დამიშალეს, რა ჩაშალეს? რა მნიშვნელობა ჰქონდა, 24-ში გამოქვეყნდებოდა თუ 25-ში? დროს ერთადერთ შემთხვევაში აქვს მნიშვნელობა, ისიც პატიმრებს უკავშირდება, გასაგებად ვთქვი, ხომ? მთელმა მსოფლიომ გაიგო, რა ხელისუფლებაც გვყავს. მე რატომ გავიტანე ევროპაში ეს ამბავი? ვისთვის მეთქვა საქართველოში? ვინ გამიგებდა? ხომ გამაქრობდნენ საერთოდ? 11 კაცი რომ დააკავეს, იქიდან 4 ჩემთან ერთად აპირებდა ამათ მხილებას და ჩემთან ერთად წამოსვლას საზღვარგარეთ. ყველა მოვდიოდით ერთად! ძლივს ჩამოვედი აქ, თქვენ გგონიათ, თავიდან აქ რომ გვისმენდნენ, იჯერებდნენ?

მიშა ბლოკავდა ყველაფერს. კადრებს ითხოვდა ყველა. რაც დაინახეს, ყველაფერს მერე მოყვა რეაქცია.

**— ერთი პატიმარი ჩაწერეს ჟურნალისტებმა, რომელიც ამბობს, რომ შენც მონაწილეობდი პატიმრების წამებაში.**

– საერთოდ არ ვიცი, ვინაა ეს პატიმარი და ისე ჰაერზე ლაპარაკს არ ურჩევნიათ, კადრები დადონ? არ აქვთ კადრები? ნახონ, სად ვარ მე, როგორც მწამებელი, რომელ კადრში ვაწამებ ან ვცემ ვინმეს. ასე ხომ არ არის, ფაქტებით ილაპარაკონ.

**— ერთ-ერთ ფირში შენი ხმა ისმის.**

– კი, ჩემი ხმაა. იყო ბრძანება, რომ ჩემ გარდა არავის უნდა ელაპარაკა, ეს ფირები კომპრომატებად სჭირდებოდათ, პატიმრებს ამით აშანტაჟებდნენ. დაინახა ვინმემ, მე რომ ვცემ ვინმეს?

**— ტექსტი გახსოვს, რასაც პატიმარს ეუბნები ამ ფირში?**

– ორი-სამი ფრაზაა.

**— ჰოდა, მაგ ფრაზაზე გეკითხები ზუსტად: „ცოცხი რომ გაქვს ტრაკში, ქურდი ხარ?“ ამას შენ ამბობ!**

– კი, მაგრამ რას ცვლის ეს?

**— მონაწილეობა ეს არის, მაინცდამაინც შენ ხომ არ უნდა გეკავოს ცოცხი ხელში?**

– ბევრი ამოიღებს კიდევ ხმას და ნახავთ, რეები დაიწყება. ცოტა დრო სჭირდებათ და იტყვიან, ალბათ. ფაცაცია ჯალათია, ხალხს თავზე აშარდავდა, პირს აღებინებდა და აფურთხებდა პირში, მესამე კორპუსზე რომ დაინახავდნენ, შიშით სული სძვრებოდა ხალხს. წელიწადნახევარი ვაწვდიდი ერთ-ერთ გაზეთს ინფორმაციებს, ეს იმ დროს, როცა სისტემაში ვმუშაობდი. რომ მეუბნები, რატომ არ იღებდი ხმასო, როგორ არ ვიღებდი ხმას, მეტი რა მექნა? თავს ნამდვილად ვერ მოვაკვლევინებდი... იცი, რას აკეთებდნენ? შემოაკვდებოდათ პატიმარი ცემაში, გადაახვევდნენ ცელოფანში, ხორცს რომ ჩააბარებ, ასე ჩააბარებდნენ ექიმს, გაატარებდნენ, გულმა მოკლაო და გულ-მუცელ ამოჭრილს გაუგზავნიდნენ პატრონს. ახლა რომ ამბობენ, 400 კაცია მკვდარი სულიო, სინამდვილეში 2003 წლიდან დღემდე 800 ადამიანზე მეტია მოკლული თუ გარდაცვლილი.

**— პირადად ახალაია თუ მოდიოდა და სცემდა ხალხს?**

– კი. ყველაფერი მართალი იწერებოდა.

**— ანუ მე რომ ვწერდი, ახალაია მთვრალი შევარდა ციხეში და ისროდაო, მართალი იყო?**

– როგორ არა, კაცო, სწორი იყო, კი.

**— პატიმრების ცოლების გაუპატიურებას ავალებდაო ახალაიაო, დაიწერა.**

– ახალაიაზე არ ვიცი და ქარდავას აქვს ეგეთი გადახრები. ყველაფერს ვერ ვიტყვი ახლა.

**— ფოტოგრაფები რომ დააკავეს, იმათ ვინ აშანტაჟებდა?**

– ღამით გამოჰყავდათ ეგენი, აღვიძებდნენ, წამოყრიდნენ და აშინებდნენ. „სოდი“, „ჯუდი“ იქ იყო, მაგრამ ზედმეტი არაფერი უკადრებიათ მაგათთვის, ანუ არ უწამებიათ. სხვა მეთოდები გამოიყენეს, – ციხეს წამოვყრით, აქვე ვუტირებთ დედას, თუ არ დაწერთო... ჰოდა, ფოტოგრაფებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ პატიმრები მაგათ გამო ყველაფერს აიტანდნენ, იმათ ისედაც აწამებდნენ, სცემდნენ და ამ ბიჭებს კიდევ მთელი ციხე უჭერდა მხარს, განსაკუთრებით იმ ბიჭს, რომ შიმშილობდა.

**— ხო, ჩვენი ფოტორეპორტიორი, გიორგი აბდალაძე. ოფიცერი ისევ ხარ?**

– რა ვიცი, შეიძლება ჩამომართვეს.

**— ფირები საქართველოში აღარ არის, როგორ გადავიდა ეს ფირები საზღვარზე?**

– მე გადავიდოდი თუ არა, ხომ არ ვიცოდი, ხომ შეიძლებოდა, ვინმეს დავეკავებინე? ამ კაცმა იზრუნა ჩემ გადაყვანაზე. როგორც ტურისტი, ისე გადმოვედი და აქ ჩამოსვლამდე ოთხი სახელმწიფო გამოვიცვალე. ჩამოვედი, გავიდა ერთი თვე, ამ კადრებმა იმოგზაურა, ჩამოვიდა ეს კადრები, დავიწყეთ მუშაობა, დარეკეს აქედან და ახალაიას შეატყობინეს, რაც ხდებოდა აქ, ანუ კადრების არსებობის შესახებ. მერე მიშამ ყველაფერი ჩამოშალა, ანუ რომ გაიგო, რაც ხდებოდა, დავასწროთო, გამოვიდნენ და განაცხადეს, რომ, თურმე, თამაზაშვილი მართავდა ყველაფერს და რომ ყველაფერი დაკვეთა იყო.

**— მერაბიშვილსა და ახალაიას შორის დაპირისპირებაზე ძალიან ბევრს საუბრობენ. შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ მერაბიშვილმა თავისი მოადგილის გამოყენებით გამოგიყენა შენ?**

– რა შუაშია დაპირისპირება, ამ დაპირისპირებით ვანო ვერანაირად ვერ გათეთრდება. ვერ გაათეთრებენ ამით ვანოს! ვინმემ დაადასტურა, რომ მოქმედ ან არამოქმედ მოადგილეზეა ლაპარაკი? მე ვთქვი რომელიმე?

**— ვანოს მოადგილის ხელითო დააა...**

– იქნებ, დღესაც მოადგილეა ის კაცი...

**— კაი, ცოტა ავირიეთ, მგონი...**

– თქვენ რატომ არ გჯერათ, რომ პოლიციაშიც შეიძლება იყონ ადამიანები, რომლებიც სისტემას დაუპირისპირდებიან? ვარაუდით ყველაფერი შეიძლება ვივარაუდოთ, რაც თქვით, იმაზე ვამბობ.

**— ანუ გამოყენებაზე მიდის თამაში, სანამ საჭიროა, იქამდე გაუშვებენ კადრებს, ასე გამოდის. ჩავთვალოთ ასე, რომ შენ მზად იყავი, გეთქვა სიმართლე და ეს შენი სურვილი სათავისოდ გამოიყენეს.**

– ეს არის ხელისუფლების თამაში, ხომ? ასეთ ფონზე ოპოზიცია რა შუაშია? ძალაუნებურად აღმოვჩნდებოდი ხელისუფლების თამაშში ჩართული, ძალიან მიკვირს, რაღაც სისულელეებს რომ არ ავრცელებენ. დადებენ „აღიარებით“ ჩვენებებს, იტყვიან ფულს ვიღებ, მაგრამ თქმა ერთია და მტკიცებულება – მეორე, თავადაც დადონ კადრები. ბუნებაში არ არსებობს რეალური კადრი, სადაც მე მსგავსს ვაკეთებ, ან ფულს ვიღებ, ან რაღაც ამდაგვარი.

**— იმ დღეს, როცა „იუთუბიზე“ ეს კადრები აიტვირთა, მომწერე და მთხოვე, როგორმე დავხმარებოდი შენს ოჯახს.**

– პირველი შენ მოგწერე ეს ამბავი, ამიტომ გიხდი მადლობას.

**— მადლობა კი არადა, მინდოდა მეკითხა, როგორ არიან შენი ოჯახის წევრები? აქვე დავამატებ, მკითხველმა რომ გაიგოს, რაზე ვსაუბრობთ: იმ დღეს, როცა ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ თამაზაშვილი დაკვეთით რაღაც დანაშაულობებს დგამდა, პარალელურად კი „იუთუბიზე“ აიტვირთა ციხის კადრები, სოციალურ ქსელში გამომეხმაურა ერთ-ერთი ფრენდი (რომელიც ხშირად მწერდა და რაღაც ინფორმაციებს მაწვდიდა ხოლმე), სახელად ანტივირუსი და დახმარება მთხოვა, დამეცვა როგორმე მისი ოჯახის წევრები. მე ამ დროს სამტრედიაში ვიყავი და დაცვას იქიდან თბილისში ვერ მოვახერხებდი, ამიტომ დავურეკე ჩემს კოლეგას და მეგობარს, იმედა დარსალიას, მივეცი მისამართი და ვთხოვე, გაერკვია რა ხდებოდა ამ ოჯახში. იმავე საღამოს გაკეთდა სიუჟეტი.**

– მაშინ მე ანტივირუსის სახელით ვიყავი დარეგისტრირებული, შენ რომ არ დაგედო ინფორმაცია სოციალურ ქსელში იმის შესახებ, რაც გამოაცხადა ხელისუფლებამ, მე ვერაფერს გავიგებდი და არც დაიდებოდა კადრები. ანუ დაგვიანდებოდა ჩემი რეაქცია. ამ დროს გავიგე, რომ თურმე ჩემს ოჯახში მისულან, თავისუფლება ალუკვეთიათ ჩემი მეუღლისა და ბავშვებისათვის, მანქანაში ჰყავდათ ჩასმულები ისინი და ელოდებოდნენ ბრძანებას. მერე, ეტყობა, რაღაც მოხდა და გადაიფიქრეს წაყვანა. ახლა ჩემი ოჯახის წევრები თბილისში არიან, მე რაც შემიძლია, ვაკეთებ, რომ როგორმე ჩამოვიყვანო აქ. საშუალება რომ მქონდეს, გაუბედურებულ ადვოკატს კი არ ავიყვანდი, ყოველდღე რომ მპირდება, გამოვიყვან შენს ოჯახსო.

**— იმდენად მიამიტი ხარ, გჯერა, რომ ასეთ ვითარებაში შენი ოჯახის გამოყვანა ასე ადვილია?**

– კი, ვიცი, რომ წინააღმდეგობა იქნება, ბელგიაში ელჩიც კი შეცვალეს ამის შემდეგ, რაც მოხდა. ეგებ მომცენ ევროპაში თავშესაფარი და ოჯახს თავისთავად გამოვიყვან. ვერ წავლენ წინააღმდეგნი.

**— 16 წელი მუშაობდი სისტემაში, რა პერიოდში იღებდი მსგავს ფაქტებს? ანუ ოპერატორი იყავი?**

– სისტემატურად კი არ მეჭირა ხელში კამერა, ალაგ-ალაგ ვიღებდი.

**— ქურდი ვარო, რომ ამბობს, ის ქურდია?**

– ვერ გეტყვით, ვინ არის, ვინაობას ვერ ვიტყვი... მაყურებელი და ქურდი რად უნდა გლდანის ციხეს, იქ მაყურებელი და ქურდი დირექტორია.

**— როცა ამ ყველაფერს იღებდი, რომ არ გადაგეღო, ამისთვის დაგსჯიდნენ?**

– არა.

**— აბა, რატომ იღებდი?**

– ბრძანება იყო, რომ გადამეღო. ა, ახლა მივხვდი, სულ არაფერი რომ არ გადამეღო? რა თქმა უნდა, დამსჯიდნენ.

**— ბრძანებას ვინ იძლეოდა და კიდევ, ერთი ოპერატორი იყავი?**

– ოპერატორის შტატი არ ყოფილა.

**— ძალიან ბევრი კადრი გაქვს გადაღებული?**

– 1-2-წუთიანი კადრებია და შეიკრიბა.

**— ყველამ იცოდა, რომ იღებდი ამ კადრებს?**

– კამერას ისე როგორ დაიკავებ ხელში, რომ ვერ დაგინახონ? ყველამ იცოდა, ვინც იქ იყო.

**— თავად ციხეზე იცოდნენ?**

– შიგნით? ვინც გადამიღია, როგორ არ იცოდნენ. ვერ გეტყვი, რად უნდოდათ ამის გადაღება, ეს მერე ვკითხოთ ამათ... ფირები ზემოთ დირექტორის კაბინეტში იდო, დავალებაც მისგან მოდიოდა, დირექტორიდან ჭაკუასთან, იქიდან ახალაიასთან, ვისი დაკვეთაც იყო.

**— მოდი, კიდევ ერთხელ ამიხსენი, როგორ მოხვდა ეს ფირი მერაბიშვილის მოადგილესთან?**

– ეს ადამიანი დამეხმარა მე გამოსვლაში, ერთად ვმოქმედებდით და ერთად ვაპირებდით მხილებას. მარტო ვერ გადმოვიდოდი საზღვარგარეთ, რეალურად საზღვარზეც არ გამომიშვებდ-

ნენ, მან რაღაც მეთოდებით მოახერხა, რომ საზღვარზე გადამიშვეს. მე ფირს ვერ წამოვიღებდი, იგი შემპირდა, რომ ჩამომიყვიდოდა ფირი.

**— ასე ნდობაში რატომ შემოვიდა შენთან? რა სტატუსით იყავი შენ მასთან?**

– ეს მეგობრობამ იცის. ჩემი მეგობარია.

**— ფაქტობრივად, შენ ხელისუფლებას კვალზე აყენებ ახლა. შენ თუ მას სამინისტროში აკითხავდი, ან სადმე ხვდებოდი, შეიძლება მე ვერ გავიგო, მაგრამ გაიგოს ხელისუფლებამ.**

– როგორ გგონია, ახლა სამინისტროში შევხვდებოდი? მივიდოდი იქ?

**— მინისტრის მოადგილემ და შენმა მეგობარმა „დაზადნა", ხმას რომ არ იღებს?**

– რატომ უნდა ამოიღოს ხმა?

**— შენ მაინც არ უნდა დაგიცვას? ახლა საქმე ისეა აჟიტირებული, მას ხელს ვერავინ დაადებს, ბოლოს და ბოლოს, მინისტრის მოქმედი თუ არა, ყოფილი მოადგილე მაინც ხომ არის და ცოტა უხერხული არ იქნება, ასეთ ფონზე მას ვინმემ რამე უთხრას და თავიდან წავიდეს საერთაშორისო დონეზე ლაპარაკი? ამაზე ვერ წავლენ ხელისუფლებაში.**

– სად გაასწრებს მერე, რომ თქვას რამე? შეიძლება, გამოვიდეს ორ-სამ დღეში, რა ვიცი, აბა... შეიძლება გამბედაობაც არ ჰყოფნის.

**— ბოლოს და ბოლოს, შენ შეგიწყო ხელი წასვლაში და მანდ ჩამოვიდეს და მაქედან თქვას სიმართლე.**

– თქვენ როგორ გგონიათ, ჩემს ახლობელს ვინმეს გამოუშვებენ საქართველოდან?

**— ესე იგი ხელისუფლებაში იციან, ვინ არის ეს კაცი?**

– არ არის გამორიცხული.

**— ვახ... და არავინ ჰკიდებს ჯერ ხელს, ყოველ შემთხვევაში, დღეს შაბათია და არაფერი გაცხადებულა ამ თემაზე, ხვალ რა იქნება, ხვალემ იკითხოს...**

– მე ველოდები საპასუხო რეაქციას ხელისუფლებისგან. სააკაშვილი გამოვიდა და ამბობს, რომ თურმე კიდევ მე ვარ დამნაშავე, თურმე თავად ფაქტი რომ არსებობს, ეს არაფერია. დაკვეთით იყო კი, ახალაია უკვეთავდა თავის ჯალათებს. თან თქვა, რომ ნაწილი დანაშაულისა ხდებოდა მართლაც და ნაწილი დაკვეთააო. ახლა მისმინეთ: დაკვეთით მცემეთო, სხვა რამეს არ ვიტყვი, შეიძლება? ისე მცემეთ, რომ მოვკვდეო? სხვა ფაქტის, რაც ფირზეა ასახული, დაკვეთაზე არაფერს ვამბობ. ამათ ავადმყოფურ შეხედულებებზე რა ვთქვა, აბა? პატიმრებს აგენტებად როგორ აქცევდნენ, აბა? თითქმის ყველა კამერაში იყო ერთი აგენტი, ყველა ძალით და ცემით გადაიბირეს.

**— წინააღმდეგობა არ იყო ამ ფირზე ასახული პატიმრებისგან?**

– თქვენ რა იცით, იქ რა ხდებოდა? ჯერ არაა ამის თქმის დრო, რაც ითქვა, ესეც საკმარისია რეაგირებისთვის, ანი აღარ გამოქვეყნდება არც ერთი ფირი. საზოგადოებამ გაიღვიძა და მომბაძონ ახლა სხვებმა, კადრების მეტი რა აქვთ სხვადასხვა დაწესებულებებში, გამოაქვეყნონ. თქვენი აზრით, რა უნდა გავაკეთო?

**— ჩემი აზრით, ვინც შენ გადაგიყვანა საზღვარზე, იმან უნდა განაცხადოს, თავისი თქვას. წინააღმდეგ გამოდის, გამოგიყენა, ან შეთანხმება იყო.**

– რა შეთანხმება, მე ფული არ ამიღია. სარგებელი ისაა, რომ ხალხი ლაპარაკობს ჩემზე? რა სარგებელი უნდა მივიღო? ერთადერთი, რაც მოხდა, ისაა, რომ ფარდა აეხადა კიდევ ერთხელ ამ ხელისუფლების ვერაგობას, მე არაფერი სარგებელი არ მქონია და არც მექნება.

**P.S. ეს ინტერვიუ შაბათს ღამეა ჩაწერილი. უკვე კვირას, 23 სექტემბერს შევიტყვეთ, რომ ბედუკაძის ცოლ-შვილმა საქართველო უვნებლად დატოვა.**

---

დიმიტრი ტიკარაძე
593 93-81-18

• სააკაშვილს სანამ ცოცხივით არ გაუკეთეს სკანდალური ფაქტები, მანამდე ვერ აღიარებინეს, რომ ციხეებში საშინელი ამბები ხდებოდა!

ახლა პოლიტიკურად და მორალურად ნამუსაყრილი ისევ ცდილობს, თავისი უნამუსობა სხვას დააბრალოს. ცდილობს, საზოგადოება დაარწმუნოს, რომ მან არაფერი იცოდა...•

**ყველა სისტემურ „სისულელეზე", რეალურად კი კრახზე, რომელიც სააკაშვილის ნაცბოლშევიკურმა ხელისუფლებამ განიცადა, „ალია" და „ქრონიკა" უკვე წლებია წერს!!!**

ყველაფერიც ძალიან კარგად იცოდა... იცოდა კი არა, თავად იყო ამ ყველაფრის დირიჟორი და სულისჩამდგმელი. ისევე, როგორც ბევრი სხვა უბედურების საქართველოში!!!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მხოლოდ „ალიასა" და „კვირის ქრონიკაში" გამოქვეყნებული მასალები იყო საკმარისი იმის დასტურად, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრებს სასტიკად აწამებდნენ. წლების განმავლობაში ნაცბოლშევიკური ხელისუფლება ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ ნებისმიერ ფაქტს ირონიითა და ერთი, გაზეპირებული ფრაზით ხვდებოდა: „რა სისულელეა..." „ალია" და „ქრონიკა" მათთვის მტრები იყვნენ, სააკაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოფაშისტო ელემენტები" და როგორ შეიძლებოდა, ყურადღება მიექციათ იმ კონკრეტული ფაქტებისთვის, რომლებიც ამ გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა...

ძმები ახალაიების გამზრდელმა როლანდმა, ზუგდიდში „ალიას" ლოგო ნაგვის ურნას მიაკრა, აქაოდა, „ალია" ნაგავიაო... როლანდს არც სააკაშვილი ჩამორჩა და მუხროვანის ამბოხის დროს ბრძანა: ამბოხებული ჯარისკაცები „ალიას" და სხვა სიბინძურეებს კითხულობდნენო...

მაშინაც ვუპასუხეთ და ახლაც გავიმეორებთ – „ალია" და „ქრონიკა" მართლაც სავსეა ნაგვითა და სიბინძურეებით! იმ ნაგვით, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება 9 წელია სჩადის და რომელიც ჩვენ სააშკარაოზე გამოგვაქვს!!!

9 წელია ნაცბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დამოუკიდებელი მედიისთვის ინფორმაციის ყველა წყარო დაკეტა და ჩვენ 9 წელია ამ პირობებში მაინც ვახერხებთ საზოგადოებამდე სიმართლის მიტანას. სახელისუფლებო სტრუქტურების პრესსამსახურები, მედიასთან გახსნილი ურთიერთობის ნაცვლად, მხოლოდ იმაზე არიან ორიენტირებული, რომ ინფორმაცია დაგიმალონ და რასაც მაინც გაიგებ, იმას იგნორირება გაუკეთონ. სწორედ ამაში უხდის მათ სააკაშვილი მაღალ ხელფასს ჩვენ მიერ შევსებული ბიუჯეტიდან... ყველა სტრუქტურაში ეს წესი დაამკვიდრეს, ყველაფერი დახურეს, რომ ხალხმა სიმართლე არ გაიგოს...

სალომე მახარაძეს, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მოყოლებული, თავდაცვასა და შსს-შიც ახალაიას პირადი პრესსამსახური გახლდათ (ცალკე საკითხია, რა დამსახურებისთვის. – დ.ტ.) რამდენჯერ უთქვამს ჩვენთვის: „სისულელეებზე ნუ მაწუხებთ, რაა..." ახლა ეს „სისულელეები" ცოცხივით გაერჭოთ მასაც და მის ხელისუფლებასაც და კიდევ უნდათ, აქეთ დაგვაბოლონ, ჩვენ არაფერი ვიცოდითო...

საინტერესოა, რა ვიდეოჩანაწერები უნდა გამოქვეყნდეს, რომ ხელისუფლებამ ყველა დარგში სისტემური კრახი აღიაროს? რა, მათ არ იციან, რომ სასამართლო პროკურატურის ქვემდებარე უწყებაა და კოტე კუბლაშვილი შირმა, რომელიც მონა-მოსამართლეებს ადეიშვილის მითითებებს ასრულებინებს? თუ მაინცდამაინც ფარული კადრები უნდა გამოვაქვეყნოთ, როგორ აძლევს დავალებას ადეიშვილი კუბლაშვილს და, თავის მხრივ, კუბლაშვილი – მოსამართლეებს...

იქნებ ისიც უცხოა, რომ ბიზნესი ტერორშია? როცა უნდა და ვისაც უნდა, იმას რომ შეუვარდება შემოსავლების სამსახური და „ქურდული" პრინციპით რომ აწერს მაყუთს... ამის ასაღიარებლადაც კონკრეტული ვიდეოჩანაწერები უნდა დავდოთ, კონკრეტული თანამდებობის პირების მონაწილეობით?

ჯანდაცვის სისტემურ კრახს ვიდეოჩანაწერებიც არ სჭირდება, ისედაც ყველაფერი დღესავით ნათელია. ახლა ვითომ ახალი გამოსავალი ნახეს, წინასაარჩევნოდ პენსიონერების, პედაგოგებისა და 3 წლამდე ბავშვების დაზღვევა შეტენეს სადაზღვევო კომპანიებს და ისე წაიყვანეს საქმე, ცალკე ექიმები ვერ აუდიან პაციენტების მიღებას, ცალკე პენსიონერებს დაზღვევის საგარანტიო ფურცლის მისაღებად უწევთ დღეების მანძილზე რიგებში დგომა...

ან იმას რად უნდა ვიდეოჩანაწერები, რაც კეთდება და შენდება (ხშირად იაფფასიანი „გიფსოკარდონით"), ვალებად რომ აწევს საქართველოს მომავალ თაობას?

რომელი ერთი დარგი ჩამოვთვალოთ?

იქნებ იმასაც ვიდეომტკიცებულება სჭირდება, ყველა კანონი ერთ კაცზე რომ არის მორგებული და მთელ ქართულ საკანონმდებლო ბაზას ერთი სათაური რომ შეიძლება დავარქვათ – „სააკაშვილის ხოშის კანონი".

ხელისუფლებისთვის ეს ყველაფერი ახლაც „სისულელეა". ისეთივე სისულელე, როგორიც აქამდე ციხეებში პატიმართა წამების ფაქტები იყო და რომლის აღიარებაც მხოლოდ იმიტომ მოუხდათ, რომ სხვა გამოსავალი არ დარჩათ.

ყველა სისტემურ „სისულელეზე", რეალურად კი კრახზე, რომელიც სააკაშვილის ნაცბოლშევიკურმა ხელისუფლებამ განიცადა, „ალია" და „ქრონიკა" უკვე წლებია წერს...

სანამ ხელისუფლება არ ისწავლის, რომ მედიაში გამოქვეყნებულ მასალებს ყურადღება უნდა მიაქციოს და კრიტიკის გამო ჟურნალისტები მტრად არ გამოაცხადოს, მანამდე ამ ქვეყანას არაფერი ეშველება...

ეს მხოლოდ სააკაშვილის ხელისუფლებას არ ეხება. ყველამ უნდა გაითვალისწინოს!!!

---

## წერილები „ქრონიკას"

### ჩიპიან ბარათებთან დაკავშირებით

მშობლიურმა სინოდმა ისევ მამინაცვალივით გვიგანა მას შემდეგ, რაც „გამოარკვია," რომ ეს ბარათი თურმე ბეჭედი არ ყოფილა: - ჩვენ კი გავიგეთო, მაგრამ რაკი ხალხს არ ესმის და ეშინია, ასე სჯერათ და ვერ გავაგებინებთო, მოუთხოვია უწმინდესს ოქმში შეეტანათ შემდეგი სიტყვები - „ID ბარათი ანტიქრისტეს ბეჭედი არ არის, მაგრამ რახან ხალხში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, მოეთხოვოს მთავრობას გასცეს ალტერნატიული საბუთი ჩიპების გარეშე." ე.ი. ეს ხალხი ვყოფილვართ ისეთი ტლუ და გაუნათლებელი ქვისხანიანები, რომ ამ ბარათებში ბეჭედი არ დევს და არც თვითონ არ არის ბეჭედი, მაგრამ ვერაფრით ვერ ვიჯერებთ და უსაფუძვლოდ გვეშინია; ე.ი. ინგლისს, საფრანგეთს, საბერძნეთს, ისრაელს და საერთოდ ყველა ევროპულ ქვეყანას, ჩვენსავით ბნელი, მშიშარა და ჩამოჩენილი მთავრობები ჰყოლიათ, რომ არც ინდომეს ID ბარათები; და მხოლოდ ჩვენი საეკლესიო და საერო ხელმძღვანელები აღმოჩნდნენ ბოლო ჟამის მონოდების სიმაღლეზე და ბოლო ჟამამდე განათლებულნი, რომ ანტიქრისტესთვის ესოდენ საჭირო დოკუმენტი მიიღეს. რატომ ედებ ორივეს ერთნაირ ბრალს, როცა, როგორც შემდეგ ითქვა - სინოდის შედგენილი დადგენილების ტექსტი შემდეგ „ზევით" დაამუშავეს და ტელევიზიიდან სამთავრობო დონეზე რედაქტირებული ნაგვიკითხეს? ჯერ ერთი, საკითხის ასე დაყენება - დაჩიპული ბარათები ანტიქრისტეს ბეჭედია თუ არა, უკვე ნახევარსიმართლეა-გამიზნულად გზის ამრევი ისარია, რადგან ფიზიკურად ქაღალდი რომ ბეჭედი არ არის, ამის აღმოჩენა-აღიარება მიითვალა სინოდმა საკუთარ სიმართლედ და მეორე ნახევარტყუილს - ეს ანტიქრისტეს სახელით დაშტრიხული ბარათი, საფრთხის-საშიშროების შემცველი არის თუ არა, არც გვიხსნიან (ვისაც ჰგონია - რაკი ჩიპები მომსახურების სხვა ბარათებზეც არის, მაშინ არაფერი არ უნდა ავიღოთ? სხვა ბარათებზე საკუთარი სახელისა და ანტიქრისტეს სახელის რიცხვის გარდა სხვა სახელებიცაა შუაში-დაფიქსირებულია ფირმის, ბანკის, აფთიაქის, მეტროს და ა.შ. სახელწოდებებიც, ანუ ფარად და გასასამართლებელად კიდევ რაღაც გვაქვს; ID ბარათებზე კი მხოლოდ და უშუალოდ ადამიანის სახელია ჩასმული შტრიხკოდის სამი ექვსიანის ჩარჩოში პიროვნების ხელმონერით დაბეჭდილი-მილებული). საკითხის ასე დაყენება და განხილვა ჩამოჩენილ ევროპასაც კი აზრად არ მოსვლია?! საფრანგეთი შუა საუკუნეებში დაბრუნდა რახან „ეს დოკუმენტი უმაღლესი ზიანის შემცველად მიიჩნიეს" და განაცხადეს - „ამ პროექტის ამოქმედება საზოგადოებაზე პოლიციური ზედამხედველობის გაძლიერებას გულისხმობს"-ო? თუ ინგლისი ჩვენზე მეტად გალატაკდა და იმიტომ ვერ გაიმეტეს თანხები რაკი გადანყვიტეს: „ათასი გზა არსებობს, ელექტრონული სივრცე რომ შევავსოთ. პიროვნების საიდენტიფიკაციო რეგისტრაცია სხვა მრავალი გზით არის შესაძლებელი, თანხა სჯობს უფრო მნიშვნელოვან სფეროებზე დაიხარჯოს. ჩვენთან არ საჭიროებს ეს ბარათები, თუ უნდათ ამერიკაში იქ იმუშაონო." (ჩვენთან საჭიროებს? ვისთვის?) ანუ ყურადღების გადატანა და აქცენტირება იმ „გულუბრყვილობაზე," რომ ეს ბარათი-ქაღალდი ბეჭედი არის თუ არ არის, იმთავითვე შეგნებული გზისაცდენა იყო, რადგან ამ შარაგზით აშკარად მივიდოდნენ მიღებულ ნახევარსიმართლემდე - რა თქმა უნდა ქაღალდი ბეჭედი არ არის, და აქვე მთავრობასაც უკვე გამზადებული რეპლიკის ჩასმაც არ გასჭირვებია - „ID ბარათი არ არის ანტიქრისტეს ბეჭედი" (სინოდის დადგენილება) - „აქედან გამომდინარე შეიძლება მისი აღება" (მთავრობის „დადგენილებით"). ვინც საკითხი ამ მიმართულებით წაიყვანა გასაგებია ვისგანაც იყო, მაგრამ ვინც აჰყვა და გაჰყვა, ეს არის უბედურება. იმის შემდეგ, რაც გაარკვიეს რომ ეს ჩიპიანი ქაღალდები ანტიქრისტეს სახელობისა კია, მაგრამ ბეჭედი ჯერ მაინც არ არის, გამოგვიცხადეს - სურვილის და გემოვნების მიხედვით ვისაც უნდა აიღოსო. მაგრამ რაკი ასარჩევი არც არაფერია, იმ არგუმენტით რომ „ხალხში აზრთა სხვადასხვაობაა, ეთხოვოს (თუ მოეთხოვოს) მთავრობას ალტერნატიული-ასარჩევი საშუალების გამონახვა. „კორექტორს" აქაც მორიდებით ჩაუმატებია „თუ ეს შესაძლებელია"-ო (იქვე რა თქმა უნდა ერთმნიშვნელიანი პასუხიც იგულისხმება - გეიჭირს, სადა გვაქვს ასარჩევი ფუფუნების საშუალებაო). აქაც საყურადღებოა ის, რომ აქცენტი ისევ არასწორად გაკეთდა - ამ მთავრობისთვის ხალხში აზრთა სხვადასხვაობის მოთხოვნად ნაყენება იმთავითვე უსუსური არგუმენტია, როდის იყო ესენი ხალხის აზრს ითვალისწინებდნენ რამეში, მითუმეტეს როცა უკვე არსებობს ევროპული ქვეყნების მთავრობების არგუმენტირებული უარყოფა, ვისზეც ამათ კიდევ შეიძლება რაღაც რეაქცია ჰქონოდათ, ანუ უკვე გამოქვეყნებულ-დაფიქსირებულ ევროპის პოზიციაში იმპროვიზაციას ასე ხელწამოსაკრავად ვერ გაბედავდნენ, რატომ არ აიფარეს ფარად და არ ააფარეს თვალებში უკვე დაბეჭდილი პასუხები ამ ვითომ დემოკრატებს, ევროპას ვითომ რომ ეზომებიან? ან თავის დასაცავად რატომ არ აიფარეს ათონის წმინდა მთის კინოტის თუ მთელი მართლმადიდებლური და არამართლმადიდებლური ეკლესიების უარყოფა ID ბარათებზე? სადაც ბეჭედზე ლაპარაკიც არაა - ათონის წმ. მთის წმინდა კინოტის განცხადება: „მოქალაქის ელექტრონული ბარათი"...თავისი არსით ფაქტიურად აუქმებს ადამიანის მთავარ ღირებულებას - პიროვნულ თავისუფლებას, რადგანაც ამ სისტემაში ყოველთვის შესაძლებელია ინფორმაციის ადვილად შეცვლა, ვფიქრობთ, რომ ის წარმოადგენს ქრისტიანებისთვის რეალურ საშიშროებას... გარდა ამისა, ძალაუფლება, რომელიც იყენებს ამ სისტემას, გადადის გაურკვეველი ხელმძღვანელებისა და პირების ხელში, როგორც სახელმწიფო მოხელეების, ასევე კერძო პირების მხრიდან. მათ საშუალება ეძლევათ შეიტანონ ან წაშალონ მათთვის სასურველი ნებისმიერი ინფორმაცია ბარათიდან. გაუცნობიერებელ ადამიანებს შეატყუონ მორწმუნეთათვის სასტიკად მიუღებელი და ანტიქრისტიანული სიმბოლოები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით ათონის წმინდა მთის წმინდა კინოტი გამოხატავს თავის სერიოზულ შეშფოთებას და მიმართავს მხურვალე თხოვნით საბერძნეთის მთავრობას არ დაუშვან მოქალაქის ელექტრონული მოწმობის გამოშვება და მორწმუნეებს ურჩევენ გამოიყენონ ჩვეულებრივი საიდენტიფიკაციო საშუალებები..." 22.4/5.5.2011. ეს კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ ორივენი ერთხმად და ერთსულოვნად აზროვნებენ. უკვე ნახევრად შეშლილმა მსოფლიომ ეს ბარათები არ მიიღო, ამათ კი ჩაიხუტეს ანტიქრისტეს სახელი და ჩვენც გვაძალებენ. რაც შარმან, რელიგიის კანონის მიღებით სინოდმა მთავრობასთან ერთად ერთხმად და „ერთსულოვნად" გააკეთეს, წელს ბეჭედი დაუსვეს თავიანთ ხელშეკრულებას ანტიქრისტესთან, ამას სხვა სახელი აღარ ჰქვია, ამ დადგენილებით ანტიქრისტეს გაუფორმეს ხელშეკრულება ბითუმად ადამიანთა სულებზე - ჩანგალზე დაუდეს ხალხი და საქართველო. ასე უჭირავს ხელში სააკაშვილს პატრიარქი, მის სიტყვას რასაც უნდა დაამატებს, რასაც უნდა გამოაკლებს, ეს ხმას ვერ და არ სცემს. ბაგრატის ტაძარზე მისი ბრძანება მეორე ყურიდან გაატარა, მოუთმინა და შერჩა [illegible] ...ვილსაც შეეწყო - [illegible] ცხვირწინ, გვერდით კაზინო წამოუჭიმა, ჩვეული „სიმშვიდით" დაითმინა და ესეც შერჩა (მაგრამ იქ თუ სურვილით შედიან, აქ არჩევანის გარეშე, ძალით აძლევენ-ბეჭდავენ ბარათის შტრიხკოდში დიდს და პატარას), და ა.შ. თუ მართლა არ ეთანხმება ამათ ჩასწორებულ ვარიანტს და თუ არ მიიღო ზომები: - არ დაიცვა თავისივე სიტყვები და არ მოითხოვა ალტერნატიული, უჩიპო ბარათები, ე.ი. გამოდის, რომ ხალხის აზრის აფარება და მათთვის განსხვავებული საშუალების მოთხოვნაც ფარისევლობა იყო და მხოლოდ ხალხის თვალ-ყურისთვის ნათქვამი; და თუ არ არის მართლაც ამათი ერთსულოვანი, ამოიღოს ხმა და აღიაროს და დაიცვას თავისი და ქრისტეს სიმართლე ადამიანთა წინაშე ხალხის საბაბით და გულისთვის მაინც, დაიცვას ღვთისმშობლის წილხვედრი ტახტი და თავისი ნილი საქართველო, თუ მართლა თვითონ არის პატრიარქი, მითუმეტეს არანაკლებ მძიმე დროის კათოლიკოს-პატრიარქის, ლეონიდეს პასუხი უღმერთო მთავრობისთვის მაგალითად აქვს - „ვისაც შიშისა, ხათრისა, სირცხვილისა, მოფერებისა და სხვა რომელიმე გარემოების მიხედულობით ერიდება სარწმუნოებისათვის თავის გამოდება, სარწმუნოების დაცვა, ვინც შესაძლოდ თვლის გაჩუმდეს, მოითმინოს, ხმა არ აღიმაღლოს იმ დროს, როდესაც მის სარწმუნოებას ამცირებენ, ლანძღავენ, შეურაცხყოფენ და გმობენ, ის უარყოფს მაცხოვარს წინაშე კაცთა." - კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე. მითუმეტეს, რომ ძალიან კარგი მიზეზი მიეცა მისი სიტყვების შესწორებით - ამის გულისთვის მაინც გაატაროს ის სანქცია, რაც მის ხელშია - მოხსნას ბარძიმში მოხსენიებიდან; თუ კვლავაც გადაყლაპავს ჩვეული მოთმინებით, ამათი მორჩილება აღარ შეიძლება - ის სინოდი, რომელიც თვითონ არ ემორჩილება ქრისტეს სახარებას, არ ემორჩილება მოციქულთა კანონებს, არ ემორჩილება ათონის წმინდა მთის განჩინებას და ანტიქრისტეს თანამშრომელი ხდება, მათი მორჩილება აღარ შეიძლება: - ანუ ანტიქრისტეს სახელით დაბეჭდილი პირადობის მოწმობის აღება არ შეიძლება, „რამეთუ შეჰკრიან ტვირთი მძიმე და ძნიად სატვირთავი და დასდვიან მხართა ზედა კაცთასა, ხოლო მათ თითითაცა მათითა არა უნებნ შეძვრად იგი"(მათე 23.4).

ვისაც ჩემგან გაუკვირდება პატრიარქის ამგვარი მხილება, ვეტყვი, რომ ეს ყველაფერი ჯერ და ბევრჯერ მივწერე პატრიარქს. დაწერის კურთხევა ჯერ კიდევ 2000 წელს მომცა თვითონ - როცა მიღება ვთხოვე და დამიწერეო-მიპასუხა; მას შემდეგ წერა-კითხვას ვერ გავცდით, თუმცა ყველა წერილში კვლავ მიღებას ვთხოვდი - „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა." რა მნიშვნელობა აქვს ათ თეთრსა ვთხოვ თუ ათ წუთს, მის კარზე მიმდგარი მათხოვარი ვარ, თორმეტი წელია ჩემთვის ათი წუთი ვერ გაიმეტა, შერონ სტოუნს საათები დაახარჯა. კანონთა კანონში-სახარებაში უფალი გვეუბნება - „ხოლო უკუეთუ შეგცოდოს ძმამან შენმან, მივედ და ამხილე მას, რაჟამს შენ და იგი ხოლო იყუნეთ მარტონი. უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინე ძმა იგი შენი. ხოლო უკუეთუ არა ისმინოს, მიიყვანე შენ თანა ერთი ანუ ორი სხვა, რათა პირისა ორისა და სამისა მოწამეთა დამტკიცდეს ყოველი სიტყუა. ხოლო უკუეთუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა; ხოლო უკუეთუ კრებულისაცა არა ისმინოს, იყავნ იგი შენდა ვითარცა მეზვერე და წარმართი" (მათე18.15-17), ამიტომ ვიმეორებ უკვე კრებულთან ერთად „ალიას" უფრო მაღალი ტრიბუნიდან. როგორც დავითი არ გამოსულა გოლიათის წინააღმდეგ მხოლოდ თავისი შურდულის ამარა, არც მე გამოვსულვარ მხოლოდ ჩემი კალმის იმედად - კარგად იცის, რომ ამ ყველაფერს უფლის ნებით და უფლებით ვამბობ, მაგრამ თვითონ რატომ უყრუებს და ემალება „ხმა ღვთისასა და ხმა ერისას," როგორც ადამი უფალს? ეტყობა მართლაც აქვს დასამალ-დასაფარი, მაშინ „უფალმან განიკითხოს მართალი და ულმრთო, ხოლო რომელსა უყუარს სიცრუე, მას სძულს სული თვისი" (ფს.10). ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ „არცა აღანთიან სანთელი და დადგიან ქუეშე ხვიმირსა, არამედ სასანთლესა ზედა" (მათე 5.15) (ბიბლია ადამიანთა დაცემაზე ამბობს, რომ „გააფრთხილა უფალმა ღმერთმა ადამი..." - ადამი, როგორც უპირატესი, ანუ ადამთან იყო უფლის სიტყვა, ამიტომ არ და ვერ მივიდა მასთან ბოროტი, მაგრამ შემოუარა და მივიდა ევასთან, თუმცა ადამს პასუხისგებლობა არ მოხსნია, რადგან ვისაც მეტი მიეცა, მეტიც მოეკითხება...)

ახლა ლაზარე-ივერია „მკვდარია", ცოდვებისგან უკვე ხრწნა დაწყებული..., თუმცა სიკვდილი-შეკვრა მხოლოდ ცოდვების გამო არ შეჰყრია, არამედ ღვთის დიდების და სიყვარულის გამოსაჩენად... დიახ, მას უფალი გადაარჩენს-აღადგენს ყველას დასანახად, როცა ყველას გასაგონად მოუწოდებს - „ლაზარე, გამოვედ," მაგრამ საგულისხმოა, რომ მანამდე უფალი სხვებს ეუბნება „აღიღეთ ლოდი ეგე," განა იმ ლოდის გადაგორება უფალს გაუჭირდებოდა? ან შემდეგ, საკვრელების-სახვევების შემოხსნა უბრძანა სხვებს, რაც თვითონ უსიტყვოდ შეეძლო, მაგრამ ვისაც დაავალა მათთვისაც საჭიროსასარგებლო იყო ალბათ, ამიტომ ლაზარეს-საქართველოს აღდგომა-გაბრწყინებისთვის უწინარესად აუცილებელია ლოდი აღილონ-გაინმინდოს ეკლესია ლაზარეს აღდგომაში დაბრკოლებად რომ ექცა, და მისი საკვრელებიც დახსნას (დაიხსნება), ანუ ყველამ თავისი დავალება-მორჩილება უნდა შეასრულოს... მაგრამ „ვაი თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ დაჰხშავთ სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა; თქუენ შეარა-ხუალთ და შემავალთა უტევებთ არა შესვლად" (მათე 23.14).

... არადა, ქართული ოცნება სულ ერთ პანკარედში ეტევა - „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს და უფალს ვებარებოდეთო"...

დიდება და მადლობა უფალს ყველაფრისათვის, რამეთუ „არა დაუტეოს კუერთხი ცოდვილთა მართალთა ზედა, რათა არა მიყონ მართალთა უსჯულოებად." დიახ, ივერია მაინც გაბრწყინდება, როგორც აღუთქვა უფალმა ღვთისმშობელს!!! გაბრწყინდება იმ საზღვრებში, როგორიც ნილისყრით შეხვდა ღვთისმშობელს!!! გაბრწყინდება, რადგან ეს ივერიის ბედისწერაა - რომ აქ, ანტიქრისტე ფეხს ვერ დაადგამს (ანტიქრისტეს მმართველობის ამერიკული მოდელი აქ არ და ვერ დამონტაჟდება), და რომ ამ მიწას, როგორც ფარეხს, შემოლობავს-შემოსაზღვრავს უფალი და შემოიყვანს გადასარჩენ ცხვარს!!! გაბრწყინდება, რადგან, სულ ცოტა ხუთი მართალი მაინც არის არა მხოლოდ ამ სინოდში, ვისი ლოცვითაც არ გაიმეტებს უფალი ქართველ ერს, რამეთუ „ფრიად შემძლებელ არს ლოცვა მართლისა შეწევნად!!!"

**სრულად: http://www.facebook.com/profile.php?id=100003084931232&ref=tn_tnmn**

**ლია ამანათაშვილი 593 917 906**

დარეჯან მეფარიშვილი
577 40-40-08

## „ვინ არიან ახალაიები, რა ძალა აქვთ ასეთი, საწინააღმდეგო რომ ვერ გაუბედეს ვერაფერი? რატომ არის დღემდე ამ გვარის ხელში ყველა ბერკეტი? ამ კითხვებზე პასუხი უკვე არსებობს!“

ჩაგრავენ! დასდევენ! უთვალთვალებენ! არ აძინებენ! თავად წუხს ამის გამო! არ იმსახურებს! ბევრი გაუკეთებია და საერთოდ, რაც საქართველოში ხდება, ეს ყველაფერი მისი დამსახურებაა! კაცი ლეგენდა და კაცი რეფორმა! აქამდე ვიცოდით, რომ ეს მიშა იყო, მიშა იყო ერთადერთი და განუმეორებელი, ახლა ვიცით, რომ მეორეც ყოფილა მიშასნაირი უმწიკვლო (ფრთები აკლიათ)! რატომ ჩაგრავენ ასე უსამართლოდ ამ კაცს?! კაცს, რომელიც ყველაზე მაღალი სასულიერო მნიშვნელობის ორდენის მფლობელია! კაცს, რომელსაც ეს ორდენი სამშობლოსათვის გაწეული ამაგისთვის გადასცა პატრიარქმა! რატომ დასდევენ და რატომ არ ასვენებენ? ვის რა უნდა ამ კაცისგან და ზოგადად, რად ამოიჩემეს? შურთ და ბოღმიანები არიან — აი, პასუხი! ახალაიების კლანის უძლეველობის მითი დაიმსხვრა! დრო მოვიდა (ყველაფერს თავისი დრო აქვს) და ახალაიებიც იმალებიან და ახალაიებიც ტირიან! ეგაა, საქართველოს მათი ცრემლების რომ არ სჯერა, არც მოსკოვს, სხვათა შორის!

### ახალაიების კლანი

ამ გვარის ისტორიას და ცნობადობას 2003 წლამდე კარგა ხნით ადრე ჩაეყარა საფუძველი. მამა ახალაია, როლანდ ბატონი, ზუგდიდში ერთი რიგითი და უსახელო პროკურორი იყო. მამას ახლა შეიძლება არც ახსოვს, შვილებს – მით უმეტეს, მაგრამ იყო დრო, როცა ამბობდნენ, როლანდ ახალაია 50 ლარად სულსაც გაყიდისო! თუ სუნთქვა სულის არსებობას ნიშნავს, როლანდ ახალაია სუნთქავს კიდეც და „გორლაზედაცაა“, აქეთ გვაცოდებს თავს და ამბობს, რომ თურმე დასდევენ, არ ასვენებენ, ვილაცისგან დაფინანსებული, ხელოვნურად შექმნილი მტრები ჰყავს და წინასაარჩევნო საქმიანობაში ასევე ხელოვნურად უშლიან ხელს! ამაზე მეტი ცინიზმი რა უნდა იყოს იმ კაცისაგან, რომელმაც, როგორც ამბობენ, კარგად დაცული სახლის ეზოში ჭა გათხარა და თან დაცვაც დაუყენა, იმ მიზეზით, რომ ონკანიდან შეიძლება მოწამლული წყალი „შემომასალონო“. ტაშტი თუ არ გატყდება, არც ხმა გავარდება და ეს მოარული ჭორი თუ სიმართლე ახალაიებს არ უარყვიათ. შეძლება, ვინმემ თქვას, „მელოჩებს“ არ მისდევენ ახალაიებიო, მაგრამ როცა წლებია, დაგცინიან ამ თემაზე, ჭიშკარს თუ არ გაალებ, „მტკიცებულებად“ სიტყვა მაინც უნდა თქვა. რაო, ყურადღებას არ აქცევდაო, ამბობთ? ჰო, რა ვიცი, აბა, ორი დღეა, ცხარე ცრემლებს კი ღვრის, სახლში მივარდებიანო დააა... თუ ყველაფერი მისთვის სულერთია, ბარემ სახლის წინ მდგომი ჟურნალისტებისთვისაც არ მიექცია ყურადღება, როდემდე იდგებოდნენ იქ, მობეზრდებოდათ, წავიდოდნენ და დაეძინა მერე, რა უშლიდა ხელს? არა, ასე ვერ მოიქცეოდა, მიზეზი აქვს, ამჯერად სხვაგვარად უნდა იმოქმედოს. ახლა სხვა დროა, ახლა დილით როლანდის, საღამოს მისი ვაჟის, ბაჩანა-ბაჩოს საქართველოდან გაქცევაზე ლაპარაკობს ერი თუ ბერი. ჰოდა, ახლა ახალაია იძულებულია, გარეთ გამოვარდეს, გამოვარდეს საცოდავი სახით და „იტიროს“ – მჩაგრავენ! ეგებ დაიცვას ამ გზით შვილები. ბოლოს და ბოლოს, მამა მაინც რომ ყოფილა და იცის მამობის ძალი და მადლი, ეგეც შეღავათია! ეგაა, სხვის შვილებს დასდევენ მამაც და შვილებიც, თორემ საკუთარი კი ენვით! ერთი ჩვეულებრივი, რიგითი პროკურორი, როლანდ ახალაია, სააკაშვილის აღმოჩენაა და არ არის ისე საქმე, როგორც მიშა გვაბოლებს, – ახალაიამ გამზარდაო! ახალაია მიშამ შექმნა! სამაგიეროდ, როლანდი და მისი შვილები დაიმონა! ახალაიებზე უკეთესი შემსრულებლები სააკაშვილს არავინ ჰყავს! ეგაა ახლა სიტუაციამ მოიტანა და ბაჩანა ჩააჩოჩა და იმაშიც დარწმუნებული ვარ, ცაიტნოტში რომ არ იყოს, დროებითი იქნებოდა. მიშა ვერც ერთ ახალაიას ვერ მოისვრის სანაგვეზე! რეჟიმი ამ შემთხვევაში მის შვილებს ვერ შეჭამს, შვილებმა ბევრიც იციან და ბევრის გაკეთებაც შეუძლიათ და იმიტომ. თან ახალაიები ჟვანიას ვარიანტი არ არის! ახალაიები სამნი არიან და ამ სამს ისეთი მობილიზებული სპეცრაზმი, საკუთარი ჯარი ჰყავს, რომ ერთი თუ შემთხვევით გაზით გაიგუდება, მეორე რევოლუციას არა და პირდაპირ სასაკლაოს მოაწყობს! ეს იცის მიშამაც და გრიშამაც, როლანდიმ და მისმა შვილებმა – მით უმეტეს. დიახ, როლანდ ახალაია მიშამ აღმოაჩინა. ისტორია ასე იყო: სააკაშვილი სასამართლო რეფორმას რომ „მორჩა“, პროკურატურას მიადგა. მიადგა, მაგრამ შიგნით არავინ შეასუნია. სხვა გზა არ ჰქონდა მიშას, ციხე როგორმე შიგნიდან უნდა გაეტეხა. ეს ის დროა, როცა პროკურატურაში როლანდ ახალაიას წინააღმდეგ საქმეები იყო დაგროვილი, მას მოსახლეობა კორუფციასა და ძალადობაში ადანაშაულებდა. ადრე სხვა დრო იყო, ადრე ვიდეო-ჩანაწერები არ სჭირდებოდა გამოძიების დაწყებას. ჰოდა, დაიბარეს ახალაია გენერალურ პროკურატურაში და თითი დაუქნიეს. შენობიდან გამოსული როლანდ ახალაია პირდაპირ მიშას მიადგა, კორუფციას ვებრძვი და სამსახურიდან მხსნიანო. მოკლედ, გალმა შეედავეს პრინციპი აამოქმედა. მაშინ დასწრებაზე იყო ყველაფერი და სააკაშვილმა სწორად გათვალა, ვიდრე პროკურატურაში საქმის შეკერვით იყვნენ დაკავებულები, სააკაშვილმა სასწრაფოდ პრესკონფერენცია მოაწყო და „როლანდ წამებული“ გააცნო ხალხს. სამეგრელოში ხალხი სიცილით იგუდებოდა, ეს ვინ ყოფილაო, ეს ვისზე ამბობს არაკორუმპირებულიაო, მაგრამ მაშინ მიშას არ ახსოვდა, სამეგრელოშიც რომ ჰქონდა წარმომავლობითი ფესვები და მეგრელების საპასუხო უსტარები, – ეს ვის იცავო? – გაატარა. გენერალური პროკურატურის მაშინდელი ჩინოსნები დამფრთხალი ვირთხებივით მოიქცნენ და ახალაია დაჭერის ნაცვლად, სამსახურში დატოვეს. ეს იყო მიშას პირველი გამარჯვება პროკურატურაზე. დღე არ გავიდოდა, როლანდ ახალაიასთან ერთად პრესკონფერენცია არ მოეწყო და პროკურატურა ქარცეცხლში არ გაეტარებინა. სააკაშვილმა მაინც ვერ გადააბიჯა რუბიკონს, მაგრამ ახალაიას „ღვაწლი“ არ დაუკარგა. გარკვეულ დრომდე და გარკვეულ მომენტამდე როლანდ ახალაიამ სამსახური შეინარჩუნა! მერე იყო „ვარდების რევოლუცია“. „ვარდების რევოლუციამდე“ სხვა მრავალ ფაქტთან ერთად (რომელზედაც მიყვებოდნენ) ერთი პირადად ჩემს უახლოეს ადამიანს გადახდა თავს. დეტალებით თავს არ შეგაწყენთ, მოკლედ ვიტყვი: ეს ჩემი ახლობელი ერთ ჩხუბს შეესწრო, მოწმედ გამოიძახეს. ახალაიას ტექსტი ახლაც არ დამვიწყებია, ჩემი ახლობელი მეუბნება, ახალაიამ მითხრა, 50 ლარი მაინც მომეციო, ასე მარტო ჩვენება დაწერო და წახვიდე, სადააო? კაცი კარგა ხანს გაკვირვებული იყო, – მოწმესაც კი ფულს ართმევს, ეგ სხვის კორუმპირებულობაზე როგორ ლაპარაკობსო? „ვარდების რევოლუციამდე“ იყო პარტიზან დათო შენგელიას სასამართლო პროცესიც, სადაც ახალაია ბრალმდებელ პროკურორად გამოდიოდა. მტკიცებულებებით და მოწმეთა დადასტურებული ჩვენებებით გაძეძგილი საქმე ახალაიამ პირწმინდად წააგო, მეტიც, ციხეში საკნიდან გაქრა შენგელიას მიმართ აღძრული საქმის რამდენიმე ტომიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ტომი, სადაც მოწმეთა ჩვენებები იყო ჩაკრული. ამის შემდეგ მოწმეებმა ჩვენებები შეცვალეს, შენგელიას ჩვენთვის არაფერი დაუშავებიაო და შენგელია სასამართლომ გაათავისუფლა. დღემდე გამოცანად რჩება, ახალაიას ციხეში საქმე როგორ დაეკარგა! „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ როლანდ ბატონი სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორი იყო, ახლა „ნაცების“ მაჟორიტარობის კანდიდატია. ის საქმეები, რომელიც ამ პერიოდში ახალაიას დაკვეთით სრულდებოდა, არაერთხელ გამოქვეყნდა „ქრონიკაში“, მაგრამ ხელისუფლება ისეთ ფაქტზეც კი ხუჭავს თვალს, როგორიც მკვლელის დაფარვაა. დღემდე დადის და სამართალს ითხოვს როლანდ ახალაიას მოგვარე, რომელსაც შვილი პოლიციელმა, როლანდის ნათესავმა მოუკლა, მკვლელი დღემდე აღმადალმა დათარეშობს. ეს ერთი ფაქტი გავიხსენე ახლა მხოლოდ, მსგავსი ასობით საქმე „გაუიმასქნებია“ ამ ყველაზე ფრთიან ანგელოზს, რომელიც, თურმე, იმდენად წმინდანია, უმაღლესი სასულიერო ჯილდოც კი არ ენანებათ მისთვის. რაც ეხება დათა და ბაჩო ახალაიებს, მათ შესახებ იმდენი თქმულა და დაწერილა, ახლა არაფრის თქმას არ ვაპირებ. ხალხმა ისედაც კარგად იცის, ვინ არიან ძმები. ვიდრე ახალაიების ბიზნესზე ვილაპარაკებ, მანამ ერთი სულიერის მოსაზრება მინდა გაგაცნოთ: „დიახ! ვამაყობ ბაჩო ახალაია შენით! მეამაყები სხვა იმ დღეს მოქმედი მინისტრების ნაწილისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ სკამებს ათბობენ და პოლიტიკური ქულების ჩაწერაზე არიან ორიენტირებულები, რეფორმების გატარების ნაცვლად. მათ ხომ, შენგან განსხვავებით, ეშინიათ რეალური რეფორმების გატარების, რომ საზოგადოების ნაწილის რისხვა არ მიიღონ, რადგან ყველამ კარგად ვიცით, რომ რეფორმები ყოველთვის მტკივნეული პროცესია. შენ მუდმივად გაკლდა ის, რაც თურმე ამ საზოგადოებაში მთავარი ყოფილა – ნაძირლობა და არაკაცობა! „დამიწყევლია“ ჩემი ორი წლის შვილი და მისურვებია, რომ გამეზარდოს შენისთანა „ჯალათი“, შენისთანა „მნამებელი“, შენისთანა „სადისტი“, შენისთანა „მოძალადე“, შენისთანა „მკვლელი“ და შენისთანა „არაადამიანი“ – თეა თუთბერიძე. დიახ, ეს ახლა ითქვა, მას შემდეგ, რაც ახალაია გადადგა! რომ იტყვიან, აქ კომენტარი ზედმეტია.

რაც შეეხება ახალაიების ბიზნესს. ამ ადამიანებმა ძალაუფლება საკუთარი გამდიდრებისთვის გამოიყენეს. თუ სტუდენტი დათა ან ბაჩო ახალაია ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს ხელებში იყვნენ მიშტერებულები, ერთი-ორი კაპიკი გადმოეგდო ხალვაშს მათთვის, ახლა ბიჭები ისე მოძლიერდნენ, საქართველოში დასვენება იკადრონ კი არა, მალაზიაშიც არ შედიან. ძალაუფლებამ მათ იარაღი შეაყვარა, რესტორნიდან ჯერ არ გამოსულა ისე ბაჩანა-ბაჩო (დათა ამ მხრივ თავშეკავებულიაო, ამბობენ), ავტომატი არ აეკაკანებინოს. ძმები ბუნჩულა ბიჭები არასდროს ყოფილან, მაგრამ არც სადისტური ნიშნები ეტყობოდათ ბავშვობაშიო, – ამბობენ, – ეტყობა, ბევრი დაავალეს და ბევრის შესრულება მოუწიათო ადრეულ ბავშვობაში, ჰოდა, ახლა ვინმემ ეს რომ არ გაუხსენოთ, ამიტომ იჟურებიან კუნთებზეო. ბავშვობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სიყმაწვილეში იმდენი მოახერხეს, გასახსენებელის მეტი რაა! სტუდენტობისას დათა ახალაია კურსელებს და არაკურსელებს 30-30 ლარს ურიგებდა, მიშას წინააღმდეგ რომელი ლექტორიც კი გამოდიოდა, ლექციები რომ ჩაეშალათ. ასე ყიდულობდა მაშინ „ხმებს“ და როცა უკვე შრომის წიგნაკი გენერლის ვაკანსიაზე გაუხსნეს პირდაპირ, თავში რომ აუვარდებოდა, რა გასაკვირია? ისე, დათა ახალაია პირველი „სადის“ ხელმძღვანელი იყო საქართველოს ციხეების არსებობის ისტორიაში, გაძლიერებული დაცვით რომ დადიოდა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს მისგან, ჯალათი, სულ რალაც, ერთ თვეში ჩამოყალიბდა. ახალაიას უკავშირდება ყველა მიშასთვის არასასურველად გადაქცეული ბიზნესმენის გაკოტრება, ამ ბიზნესებიდან დიდი ნაწილი ახალაიების კონტროლქვეშაა, ხოლო ქიბარ ხალვაშის ქონება მთლიანად აქვთ დასაკუთრებული. ეტყობა,



სათანადო ვიდეოფირი იყო საჭირო პროკურატურისთვის, ეს ამბავი რომ დაეჯერებინათ და არ იყო საკმარისი დოკუმენტების არსებობა, ამიტომ არ დაიწყეს გამოძიება იმ საჩივრების საფუძველზე, რაზედაც გატყავებულ-ჩაპარსული ბიზნესმენები ლაპარაკობდნენ ღიად და დაუფარავად! არც ე. წ. ბუნტის დროს მომხდარი სადიზმი და მკვლელობები გახდა საკმარისი ბაჩო ახალაიას პასუხისგებაში მისაცემად და მარტო ერთი გირგვლიანის საქმე დათა ახალაიას გისოსებში ჩასასმელად. ვინ არიან ახალაიები, რა ძალა აქვთ ასეთი, ერთხელაც საწინააღმდეგო რომ ვერ გაუბედეს ვერაფერი? რატომ არის დღემდე ამ გვარის ხელში ყველა ბერკეტი? კითხვა, რომელიც უპასუხოდ არ დარჩება, თუ გავითვალისწინებთ მოარულ (ვითომ?) ხმებს, რომ ახალაიებს თავისი სპეცრაზმი ჰყავთ. ამ სპეცრაზმით იყო დათა ახალაია, გლდანის ეკლესიაში რომ შევარდა და ლამის გადაბუგა იქაურობა, თავისმა ძმამ კი საპატიმრო ადგილებს წაუკიდა ცეცხლი. სწორედ ბაჩო ახალაიას დროს გამოჰქონდათ კუბოები ყოველ კვირაში ციხეებიდან, სწორედ ახალაიას დროს დაინერგა სადიზმი საპატიმროებში. ეს მეთოდი ბაჩო ახალაიამ თავდაცვაშიც გადაიტანა. უბრალოდ, „სათამაშო“ შეეცვალა – თუ ადრე პატიმრებს დასდევდა ავტომატით, ახლა თავდაცვაში ჯარისკაცებს ესროდა. ცნობილი ფაქტია სპეცრაზმში მისი მივარდნა და იქ „ბლატავი“, რა დროსაც ერთი სპეცრაზმელი ახალაიას არ დაემორჩილა. რომ არა სპეცრაზმელების ერთსულოვნება, ახალაია უკან არ დაიხევდა და როგორც სჩვევია, ავტომატს ააკაკანებდა, მაგრამ მაშინ სპეცრაზმელები ერთად დადგნენ და ახალაიამ უკან დაიხია. ახალაიები არიან მიშას ზონდერები საპატრიარქოში. როგორც კი დაიძაბება სიტუაცია და პატრიარქი თავის ქადაგებაში მინიშნებას გააკეთებს ხელისუფლების საწინააღმდეგოდ, საპატრიარქოს თავს ესხმიან დათა ახალაია და მისი მოადგილე სოსო თოფურიძე, რომელიც წლების წინ ჩემთან საუბრისას თავს იწონებდა იმით, რომ ათონის მთიდან ჩამოტანილ მიწას და დაფნის ფოთოლს ჯიბით ატარებდა. „მადლი და




ბარაქა თან დამაქვს“, – ამბობდა თოფურიძე. აქ, რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია, ამიტომ არც მე ვიტყვი არაფერს! ახალაიების უფლებები უსაზღვროდ გაზრდილი და უსაზღვროდ უკონტროლო იყო ყოველთვის. მიუხედავად ნაციონალიზმის წინაშე „დიდი ღვაწლისა“, ახალაიებმა კოდუებთან დაპირისპირებისას ყველა ღონე იხმარეს „სოდის“ „ნაჩალნიკის“ გასაფცქვნელად. როგორც ამბობენ, ახალაიებმა აახიეს თურქეთიდან საქართველოში შემოტანილი ძვირადღირებული მანქანები კოდუას ისე, რომ ბოდიშიც არ მოუხადეს. ახალაიებმა გახვიეს საქართველო საერთაშორისო სკანდალში, როცა „ბმვ“-ს ფირმას აახიეს იმ პერიოდში ძალიან ძვირადღირებული „ბმვ“-ს X-6-ის ახალი მოდელი. ამ მანქანებმა მაშინ ტურნეს ფარგლებში მოიარეს ყველა ევროპული ქვეყანა და საქართველოში შემოსული 6 მანქანიდან მხოლოდ 5 გავიდა. კიდევ კარგი, რომ ექვსივე მანქანა არ დაიტოვეს მაშინ. ამ ერთი საჩვენებელი მანქანის დაკარგვას მერკერიც კი გამოეხმაურა. რა სალაპარაკოა საქართველოს იმიჯი ახალაიების სურვილთან შედარებით? მაგრამ ამას არ შეუჩერებია ახალაიები, სკანდალი სკანდალს ემატებოდა. სახელმწიფომ სასულიერო პირებს 45 ძვირადღირებული ავტომანქანა რომ დაურიგა, ამის შესახებ დადასტურებულ ინფორმაციას „ქრონიკა“ წერდა, ისიც დადასტურებულია, რომ არც ერთი მანქანა არ არის დღემდე განბაჟებული და ყველა მანქანაში მოსასმენი აპარატურაა ჩამონტაჟებული. დადასტურებულია ისიც, რომ ეს აპარატები მანქანებში დათა ახალაიას ინიციატივით და უშუალო ზედამხედველობით დაამონტაჟეს, ამდენად არავის უნდა უკვირდეს, რატომ ჩუმდებიან ის სასულიერო პირები, რომლებსაც მანქანები უფეშქაშეს და რატომ დადიან საპატრიარქოში ახალაიები და მათი დამქაშები საჭირო დროს და საჭირო ვითარებაში, რატომ იცვლება ქადაგების ტექსტები და რატომ იცვლება პოზიციები, რატომ ბუნდოვანდება მოწოდებები. ახლა, როცა ბაჩო ახალაიას ძალიან გაუჭირდა, მას ქომაგად ძმა გამოუჩნდა. დათა ახალაია და სოსო თოფურიძე პატრიარქს მაშინვე მიუვარდნენ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, როგორც კი პატრიარქმა თავისი პოზიცია დააფიქსირა მიმდინარე მოვლენებთან მიმართებით. ამბობენ, რომ პატრიარქი ამ „ვიზიტის“ მიმდინარეობისას ცუდად გახდა... დავუბრუნდეთ ახალაიებს, ბაჩანა ახალაიას უჭირს, მას დარაჯობენ ჟურნალისტები, „ჭორიკნები“, შაბათს მამამისი როლანდ ახალაია „ოპონენტებმა“ (ჩემი ოპონენტი [illegible] რ. ახალაია) [illegible] და საკუთარ [illegible] მიტინგი მოუწყვეს. ერთი დღით ადრე ახალაიას ჟურნალისტებმა დაუფრთხეს ძილი, გარეთ გამოსვლა იმ ღამით კი გაბედა, მაგრამ მეორე დღეს სახლში ჩაწერილი ვიდეო მიმართვა გამოაქვეყნა სოციალურ ქსელში, – მდევნიან და მავიწროებენო, – ატირდა. ასეა, ახალაიებიც ტირიან, თუმცა არა ბოლომდე, დათა ისევ თანამდებობაზეა და კომპრომატი ვერ უპოვიათ მის წინააღმდეგ (სასაცილოა, არა?) ხოლო მამამისი კანდიდატურას ცოცხალი თავით არ ხსნის. ბაჩანა-ბაჩოს ჩავარდნა არ ნიშნავს იმას, რომ სააკაშვილი ახალაიებს საბოლოოდ განირავს, არა, ახალაიებს მერაბიშვილი ებრძვის და ებრძვის ეტაპობრივად. პარლამენტში გაკეთებული „მილოცვა“ – ბაჩოს ძალიან გაუჭირდება სისტემის ისეთი სახით შენარჩუნება, რაც არის, – მერაბიშვილმა რამდენიმე თვეში შეუსრულა. რა იქნება მომავალში, ამას თავად მომავალი დაგვანახვებს!

დიტო ჩუბინიძე 599 64-25-77

**22 სექტემბერს, ზუგდიდში, ცენტრალურ მოედანზე ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ ტაშს უკრავდა დაახლოებით იმდენი ადამიანი, რამდენიც 1993 წლის სექტემბერში გროზნოდან ჩამოსულ საქართველოს პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ ლეგიტიმურ პრეზიდენტს — ზვიად გამსახურდიას!(!!!)**

**„ქრონიკას“ ექსკლუზიურად ესაუბრება „ამომრჩეველთა ლიგის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი — კახა მიქაია.**

## „1993 წლის 26 სექტემბრის გრანდიოზული მიტინგის შემდეგ, როცა ბატონი ზვიად გამსახურდია გროზნოდან სულ ახალი ჩამოსული იყო, მე ამდენი ხალხი ზუგდიდში, თავისუფლების მოედანზე, არ მინახავს!..“



**— კახა, ყოჩაღ სამეგრელოს, მე ამდენი ხალხი ზუგდიდში, ცხონებული ზვიადის შემდეგ, არ მინახავს!**

– 21 სექტემბერს, პარასკევს, საღამოს, ზუგდიდში „ნაციონალების“ დაახლოებით სამოცდაათამდე მანქანა დროშებითა და საყვირებით დაჰქროდა მთელ ქალაქში და იყო შეძახილები, – „საქართველო, მიშა!“ ეს ყველაფერი გათვლილი იყო იმაზე, რომ მათ ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოეხდინათ ზუგდიდის მოსახლეობაზე, რათა მეორე დღეს, ანუ 22 სექტემბერს, ზუგდიდში „ქართული ოცნების“ აქციაზე ხალხი არ გამოსულიყო, მაგრამ გამოვიდა ზღვა ხალხი და ეს კადრები მთელმა მსოფლიომ ნახა!..

**— ვინ იყო ის ხალხი, ვინც ზუგდიდის ქუჩებში დაჰქროდა?**

– ყოველივე ამას ხელმძღვანელობდა მეგის ქარდავა... საინტერესოა ის, რომ ჩემმა მეგობრებმა ამ მანქანებში შეამჩნიეს მთელ ზუგდიდში ცნობილი ორი „მამაშა“!..(!!!) ერთი გვარად არის დოდოჩია, ხოლო მეორეს ჰქვია – მედეა...(!!!) ესენი არიან „მამაშები“, რომლებსაც ბორდელები აქვთ ზუგდიდში... ერთი სიტყვით, „ნაციონალური მოძრაობა“ და როლანდ ახალაია დარჩნენ „მამაშების“, ბოზებისა და ზონდერების ამარა!.. კიდევ ერთი, – ამ დილით ზუგდიდში, ჩემს სახლთან მე შევეფეთე იმ კაცს, რომლის სახელი და გვარი არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ გალიდან არის და რომელსაც მე ჩემს მეგობრებთან და ჟურნალისტებთან ერთად სქურის ტყეში დავადექი თავზე!.. იცი, რომელ ზონდერზეა ლაპარაკი? ქერა რომელიც იყო, აი, ის შემეფეთა ჩემს სახლთან და მე ვკითხე, – რა ხდება, ბიჭო, უკვე გამოხვედით ტყიდან-მეთქი? გაიქცა კისრისტეხით... ლებარდედან და სვანეთიდან მოჰყავთ ზონდერები, რომლებსაც „რეზერვისტები“ დაარქვეს და მათი მობილიზაცია უკვე ხდება ბარში. ანუ თუ აქამდე მთაში იყვნენ, ახლა უკვე ბარში არიან!.. ყველაფერი გააკეთეს „ნაცმოძრაობამ“ და როლანდ ახალაიამ იმისთვის, რათა გაეტეხათ იმედი, რაც ამ დღესთან დაკავშირებით ზუგდიდში იყო, მაგრამ მოხდა პარადოქსული რამ, – როდესაც ამათ ღამით საყვირებით სიარული დაიწყეს, ხალხს ესენი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ეგონა, აქაოდა, გვაფრთხილებენ, ხვალ მიტინგზე გამოდითო!..(!!!) ანუ როლანდ ახალაიამ მიიღო უკუშედეგი... ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით, რომ 1993 წლის 26 სექტემბრის გრანდიოზული მიტინგის შემდეგ, როცა ბატონი ზვიად გამსახურდია გროზნოდან სულ ახალი ჩამოსული იყო, მე ამდენი ხალხი ზუგდიდში, თავისუფლების მოედანზე, არ მინახავს!.. მე მინდა ვთქვა, – სამეგრელომ დაანახა სააკაშვილს, რომ მაგის საქმე არის წასული და დამთავრებული!.. 50 ათასი კაცი ეტევა იმ მოედანზე, დიტო, მაგრამ ხალხი შენობების სახურავებზე, ხეებზე, ტროტუარებზე, ბულვარში... ყველგან გადაჭედილი იყო ყველაფერი!..

**— ესენი, „ნაცები“, სად იყვნენ ამ დროს დამალულები?**

– ესენი დამალულები იყვნენ როლანდ ახალაიას უკანალში!..(!!!) ხომ იცი, მოდაშია ახლა უკანალი... სააკაშვილის დემოკრატიის სიმბოლო გახდა ცოცხი და ტრაკი!!! მათ ვერ შეაშინეს ზუგდიდი და მე ვფიქრობ, რომ ესენი, – გალიზიანებული და გადარეულები მობილიზაციას გაუკეთებენ ყველაფერს, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, – ახალაიების დრო დასრულდა!.. ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით... მათ სისხლიც რომ დაღვარონ ზუგდიდში, ცემა-ტყეპა და სისხლის ტბა რომ დააყენონ ზუგდიდში, სამეგრელო ანი არ მოითმენს ამ ნაძირლებსა და უკანალში ცოცხგარჭობილ როლანდ ახალაიას!..

**— კახა, როლანდ ახალაიამ თავისი კანდიდატურა არ მოხსნა?**

– როლანდ ახალაიამ თავისი კანდიდატურა მოხსნა კი არა, როლანდ ახალაიას ბოლო მიმართვა ზუგდიდის მოსახლეობისადმი, ეს არის უტიფრობის პიკი!.. თურმე როლანდ ახალაია ჩვენთან ერთად გმობს იმ საზიზღრობებს, რაც ტელევიზიით გადმოიცა, თურმე როლანდ ახალაია ჩვენთან ერთად წუხს იმაზე, რაც თავის შვილებთან ერთად გაუკეთა ქართველ პატიმრებსა და მთელ ქართულ საზოგადოებას!..(!!!) დიტო, ხომ გამოჩნდა, ფასადებსა და შადრევნებს მიღმა როგორი საქართველოა?

**— რას ამბობენ ზუგდიდში, სად არის ბაჩო ახალაიაო?**

– ზოგი ამბობს, ზუგდიდში არისო, მაგრამ მე ვერ დავადასტურებ ამას, რაც არ ვიცი, ვერ გეტყვით!.. მაგრამ პარასკევს, საღამოს მეგის ქარდავა რომ ხელმძღვანელობდა აქციას, ეს დარწმუნებით შემიძლია გითხრათ!.. როენა ხომ იცი, როენა?

**— ეგ ვინ არ იცის, მაგრამ როენა რა შუაშია „ნაცმოძრაობასთან?“?**

– აი, როენას ბორდელში რომ მუშაობდნენ თბილისში, აი, ის „პუტანკები“ ეჯდნენ ახალაიებსა და ზონდერებს მანქანებში და დარბოდნენ, რათა ზუგდიდლები შეეშინებინათ, მაგრამ არ გამოუვიდათ!.. აი, ამ ხალხის ამარა დარჩა როლანდ ახალაია. მე ზვიად გამსახურდია ვახსენე, ჩემო დიტო, და აუცილებლად უნდა ვთქვა... ზვიადმა, ჩვენ, ქართველებს, პირველ რიგში, თავისუფლების განცდა დაგვიბრუნა!.. ზვიად გამსახურდია მხოლოდ პრეზიდენტი არ იყო ჩვენთვის, შენ ეს ძალიან კარგად იცი... ზვიადი იყო ქართველთა თავისუფლებისთვის ბრძოლის სიმბოლო და ზვიად გამსახურდია ამ ბრძოლას შეეწირა, მაგრამ მისი იდეები ცოცხალია და იცოცხლებს!.. ბიძინა ივანიშვილმაც და ირაკლი ალასანიამაც ორივემ ახსენა 22 სექტემბრის მიტინგზე საქართველოს პირველი პრეზიდენტი... მე ზუგდიდის გრანდიოზულ მიტინგზე იცი, რა განცდა დამეუფლა? თავისუფლება ბრუნდება, დიტო!.. ეს არ არის არჩევანი მხოლოდ ბიძინა ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის, ეს არ არის არჩევანი „ნაცმოძრაობასა“ და „ოცნებას“ შორის, ეს არის არჩევანი თავისუფლებასა და მონობას შორის, ღირსებასა და უღირსობას შორის, სიმართლესა და სიცრუეს შორის, კაცობასა და არაკაცობას შორის!.. მიუხედავად ასეთი ტერორისა, ტანჯვისა, წამებისა და ვაებისა, სამეგრელო ირჩევს თავისუფლებას!.. სააკაშვილი და ახალაიები სამეგრელოში და მთელ საქართველოში უკვე დამთავრდნენ!..



ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ბიძინა ივანიშვილი საკმაოდ ნიჭიერი, მოხერხებული და მიზანმიმართული რომ აღმოჩნდა, ეს მისი ექვსთვიანი პოლიტიკური სვლებით დაამტკიცა. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ერთი გლეხის ბიჭი, რომელიც, უბრალოდ, ერთ-ერთ ქარხანაში მუშად მუშაობდა, გახდებოდა პლანეტის უმსხვილესი მილიარდერი. ვერც იმას ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამ ადამიანს პოლიტიკაში შემოსვლის ამბიცია ექნებოდა როდესმე, რადგან ის არასოდეს ჩნდებოდა ეკრანებზე და ათეული წლობით მისი სურათი ბევრს ნანახი არც კი ჰქონდა. სააკაშვილი და მისი მთავრობა ამერიკელ ჟურნალისტს კატეგორიულად უმტკიცებდნენ, რომ ივანიშვილი იდუმალი ფიგურაა და მას პოლიტიკური ამბიცია არანაირად არ გააჩნია... თუმცა ივანიშვილმა, სულ რაღაც, მოკლე პერიოდში დაამტკიცა, რომ დღეს არსებული პოლიტიკური ისტებლიშმენტი მისი პოლიტიკური თოჯინები არიან, რომ ის არის ეპიცენტრი, მის გარშემო ბრუნავს პოლიტიკა. მაშინ, როცა სააკაშვილმა მოქალაქეობა ჩამოართვა ივანიშვილს, ექსპერტები წერდნენ, რომ ივანიშვილი პოლიტიკურად გარდაიცვლებოდა და მას ხელისუფლება გაადეპორტებდა, თუმცა არჩევნების ბოლო კვირამდე ივანიშვილი ინარჩუნებს მშვიდ პოზიციებს. სამაგიეროდ, სააკაშვილი და მისი გუნდი დორბლიან გიჟებს ემსგავსებიან. სანდო წყაროს ინფორმაციით, ივანიშვილს სააკაშვილისთვის შეუთვლია, — ჩემზე მეტი ქართველი რით ხარ, რომ გაბედე და საქართველოს მოქალაქეობა ჩამომართვი, ამას არასოდეს არ გაპატიებ, არ გაპატიებ ქართველი ხალხის გაბითურებას, იმ ჩემი საამაყო ქართველების, რომელიც შენ ამ ხნის მანძილზე გაამაიმუნე, გააბითურე, გაამათხოვრე, სულში ჩააფურთხე და გაანადგურე... ისე გაგიხდი საქმეს, საგიჟეთში შენი ფეხით მიხვიდეო... ივანიშვილმა ბოლო გაფრთხილება მისცა სააკაშვილს, — გადარჩენის ერთადერთი გზა შენი გადადგომაა. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ხელისუფლება ასე განადგურდებოდა და ატომური ბომბის ეფექტით ჰაერში აიწეოდა. საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე საინტერესო მოვლენების ეპიცენტრში ვართ. დემოკრატიის მებაირაღე შიშველია, მსოფლიომ ის ნომერ პირველ სადისტად, მანიაკად, მწამებლად და სექტის პრეზიდენტად დაინახა. სააკაშვილს და მის მთავრობას პატიმრების გაუპატიურება, მათი ტანჯვა-წამება, კისრამდე ნეხვში ჯდომა, შეურაცხყოფილი გდება და მისი ღირსების ფეხქვეშ გათელვა არ შერჩება. ხაინდრავას კომბლების ნაცვლად მათ საკუთარ თავს გამოუწერეს ცოცხები და პრეზერვატივწამოცმული „დუბინკები" და აღარ არსებობს იმაზე მეტი კომპრომატი, რომელიც შესაძლოა ხელისუფლებამ ოპოზიციას დაუდოს. მამაკაცების გაუპატიურების საპირწონედ დღეს საქართველოში ველარავინ ვერაფერს ვერ დადებს, რადგან ამაყი ქართველი კაცისთვის იქ მთავრდება ყველაფერი, როდესაც მის ღირსებას ასეთ დონეზე შეურაცხყოფენ... ილოცე, მიშა, თუ კიდევ შეგრჩენია რამე ქრისტიანული, ადამიანური, რომ შენ და შენს გუნდს ეს მწვალებლობა ბუმერანგივით არ შემოგიბრუნდეთ.

„წინააღმდეგობის მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი — სოსო მანჯავიძე, „ქრონიკის" მკითხველს მუდმივად ეუბნებოდა, რომ არჩევნებამდე მოხდებოდა ამ ხელისუფლების წელში გადატეხა. მისმა თანამებრძოლმა და მედიაკავშირ „ობიექტივის" ხელმძღვანელმა — ირმა ინაშვილმა ითავა საუკუნის კომპრომატის გამოაშკარავება. დღეს თქვენ სოსო მანჯავიძისგან შეიტყობთ, თუ რა მზაკვრული გეგმისთვის ემზადება ხელისუფლება და თუკი ამ ნაბიჯზე წავლენ, რა შესაძლო სცენარით განვითარდება მოვლენები.



**„მოძღვრები გამოდიან და ამბობენ, რომ პატიმრები აღსარებას გვაბარებდნენ და ვიცოდით, რომ მათ აუპატიურებდნენ, მაგრამ ამას ხომ არ ვიტყოდითო?!.**

**წარმოიდგინეთ, ადამიანი გეუბნება, მაუპატიურებენო და მოძღვარი დუმს. რა ჰქვია ამას?!. თანაც, ამ ყველაფერს სისტემატური ხასიათი ჰქონდა. უნდა მოწვეულიყო სინოდი, უნდა შეკრებილიყვნენ ის მღვდელმსახურები, ვისაც ჩააბარეს პატიმრებმა აღსარება და უნდა მომხდარიყო გამუდმებით ამ ყველაფრის განხილვა!"**

**„სხვათა შორის, სააკაშვილმა თქვა, — ქურდები ხომ იყვნენ, ახლა იარონ ცოცხითო!!!"**

**— პატიმართა გაუპატიურებისა და წამების კადრებმა 100 გრადუსით შეცვალა მოცემულობა. საზოგადოება ძალიან დათრგუნულია. პირადად მე ასე მგონია, რომ სრულიად ქართველ კაცებს მიაყენეს შეურაცხყოფა, ზოგი მათგანი ამ ხელისუფლების მსხვერპლი მგონია, ზოგი — მწვალებელი. ქართულ საზოგადოებას ახლა ეძლევა შანსი, დაამტკიცოს, რომ მათთვის ღირსება მთავარია. ხელისუფლებამ, რომელმაც ქართველი კაცი მორალურად შეცვალა, დაგვიკანონა ჩაშვება, ბოზობა, ახლა სააკაშვილი უთავმოყვარეოდ უმტკიცებს საზოგადოებას, რომ შევარდნაძის დროსაც ხდებოდა ციხეებში კაცების გაუპატიურებაო...**

— სააკაშვილი არის გარეწარი, პირდაპირ ვადებ ხელს, რომ მისი შეკვეთით ხდებოდა ეს ყველაფერი. სააკაშვილს რომ დავაპატიმრებთ, ვალაპარაკებთ, რა და როგორ ხდებოდა, მაგ არამზადას და გარეწარს. რამდენი ხანია, ამას ვამბობთ, რომ ეს არის დანაშაულებრივი გუნდი, მწვალებელთა სექტაა. ეს რეალობის გრძნობას მოკლებული ხალხი, ეს „მერე რა მოხდა" მანიაკები, როცა ვეუბნებოდი, არ შეიძლება მშვიდად იჯდე, როცა სისტემატურად აუპატიურებენ 16 წლის ბავშვს, ისხდნენ და ისეთი თვალებით გიყურებდნენ, თითქოს ის კი არ არის საგანგაშო, რომ ბავშვს აუპატიურებენ, არამედ ისაა საგანგაშო, მე რომ ამას ვლაპარაკობ. და საერთოდ, მე რომ ამას ვლაპარაკობ, ესე იგი, რადიკალი ვარ.

**— საპატიმროებში შედიოდნენ სასულიერო პირები, მეტ-ნაკლებად, მათ ჰქონდათ ინფორმაცია აუტანელ წამებასა და გაუპატიურებასთან დაკავშირებით. რატომ არ იმოქმედა ეკლესიამ ამ ქმედების წინააღმდეგ? მეტიც, პატრიარქის 21 სექტემბრის განცხადებამ საზოგადოება დააბნია, როცა თქვა, რომ მსგავსი რამ სხვა ქვეყნებშიც ხდება და ეს ხალხმა და ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს ქვეყნის შიგნითო. მართალია, ამას მოჰყვა საპატრიარქოს განმარტება, სამაგიეროდ, სააკაშვილმა ისარგებლა ვერაგულად.**

— საერთოდ, ძალიან მძიმე მდგომარეობა გვაქვს, ხანდახან საღამოობით ვიკრიბებოდით და ერთმანეთს ვეუბნებოდით, — ან ჩვენ გავგიჟდით, ან ეს ხალხი... რუსთაველზე მიტინგების დროს ათჯერ გამოვაცხადეთ ჯალათების სიები, მეტიც, გამოვაკარით მათი სიები, რასაც მოჰყვა უარესი შედეგი. ყველგან ვაფიქსირებდით, რომ პატიმრებს აწამებდნენ, აუპატიურებდნენ, ამას ვსაუბრობდით სასულიერო პირებთან და ეს თვითონაც კარგად იცოდნენ. ერთი გაუპატიურებული ბავშვის ცოდვა არ მოასვენებს არავის, ვინც ამის შესახებ იცოდა, დადუმდა. რაც ეს კადრები ვნახე, მართალი გითხრათ, ღამეები არ მძინებია, სისხლი გამიშრა. ერთი სული გვქონდა, რაც შეიძლებოდა სწრაფად მომხდარიყო ამ ხალხის განთავისუფლება წამებისგან და კადრების ჩვენება, მაგრამ ამას ჰქონდა თავისი პროცედურა გასავლელი და ჭკვიანები რომ გამოხტებიან და მორალს კითხულობენ, მათ მივმართავ, — ერთად შეიკრიბეთ და ყველა მოდით აქ ჩემთან. ათასი რომ იყოთ, მე ერთი დაგხვდებით, თქვე მართლა გარეწრებო. ნუთუ, ვერ ხვდებით, ამის მოპოვებას რა დასჭირდა?! ნუთუ, ვერ ფიქრობთ იმაზე, რომ ამის გაჟღერებისთვის, ტრანსპორტირებისთვის, ევროსტრუქტურებში ჩვენებისთვის, შედეგების დადგომისთვის შეიძლებოდა, რომ მოვეკალით?! საზოგადოების რეაქცია იყო გასაკვირი, როცა კითხვები დაისვა, — საიდან მოიპოვეთ ეს მასალა?!. როცა მოიპოვეთ, მაშინვე რატომ არ გაუშვითო? სად გაგვეჟღერებინა ეს ამბავი, პროკურატურაში მიგვეტანა? ვააშკარავებდით, ჩვენ ამას ყველგან ვამბობდით, „ობიექტივის" საიტზე შედით და იქ ნახავთ, 56 მიცვალებულის სურათი დევს, ვყვებოდით, როგორ გამოჰყავდათ მუცელგაფატრული და თავგაჩეხილი პატიმრები, კაციშვილი ყურადღებას არ გვაქცევდა. როცა რეჟიმი ამ კადრების წყალობით გადატყდა და როცა მოგვეცა საშუალება, უსისხლოდ მოვიშოროთ ეს საშინელი რეჟიმი, ბედნიერი ვარ, რომ ამ საქმეში ვმონაწილეობ ირმა ინაშვილთან და თარხან-მოურავთან ერთად. ახლა ზოგიერთი გამოდის და ამბობს, — აი, ეს კადრები რომ გამოჩნდა, ამის გამო აღშფოთებას გამოთქვამენ, თითქოს არ აქამდე იცოდნენ, რა ხდებოდა. მოძღვრები გამოდიან და ამბობენ, რომ პატიმრები აღსარებას გვაბარებდნენ და ვიცოდით, რომ მათ აუპატიურებდნენ, მაგრამ ამას ხომ არ ვიტყოდითო?.. მართალი გითხრათ, ჩემთვის ძალიან ძნელია ამას რამე ინტერპრეტაცია მივცე. საკმაოდ ვნერვიულობ და არ მინდა, ახლა ამ საკითხზე შეფასებები გავაკეთო. წარმოიდგინეთ, ადამიანი გეუბნება, მაუპატიურებენო და მოძღვარი დუმს. რა ჰქვია ამას?!. თანაც, ამ ყველაფერს სისტემატური ხასიათი ჰქონდა. უნდა მოწვეულიყო სინოდი, უნდა შეკრებილიყვნენ ის მღვდელმსახურები, ვისაც ჩააბარეს პატიმრებმა აღსარება და უნდა მომხდარიყო გამუდმებით ამ ყველაფრის განხილვა. ეს არის შენი მრევლი, ჩვენი ერის ახალგაზრდობას სულ ტყუილუბრალოდ სვამენ ციხეში, აუპატიურებენ და რყვნიან მათ სულებს. გეკითხებით, განა რის ფასად ღირს ეს დუმილი?!. რად გადააქციეს ჩვენი რელიგია?! რა ჰგონიათ ამათ მართლმადიდებლობა?!. ეს რაც ნახეთ, არის აისბერგის ზედა ნაწილი, ძალიან მცირე, მე თქვენ გეუბნებით, რომ მიმდინარეობდა სისტემური, მიზანმიმართული, მორალური განადგურება მთელი ერის, ჯერ ხდებოდა მიზანმიმართული კრიმინალიზაცია, შემდეგ ციხეებში ამ ხალხის გატეხვა, ახალგაზრდობის მასობრივი გაუპატიურებები, რომლის შესახებაც ყველამ ყველაფერი იცოდა. ამაზე იღებდნენ კადრებს და უყურებდნენ. ამას უყურებდნენ უმაღლესი თანამდებობის პირები, ბაჩო ახალაიდან დაწყებული, სააკაშვილით დამთავრებული. სხვათა შორის, სააკაშვილმა თქვა, — ქურდები ხომ იყვნენ, ახლა იარონ ცოცხითო. თვითონ ჰქონდა ნანახი ის კადრები, რომლებიც თქვენ ნახეთ, კაცო!.. მისთვის იღებდნენ ამ კადრებს, მისთვის, გაიგეთ, ადამიანებო!.. უკანალში ცოცხგარჭობილები შევყავდით სააკაშვილს ნატოში?.. ეს ხომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს? რა ნატო, რის ნატო?!. ქვეყანაში არის საკონცენტრაციო ბანაკები, რომელ ნატოზეა ლაპარაკი?! ვინც სერიოზულად ფიქრობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა" შესაძლოა დარჩეს პარლამენტში და მათთან უნდა გაიმართოს პოლიტიკური დებატები, მე მიმაჩნია, რომ ეს არის აბსოლუტური აბსურდი, „ნაციონალური მოძრაობა" კი არა, ამ რეჟიმის მოყვანაში ვისაც რამე წვლილი მიუძღვის, მათი პოლიტიკური ხელშემწყობები ყველა უნდა ჩამოსცილდეს პოლიტიკურ ასპარეზს! მე პირადად გპირდებით, რომ ამას მივაღწევ, რაც შეგპირდით, ხომ შესრულდა?.. ახლა კიდევ, თქვენი გაზეთით ვეუბნები მათ, ვისაც ჰგონია, რომ იქნებიან სითბოში და ჩრდილში, რომ შობენ ახალ ნეოლიბერალურ მონსტრს, აღარ გამოგივათ ეს ამბავი, სტუდენტური ტალღის წიაღში ცდილობენ ახალი ლიდერები წარმოაჩინონ, ვითომ ლიბერალური მიმდინარეობით. „თავისუფალი



**- ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბაჩო ახალაია ციხის ბადრაგებს ბრძანებას აძლევდა, რომ პატიმართან მისული ცოლები მათ გაეუპატიურებინათ და ისე შეეგზავნათ საკუთარ ქმრებთან... შეიძლება ამის ამსახველი ვიდეოც რომ გამოქვეყნდეს?**

– მეტსაც გეტყვით, – ამ საქმეში უშუალოდ თვითონ მონაწილეობდა ბაჩო ახალაია... არათუ ავალებდა, ბაჩო ახალაია თვითონ მონაწილეობდა, გიმეორებთ!.. პატიმრებმა ამ საკითხთან დაკავშირებით პირდაპირ ჩვენებები მისცეს.

ინსტიტუტიდან" დაფრთიანებული ადამიანებისა და მათგან დაფინანსებული ადამიანების აქტიურობას ვხედავ, ვითომ ახლა აღშფოთდნენ და არ იცოდნენ აქამდე, რა ხდებოდა. ტულუშის თამადობით, ყველამ ყველაფერი იცოდა. ახლა რომ გააქტიურდა თამარ ჩუგოშვილი, „საია", არ იცოდა, რა ხდებოდა ქართულ ციხეებში?.. დავარცხნილ შეფასებებს რომ იძლეოდა ამერიკის საელჩოს შეკვეთით. ყველამ ვიცით, ვისგან ფინანსდებიან ესენი, ასევე ყველაფერი კარგად იცოდნენ მათ, ტყუილად რომ ყელყელაობენ, ისინიც მხილებულნი იქნებიან. ჩვენ აუცილებლად ვამხელთ მათ, მე ყოველთვის ვამბობდი, რომ საქართველო გადაიქცა ნეოლიბერალური ექსპერიმენტის პოლიგონად. ეს არის ფაშიზმი, ფაშისტები კი უბრძოლველად არ ტოვებენ ხელისუფლებას, რადგან ეს მათთვის სიცოცხლის დათმობას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, ამ ფაშისტური ხელისუფლებისგან უნდა ველოდოთ ახალ სიურპრიზებს.

**— როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი ამ სკანდალურ კადრებს რას დაუპირისპირებს? როგორც ჩანს, ეს კვირა იქნება სრული საგიჟეთი. რა სავარაუდო დარტყმებს მიაყენებს სააკაშვილი კოალიცია „ქართულ ოცნებას" და ხალხს?**

– რა დარტყმას მიაყენებს ხალხს, ეს ჩვენ უკვე დავინახეთ, როცა მან დააპატიმრა მანიფესტაციის მონაწილე ახალგაზრდები. ეს არის ოპოზიციის არასწორი მოქმედებების შედეგი, მათ უარი თქვეს სიტუაციის მართვაზე და ქუჩა მიუშვეს სტუდენტების ამარა, ჩვენ მეტი რა უნდა გაგვეკეთებინა, ხელისუფლებაში სამი დღე ისეთი დაბნეულობა იყო, რომ ძლივს მოდის ხელისუფლება გონზე. კადრების გამოქვეყნებიდან სამი დღე ხელისუფლება იმ დონის დაბნეული იყო, რომ მათი აგენტურა და მოსმენების სამსახური გაჩერდა. აგენტურამ არ იცოდა, რა ექნა, ხალხი გამორბოდა „ნაციონალური მოძრაობიდან", ოფისებს კეტავდნენ. მას შემდეგ, რაც გაკეთდა ცნობილი განცხადებები, ბატონმა ბიძინამაც თქვა, რომ მივიდეთ მშვიდად არჩევნებამდეო, მუხტი მინელდა. ქუჩა და არჩევნები ერთმანეთს არ გამორიცხავს. ეს ხელისუფლება ახლა არის აბსოლუტურად დემორალიზებული, არჩევნები მას ამ კადრებამდე მოგებული ჰქონდა, „ოცნების" მხარეს იყო საშინელი მდგომარეობა. „ნაცებს" ჰქონდათ სრული საერთაშორისო მხარდაჭერა, ჩამოვიდა უამრავი მაღალი საერთაშორისო დონის ჩინოვნიკი. ასევე იყო ფულე, მაგრამ როცა ფულემ ნახა ეს კადრები, გამწარებულმა ჭიქა ისროლა და იძახდა, – ეს როგორ მომატყუესო?!. მისი ლობისტებიც კი ველარ ილებენ ხმას. ჩვენ ასევე გავგზავნეთ ფაილები ჯონ მაკკეინთან და სხვა მაღალი რანგის ადამიანებთან. სააკაშვილს ეს არჩევნები წაგებული აქვს, მაგრამ საქმე ის არის, აბსოლუტურად დემორალიზებული სააკაშვილი მეტს ველარაფერს ვერ გააკეთებს, მაგრამ საჭირო იყო პრესინგი, რათა არ გაებედა მოქმედებები. შხამიან გველს რომ თავში ქვას ჩაარტყამ, გაბრუებულია, მას მეორე და დიდი ქვა უნდა მიაყოლო და გაუჭეჭყო ის თავი, რომ შხამი ველარ გადმოანთხიოს. ეს გველი კი გაბრუვდა, მაგრამ არ მოკვდა და ახლა, ამ შხამდაგროვებულმა სააკაშვილმა შეიძლება ისე გვიკბინოს, რომ ქვეყანას სერიოზული ზარალი მიადგეს. მე ჩემს თავზე არ ვზრუნავ, არ ვარ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი. ჩვენ არ ვართ პოლიტიკოსები, „წინაალმდეგობის მოძრაობამ" უარი ვთქვით ამაზე. თუმცა მიუხედავად ამისა, თქვენ ხედავთ, რა რესურსები გვაქვს. პოლიტიკურ პარტიად რომ ჩამოვყალიბებულიყავით და მიგველო არჩევნებში მონაწილეობა, იმასაც ვხვდებით, რომ რეიტინგი გვექნებოდა, მაგრამ ამაზე უარი ვთქვით. მე ამ სიტუაციაში ჩავები იმიტომ, რომ აშკარა იყო ქვეყნის ეგზისტენციალური საფრთხე. ძალიან კარგად ვიცი, ესენი ვინც არიან. ვიცი, რასაც აპირებდნენ, მათგან გამიგია. ისიც ვიცი, სად იკრიბებოდნენ, რაზე ლაპარაკობდნენ ხელისუფლებაში მოსვლის დროს, ისევ მათგან მაქვს ინფორმაცია...



**— რა ინფორმაცია გაქვთ, რის გაკეთებას აპირებდნენ?**

– ესენი აპირებდნენ ქვეყნის შუა ფენის მთლიანად განადგურებას. 2003 წელს ასეთი საუბრები იყო, რომ ქართველ კაცს 10000 დოლარზე მეტი არ უნდა ჰქონდეს მთელი თავისი ცხოვრება საბანკო ანგარიშზე. თუ ის გადააჭარბებდა 10000 დოლარს, მაშინ ის უნდა ეკონომიკურად გაენადგურებინათ. ასევე იმას ამბობდნენ, რომ 30 წლის მანძილზე ხელს ვერავინ დააკარებთ, გარანტირებული „კრიშა" აქვთ ამერიკიდან, რომ ესენი აუცილებლად დაანგრევენ საქართველოს ეკლესიას შიგნიდან. მოისყიდიან შიგნიდან აგენტებს და დააკომპრომირებენ... ლაპარაკია ადეიშვილზე, სააკაშვილზე, მერაბიშვილზე, ბოკერიაზე, რამიშვილზე, რომელიც არის პირდაპირ საქართველოს მტერი, თვითონაც არ მალავს, რომ ქართულ საჭმელსაც კი ვერ იტანს. ესენი არიან სექტანტები. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ მასალის გამოქვეყნების შემდეგ ხელისუფლება სათავეში დარჩებოდა.

**— ეს იქნება ყველაზე დაძაბული და ყველაზე მტკივნეული კვირა. თქვენი აზრით, რა კომპრომატების გამოქვეყნებას უნდა ველოდოთ ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციის მისამართით?**

– კონკრეტული ინფორმაცია ამის შესახებ არ მაქვს, თუმცა გეტყვით ჩემს ვარაუდს. ეს იქნება ფილმი, კოალიცია „ქართულ ოცნებაში" მყოფი ადამიანების შესახებ...

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ამით მოხდება ივანიშვილის დისკრედიტაცია?**

– ბიძინა ივანიშვილზე ამათ არაფერი არ აქვთ. პირდაპირ გეუბნებით.

**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბაჩო ახალაია ციხის ბადრაგებს ბრძანებას აძლევდა, რომ პატიმართან მისული ცოლები მათ გაეუპატიურებინათ და ისე შეეგზავნათ საკუთარ ქმრებთან... შეიძლება ამის ამსახველი ვიდეოც რომ გამოქვეყნდეს?**

– მეტსაც გეტყვით, – ამ საქმეში უშუალოდ თვითონ მონაწილეობდა ბაჩო ახალაია... არათუ ავალებდა, ბაჩო ახალაია თვითონ მონაწილეობდა, გიმეორებთ!.. პატიმრებმა ამ საკითხთან დაკავშირებით პირდაპირ ჩვენებები მისცეს. პირადად მე შევდივარ მე-8 საპყრობილეში, საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭო უნდა შეიქმნას. ახლა ამის ორგანიზების პროცესში ვარ, რაც ორშაბათს ალბათ უკვე გამოცხადდება. ხელისუფლება შეეცდება, ახლა ვითარების დისკრედიტაცია მოახდინოს. როცა ჩვენ ასეთ მამხილებელ ფაქტებს ვდებთ, ისმის კითხვა, – რას აკეთებს ამ დროს ხელისუფლება?.. ცხადია, ის გულხელდაკრეფილი არ ზის. მე გეტყვით მნიშვნელოვან ინფორმაციას, – ხელისუფლება ცდილობს, გამოიწვიოს ციხის ბუნტი მისი აგენტურის მეშვეობით. გაზეთ „ქრონიკის" საშუალებით ვაკეთებ ოფიციალურ განცხადებას, – ხელისუფლება ცდილობს, ციხის ბუნტი გამოიწვიოს, იგეგმება სპეცდანიშნულების რაზმის შეყვანა, იქნება მსხვერპლი, ასევე ხელისუფლება ეხვეწება რუსეთს, რომ აქ




მოაწყოს რამე პროვოკაცია ცხინვალთან, იმ მხარეს დაეშვა სამხედრო ვერტმფრენი...

**— ამბობენ, რომ ამ ვერტმფრენით სახელისუფლებო პირი წაიყვანეს. ეს ინფორმაცია რეალურია? საუბარია, რომ ბაჩო ახალაია გააპარეს ქვეყნიდან...**

– სამხედრო ვერტმფრენის დაშვება იყო ჩვეულებრივი პროვოკაცია, დამიჯერეთ, რუსეთს საქართველოში, ჯერჯერობით, სააკაშვილი აწყობს. ამიტომ, როდესაც სააკაშვილს გაუჭირდება ხოლმე, ისინი ქმნიან ესკალაციის იმიტაციას. გალში ჩაბანოვისა და სააკაშვილის სცენა ხომ გახსოვთ, როცა სააკაშვილი ე. წ. „გმირულად" მიეჭრა რუს „დესანტნიკებს" და ვითომ უკან დაახევინა... პირდაპირ იყო შეთანხმება და ასეთ დაძაბულობას რუსეთი სააკაშვილის თხოვნით ქმნის ხოლმე. ამიტომ, თუ სააკაშვილს ძალიან გაუჭირდა, უნდა ველოდოთ პროვოკაციას რუსეთის მხრიდან, რის შემდეგაც სააკაშვილი იტყვის, რომ რუსეთი და ივანიშვილი გვებრძვის... და თუ ამ ნაბიჯზე წავა, კიდევ ერთხელ დაადასტურებს, რომ რუსეთთან ეს პროვოკაცია სააკაშვილმა ჩააწყო მისი ბიძის – თემურ ალასანიას მეშვეობით რუსეთის უშიშროებასთან. თუ არ მოხდა სააკაშვილის გადატეხვა ხერხემალში მორალურად, მაშინ ის გაიმარჯვებს ამ არჩევნებში. ახლა გეტყვით, რომ სააკაშვილის მორალურად გადატეხვის ოპერაცია წარმატებით ჩატარებულია, ის ველარ აღიდგენს თავის უძლეველობას, სააკაშვილი მორალურად დამსხვრეულია, მისი სხვადასხვა ნაწილები რაღაცებს ყვირიან... მორალური უპირატესობის განცდა მას აღარ აქვს, რაც აქამდე ჰქონდა უძლეველობის განცდა. ახლა ისინი არიან ინერციით, ახლა მთავარია მათზე განხორციელდეს საზოგადოებრივი ზეწოლა, მოთხოვნები უნდა იყოს ხელისუფლების გადადგომის, „ნაციონალური მოძრაობის" აკრძალვის, არჩევნებამდე უნდა მივიდეთ ისე, რომ „ნაციონალური მოძრაობის" მხარდაჭერა უნდა ითვლებოდეს უდიდეს სირცხვილად. ის, რაც, ვაჩვენეთ, აბსოლუტურად საკმარისია იმისთვის, რათა საზოგადოება დარაზმოს. ჩვენ ნამდვილად არ ვა-[illegible] საზოგადოებას ვაჩვენოთ ის, თუ როგორ [illegible] ციხეებში, ეს არის ამაზრზენი და გულისამრევი. ამის შემდეგ საზოგადოება შოკიდან ძალიან დიდი ხანი ვერ გამოვა. ეს მასალები არის ევროსტრუქტურებში, როგორც მტკიცებულება და ამ საქმეს ხელმძღვანელობენ იქაური უფლებადამცველი და იურიდიული სფეროს ვარსკვლავები. ჩვენ რომ სულ გაგვაქრონ აქედან, ამ პროცესს ველარავინ გააჩერებს. ამიტომ მოვუწოდებ, – მშვიდად იყვნენ, „კუდის" თანამშრომლები ტყუილად ნუ გვითვალთვალებენ, გონს მოეგეთ, თორემ უფრო მეტად შეგრცხვებათ თქვენი საქციელის. ვინც ამ კანიბალიზმში არ მონაწილეობდა, მათ ვერ მოვიძულებთ, ხომ არ შეიძლება, მართლაც მთელი ერი მოვიძულოთ?.. ამიტომ მე და ჩემს მეგობრებს ვინც გვითვალთვალებს, გვისმენს, მათ მოვუწოდებთ, – ნუ გადახვალთ ზღვარს, ნუ შეასრულებენ მანიაკების ბრძანებებს, ვარწმუნებ მათ, რომ ამ ფაქტებზე რეაქცია ძალიან მძიმე იქნება. ვინც მიცნობს, ალბათ, ყველა მიხვდება, რომ ამას სერიოზულად ვამბობ. კი ბატონო, გვითვალთვალონ, მაგრამ ნუ გადავლენ კაცურ ზღვარს. ჩვენი მტრების მიმართაც კი არ გადავსულვართ ზღვარს და ისინიც ნუ გადავლენ. თქვენი გაზეთით მივმართავ, – სისულელეები არ აკეთონ, რადგან მათ პატრონი უკვე აღარ ჰყავთ, ეს იცოდნენ კარგად. სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების მიმართ აგრესიული დამოკიდებულება დასავლეთში ჩამოყალიბებული და ამის ვერბალურ გამოხატულებას მალე დაინახავენ. სულ მალე ყველა გახდება თვითმხილველი, თუ როგორ დასრულდება ეს რეჟიმი.

დიტო ჩუბინიძე
599 64-25-77

მიხეილ სააკაშვილი და მთელი მისი „ნაციონალური“ ხროვა დარეტიანებულია!..

ის ავადსახსენებელი ვიდეოკადრები, რომელიც ქართველმა ხალხმა და მთელმა მსოფლიომ იხილა, ნიშნავს იმას, რომ 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მამათმავლებითა და ნეკროფილებით სავსე საქართველოს ხელისუფლების შანსები, ფაქტობრივად, განულებულია!..

დიახ, რაც უფრო ახლოვდება საქართველოსთვის კიდევ ერთი აპოკალიფსური თარიღი — 1-ლი ოქტომბერი, მით უფრო ხშირად გაისმის ხმები იმის შესახებ, რომ მალე ან სულ მთლად ავშენდებით და ახალი დროის ყიზილბაშებს, რომლებსაც ცალ ხელში ცოცხი უჭირავთ, ხოლო

ლაფერს!.. სააკაშვილის ისედაც არანორმალური ფსიქიკა 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ სულ მთლად მოიშალა, ხოლო 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მისმა ტოტალურმა მარცხმა, როცა ყველა დიდ ქალაქში წააგო არჩევნები და მხოლოდ მანამდე არნახული გაყალბების წყალობით დაიწერა 52 პროცენტი, სააკაშვილი საერთოდ გადაიყვანა ჭკუიდან და

მერაბიშვილსა და ახალაიებს ადამიანების წამების დეტალებს ეკითხებოდა და ტკბებოდა ამით!..(!!!) ფირზე ამ ყველაფრის გადაღებაც იმიტომ ხდებოდა, რომ სააკაშვილი დამტკბარიყო ამის ცქერით!..(!!!) ეს კაცი შეპყრობილია შურისძიების სურვილით, რადგან, ხომ გეუბნებით, 2007 წლის 7 ნოემბრითა და 2008 წლით ძალიან შეურაცხყოფილია!.. გაიხსენოს ყველამ მალხაზ არქანიას წერილი, როგორ აჩვენეს მას კაცის მიერ კაცის გაუპატიურება და მერე

ვილეში, როგორც მოგვიანებით გაირკვა, თურმე დათა ახალაია იყო ფაქტობრივი ხელმძღვანელი იმ ავადსახსენებელი სისტემისა!..

**— ბატონო პეტრე, დაახლოებით ორი თვის წინათ ჩვენი საგაზეთო საუბარი, რომელიც „ალიაში“ დაიბეჭდა, ძალიან ბევრმა ადამიანმა დიდი ინტერესით, მაგრამ, ამავდროულად, დიდი შიშითაც წაიკითხა, რადგან თქვენი პროგნოზი იმის შესახებ, რომ სააკაშვილი ხელისუფლების შესანარჩუნებლად აუცილებლად წავა სისხლისღვრაზე, ფართო საზოგადოე-**

– ვიდრე ეს ავადსახსენებელი და სკანდალური ჩანაწერები გამოქვეყნდებოდა, მქონდა „ნაციონალების“ შიდა წრეებიდან გამოსული ინფორმაცია, რომ შუა რგოლების დონეზე, პირადი კონტაქტების დროს, „ნაციონალები“ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს ხვდებოდნენ და პირდაპირ ეუბნებოდნენ, – თქვენ 80 პროცენტიც რომ აიღოთ, ჩვენ 35 პროცენტზე მეტს ვერ დაგიწერთ და თუ ამას გააპროტესტებთ, მიიღებთ სისხლისღვრასო!.. აი, ასეთი განწყო-

გაუწონასწორებელი და არ მინდა ვთქვა, სიგიჟეს მიახლოებული, მაგრამ, სამაგიეროდ, აგერ არის მერაბიშვილი – რაციონალური, გაწონასწორებული, რომელიც თურმე აბალანსებს სიტუაციას!.. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს! ახლა გეტყვით ერთ ფაქტს, რომელსაც 2008 წლის ომის დაწყებამდე ჩემი ძალიან ახლობელი ადამიანი შეესწრო!.. საქმე ეხება ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილის სატელეფონო საუბარს. ეს კაცი იჯდა მერაბიშვილთან... პარასკევი



## „ცნობილი ამბავია, რომ სააკაშვილი მერაბიშვილსა და ახალაიებს ადამიანების წამების დეტალებს ეკითხებოდა და ტკბებოდა ამით!..(!!!) ფირზე ამ ყველაფრის გადაღებაც იმიტომ ხდებოდა, რომ სააკაშვილი დამტკბარიყო ამის ცქერით!..“

მეორეში — პრეზერვატივწამოცმული „დუბინკა“, ბახტრიონის ციხიდან გავრეკავთ, ანდა საბოლოოდ მოგვეღება ბოლო და გაცხადდება სულმნათი მერაბ კოსტავას სიტყვები, ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე რომ დაგვიბარა ქართველებს, — „ჩვენ თუ არ გავერთიანდებით, განგება ისეთ განსაცდელს მოგვიწყობს, რომ ერთმანეთს ხელების ცეცებით ვეძებდეთ!..“

„ალიას“ ესაუბრება საპარლამენტო ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისათვის“ წევრი — **პეტრე მამრაძე:**

**— ბატონო პეტრე, ეს ის შემთხვევაა, როცა კითხვის დასმასაც აზრი აღარ აქვს, — მთელი ჩვენი საზოგადოება ნანახით შოკირებულია!.. თქვენ რა იცოდით იმ ყველაფრის შესახებ, რაც ციხეებში ხდებოდა?**

– ეს უბედურება დაიწყო ამ ხუთი წლის წინათ, როცა განურჩევლად იმისა, თუ რა თანამდებობაზე იმყოფებოდა ბაჩო ახალაია, სწორედ ის და მისი ძმა – დათა ახალაია აკონტროლებდნენ ციხეებს!.. ეს ყველაფერი კეთდებოდა პირდაპირ სააკაშვილის ბრძანებით!..(!!!)

**— რას ამბობთ, სააკაშვილის ბრძანება იყო, რომ პატიმრები აწამეთ და გააუპატიურეთო?**

– დიახ! ამის შემოქმედი იყო უშუალოდ მიხეილ სააკაშვილი და გეტყვით ყვე-

იგი ქართველ ხალხზე დაიბოლმა!.. თავის ჯალათებს – ახალაიებს, კოდუას, მერაბიშვილსა და სხვებს მან მისცა დავალება, რომ ეწამებინათ, გაენადგურებინათ, კაცობა შეელახათ და ღირსება ჩაეკლათ რიგითი და პატიოსანი ადამიანებისთვის, რომლებმაც გაბედეს და მას არჩევნებში ხმა არ მისცეს!.. ახლა ათამაშებენ ძველ კარტს, – „მერაბიშვილი ყველაფერს გამოასწორებს!“ როგორც მერაბიშვილმა საპატრულო პოლიცია გამოასწორა, ისე გამოასწორებს ციხეებს!.. არ გახსოვთ შარშან, ზაფხულში მერაბიშვილის მაძლარი ხმა, როცა შოთა უტიაშვილს ეკითხებოდა, – შოთა, რა ქენი, ეს ფოტორეპორტიორები ყველა ბოლოდან იხმარე? ანუ ციხეები, რა თქმა უნდა, ახალაიების სფეროა, მაგრამ „მოდულის“ შენობაში რაც ხდებოდა და წინასწარი დაკავების საკნებში რაც ხდებოდა, ამას პირადად მერაბიშვილი და სხვები აკონტროლებდნენ!..

**— ბატონო პეტრე, რატომ იღებდნენ ამ საშინელებებს, რისთვის, ვინ უყურებდა მერე ამას?**

– ეს ყველაფერი კეთდებოდა სააკაშვილის მანიაკალური ბუნების დასაკმაყოფილებლად!..(!!!) ცნობილი ამბავია, რომ სააკაშვილი

თვითონ მას რა გაუკეთეს!.. გაიხსენეთ მფრინავების, ფოტორეპორტიორების საქმეები...

**— მოვლენები ელვის უსწრაფესად იცვლება, — ბაჩო ახალაია — სისტემაში ამ სიბინძურისა და საშინელების დამნერგავი, წავიდა!.. სააკაშვილი ახალაიებს მართლა იშორებს თუ რა ხდება?**

– როგორც სააკაშვილის გუნდიდან მომდიოდა ინფორმაციები, ახალაიებს თავიდან თურმე ვერ მოერივნენ, მაგრამ სააკაშვილის გუნდმა, თავის გადარჩენის მიზნით, როგორც ჩანს, სააკაშვილი აიძულა, წასულიყო ამ ნაბიჯზე. იმ ფონზე, როცა „5“-იანით აჭრელებული მაისურის ჩაცმას ქვეყანაში უკვე ვერავინ ბედავს, სააკაშვილს ასეთი რამ უნდა გამოეცხადებინა ახალაიებისთვის, – ქალაქიდან ვერ გახვალთ მანამ, სანამ გამოძიება არ დამთავრდება, ხოლო მამათქვენი – როლანდი – ზუგდიდში მაჟორიტარად კენჭს ველარ იყრისო!.. ეს არ მოხდა, რაც მაძლევს იმის საფუძვლიან ეჭვს, რომ შესაძლოა, საქმე გვქონდეს იმავე მოვლენასთან, როცა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ერთ-ერთი ორგანიზატორი – დათა ახალაია, მაშინ დროებით გადამალეს, ვითომ მოხსნეს და სინამდ-

**ბას აშფოთებს!.. ამ ხნის განმავლობაში უამრავი რამ მოხდა, მიშას მთელი „ნაცმოძრაობა“ და ხელისუფლება თავზე დაენგრა და კორექტივი ხომ არ შეიტანეთ თქვენს პროგნოზში?**

– მადლობელი ვარ თქვენი და თქვენი გაზეთის იმ ინტერვიუს გამოქვეყნებისთვის, რადგან მაშინ მართლაც ძალიან ბევრი ადამიანი დამიკავშირდა!.. მაშინაც ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, – ხელისუფლება იმოქმედებს იმის მიხედვით, თუ როგორი პერსპექტივა და პროგნოზი ექნება მას. ახლა პროგნოზი ისეთია, რომ 1-ლ ოქტომბრამდე სააკაშვილი, რომელიც კუთხეშია მიმწყვდეული და აბსოლუტურად გაკოტრებულია, მასობრივ რეპრესიებზე ვერ წავა!.. „ნაციონალებმა“ უკვე იციან, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით ისინი „ქართულ ოცნებასთან“ კატასტროფულად აგებენ!.. ის კი არადა, საარჩევნო კომისიებიდან მაქვს ზუსტი ინფორმაცია, – „ნაციონალებისა“ და „ქრისტიან-დემოკრატების“ წარმომადგენლებს უკვე ჩაქნეული აქვთ ხელი, მაგრამ სააკაშვილი, მიუხედავად ამისა, მზად არის წავიდეს ტოტალურ გაყალბებაზე და 1-ლ ოქტომბერს დაიწეროს მისთვის სასურველი ციფრი!..

**— და რომელია თუ რამდენია ეს ციფრი?**

ბა ჰქონდათ ამ ნაძირლებს, მაგრამ ახლა სიტუაცია რადიკალურად შეცვლილია!..

**— კი, მაგრამ, ჯერ ერთი, იმ ქართველს მართლა რა ვუთხარი, ვინც ქუჩაში გამოვა და ბორდიურზე ცხვარივით დადებს თავს, — მოდი, მიშა და მომკალიო!.. მეორე — ასეც რომ არ იყოს, დასავლეთი აქ სისხლისღვრასა და უბედურებას დაუშვებს და შეეგუება?**

– როგორ გეკადრებათ, არავითარ შემთხვევაში არ შეეგუება, მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არაადეკვატურ ადამიანებთან!.. რა თქმა უნდა, რეჟიმის თავკაცებს ვგულისხმობ...

**— ბატონო პეტრე, თქვენ სააკაშვილსა და მის გუნდს ძალიან კარგად იცნობთ და იცით, რა მაინტერესებს? ვინ იღებს სააკაშვილის გუნდში ექსტრემალურ სიტუაციაში გადაწყვეტილებას? მეუბნებიან, თითქოს სააკაშვილს ასეთ დროს არავინ არაფერს ეკითხება...**

– ნურას უკაცრავად, არავითარ შემთხვევაში!.. რაშიც პირადად ჩაერევა, სააკაშვილს იქ „არას“ ვერავინ ვერ ეუბნება, რადგან დღესაც კი ყველას ეშინია მისი!.. მეორე – ჩვენს საზოგადოებაში, რატომღაც, გავრცელებულია ვერსია, რომლის თანახმადაც, თითქოს სააკაშვილი კი არის

ყოფილა, საღამო და რაღაც საკითხი სასწრაფოდ უნდა გადაეწყვიტათ თურმე. მერაბიშვილს დაურეკავს ადეიშვილისთვის და უთქვამს, – ზურა, მოდი, ჩვენს თავზე ავიღოთ და ეს საკითხი გადავწყვიტოთო!.. ადეიშვილი პასუხობს, – კი, ბატონო, გადავწყვიტოთ, მაგრამ მიშა ხომ უნდა ჩავაყენოთ საქმის კურსში, პრეზიდენტს ხომ უნდა შევატყობინოთ, რასაც ვაკეთებთო? არ გაინტერესებთ, მერაბიშვილი რას ეუბნება ამის შემდეგ ადეიშვილს? – ზურა, შენ კარგად იცი, ახლა პარასკევია, საღამო, მიშას ვერც დავუკავშირდებით და რომც დავუკავშირდეთ, ისეთ ფორმაში არ იქნება, რომ რაღაცა გავაგებინოთ და შევაგნებინოთ... დრო კი არ ითმენს, მოდი, ერთად გადავწყვიტოთო!.. ის ჩემი ახლობელი იყო ძალიან გამხნევებული და მეუბნებოდა, – მთლად უპატრონოდ არ ვყოფილვართ მიტოვებული, სააკაშვილის გარდა, თურმე, კიდევ არის ხალხი, ვინც ქვეყანაზე ფიქრობსო!..

**— ბატონო პეტრე, ამბობენ, რომ სააკაშვილი არის ნარკომანი და იგი „წამალზე შეჯდა“ აგვისტოს ომის დღეებში, როცა ძალიან იყო შეშინებული!.. ზოგი ამბობს, მიშა გალოთებულიაო!.. თქვენ რა იცით ამის შესახებ?**

– მიშა არ ლოთობდა და ეს ნამდვილად ვიცი!.. რაც შეეხება მახათას მთაზე მომხდარ ინციდენტს, როცა მიშა აშკარად არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორც მასთან დაახლოებულმა ადამიანებმა მითხრეს, სააკაშვილი საპატრიარქოში უკვე „დატვირთული“ მივიდა თურმე უწმინდესთან, სადაც მას რამდენიმე ჭიქა კონიაკი დაულევია და მთლად „წაშლილა“!.. დამიკონკრეტეს, – ისეთ მდგომარეობაში იყო, არავითარ შემთხვევაში არ წავიყვანდით მახათას მთაზე, გავაქანებდით ან შავნაბადაზე, ან ავლაბრის რეზიდენციაში, ან სხვაგან, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, – სააკაშვილი თავის მანქანაში კი არა, უწმინდესის მანქანაში ჩაჯდა ყველასათვის მოულოდნელად და ასე აღმოჩნდა მახათას მთაზე, სადაც ყველანი ფაქტის წინაშე დავდექით და მასზე კონტროლი დავკარგეთო!..

**— გასაგებია... მაგრამ იმ თქვენს ახლობელს ის არ უთქვამს, თუ რით იყო სულ თავიდან „დატვირთული“ მიშა?**

– ეგ არ დაუკონკრეტებია, მაგრამ ეს სიტყვა ითქვა, – „დატვირთული“ (!!!). გარდა ამისა, შარშანწინ საქართველოში ჩამოსული იყვნენ, არ ვიცი, ესპანელი და არ ვიცი ესპანურენოვანი მედიკოსები, რაღაც საერთაშორისო კონფერენციას ესწრებოდნენ და ქართველ ექიმებთან ჰქონდათ შეხვედრა. მე შემთხვევით შევესწარი ამ საუბარს და უცხოელი ექიმები, რომლებმაც სააკაშვილის გამოსვლა ნახეს, პირდაპირ ამბობდნენ, – მაგის მეტი რა გვინახავს, ეს კაცი აშკარად კოკაინის მომხმარებელი ჩანსო!..(!!!) აი, მე ეს მოვისმინე... რაც შეეხება ქართველ ექიმებს, ქართველი ექიმებისგან ვიცი, – იმის გამო, რომ სააკაშვილი კოკაინს ყნოსავს, ცხვირში კაპილარები უსკდება და საკმაოდ ხშირად სამკურნალოდ დადის თოდუას კლინიკა რომ არის, იმ შენობაში, ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკა თუ განყოფილებაა და აი, იქ!..(!!!) ხაზგასმით ვამბობ, მე ვეყრდნობი ზეპირ ინფორმაციას, რომლის დოკუმენტური გადამოწმებაც ამ ეტაპზე ყოვლად წარმოუდგენელია!.. გაიხსენეთ, რას ეუბნებოდა სააკაშვილი დიმიტრი ლორთქიფანიძეს, – ნარკოშემოწმება ყველამ უნდა გავიაროთო!.. იმის შემდეგ რამდენი ხანი გავიდა და არის რამე შეცვლილი? ბატონო დიტო, ჩვენ ვცხოვრობთ სახელმწიფოში, სადაც სააკაშვილმა ყველას დასანახად სპეციალურ ლაბორატორიაში შარდიც, სისხლიც და თმაც რომც ჩააბაროს, ამის შემდეგ ე. წ. კომპეტენტური დაწესებულება იტყვის, რომ სააკაშვილის ნარკომანობის შესახებ იოტისოდენა ნიშანიც არსად ჩანსო?.. მაგრამ, ერთი მხრივ, მიშას ქცევა და მეორე მხრივ ქართველი და უცხოელი ექიმების შეფასებები გვაძლევს სრულ საფუძველს ვიფიქროთ, რომ სააკაშვილი ნამდვილად არის ნარკოტიკების მომხმარებელი!..



**— ბატონო პეტრე, ვისაუბროთ ორი „რუხი კარდინლის“ — ბოკერიასა და სააკაშვილის ბიძის — თემურ ალასანიას შესახებ!.. მე ვიცი, რომ ბიძას საკმაოდ დიდი გავლენა აქვს თავის დისშვილზე, ბოკერიას პოზიციებიც სერიოზულია... ალასანია და ბოკერია არიან ის ადამიანები, რომლებიც ახლა, ამ ექსტრემალურ სიტუაციაში, როცა ხელისუფლება თავიდან ბოლომდე ბანკროტია, სააკაშვილს სისხლისღვრისკენ მოუწოდებენ?**

– ახლა ისეთი სიტუაციაა, პოლიცია და სპეცრაზმის დიდი ნაწილი, გარდა ციხის სპეცრაზმისა, რომელსაც დარწმუნებული ვარ, ახლაც ბაჩო ახალაია აკონტროლებს, ხალხს არ ესვრის, მაგრამ ამ ნაძირლებს საკმარისი მკვლელები ჰყავთ იმისთვის, რომ ქვეყანაში დიდი უბედურება დაატრიალონ!.. რაც შეეხება ხმებს ბოკერიას „რუხი კარდინალობის“ შესახებ, ეს აშკარად გადაჭარბებულად მიმაჩნია!.. მე, მაგალითად, დანამდვილებით ვიცი, რომ 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის შესახებ ბოკერიამ ტელეფონით შეიტყო!.. ეს ვიცი იმ ადამიანისგან, ვინც მაშინ ბოკერიას კაბინეტში იჯდა. გარდა ამისა, ბიძინა ივანიშვილისგან ვიცით, რომ მან ძლივს მოახერხა და ბოკერია გადაარწმუნა, რომ არ შეიძლებოდა ცხინვალში ომის დაწყება!.. საუბარია 2007 გაზაფხულზე... ბოკერიას ყოველთვის მაინც პარტიის იდეოლოგის ხაზი ეჭირა, მაგრამ ეს იდეოლოგიაც თავიდან ბოლომდე გაკოტრებულია უკვე, რადგან ლინკოლნ მიტჩელმა, – ძალიან ცნობილმა ექსპერტმა ღიად დაწერა – პუტინის აგენტი ვერ გაუკეთებდა რუსეთს იმდენს, რაც პუტინსა და რუსეთს სააკაშვილმა გაუკეთაო!..(!!!) აღარაფერს ვამბობ იმ სკანდალურ ვიდეოებზე, რომელმაც ეს ხელისუფლება დაანგრია!.. რაც შეეხება თემურ ალასანიას, – ჟვანიას სიცოცხლეში სააკაშვილს ბიძამისი გარიყული ჰყავდა. შესაძლოა, ეს ჟვანიასთვის თვალის ახვევის მიზნით კეთდებოდა, მაგრამ ახლა სიტუაცია რადიკალურად შეცვლილია და მიუხედავად იმისა, რომ ამ კაცს საშინლად აქვს გატეხილი სახელი, თემურ ალასანიას საგარეო საქმეთა სამინისტროში მრჩევლად ნიშნავენ!.. ეს ის კაცია, რომელიც 2008 წელს თბილისის აეროპორტში რომ ჩამოფრინდა, სირბილით გავარდა თავისი მანქანისკენ, ბავშვობის მეგობრებს არც კი მიესალმა. მეც ვიჯექი მაშინ აეროპორტის დარბაზში და ყველა გაკვირვებული კითხულობდა, – რა ხდება, ეს ხალხი სად გარბისო?! თემურ ალასანია ის კაცია, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ყველას და მათ შორის გია არსენიშვილს ეუბნებოდა, – ამერიკელების ბრძანებისა და დასტურის გარეშე მიშა ვერასოდეს ვერ დაიწყებს ვერანაირ ოპერაციასო!... რაკი სააკაშვილმა ცხინვალს დაარტყა, ცხონებული გია არსენიშვილი დარწმუნებული იყო, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა ამერიკელების ნებართვითა და მხარდაჭერით!.. როცა მერე ყველაფერი დაინახა, კაცი კინაღამ გადაირია და, ფაქტობრივად, ნერვიულობით შეეწირა ამ ამბავს კიდეც. თემურ ალასანია არის უბნელესი ფიგურა და, საერთო აზრის თანახმად, ის არის „კაგებეს“ თანამშრომელი ახალგაზრდული წლებიდან. ეს რომ ასე არ იყოს, „მიმოში“ ვერავინ ჩააბარებდა და ვერც რუსეთის კვოტით მოხვდებოდა ვინმე გაეროში სამხედრო შესყიდვების განყოფილებაში მაღალ თანამდებობაზე!..



**— ძალიან საინტერესოა... მოსალოდნელი არეულობისა და შესაძლო სისხლისღვრის თემაა ძალიან მნიშვნელოვანი და კიდევ ერთხელ იმიტომაც ვუკირკიტებ ამ საკითხს!.. ბოლოს და ბოლოს, სააკაშვილი რა შემთხვევაში გარისკავს?**

– გიმეორებთ, თუ მის ძალაუფლებას რეალური საფრთხე დაემუქრება, ის აუცილებლად მიმართავს მასობრივ რეპრესიებს!.. ამას ისიც ადასტურებს, რომ ყოველდღე გვიცხადებენ ტელევიზიით, – სპეცრაზმები განსაკუთრებულ რეჟიმზე არიან გადასულებიო!... თბილისელები, სპორტსმენები, ჩემი ძველი ნაცნობები მეუბნებიან, რომ თბილისის ბევრ სპორტულ დარბაზში ახალგაზრდებს ავარჯიშებენ ხელკეტებითა და ფარებით მიტინგების დარბევაშიო!..(!!!) ამაში ისინი ღებულობენ ფულს და ფულის გულისათვის ყველაფერზე მიდიან!.. ნაცნობები მეუბნებიან, რომ უკლებლივ ყველა ზონდერბანდა – რურუების, ბასიშვილის, უდესიანისა და სხვების, ორი ახალი გვარი მითხრეს და ვერ დავიმახსოვრე, არის მობილიზებული!..

**— ბატონო პეტრე, მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თქვენ აქედანვე შეგუებული ხართ, რომ სააკაშვილის მიერ ტოტალურად გაყალბებულ არჩევნებს, უცხოელი დამკვირვებლები, რომლებიც აქ რას აკვირდებიან, კაციშვილმა არ იცის, ხელისუფლებას „გაუპრავებენ“?**

– არა და არა! ყველაფერი დამოკიდებული იქნება ერთ რამეზე: თუ ხალხი სპონტანურად გამოვა ქუჩაში და უცხოელები დაინახავენ, რომ ეს ხალხი გამჩერებელი არ არის, მე დამიჯერეთ, რომ აბსოლუტურად ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია ერთხმად იტყვის იმას, რომ საქართველოში ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა!..

**— ე. ი. თქვენ მაინც უბედურებასა და არეულობას პროგნოზირებთ, არა?**

– მე გიპასუხებთ ფილიპ დიმიტროვის სიტყვებით, – თუ ხელისუფლება დაარღვევს კანონს, ხალხი გამოვა ქუჩაში, რაც მოხდა კიდეც!.. პატიმრებისა და ბავშვების გამაუპატიურებელი ხელისუფლება კი აპრიორი არღვევს კანონს და ეს იმას ნიშნავს, რომ სიტუაცია გართულდება!.. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მოსახლეობას, – ხელისუფლების მიერ დაგეგმილ პროვოკაციებს შევხვდეთ ზუსტად ისეთივე სიმშვიდით, როგორი სიმშვიდითაც მე შევხვდი კაკო ბობოხიძის თავდასხმას, როცა ის პარლამენტში მომვარადა, ყვიროდა, მირტყამდა და მე კი მისკენ საერთოდ არ გამიხედავს!..

**— ბატონო პეტრე, მე ვიცი, რომ თქვენ ძველი მოკრივე ხართ და ბობოხიძეს ერთი პუკი ვერ ატაკეთ?**

– სწორედ მაგის გამო არ მივაქციე ყურადღება და არც ერთხელ მის მხარეს მე არ გამიხედავს!.. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ხალხი, ჩვენი მოსახლეობა, სააკაშვილის მიერ დაგეგმილ და მოწყობილ პროვოკაციებს არ აჰყვეს, თორემ შედეგები ქვეყნისთვის კატასტროფული იქნება! სააკაშვილისთვის ეს არჩევნები იქნება კატასტროფა, როგორმე არჩევნებამდე უნდა მივიდეთ!..

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

„ქრონიკას" ესაუბრება სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში, ლალი მოროშკინა.



**— ლალი, შენ პირველივე დღიდან არ მოსცილებიხარ გლდანის საპყრობილეს და 21 სექტემბერს შენობაშიც შეგიშვეს. ვიცი, ძალიან ძნელია ნანახის გადმოცემა, მაგრამ შეეცადე, როგორმე აღწერო ის მძიმე სურათი.**

– როგორც კი გაჩნდა ინფორმაცია, რომ გლდანის საპყრობილეში არიან მოკლულები, ნაწამები, გაუბედურებული, გაუპატიურებული ადამიანები, მაშინვე გავჩნდი ადგილზე. მოგვიანებით, ანუ ღამე დავრჩით მე და დაახლოებით 50-კაციანი ჯგუფი ახალგაზრდებისა. პირველი მოთხოვნა იყო კალმახელიძის გადადგომა, ამ მიზნით შიმშილიც გამოვაცხადე და, სხვათა შორის, გამიკვირდა, რომ რეაქცია იყო ასეთი მომენტალური, დილით ის უკვე გადაყენებული იყო.

**— ეს ყველაფერი უკვე გაშუქდა და საზოგადოებამ, ასე თუ ისე, იცის, შენ ის მითხარი, რაც ჯერ კიდევ არავინ იცის.**

– როგორც კი ვანო მერაბიშვილმა სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლებს უთხრა, შედით ციხეში და გააკონტროლეთო, მაშინვე მივხვდი, რომ მზადდებოდა მორიგი სპექტაკლი. ამის შემდეგ გრძელდება კვლავ დუმილი და მხოლოდ მესამე დღეს გამოჩნდა გიორგი ტულუში უკვე მინისტრის რანგში სახელისუფლებო ტელევიზიების ჟურნალისტებთან ერთად. მანამდე, როცა სიტუაცია დაიძაბა, როცა ათასზე მეტი ახალგაზრდა მოვიდა, როცა პატიმრების მშობლებმა კედლებზე დაიწყეს თავების ხათქუნი, „მაესტროს" ვთხოვე პირდაპირ ეთერში გაშვება, მაგრამ უარი მითხრეს. მე მინდოდა, გამეკეთებინა მიმართვა, რომ მოსულიყვნენ ადვოკატები და უფროსი ადამიანები, რათა ახალგაზრდებისთვის არავის მოეწყო პროვოკაცია.

**— „მაესტრომ" რა მოსაზრებით გითხრა უარი?**

– იცით, რა, ვერ ჩაგრთავთო... ამ დროს ეთერში გადის საუბარი რუსუდან ფეტვიაშვილთან, ედავებოდნენ, რატომ მისცეს ღირსების ორდენი. მოკლედ, ჩვენ დავიწყეთ ხელმოწერების შეგროვება, რომ შევხვედროდი საპყრობილის ადმინისტრაციას. 4 საათის განმავლობაში ვერაფერს მივაღწიე, გამოვედი აქეთ, ამ დროს გარეთ გამორბის ფორმიანი ადამიანი და მეუბნება, – სასწრაფოდ გეძახით ციხის დირექტორიო. სირბილით შევყავარ შიგნით, ამ დროს კიბეზე ჩამორბიან ლალი აფციაური და ვილაც მამაკაცი, მეუბნებიან, წამოგვყევიო. დირექტორს ვნახავ და მოვალ-მეთქი. ეს კაცი ყვირის, მე ვარ დირექტორი, გვიშველეთ, ბუნტია დაწყებულიო. ჩემს ცხოვრებაში არ დამავიწყდება ხმაური, როცა 5 ათასი ადამიანი ანგრევდა გისოსებს. არ დამავიწყდება ის მომენტი არასოდეს, როცა მე და ლალი აფციაური მარტო დაგვტოვეს აჯანყებულ კორპუსებს შორის. 15-კაციანი ბრიგადა იქაურობას განერიდა, ჩვენ უფრო ნერვებს ვუშლით პატიმრებსო. მეგონა, ახლა გამოანგრევენ გისოსებს და პირველი მსხვერპლი ჩვენ ვიქნებით-მეთქი. მოხდა საოცრება, პატიმრებმა გვიცნეს, დაიწყეს სახელების სკანდირება, გააჩუმეს ერთმანეთი და ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. მე დავიჩოქე. ჩვენ ვართ მოსული იმისათვის, რომ დავალაგოთ სიტუაცია, შემოვალთ კამერებში, განვხავთ ყველას, არავითარ შემთხვევაში საქმე არ მიიყვანოთ ბუნტამდე, შეიძლება „სპეცნაზი" შემოვიდეს, ჩაგცხრილონ, კომენდანტის საათი გამოაცხადონ და არჩევნები ჩაიშალოს-მეთქი. მერე დაიწყეს ძახილი: ბიძინა, ბიძინა! პატიმრებმა დაგვიჯერეს, დაწყნარდნენ. შემდეგ დავსხედით ადმინისტრაციასთან ერთად, დირექტორი არის გურამ დოლიძე. ამ დროს რეკავს რუსთავის მე-6 კოლონიის უფროსი და ამბობს, რომ მასთანაც ბუნტი იწყება. ბატონმა გურამმა მთხოვა, წავსულიყავი რუსთავში. იქაც იგივე მეორდება, მიშვებენ ციხის პერიმეტრზე. იქ უფროსია ირაკლი აბაშიძე, რომელიც მეუბნება, – მიდი, დააწყნარე პატიმრები როგორმეო. ბიჭებს ვთხოვე, – სანთლები ავანთოთ, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. მოკლედ, სიტუაცია ჩაწყნარდა და ირაკლი აბაშიძეს ვუთხარი: მაქვს ინფორმაცია, რომ კარცერში გყავთ ნაწამები ადამიანი, შემიშვი მასთან-მეთქი. აბაშიძე მატყუებს, ახალი დანიშნული ვარ, ცოტა დრო მომეცი, გავერკვევი და ხვალ შეგიშვებ, კარცერში არავინ გვყავს, იქ არაფერი არ ხდებაო.

**ამის შემდეგ ისევ ვბრუნდები გლდანში და დოლიძე მეუბნება, ტულუშმა ვერ მოიცალა მოსასვლელად, ჩვენ არ გვაქვს საშუალება, ოფიციალურად შემოგიშვათ საპყრობილეშიო. ამასობაში პატიმრები იხვეწებიან, არ დაიშალოთ, თორემ ჩაგვცხრილავენო. მანამდე საპყრობილიდან გადის 10 სპეცმანქანა, სადაც ჰყავდათ გარდაცვლილები, ნაცემები და ნაწამები ადამიანები. ახლა იმაზე გეტყვი, როგორ მოცანცარდა გიორგი ტულუში... როგორც კი გამოჩნდა, მე და დიმიტრი ლორთქიფანიძე მივცვივდით, ვეკითხებით, თუ სად იყო აქამდე. მისი პასუხი: იცით, რა, ახლა მე არ მცალია, დრო მჭირდება, გავერკვევი! შემდეგ საერთოდ არ გვაქცევს ყურადღებას, მას უსტვენენ მშობლები, შეურაცხყოფას აყენებენ გამწარებული ადამიანები. არც შესულა პატიმრებთან, ზრდილობის გამო გამოაღო ერთი საკნის კარი. ყველაზე მთავარი, არ მოინახულა არასრულწლოვნები!**

**— ამის შემდეგ შედიხართ ყველა საკანში და არასრულწლოვნებთანაც.**

– კი, შევდივართ მე, გელა კეტაშვილი და ლალი აფციაური. ისეთი შეგრძნება გვქონდა, იყო 1945 წელი და პატიმრებს ვათავისუფლებდით კონცლაგერიდან. გვხვდებოდნენ გათეთრებული, გაფითრებული, შეშინებული ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ ცემისთვის და წამებისთვის.

**ეს არის 5 ათასი ნაცემი ქართველი. დიმამ დაიწყო ჩვენებების ჩამორთმევა, საბუთების მოგროვება, ჩვენ მოვიპოვეთ 1000-ზე მეტი ჩვენება სახელებით და გვარებით. მოვინახულეთ პოლიტპატიმრები, აქაც დაგვხვდა საზარელი მდგომარეობა. ის, რაც ბავშვებთან ვნახეთ და მოვისმინეთ... (ტირის) მე არასოდეს არ დამავიწყდება...**

**— კარგი, ლალი, დაწყნარდი...**

– ასე მგონია, აღარასოდეს დამეძინება...

**გამოვაღეთ საკანი და ვხედავ შეშინებულ ბავშვებს. ჩავეხუტეთ, მოვეფერეთ, ამ ბავშვებს ყოველდღე სცემდნენ, ყოველდღე აწამებდნენ. გაჰყავდათ სათითაოდ, შარვალს აცვამდნენ თავზე, ურტყამდნენ. ჩაჰყავდათ საშხაპეში და შლანგით სცემდნენ, სხვადასხვა საგნებს ურტყამდნენ, მერე აუპატიურებდნენ. შემირცხვენია ის საქართველო, რომელიც არ მოითხოვს საყოველთაო ამნისტიას, ყველა ტრავმირებულია, ყველა სამკურნალოა! ბავშვებმა მოგვცეს საზარელი ფაქტები... ახლა პირველად ვასახელებ სამ პიროვნებას, სამ მკვლელს: ნინო დანელია, ნინო ქობალია და მაია მამფორია.**

**— ქალებიც, კაცო?**

– ეს ქალები მუშაობენ ადმინისტრაციაში, ისინი უცხადებდნენ არასრულწლოვან პატიმრებს, იბანავეთ ტანსაცმლით, როგორც გინდათ, ისე გაშრით.

**მიდიოდნენ ბავშვებთან ძალიან მოკლე კაბებით, არ ეცვათ ქვედა საცვლები და ეუბნებოდნენ: შემოგვხედეთ, გვაინტერესებს, ერთი რა დაგემართებათო. ეს არის სექსუალური მანიაკობა, რასაც აკეთებდნენ ეს ქალები, ვითომ სოციალური სამსახურის მუშაკები. შენ ვერ წარმოიდგენ, როგორი ბავშვები სხედან ციხეში არაფრის გულისთვის, მათი საკნეში [illegible], ყოველ წუთს ლოცულობენ, როდესაც ველაპარაკებოდით, ამ დროს თავზე გვადგა მკვლელი, რომელიც [illegible] ცხვად გვიყურებდა თვალებში. სხვათა შორის, გვარად ახალაიაა, გიორგი ჰქვია. მე მივვარდი, შენ რომ ამ ბავშვებს ხელი მოჰკიდო, პირადად მე მოგკლავ, ახლავე წადი და დაწერე განცხადება-მეთქი!**

**— ლალი, ეს ქალები ციხის თანამშრომლები არიან თუ სოციალური მუშაკები, რომლებიც გარედან შედიან?**

– როგორც სოციალური მუშაკები, ისე შედიოდნენ, მაგრამ რეალურად კალმახელიძისა და ახალაიას ბანდის წევრები არიან. მე ეს ინფორმაცია ადრეც მქონდა, მაგრამ ვერ ვამტკიცებდი... სოციალური მუშაკები, რომლებიც შედიან როგორც ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისთვის, ისინი კიდევ უფრო უარესს აკეთებდნენ.

**თითქმის ყველა პატიმარს აქვს ფსიქიკური აშლილობა, ზოგს საკუთარი ხორცები აქვს დაჭმული, რამდენიმე პატიმარს ნაჭამი აქვს საკუთარი ხორცი, ბევრს დასერილი აქვს მთელი სხეული. ჩვენ ვნახეთ პატიმრები, რომლებსაც არც ერთი მთელი ძვალი არ აქვთ, არც ერთი ნეკნი არ აქვთ, წვანან ტომრებივით და ფეხზე ვერ დგებიან. მათ შორის ვნახეთ ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრილი, ოთხი დღის წინ დაუჭრიათ. მე ვაცხადებ, ერთი წუთითაც არ უნდა მოვდუნდეთ, ჩვენ ყველანი ვართ გისოსებს მიღმა!**

**— ლალი, შენ კარგად იცნობ სააკაშვილს, დავიჯერო, ის სექსუალური მანიაკი და ადამიანის ხორცის მჭამელია?**

– სააკაშვილმა დაიჭირა ქართული გენოფონდი, დაიჭირა კაცები და ამიტომაცაა, რომ გარეთ ამდენი გაურკვეველი ორიენტაციის ადამიანი დადის. მან გაანადგურა რამდენიმე თაობა და მივიღეთ მანიაკალური საქართველო. ხაზგასმით ვამბობ და იცოდეს ყველამ: ის კარგი ხარისხის მასალა, რომელსაც ილებდნენ გაუპატიურებისას, მზადდებოდა პირადად მიხეილ სააკაშვილისთვის. პირადად გაუპატიურებაში მონაწილეობდა ბაჩო ახალაია, ამისი ჩვენებაც არსებობს.

## „ახლა პირველად ვასახელებ სამ პიროვნებას, სამ მკვლელს: ნინო დანელია, ნინო ქობალია და მაია მამფორია!"

**„ის, რაც ბავშვებთან ვნახეთ და მოვისმინეთ, არასოდეს არ დამავიწყდება! ამ ბავშვებს ყოველდღე სცემდნენ, ყოველდღე აწამებდნენ. გაჰყავდათ სათითაოდ, შარვალს აცვამდნენ თავზე, ურტყამდნენ. ჩაჰყავდათ საშხაპეში და შლანგით სცემდნენ, სხვადასხვა საგნებს ურტყამდნენ, მერე აუპატიურებდნენ. შემირცხვენია ის საქართველო, რომელიც არ მოითხოვს საყოველთაო ამნისტიას, ყველა ტრავმირებულია, ყველა სამკურნალოა!"**





**სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, მაღალი ხარისხის ფირები მზადდებოდა იმისთვის, რომ პრეზიდენტს ერექცია ჰქონოდა.**

ჩვენ ყველას გაგვიგონია და ვიცით, რომ მას ამასთან დაკავშირებით პრობლემები აქვს. სწორედ ამიტომაა ზოგიერთი მომღერალი ქალი ძუძუგაგლეჯილი და დაკბენილი. მიმიფურთხებია იმ ქალებისთვის, რომლებიც დღეს კიდევ კონცერტებს მართავენ და ამ სექსუალურ ძალადობას იტანენ იმისთვის, რომ ჰონორარები აიღონ.

**მიმიფურთხებია იმ ცნობილი ჟურნალისტებისთვის... ერთ-ერთი სწორედ ასე ჰყავს გაუპატიურებული თავის კაბინეტში ბლაგვი საგნით. ესეც გადაღებულია და ამიტომაც არ იღებს ხმას ყველაფერზე. ჩანაწერები არსებობს იმისთვისაც, რომ მუდმივად ყოფილიყო შანტაჟი, რამე რომ მომხდარიყო, აჩვენებდნენ საახლობლო წრეში. მე ხელს ვადებ მიხეილ სააკაშვილს და ყველა გაუპატიურებულ ქალბატონს, თუ ძალიან გაიგიჟებენ თავს, სათითაოდ დავასახელებ. ასევე მოგვევლინა სააკაშვილის „ჩისტილშიკად“ გიორგი ტულუში, რომელიც ცდილობს, ისევ გაამაგროს მანიაკი, რომელიც აბსოლუტურად მორყეულია. სააკაშვილი ახლა გამოძახებულია გაეროში ამ ფაქტებთან დაკავშირებით. ჩავა და იტყვის: ციხეებში სახალხო დამცველი შევუშვი, მე დემოკრატი გახლავართო.**

გიორგი ტულუშმა ყველაფერი ძალიან კარგად იცოდა, ის რალაცებს წერდა, მაგრამ, საერთო ჯამში, მაინც დუმდა ისევე, როგორც დღეს დუმს. ის ასრულებს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაკვეთას, პირადად ახალაიების დაკვეთას და არის ისეთივე დამნაშავე, როგორც დანარჩენები!

**მე მაქვს ინფორმაცია, რომ სასტიკადაა ნაცემი პატიმარი კიკნაძე. მამა გრიგოლი იყო ამ ადამიანთან შესული და საზარელი ინფორმაცია გამოიტანა, მან აზიარა, რომ ისე არ წავიდეს ამ ქვეყნიდან. ტულუში შემხვდა დერეფანში, ვუთხარი, იქ საკანში ადამიანი კვდება-მეთქი. პასუხი: მასე რამდენი გიჟი რალაცას იტყვის, სად ვდიოო?**

აი, ეს არის მისი კომენტარი. ამის შემდეგ მივდივართ რუსთავში, იქაც ასეთივე მდგომარეობაა... ბიჭი ყვირის, მოდით, ნახეთ, როგორ მომიტანეს შოკოლადი, საჭმელები, ოღონდ ხმა არ ამოიღოო. ირაკლი აბაშიძე შედის ამ ნანამებ პატიმართან და ეუბნება: ახლა შენ მოკითხვა გადმოგცა ახალაიამ, ჭკვიანად იყავი, მოგიტანეთ რალაცები, ჩვენება არ მისცე და დაიბრალე, რომ შენ ბიძინა ივანიშვილის დავალებით მოქმედებდიო. მე ვლაპარაკობ ახალაიას პირად პატიმარზე. ეს ბიჭი ყვირის, – მე არაფერი არ მინდა, არაფერს არ დავიბრალებ, ბიძინა ივანიშვილი აქ არაფერ შუაშია, მიშველეთ, შემომიყვანეთ ექიმიო. მივდივარ, ვითხოვ შესვლას და სრულიად [illegible] ტერიტორია, ადმინისტრაციიდან [illegible] გამოდის, ყველა იმალება. რამდენიმე ჯარისკაცი დგას, ისინი [illegible]ნებიან, ადგილზე არავინ არ არისო. მთელი პირველი კორპუსი, რომელიც ჯერ კიდევ სავსე იყო პატიმრებით, ახლა დაცარიელებულია. მე ვაკეთებ განცხადებას: არ ვიცი, ეს ბიჭები ცოცხლები არიან თუ არა, მაქვს ინფორმაცია, რომ ბევრი დაილუპა. ამ ყველაფერზე პასუხი უნდა აგოს მიხეილ სააკაშვილმა!

**ჩვენ გლდანის საპყრობილეში ვნახეთ თამაზ თამაზაშვილიც, ის მაგრად დგას, მაგრამ მაინც შიშობს, შეიძლება ცოტა ხნის შემდეგ ცოცხალი აღარ ვიყოო. რაც ვთქვი, მე მგონი, საკმარისია იმისთვის, რომ სასწრაფოდ გასამართლდეს სააკაშვილი თავის ბინძურ გარემოცვასთან ერთად.**

ის ხარისხიანი კასეტები ახალაიას სეიფში კი არა, სააკაშვილის სეიფში ინახება, უნდა მოეწყოს „ნიურნბერგის ახალი პროცესი“. საქართველოში ხდება ის, რაც არსად არასდროს არ მომხდარა!

**პატიმრები ამტკიცებენ, არ დაიჯეროთ, რომ აქ პატრული შემოუშვეს, ეგენი არიან გადაცმული „ზონდერებიო“. მორჩა, მეტი არავის აინტერესებს სააკაშვილის გადარჩენა!**

---

ნელი ვარდიაშვილი
599 65-81-95

„ქრონიკის“ №37-ში, მკითხველისთვის ინკოგნიტო (ჩვენთვის, ცხადია, ცნობილი, — ნ. ვ.) რესპონდენტი, ვანო მერაბიშვილის მშობლიურ კუთხეში, ადიგენში მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციებზე, „ნაციონალებისგან“ მოსახლეობის ზეწოლებსა და „ქართული ოცნების“ შტაბში განხეთქილებებზე გვესაუბრა. მან კონკრეტული პიროვნებებიც დაასახელა, რომელთაც, მისივე თქმით, მხოლოდ ივანიშვილის ფული აინტერესებთ და თანამდებობების ხელში ჩაგდება „ოცნებიდან“ უნდათ. ეს ადგილობრივი მოსახლეობისთვის კარგს არაფერს მოიტანსო, — ამბობდა იგი. წერილის გამოქვეყნების შემდეგ „ქრონიკას“ მხოლოდ ერთი „დადანაშაულებული“ გამოეხმაურა, — ადიგენელი ექიმი და „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, ინა კაპანაძე. იგი რედაქციაში ოჯახის წევრებთან ერთად მოვიდა და საინტერესო ამბავიც მოგვიყვა.

**ინგა კაპანაძე, ინა კაპანაძის და:**

– „ქართული ოცნებიდან“, ჯერ კიდევ, იანვარში დამიკავშირდნენ და მითხრეს, თქვენი და ადიგენში ავტორიტეტული ექიმია, ხალხი პატივს სცემს და იქნებ, ჩვენი წარმომადგენელი იყოსო. ინა ამ დროს მუშაობდა ექიმად. ვიფიქრე, ამ შემოთავაზებისთვის ხელისუფლებიდან ვინმეს ყური არ რომ მოეკრა და სამსახურიდან არ გამოეშვათ. დედმამიშვილებიდან მის გარდა ყველა უმუშევარი, ამ მთავრობის მსხვერპლნი ვართ, მაგრამ „ქართუ ჯგუფიდან“ ხან მე და ხანაც ჩემს ძმას კვლავ გვთხოვდნენ ინას გვერდში დგომას. მხოლოდ ორჯერ მივიდა ჩემი და თბილისის „ქართუ ჯგუფის“ ოფისში, მაგრამ, როგორც ჩანს, იქიდან ხელისუფლებას ვილაცამ მაშინვე აცნობა და დაიწყო კიდევაც მასზე ზეწოლა. ქალბატონო ნელი, „ქართულ ოცნებაში“ ნამდვილად არიან ხელისუფლებისგან ჩანერგილი პიროვნებები. 19 წელია, ინა ადიგენელებს ემსახურება, მოსახლეობა ენდობა მას და ამიტომაც შეეშინდა მისი ადგილობრივ ხელისუფლებას. ვინც ხალხს უყვარს, სწორედ ის უნდათ, რომ ჩამოაცილონ სიტუაციას და ამას ჩანერგილი პიროვნებების ხელით აკეთებენ, – დისკრედიტაციით და შავი პიარით.

— იმის თქმა გინდათ, რომ „ქართუ ჯგუფში“ ხელისუფლების აგენტები ბევრნი არიან?

– დიახ, „ქართულ ოცნებაში“ ხელისუფლებისგან ჩანერგილი პიროვნებების მიერ მოხდა ეს.

# „მაგ ინკოგნიტო რესპონდენტსაც გავშიფრავთ ბოლომდე და ავხდით ნიღაბს და „ქართულ ოცნებაში“ სხვა ჩანერგილებსაც!“

**ინა კაპანაძე:**

– სამ სამსახურში ერთად ვმუშაობდი, – ადიგენის საავადმყოფოში სასწრაფოს ექიმად, ამავე საავადმყოფოს სამშობიაროში და ახალციხის სამშობიაროშიც მქონდა მორიგეობები. მატერიალურადაც კარგად ვიყავი, ამიტომაც „ქართულ ოცნებაში“ ჩემი მისვლა მატერიალური დაინტერესებით არ მომხდარა. 26 ივნისს, მეუღლესთან ერთად მივდიოდი შეხვედრაზე, როცა რაიონიდან ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა დამირეკა და მითხრა, – არ წახვიდე თბილისში, თორემ დაბრუნდები და პრობლემები შეგექმნებაო. 27 ივნისს „ქართუ ჯგუფში“ გარკვეულ პიროვნებებს შევხვდი, ადიგენში დაბრუნებულს კი პირველი ივლისიდან, ერთდროულად, ყველა სამსახურში შემიწყვიტეს შრომითი ხელშეკრულება. 29 ივნისს საავადმყოფოს მენეჯერმა, ლალი არლემაშვილმა მითხრა, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თბილისიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ „ჯი პი აი ჰოლდინგის“ გენერალური დირექტორისაგან, ეკა შავგულიძისგან, მიიღეს დავალება, ინა კაპანაძემ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო კომპანიას პრობლემები რომ არ შეუქმნას, უნდა მოხსნათო. ყოველთვის 6-თვიან შრომით ხელშეკრულებებს გვიდებდნენ, ბოლოს დაგვიდეს სამთვიანი, ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები ასე ეშმაკურად რომ მოეცილებინათ. მეორე საავადმყოფოშიც იგივე მოხდა და მე ამ განცხადებებზე ხელი არ მომიწერია.



„შეიძლება დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ადიგენში ვანოს პოლიცია თითქმის აპოლიტიკური გახადეს“

„როგორც „ნაციონალებიდან“ ხმა გამოვიდა, მიშას უთქვამს, მიტინგზე 15 ათასზე ნაკლები ადამიანი რომ მოიყვანოთ, ყველა გამგებელსა და თანამდებობის პირს პასუხს გაგებინებთო...“

### რეაქცია „ქრონიკის“ პუბლიკაციაზე

**ინგა კაპანაძე:**

– ადიგენის „ქართული ოცნების“ შტაბში დაპირისპირება არასდროს ყოფილა, თუმცა ხელისუფლების ჩანერგილი ხალხი იქ იმიტომ არის, ყველა სიტუაცია თავიანთ სასარგებლოდ რომ გამოიყენონ. დადიოდნენ და ხმას ავრცელებდნენ, ინა ექიმი არ გვინდა, ის ნაციონალებთან არის შეკრული, ორმაგ თამაშს თამაშობსო, სინამდვილეში კი ისინი თამაშობდნენ ორმაგ თამაშს. ამის გამო „ოცნების“ შტაბში რამდენჯერმე დამიბარეს, – თქვენს დაზე ასეთი ბრალდებააო. ხალხი, ვინც ინაზე თბილისში ცუდს ლაპარაკობდა, ახლა აღიარებს, რომ დააშინეს. ინკოგნიტოდ იცით ახლა, რატომ ლაპარაკობენ, მერე ჩვენ ვიტყვით მასზე, ვინც არის და იმიტომ. ინას ფინანსებთან შეხება „ქართულ ოცნებაში“ არასდროს ჰქონია. ბიძინა გუჯაბიძის ხალხთან შეხვედრების ორგანიზებას ჩემი და ახდენს. ადიგენში ამ კაცმა შიში გატეხა. ინას შტაბის უფროსობაზე პრეტენზია არასდროს ჰქონია და ესეც ტყუილია. ადიგენში ჩამოსული 150 აქტივისტი სამი დღე ინასთან იყო და ის პატრონობდა. ორი შტაბი გაიხსნა რაიონში ინას დამსახურებით. საქმე ისე იყო, ამ რაიონში შტაბი არ უნდა გახსნილიყო. ინას სახლს პოლიციაც კი უთვალთვალებს. შეშინებული მეზობლები მასთან ვერ შედიან, რადგან იციან, იქიდან რომ გამოვლენ, მერე ხელისუფლება დაამუშავებს. ვინც იქ შედის, ყველა აღრიცხვაზე ჰყავთ და ეს ფაქტები არსებობს. ჩამთავრდეს არჩევნები და გპირდებით, მაგ ინკოგნიტო რესპონდენტსაც გავშიფრავთ ბოლომდე და ავხდით ნიღაბს და „ქართულ ოცნებაში“ სხვა ჩანერგილებსაც. გპირდებით, რომ მათ სიას პირველად თქვენ გადმოგცემთ, ახლა კი ვფიქრობთ, რომ ამის დროს არ არის. თქვენთან მხოლოდ ამის სათქმელად მოვედით.

დიტო ჩუგინიძე
599 64-25-77

**„ქრონიკას" ესაუბრება ე. წ. ვარდების რევოლუციის წლისთავზე, გიორგობა დღეს, 2004 წლის 23 ნოემბერს, მიხეილ სააკაშვილის პატრულის მიერ დიდუბის ეკლესიის წინ დახვრეტილი 19 წლის დედისერთას — ამირან (ბუტა) რობაქიძის მამა — სოსო რობაქიძე...**

**— სოსო, შენ დიდი ხანია, არ გამოჩენილხარ პრესის ფურცლებზე... რატომ?**

– ეს ცხოვრება პირადად ჩემთვის დიდი ხანია, „დუბინკა"!.. ჩვენი ხალხი ცხოვრობდა „სხვისი ჭირი, ლობეს – ჩხირის" მორალით და ამიტომ დაგვემართა, რაც დაგვემართა!..

**— რატომ, განა ხალხი არ აპროტესტებდა შენი შვილის — ბუტა რობაქიძის, სანდრო გირგვლიანისა და ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობებს?**

– ხალხი გვერდით ჩვენ მაშინ კი დაგვიდგა, მაგრამ ეს არ იყო ის საჭირო მასა, რომელიც ქვეყანაში ვითარების სახლი სამხედრო ვერტმფრენებით რომ დაბომბა, მერე მკვდარ კაცს თითი მოაჭრეს, რათა ბეჭედი მოეპარათ და სვან ქალებს ეუბნებოდა, კუბდარი მაჭამეთო? არ იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ? ახლა მაგათ ბოდიალს ვინლა დაიჯერებს? კიდევ ერთხელ ვიმეორებ, „ნაციონალების" პარტია არის თავიდან ბოლომდე ჩამოშლილი!.. ახლა ესენი რა მდგომარეობაში არიან იცი? „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო!" – აი, ასეთ დღეში არიან... გია ტულუში რომ გადაიყვანეს მინისტრად, ამის შესახებ მინდა გითხრა. გია ტულუში არ არის ლისუფლების დიდი ქელეხი და დასაფლავება, ხოლო 2 ოქტომბერს ქართველი ხალხი ამათ დიდ პარაკლისს გადაუხდის!.. ეს ამათ ძალიან კარგად იციან და მე თუ მკითხავთ, გვარად „ახალაია" საქართველოში დიდხანს თანამდებობაზე ვერ მოვა!.. მე დღეს ერთ კაცს ასეთი რამ ვუთხარი, – თუ ამ ხალხს სააკაშვილი დღეს არ დაიჭერს, ხოლო მერე ვინც გინდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ისიც არ დაიჭერს ამ ხალხს და გარანტიებს მისცემენ, ახალი ხელისუფლებაც რამდენიმე თვეში გახდება ბანკროტი-მეთქი!.. რაც გინდა სიმაშტაბი არის ჩამოშლილი!.. ამათი ფალავანი – კოხოძე – რაიონში ვერსად ვერ ჩნდება!.. ან კი როგორ უნდა გამოჩნდეს და ხალხს რა უთხრას, – ვინც ხალხს აუპატიურებდა და უკან ცოცხს „უკეთებდა", იმ პარტიას და იმ პოლიტიკურ ძალას მიეცით ხმაო?!

**— სოსო, ხალხში რა განწყობაა?**

– ძალიან მაგარი!.. დღეს ქუთაისში ვიყავი, „ნაციონალების" ერთმა მანქანამ ჩამოიარა ქუჩაში დროშებით და ხალხი აფურთხებდა და ეძახდა, – ნამუსი აღარ გაქვთ, კიდევ ქუჩაში როგორღა დიტო, უკვე არიან განადგურებულები, ბოლო აქვთ მოღებული!.. ბატონი ბიძინა ივანიშვილის სახით ქართველი ხალხის გვერდით დგას ის ძალა, რომელიც ამ საქმეს მიიყვანს ბოლომდე და ქართველი ხალხი იზეიმებს გამარჯვებას!.. ვაფრთხილებ ხელისუფლებას, – ციხეში ვინმეს ერთი ღერი თმაც რომ ჩამოუვარდეს თავიდან, მერე რაც მოხდება, ყველამ თავის თავს დააბრალოს!.. იცოდეს ყველამ, რომ სადაც მე დავდივარ და ვმოძრაობ, და მე ვმოძრაობ მთელ საქართველოში, იქ პარტია „ნაციონალური მოძრაობა"

# „ახლა უკვე ამათი პანაშვიდებია დაწყებული, 1-ლ ოქტომბერს იქნება ამ ხელისუფლების დიდი ქელეხი და დასაფლავება, ხოლო 2 ოქტომბერს ქართველი ხალხი ამათ დიდ პარაკლისს გადაუხდის!.."






დამთავრდა... რვა წლის წინ დახვრიტეს ჩემი შვილი და ამ ხნის განმავლობაში სამართალს ვერ მივაღწიე, ყველაფერზე ხელი მქონდა ჩაქნეული, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ამათ აძალლებას ვესწრები!.. ჩემო დიტო, ამათი ამბავი უკვე არის დამთავრებული და როგორც ერთ კაცს უყვარს ლაპარაკი, „ნაციონალური მოძრაობა" უკვე არის ჩამოშლილი!.. სანამ ხალხმა თავისი თვალით არ დაინახა, თუ ვინ არიან სინამდვილეში ესენი, მანამდე ხალხი არ გაბრაზდა და მწყობრიდან არ გამოვიდა. ამათ ცოცხი რატომ „გაუკეთეს" მთელ საქართველოს და რატომ მოგვჭრეს მთელ მსოფლიოში თავი, იცით? იმიტომ, რომ როცა ერთი ბავშვი დახვრიტეს ქუჩაში, მეორე დახვრიტეს, მესამე დახვრიტეს და ასე სულ 125 კაცია ქუჩაში ჩაცხრილული, ხოლო რაც ესენი ხელისუფლებაში მოვიდნენ, საერთო ჯამში, 900-მდე ადამიანია გამქრალი ქვეყანაში და ამაზე კაციშვილმა ხმა არ ამოიღო, აი, ამიტომ მოხდა, რაც მოხდა!.. საბერძნეთში პოლიციელმა 15 წლის ბავშვი მოკლა, ისიც რიკოშეტით, და ბერძნებმა მთელი ათენი გადაწვეს. ჩვენთან მსგავსი რეაქცია არავის ჰქონია და აი, შედეგიც, – მთელ ერს „გაუკეთეს" ცოცხი და ბას შეცვლიდა. საბოლოო ჯამში, იმ არასათანადო, არასაკმარის პროტესტს იცი, რა მოყვა, ჩემო კარგო? ირინა ენუქიძის სიკვდილი, – ქალი დაიწვა და დაიფერფლა, ხმა დაეკარგა ყვირილით, – მე ჩემს შვილს ვერავინ გამიცოცხლებს, თქვენს შვილებს უშველეთ, გამოდით, სახლებში ნუ ზიხართო!.. მაშინაც ვერ გაიგო ხალხმა ჩვენი, თორემ მაშინ რომ ხალხს ამათთვის ნერტილი დაესვა, 90 და 100 ბავშვი კიდევ აღარ მოკვდებოდა!..

**— შენ როგორ ფიქრობ, ახლა მაინც დასმული აქვს ამ საქმეს წერტილი?**

– მე ვფიქრობ, ამ საქმეს უკვე ნამდვილად აქვს წერტილი დასმული!.. თურმე ამ მთავრობას აქამდე ვერ გაუგია, თურმე აქამდე არ იცოდნენ, ციხეებში რაც ხდებოდა... რა არ იცოდნენ? მაშინ ჩემი შვილი ცოცხალი უნდა იყოს, სანდრო გირგვლიანი ცოცხალი უნდა იყოს, ზურა ვაზაგაშვილი ცოცხალი უნდა იყოს!.. გია ბარამიძე რომ გამოვიდა ბათუმში, ეს ნაძირალა და თახსირი და თავის კოორდინატორებს არიგებდა ჭკუას, – თავაწეულები მიდით საარჩევნო უბნებთანო, გია ბარამიძე არ იყო, აფრასიძეეცუდი ბიჭი, ძალიან ჰუმანური და კარგი ბიჭია, პირადად ვიცნობ. რამდენჯერ უთხრა ამათ პარლამენტში, რაც ციხეებში ხდებოდა, მაგრამ მაშინ თურმე ხათუნა კალმახელიძე ყოფილა „რეფორმატორი"...(!!!) ყოველდღე რომ ციხიდან მიცვალებული პატიმრები გამოჰყავთ, ეს არ იცოდნენ? სააკაშვილი იმას კი არ დარდობს, ეს რატომ გააკეთეს, რაც გააკეთესო, არამედ იმაზეა აჭრილი, როგორ თუ ეს ფირი გარეთ გამოვიდა და მსოფლიომ ნახაო!.. გეუბნები, ამათი გამოსწორება არ იქნება, ეს არის სექტა, რომელიც უნდა ამოიშანთოს!..

**— სოსო, ბაჩო ახალაია გადადგა... მე კარგად მახსოვს, სანდრო გირგვლიანის ამბავი რომ გახმაურდა, მაშინ დათა ახალაიაც „გადადგა", მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ თურმე მთელ სისტემას მაინც ეს კაცი აკონტროლებდა და არსადაც არ „გადამდგარა". ახლაც იგივე კარტი ხომ არ თამაშდება?**

– არა, დიტო, გამორიცხულია, იგივე კარტი ვერ გათამაშდება!.. ახლა უკვე ამათი პანაშვიდებია დაწყებული, 1-ლ ოქტომბერს იქნება ამ ხერთლე ილაპარაკოს ასეთმა ახალმა მთავრობამ, ხალხი მას ეტყვის, – „თქვენ რაზე ლაპარაკობთ საერთოდ, როცა მკვლელები ქუჩაში გაუშვით და კაციშვილს ხელი არ ახლეთო?!" თუ მასეა, მართლა გაუშვით ესენი, ეს მკვლელები ქუჩაში, არ მისცეთ ქვეყნიდან გასვლის უფლება და თქვენ ნახავთ, რომ მაქსიმუმ ერთ თვეში ამათ სათითაოდ გამოფატრულებს, შუბლგახვრეტილებსა და წყალში ჩამხრჩვლებს ნახავს მთელი ქართველი ერი!.. მე დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მოკლე ხანში ბევრი რამ მოხდება და „ნაციონალურ მოძრაობაში" საერთოდ აირევა მონასტერი!..

**— იქნება თუ არა სისხლისღვრა?**

– მე ვფიქრობ, რომ სისხლისღვრა უკვე აღარ იქნება!.. რადგან დღეს ისე აქვს „ნაციონალურ" პარტიას საქმე, რომ სიტყვაზე ვამბობ, 100 პროცენტითაც რომ მოიგონ არჩევნები, ამას უკვე მსოფლიოც აღარ დაიჯერებს!.. ახლა ბაღდათში ვარ, ჩემს მშობლიურ რაიონში და აქ რომ ჩამოხვიდე, მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობის" ყოფთ ცხვირსო? ყველგან ასეთი სიტუაციაა, – ხალხი აფურთხებს და დედას აგინებს ამათ... ასე რომ, ჩემო დიტო, „გათავებულია ჰიტლერის ამბავი", მაგრამ მე იმაზე მწყდება გული, რომ ამათი ამბის დამთავრება ბევრად უფრო ადრეც შეიძლებოდა!..

**— „ნაგლად" რომ გააყალბოს არჩევნები, ისე, როგორც ადრე გაუყალბებია, მერე ზონდერები გამოათრიოს ქუჩაში და ხალხის ხოცვა დაიწყოს სააკაშვილმა, ამაზე რას იტყვი? ჭკუა დაუშლის თუ გვარიშვილობა?**

– მაგას ვერ იზამს!.. ზონდერები ქუჩაში რომ გამოიყვანოს, საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა დაუჭიროს მხარი, რაც უკვე გამორიცხულია...

**— სოსო, ამას საერთაშორისო საზოგადოებაც ფეხებზე ჰკიდია და გაეროც!.. ვერ უყურებ, კაცი რას ლაპარაკობს? შეთქმულებას გვიწყობდნენო!.. ნაცვლად იმისა, რომ ეს თახსირები დაიჭიროს და მოუსავლეთში თავისი ნებით წავიდეს, კიდევ დიდ გულზეა!..**

– მაშინ, როგორც ზოგიერთებს დაემართა ჩვენს თვალწინ ლიბიასა და სხვა ქვეყნებში, ისე დაემართება მაგასაც!.. ხალხთან ომში ყოველთვის გამარჯვება რჩება ხალხის მხარეს!.. ესენი, უკვე აღარ არსებობს!.. ახლა ამათ აქვთ ერთადერთი შანსი, – იმისათვის, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრების უფლება მოიპოვონ, ძალიან დაუკვირდნენ თავიანთ საქციელს და დროზე მიიღონ გადაწყვეტილება, – დადგნენ ქართველი ხალხის გვერდით!..

**— დაბოლოს, სოსო, შენი შვილის — ბუტა რობაქიძის, ირინა ენუქიძის, სანდრო გირგვლიანისა და ამ ხელისუფლების მიერ დახვრეტილი და გაუბედურებული უამრავი ახალგაზრდისა და საერთოდ, ადამიანის მოკლული სამართალი, როგორ ფიქრობ, საბოლოოდ გამარჯვებას იზეიმებს?**

– აუცილებლად!.. ცხონებულმა ირინა ენუქიძემ, როცა უკვე კვდებოდა და ძალიან ცუდად იყო, მე მითხრა, – როგორც ბუტას საქმეს არ გააჩერებ, ისე სანდროს საქმე არ გააჩეროო!.. ცხონებულ სანდრო გირგვლიანს მამაც ჰყავს, ბიძაც ჰყავს და მაგათ ძალიან კარგად იციან, ირინამ რაც მითხრა!.. მე ჩემს სიტყვას შევასრულებ, ცხონებული ირინასთვის მიცემულ სიტყვას შევასრულებ, ამ საქმეს არ მოვეშვები და ჩვენი შვილების მკვლელები, ან ღრმად მოხუცები და გაჭალარავებულები გამოვლენ ციხიდან, ანდა ციხეში ჩაძაღლდებიან უსახელოდ!..

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ჯერ კიდევ ივნისის დასაწყისი იყო, როცა ბრიუსელში მცხოვრები ქართველი, მერაბ ბლადაძე დამიკავშირდა და იმის შესახებ მესაუბრა, რა მოვლენებიც საქართველოში უნდა განვითარებულიყო სექტემბრიდან. ამ საუბრის ჩანაწერი „ქრონიკაში" გამოვაქვეყნე კიდეც. რა თქმა უნდა, ბლადაძის ინტერვიუში ბოლომდე არ იყო გაშიფრული, კონკრეტულად რა სახის კომპრომატები გამოქვეყნდებოდა ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ საკმაო მინიშნებები მაინც გაკეთდა. ამჯერად მერაბ ბლადაძე „ქრონიკას" უკვე ღიად ესაუბრება და კიდევ უმხელს რამდენიმე საინტერესო დეტალს.



**— მერაბ, დღევანდელი გადასახედიდან ვფიქრობ, რომ შენ ივნისში ყველა ფირი ნანახი გქონდა, რაც ციხეში პატიმრების წამებას ეხება.**

გელა, დღეს რომ ქართველმა ხალხმა იარაღი არ აიღო ხელში, ეს მხოლოდ მოახლოებული არჩევნების დამსახურებაა. ბოლომდე გაგიხსნი კარტებს, ამ მასალების გამოქვეყნებას არც ახლა ვაპირებდით.

**— რატომ?**

– ჯერ უნდა ჩატარებულიყო არჩევნები, თუ რამე პროვოკაციას მოაწყობდა სააკაშვილი, ან გააყალბებდა, მერე გამოვაჩენდით. თუმცა ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ 20 სექტემბერს ჩაგვეტარებინა ბრიფინგი და თანადათანობით გაგვეხმაურებინა. ჩვენ ვხვდებოდით ადამიანის უფლებების დამცველებს, ექსპერტებს, ყველანი შეხმატკბილებულად ვმოქმედებდით.

**— მერაბ, არჩევნების შემდეგ აზრი აღარ ექნებოდა ამ ფირების გამომზეურებას.**

ხნის დაწყებული იქნებოდა საქართველოში. შენ წარმოიდგინე, ყველანი გაუპატიურების კანდიდატები ვიყავით ამათ ხელში. კაცო, ამის მოთმენა აღარ შეიძლება, თავმოყვარე ხალხი ვართ! ბიჭო, პრეზერვატივნამოცმული „დუბინკა" და ცოცხი არც რუსებს უხმარიათ, არც აფხაზებს და არც ოსებს. გელა, ჩემთვის რაღაცები აქვს მოყოლილი ბედუკაძეს, შვილს გეფიცები, ერთი პერიოდი ვფიქრობდი, ალბათ, გავრეკე-მეთქი. ვიყავი ძალიან გაღიზიანებული... მერე რომ გახმაურდა და ყველამ გაიზიარა, რაღაცნაირად დავწყნარდი. ისეთი კადრები მაქვს ნანახი, შანსი არაა, იმ კადრების გამოჩენა არ შეიძლება.

**— აბა, იმ კადრებს რას უპირებთ, რაც ტელევიზიით არ გასულა?**

– ჩვენ ახლა ცოტა მსუბუქ რაღაცებს ვაძლევთ. წარმოგიდგენია? კაცს „დუბინკა"

მისახელებენ, თან მეკითხებიან, დახმარება ხომ არ გჭირდებათ, რა ხდება, როგორაა საქმეო? ამ დროს არ ვიცი, ვისგან მირეკავენ, რა დახმარებაზე ლაპარაკობენ? როცა საუბარში მითრევენ, მერე მოვდივარ აზრზე. ამას დავანებოთ თავი, გავუძლებთ... მე იმაზე ვგიჟდები, რომ გამოდის სააკაშვილი და ოპოზიციას იმას აბრალებს, რასაც თვითონ აკეთებს. დამიჯერე, ხათუნა კალმახელიძე აბსოლუტურად არის მხოლოდ ბუტაფორია, არავინ არ ეკითხებოდა არაფერს.

**— ამბობენ, პატიმრების წამებას კალმახელიძეც ესწრებოდაო, კადრებში ხომ არსად ჩანს?**

– არა, არ ესწრებოდა... ყოველ შემთხვევაში, ასეთი ინფორმაცია არ მაქვს. მე ვიცი, რომ კალმახელიძე



ოვთ დაპატიმრებას სასწრაფო წესით!

**— მერაბ, სადმე ჩანაწერებში ფიგურირებს თვითონ ბაჩო ახალაია?**

– არა, ახლა მაგისი ჩიტია, რომ სადმე გამოჩენილიყო?

**ჩანაწერების ნაწილი.**

– ჩვენ გვაქვს ყველაზე „მსუბუქი" კადრები, ამაზე უარესებიც არსებობს.

**— მე დღეს შევხვდი ერთ ადამიანს, რომელიც ახალაიასთან ერთად მუშაობდა კარგა ხანს, ეს ადამიანიც მიმტკიცებს, რომ ამ მანიაკს გადაღებული მასალა მიჰქონდა სააკაშვილთან.**

– კი, მეც მაგას არ გეუბნები? სააკაშვილი სადისტია, ბოკასა, რომელიც ადამიანის ხორცს ჭამდა. ბოკასა არ აწამებდა, ეგრევე კლავდა. ბიჭო, რომ უყურებთ ამ სააკაშვილს, ჩამოყალიბებული ავადმყოფია. ამიტომ უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილად, გავუძლოთ არჩევნებამდე.

## „ჩემი სისხლით ვარ პასუხისმგებელი, რასაც ახლა გეტყვი: ბაჩო ახალაიას მიჰქონდა სააკაშვილთან ეს ფირები და ერთად უყურებდნენ ამას..."

**„ჩემთვის რაღაცები აქვს მოყოლილი ბედუკაძეს, შვილს გეფიცები, ერთი პერიოდი ვფიქრობდი, ალბათ, გავრეკე-მეთქი. ვიყავი ძალიან გაღიზიანებული... მერე რომ გახმაურდა და ყველამ გაიზიარა, რაღაცნაირად დავწყნარდი. ისეთი კადრები მაქვს ნანახი, შანსი არაა, იმ კადრების გამოჩენა არ შეიძლება... ჩვენ ახლა ცოტა მსუბუქ რაღაცებს ვაძლევთ. წარმოგიდგენია? კაცს „დუბინკა" აქვს გარჭობილი ერთ ადგილას და ვამბობ, მსუბუქს ვაძლევთ-მეთქი. საშინელი ჩანაწერები არსებობს..."**

– კი, ნანახი მქონდა ძალიან ბევრი მასალა, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ მოდიოდა, ანუ თანდათანობით ვნახულობდი. თითქმის ყოველკვირეულად ვღებულობდით თითო ჩანაწერს. ახლა ამბობენ, თავის დროზე რატომ არ აჩვენეს, რატომ დამალეს, ხომ უფრო ბევრი გადარჩებოდაო? სიმართლე გითხრა, ჩვენ ჯგუფში თავიდან გვქონდა განსხვავებული აზრი, მაგრამ ბოლოს შევთანხმდით. ჩემი პოზიცია იყო ასეთი: ჯერ ერთი, აუცილებლად უნდა დავრწმუნებულიყავით, რომ ეს ყველაფერი მართლა იყო გადაღებული გლდანის საპყრობილეში და არა სადმე სხვაგან... ხომ შეიძლებოდა, თვითონ ხელისუფლებას გადაეღო თავისივე დადგმული სპექტაკლი და შემოეგდო? მეორე – დაცული უნდა ყოფილიყო ბედუკაძის ოჯახის უსაფრთხოება. მესამე – მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ თვითნებურად რომ გამოგვექვეყნებინა ყველაფერი და არ გაგვეთვალისწინებინა ევროსაბჭოს ექსპერტების რეკომენდაციები, საქართველოში რევოლუცია მოხდებოდა, სისხლი დაიღვრებოდა.

– ჰოდა, გადავწყვიტეთ გამომზეურება, მაგრამ უფრო ადრე ინფორმაციამ საიდან გაჟონა? მინდა, ეს აუცილებლად დაწერო: ვაიმეეეე, იცი, იმას რა დღეები ელოდება?

**— ვის, ვინც ინფორმაცია გაიტანა თქვენგან?**

– კი, ხელისუფლებამ ცოტა ადრე გაიგო ამ კადრების შესახებ, სანამ გამოვაქვეყნებდით და ჩვენც ავჩქარდით. ინფორმაციას რომ არ გაეჟონა, ეგენი „რუსთავი 2"-ზე უნიჭო სიუჟეტს არ გაუშვებდნენ. მაინც ვერ წარმოიდგინეს, რომ ფირები ექნებოდა „ობიექტივს" და გათვლა გააკეთეს „ქართულ ოცნებაზე", მერე თამაზ თამაზაშვილზე. სიგარეტის ვიღაცა რომ დაიჭირეს, ელიზბარაშვილი, ის საერთოდ ტყემალზე ზის... ეტყობა, ბიზნესის ახევა უნდათ და ხელს გააყოლეს. კაცი აზრზე არ არის, რა ხდება. ასევეა თამაზაშვილიც. ჩვენ ახლა ძალიან დაძაბულები ვართ, რაღაცა პროვოკაცია არ მოგვიწყონ. გელა, ვიმეორებ, დღეს რომ არ ვიყოთ არჩევნების მოლოდინში, ჩათვალე, რომ ომი კაი

აქვს გარჭობილი ერთ ადგილას და ვამბობ, მსუბუქს ვაძლევთ-მეთქი. საშინელი ჩანაწერები არსებობს... ბედუკაძემ უკვე თქვა პოლკოვნიკ თეთრაძეზე, კადრებია, როგორ გაუკეთეს ამ ადამიანს „დუბინკა", გული გაუსკდა და მოკვდა, სირცხვილით და შეურაცხყოფით მოკვდა!

**— თეთრაძის მკვლელობის კადრები არსებობს?**

– არსებობს, ახალაიასაც აქვს და სააკაშვილსაც. გელა, ჩემი სისხლით ვარ პასუხისმგებელი, რასაც ახლა გეტყვი: ბაჩო ახალაიას მიჰქონდა სააკაშვილთან ეს ფირები და ერთად უყურებდნენ ამას. სადისტი გვყავს პრეზიდენტად, საშინელი სადისტი. თუმცა უნდა გავუძლოთ, არჩევნებამდე გავუძლოთ!

**— მე ისევ იქ ვარ... ესე იგი, იცით, თქვენგან ვინ გაიტანა ინფორმაცია?**

– ვაიმეეე!.. ვიცით და მაგათი მხილების დროც დადგება. ჩვენ ბევრი რაღაცები ვიცით.

**— თქვენზე დაშინების მცდელობა ხომ არ ყოფილა?**

– არის, ვიღაცები რეკავენ, უფრო მეტად ქალები, რომელილაც პიროვნების გვარს

არაფერს არ წყვეტდა იქ. სიტუაცია იყო ასეთი: მანდ ჩამოდიოდნენ მოქრთამული ჩინოვნიკები ევროპიდან, ფულსაც წამოიღებდნენ, ლოგინშიც ჩაუგორებდნენ ხათუნას და მერე დამშვიდებულები წერდნენ კარგ დასკვნებს. აბა, სააკაშვილი რის საფუძველზე ამბობდა, არიქა, ჩვენთან შვეიცარიიდან და საფრანგეთიდან ჩამოდიან, პენიტენციური სისტემის მართვას სწავლობენო? ჩვენი ყვირილი, ჩვენი წერილები არავის არ აინტერესებდა, ყურადღებას საერთოდ არ გვაქცევდნენ, ეს ნაძირლები! მე ვაცხადებ მთელი პასუხისმგებლობით და ამას ადასტურებს ბედუკაძეც, ახალაიას არასოდეს არ შეუწყვეტია ციხის მართვა, თავდაცვის მინისტრი რომ გახდა, მაშინაც კი განაგებდა იქ სიტუაციას. ყველამ იცის ამის შესახებ, პოლკოვნიკ თეთრაძეს რომ „დუბინკა" გასთხარეს, ეს ახალაიასგან მოდიოდა პირდაპირ. გადადგომა არაფერია, ჩვენ ვითხ-

**— ბედუკაძეც ამბობს, რომ ახალაიას სეიფში აქვს უამრავი გადაღებული მასალა, გამოდის, თქვენ ხელში ჩაგივარდათ ამ**



**— თუ სააკაშვილმა ნაწილობრივ მაინც მოახერხა რეაბილიტაცია, გამოაქვეყნებთ თუ არა დანარჩენ მასალასაც?**

– არა, გელა, ყველაფრის ჩვენება არ შეიძლება, ასე, ძალიან დიდ სისხლისღვრას ველარ გადავურჩებით. ეს ადამიანთა უფლებების დამცველების გადაწყვეტილებაა. რაღაც მასალებს კიდევ ვაჩვენებთ საზოგადოებას.

**— ესე იგი, არის რაღაც, რასაც ვერასოდეს ვერ ვნახავთ?**

– შენ ნახავ, ფართო საზოგადოება – ვერა. ახლა მთავარია, ზღვარს არ გადავიდეს ხალხი და კონტროლი არ დავკარგოთ, ხელი არ შევუწყოთ სააკაშვილს პროვოკაციის მოწყობაში. მე იმას არ ვამბობ, ხალხი არ უნდა გამოვიდეს, პირიქით, ბევრი უნდა გამოვიდეს, მაგრამ დიდი სიფრთხილეა საჭირო. „ნაციონალებმა" ვერ უნდა გაბედონ გაყალბება, არც კი იოცნებონ მაგაზე!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

**„ქრონიკას" ესაუბრება ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი, აჭარის ტელევიზიის ყოფილი ხელმძღვანელი, თამაზ ბაკურიძე.**

– გელა, როგორც კი გამოვედი ციხიდან, „ქრონიკის" საშუალებით მაშინვე დავიწყე იმაზე ლაპარაკი, თუ რა ხდებოდა ჩვენს ციხეებში, ბევრი რამ ვთქვი, მაგრამ იყო ისეთი საკითხები, რომლის გამომზეურებაზეც თავი შევიკავე, რადგან არ მქონდა უსაფრთხოების გარანტია.

**— ახლა ილაპარაკე, როგორც ვხედავთ, სააკაშვილის რეპრესიული მანქანა მოშლილია.**

– კი, ახლა უსაფრთხოების გარანტიას თავად სიტუაცია იძლევა... მე უკვე არაერთხელ ვთქვი, რომ ვარ „უნიკალური" ყოფილი პატიმარი, ციხეში ვიჯექი კოპაძის დროსაც, ახალაიას დროსაც და შაშკინის დროსაც. ძალიან ბევრ ისეთ პატიმართან მქონდა ურთიერთობა, რომლებიც ისხდნენ შევარდნაძის პერიოდიდან მოყოლებული. უნდა ვაღიარო, შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ნამდვილად არ ხდებოდა ასეთი საშინელებები. კი, ბატონო, თუ ვინმეს გაგორება მოუნდებოდათ, ქურდები გადაიხდიდნენ მაყუთს, რათა ციხის ადმინისტრაციას დაეხუჭა თვალი და ზოგი ვითომ თავს იხრჩობდა, ან კიდევ ავადმყოფობით კვდებოდა, მაგრამ ეს იყო ერთეული შემთხვევები. მაშინ ნამდვილად არ არსებობდა წამება, გაუპატიურება, ზეწოლა და ასე შემდეგ. პირიქით, ქურდები ყოველთვის იცავდნენ დაჩაგრულ პატიმარს. როდესაც სააკაშვილი წარსულს ახსენებს, კიდევ ერთხელ აბოლებს საზოგადოებას, ჩვენ აქ ერთ ძალიან მნიშვნელოვან დეტალს უნდა მივაქციოთ ყურადღება: სულ სხვა რამეა, როდესაც დანაშაულს სჩადის ვიღაც კრიმინალი და სულ სხვაა, როცა სადისტურად გექცევა თავად სახელმწიფო!

**— თამაზ, გადავიდეთ ზოგადიდან კონკრეტულზე, მე გთხოვ, ახლა მაინც თქვა ის, რაც აქამდე არსად არ გითქვამს.**

– ვიტყვი... ყველამ კარგად დაიმახსოვროს, ქართულ ციხეებში წამება, გაუპატიურება და სადიზმი დაინერგა, მხოლოდ და მხოლოდ, სააკაშვილის მოსვლის შემდეგ, ამიტომ ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა ეკისრება პრეზიდენტს. რაღაც რუსულ კვალზე, რუსულ კომპრომატებზე ლაპარაკი არის სრული აბსურდი და თავის გადარჩენის მცდელობა. სხვათა შორის, როცა შენთან ამ თემაზე საუბარი დავიწყე, ბევრი მეუბნებოდა, გაჩერდი, ძალიან საშიშიაო. კიდევ ვიმეორებ, მაშინ რაღაც-რაღაცები ვერ ვთქვი და ამას ვნანობ კიდეც... მე ვუსმენ ბოლო დღეებში ბარამიძეს, მერაბიშვილს, სააკაშვილს და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ესენი უკვე ოპოზიციაში არიან, გმობენ ამ უბედურებას, აღშფოთებულებიც არიან, მაგრამ იმდენად აქვთ შუბლის ძარღვი გაწყვეტილი, რომ ვერ გრძნობენ, რამხელა დანაშაული ჩაიდინეს. კი, მაგრამ თვითონ არ შექმნეს ეს სისტემა და თვითონ არ ძალადობდნენ ყველაზე? ამათ ჩვენ ვგონივართ გონებაჩლუნგები... მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: იგივე ბარამიძე, იგივე უგულავა, იგივე ბაქრაძე, იგივე სააკაშვილი, თითოეული მათგანი არის მკვლელი! სადაც ესენი ჩადიოდნენ, სადაც ესენი ხალხს ხვდებოდნენ, ადამიანები გადასცემდნენ წერილებს, სადაც იგივე ეწერა, რაც ჩვენ კადრებში ვნახეთ. ახლა გამოვიდნენ და თქვან, რომელს ჰქონდა რეაქცია ამ ყველაფერზე?

**— შენ ამას წინათ მითხარი, სააკაშვილი პატიმრების წერილებს ხევდაო.**

– დიახ, წინა წლებს დავანებოთ თავი, შეიქმნას საგამოძიებო კომისია და ამ კომისიამ დაითვალოს, რამდენი წერილია შესული თანამდებობის პირების სახელზე. ვიმეორებ, იგივე წერია იმ წერილებში, რომლებიც ამათ საერთოდ არ აქვთ წაკითხული. როდესაც სააკაშვილს ხელზე გადასცემდნენ წერილებს, ხევდა და ყრიდა, განსაკუთრებით პატიმრებისას. მას არაერთხელ აქვს კერძო საუბრებში ნათქვამი, ყველაზე მეტად ამ ქვეყანაზე მძულს პატიმრებიო. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, 24 სექტემბრიდან, ორშაბათიდან იწყებენ „ნაციონალები" ვითომ კომპრომატების გამომზეურებას, რაღაცას ხლართავენ, მაგრამ ამათ რაც არ უნდა დამაჯერებელი არგუმენტები წარმოადგინონ, მაინც ვერ გაექცევიან პასუხისმგებლობას. მოდი, ახლა ჩვენ გავიხსენოთ 2007 წლის მარტის ბუნტი ციხეში. ეს ყველაფერი იყო დაგეგმილი სპეციალურად ბაჩო ახალაიას მიერ და ვინმე ნუკრი (არსენ) ხუხუას მიერ, რომელიც იყო მისი მოადგილე. ამათ შექმნეს ბუნტის იმიტაცია, რათა პატიმრები ჩაეცხრილათ კამერებში. მე მისაუბრია უამრავ პატიმართან, რომლებიც ყვებოდნენ ბაჩო ახალაიას სისასტიკეზე. თუმცა აქ მარტო ახალაია არ არის დამნაშავე, დამნაშავეები არიან ის პირები, რომლებიც 30-40 წლით უშვებენ ადამიანებს ციხეში. იმ პერიოდში ჩემთან იყო შემოსული ქალბატონი ელენე თევდორაძე, რომელმაც მითხრა, რომ ძლივს აჩერებდა მაშინ გიგა ბოკერიას და ბაჩო ახალაიას. ახლა პირველად ვაცხადებ თქვენი გაზეთის საშუალებით: 2007 წელს ციხეში ბუნტის დამგეგმავი იყო გიგა ბოკერია, ხოლო ახალაია გახლდათ შემსრულებელი. ელენე თევდორაძემ ისიც მითხრა, მე რომ არ გამეჩერებინა, ესენი ციხეში ყველას ამოხოცავდნენო. როდესაც ახალაიას ჩააბარეს ეს სისტემა, ეგრევე შემოიარა „სპეცნაზის" თანხლებით ყველა ციხე, გახვეტა ქურდები ერთ ადგილას, ცალკე მოათავსა იზოლატორში და ყველას გადაუარა ქარიშხალივით. არ ჰქონდა მნიშვნელობა, ბავშვი იყო, ახალგაზრდა თუ მოხუცი, ყველას ჩაულეწეს გვერდები „დუბინკებით" და სხვა საგნებით. გეუბნები, ჰაერში იქნევდნენ პატიმრებს, კედლებზე ახეთქებდნენ. საკუთარი ყურით მაქვს მოსმენილი ბავშვის ხმა, რომელიც არასოდეს დამავიწყდება: გეხვეწებით, ნუ მომკლავთ, მანდ ნუ მირტყამთ, თავში მირტყითო! ხომ ხვდები, სად ურტყამდნენ, რომ ბავშვი იხვეწებოდა, მანდ არაო. მე მაშინ ქალბატონ ელენეს ვკითხე, – რატომ აკეთებენ ასეთ რამეს-მეთქი? – შიშის გამო, „დაჩმორებული" უნდა იყოს მარტო ციხე კი არა, მთელი საზოგადოებაო. მერე ჩავეკითხე, – თქვენ ხშირად დადიხართ ციხეებში, პრეზიდენტს ამის თაობაზე არაფერს ეუბნებით-მეთქი? მე კი არა, ვანო მერაბიშვილმაც არაერთხელ უთხრა, მიშა, ამდენი პატიმარი არ გვჭირდება ციხეებში, მოდი, ცოტა განვტვირთოთო. თურმე სააკაშვილი დაიყოლია ვანომ, მაგრამ მერე ადეიშვილმა და ბოკერიამ ისევ გადაუტრიალეს ტვინი.

**— ესე იგი, ამ საქმეში ახლა მოყუჩებული ბოკერიაც გადის?**

– კი, ეგ არის მთავარი ფიგურა და ფუძემდებელი, მისი გეგმაა, უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი პატიმარი და ციხეებში მუდმივად უნდა იდგეს სისხლის გუბეები. ახალაია იყო შემსრულებელი, ჯალათი. მარტო ამ არაკაცს კი არ უნდა სდიონ სტუდენტებმა, არ გამორჩეთ ამ ყველაფრის იდეოლოგი, გიგა ბოკერია და ხელშემწყობი, ზურაბ ადეიშვილი!

**— თამაზ, დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ სააკაშვილის მანიაკალურ თვისებებზე.**

– სააკაშვილი არის პათოლოგი, რომელსაც არ უყვარს ადამიანები. ბათუმში ცხოვრობს ერთი ქალბატონი, მას ძალიან კარგად ვიცნობ, ციხეში ჰყავს შვილი. ამ ბიჭსაც ვიცნობ, ჩემთან ერთად იჯდა. ერთხელაც გაიყვანეს და ეუბნებიან, უნდა აგინო ქურდებსო. ამან იუარა, ვერ ვიზამ მაგასო. ისე სცემეს, ისე აწამეს, წელს ქვემოთ მოწყდა. ციხიდან იწერებოდა, გამიყვანეთ აქედან, თორემ მომკლავენო. მოკლედ, ამ ქალმა ჩაიცვა რკინის ქალამნები და დაუწყო სააკაშვილს დევნა. სწორედ იმ პერიოდში ნაზარბაევი ჩამოიყვანა მიშამ ბათუმში, ერთად ათვალიერებდნენ ქალაქს, ქალმა სცადა მისვლა, როგორღაც მოახერხა და ეუბნება: ბატონო პრეზიდენტო, ჩემი შვილი ციხეშიაო... სააკაშვილმა სიტყვა არ დაამთავრებინა, ეგრევე მიახალა, ჩემი შვილი სახლშიაო. კი, მაგრამ შენი შვილი რომ სახლშია და ჩემი ციხეში, ამიტომ უნდა მოკვდესო? გელა, ეს ქალი მიყვება, მიშას აშკარად შეეშალა სახე და ცოფიანივით გახდა, გაიქცა, არც კი მომისმინაო. ახლა ეს ადამიანი გამოდის ტელევიზიით და ამტკიცებს, არაფერი არ ვიცოდი, გამომეპარაო. არავინ არ დაიჯეროს, მაგას გადაღებული მასალა გაეპარა და მარტო ამაზე ნერვიულობს. რა, არ იცის, რომ დღეს საქართველოში 2 ათასზე მეტი პატიმარი [illegible] დაავადებული? გამაგებინე, რა უნდა კიბოიან ადამიანს ციხეში, რომელსაც ორი პარასკევი დარჩენია ისედაც? ესენი ადამიანებს იმის საშუალებასაც არ აძლევენ, რომ საკუთარ ოჯახებში დალიონ სული. კიდევ ვიმეორებ: სააკაშვილი, ბოკერია, ადეიშვილი, უგულავა, ბარამიძე... ესენი არიან სადისტები, სოციოპათები, რომლებიც არიან გაერთიანებულები რაღაც ორგანიზაციაში, რაღაც ფარული ორგანიზაციაა და ეწევიან ადამიანიდან ყველანაირი ღირებულების გამოდევნას, მის განადგურებას. მე ვაფრთხილებ საზოგადოებას, თუ ახლა ამათ როგორმე შეძლეს და გაძვრნენ, ქართველი ხალხი აღარ უნდა გაჩერდეს. სამწუხაროდ, დღეს პოლიტიკურ პარტიებში ვხედავ ისეთ ადვოკატებსაც, რომლებიც თავის დროზე ასეთ საქმეებს მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებდნენ, თუ საათში 1000 დოლარს გადაუხდიდნენ, ღარიბი პატიმრის საქმეების გადაფურცვლას არც კი კადრულობდნენ. ახლა აღშფოთებულები არიან და ნიანგის ცრემლებს აღვარღვარებენ. მოვუწოდებ ახალგაზრდებს, არც ერთი პოლიტიკური პარტია არ გაიკარონ ახლოს, ეს ყველაფერი ბოლომდე უნდა მიიყვანონ არასამთავრობოებმა და მოსახლეობამ!



**„ელენე თევდორაძეს ვკითხე, — რატომ აკეთებენ ასეთ რამეს-მეთქი? — შიშის გამო, „დაჩმორებული" უნდა იყოს მარტო ციხე კი არა, მთელი საზოგადოებაო. მერე ჩავეკითხე, — თქვენ ხშირად დადიხართ ციხეებში, პრეზიდენტს ამის თაობაზე არაფერს ეუბნებით-მეთქი? — მე კი არა, ვანო მერაბიშვილმაც არაერთხელ უთხრა: მიშა, ამდენი პატიმარი არ გვჭირდება ციხეებში, მოდი, ცოტა განვტვირთოთო. თურმე, სააკაშვილი დაიყოლია ვანომ, მაგრამ მერე ადეიშვილმა და ბოკერიამ ისევ გადაუტრიალეს ტვინი..."**

დიტო ჩუჩინიძე
599 64-25-77

23 სექტემბერს, კვირას, 13 საათზე დამირეკა ჩემმა უფროსმა მეგობარმა, რომელიც 22 სექტემბერს ზუგდიდში ბიძინა ივანიშვილის მიტინგზე დასასწრებად იყო ჩასული და მეორე დღეს უკან, თბილისში ბრუნდებოდა... მეგობარი მეკითხება, – დღეს სააკაშვილს რამე ხომ არ აქვს დაგეგმილიო?

– არ ვიცი-მეთქი!..

– არ იცი კი არა, სად იყო ამდენი ცარიელი ყვითელი „მარშუტკა“, ვერ დავთვალეთ, იმდენი მოდის და გვხვდება გზაზე, ეტყობა, რალაცა აქვს დაგეგმილიო!..

არ გასულა ერთი საათიც, რომ ზუგდიდიდან დამირეკა „ამომრჩეველთა ლიგის“ ერთ-ერთმა ლიდერმა – კახა მიქაიამ, რომელმაც მითხრა, – როლანდ ახალაია ზონდერებთან ერთად ცაიშელ ეპისკოპოსს – მეუფე გერასიმეს მიუვარდა, როგორ თუ შენ გაბედე და ქადაგებაში თქვი, რომ რაც გამოქვეყნდა და ხალხს აჩვენეს, ეს ამაზრზენი და საშინელებააო!.. ხოლო ახლა მთელი საქართველოდან ზუგდიდში ნახირივით გამოირეკეს ხალხი, სის გარდა, ამ ბინძურმა და ცოცხმომარჯვებულმა ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, მასწავლებელთა ძირითადი მასის დამონება, ეტყობა, მართლაც შეძლო!..

18 საათზე ტელევიზორი რომ ჩავრთე, მიშა ამბობდა, – გიორგი ჭყონდიდელმა სამეგრელოდან გაგზავნა დავით აღმაშენებელი სახელმწიფოს სამართავადო(!!!), დავით აღმაშენებელს 35 წელი დასჭირდა, ხოლო ჩვენ 9-წლიანი მოღვაწეობის ანგარიშს ჩაგაბარებთო!..(!!!)

დაუნახავო და უმადურო ქართველებო, აცალეთ კაცს კიდევ 26 წელი და აგერ ნახავთ, რასაც იზამს, – უფრო დიდ ცოცხს ჩამოიტანს საიდანლაც და იმას „გაგვიკეთებს“ სათითაოდ!..

რაც შეეხება სკანდალურ ფირს, რომელიც მიშას ციხეში არსებულ საშინელ რეალობას ასახავს, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ეს ფირი ინახებოდა ვანო მერაბიშვილის მოადგილის – ამირან მესხელის კაბინეტში, რომელმაც პირადად უზრუნველყო ამ ფირის ბრიუსელში ჩატანა!.. მესხელის შესახებ ცოტა ხნის წინათ ერთმა წყარომ მაცნობა, პატივცემული ამირანი გაგანია ნარკომანიაო!.. ჰქონდათ და ამავდროულად, არც წერილობით განცხადებებს იბარებს შსს-ში ვინმე... ანუ იმ პრეცედენტის შემდეგ, როცა პატრულის სპეცრაზმის ოფიცერმა – ანზორ ფანჩულიძემ პატრულიდან „ქართულ ოცნებაში“ გადმოინაცვლა და საპატრულო პოლიციას „ბინძური“ სამსახური უნოდა, შსს-ში განგაში გამოცხადდა და ყველა გზა და ხვრელი ჩაკეტეს!..

სააკაშვილი ამზადებს მიტინგების დარბევას, რაც უსათუოდ გამოიწვევს ისედაც აქოჩრილი ხალხის ქუჩაში მასობრივად გამოვარდნას და მერე უკვე რაც მოხდება, ღმერთმა იცის!..

ერთი რამ არის ფაქტი და ვინც ამ გარემოებას დღეს თვალს დაუხუჭავს, ხვალ უსათუოდ ინანებს!..

შევთანხმდეთ, რომ ამ სიტუაციაში, როცა მიხეილ სააკაშვილი დარეტიანებული და კუთხეში მიმწყვდეული იყო, პატრიარქის ნათქვამმა, – ასეთი რამეები სხვაგანაც ხდება, მაგრამ არ ახმაურებენო!.. – მიშა მოამკვირცხლა და თვალებში გამოახედა!.. დღეს ის უკვე იმუქრება და კაცმა არ იცის, ხვალ რას იზამს... მე ვიცი, რომ საზოგადოების სოლიდურ ნაწილს სერიოზული უკმაყოფილება დაეუფლა პა-

**„სოდის“, „კუდისა“ და პოლიციის თანამშრომლებმა სულ წიხლებითა და დედის გინებით ჩატენეს ყვითელ „მარშუტკებში“, – მიშა ჩამოდის, დავალებული გვაქვს, ბიძინას რომ ხალხი ჰყავდა, უნდა მოვკვდეთ და იმაზე მეტი ხალხი უნდა შევაგროვოთ, ყველანი ზუგდიდში წაეთრიეთ, თორემ დედას მოგიტყ...თო!..“**



„სოდის“, „კუდის“, ზონდერების ოჯახის წევრები, პოლიციელები თავიანთი ოჯახის წევრებით სულ აქ არიან მორეკილები და ქუჩებში გაჰკივიან იმას, რასაც ცხონებული ბადრი პატარკაციშვილის დროს გაჰკიოდნენ: „ბიძინას, რა?..“

დამირეკეს აბაშიდან, – ბატონო დიტო, სკოლის მასწავლებლები, საბიუჯეტო ორგანიზაციის უკლებლივ ყველა მუშაკი თავის ოჯახის წევრებთან ერთად „სოდის“, „კუდისა“ და პოლიციის თანამშრომლებმა სულ წიხლებითა და დედის გინებით ჩატენეს ყვითელ „მარშუტკებში“, – მიშა ჩამოდის, დავალებული გვაქვს, ბიძინას რომ ხალხი ჰყავდა, უნდა მოვკვდეთ და იმაზე მეტი ხალხი უნდა შევაგროვოთ, ყველანი ზუგდიდში წაეთრიეთ, თორემ დედას მოგიტყ...თო!..

პატივცემულო მკითხველო, ეს ხალხი და განსაკუთრებით მასწავლებლები და მათი ოჯახის წევრები, რა თქმა უნდა, საცოდავები არიან... ვინ უნდა მოუსმინოს ასეთ მასწავლებელს და ვინ უნდა დაუჯეროს მას, რომელსაც ყვითელი „მარშუტკებით“ იქ გააქანებენ, სადაც სააკაშვილს ფეხის აწევა ან გაზმორება მოუნდება?

მე პედაგოგების ოჯახში დავიბადე და გავიზარდე, ცხონებული მამაჩემი ცნობილი მასწავლებელი – ფიზიკოსი და მხაზველი იყო, დედაც მასწავლებელია... ძალიან მიმძიმს ამ თემაზე საუბარი, მაგრამ იშვიათი გამონაკლი-

რა თქმა უნდა, ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ ასე მიშაზეც ამბობენ, ნარკომანიაო და აქედან გამომდინარე, პროფილაქტიკის მიზნით, ერთ რიტორიკულ კითხვას მაინც დავსვამთ, – ნარკომანის მიერ დაჭერილი ნარკომანის ამბავი გაგიგიათ?

იმერეთის ღუბერნატორს – ლაშა მაქაცარიას, რომელიც ბაჩო ახალაიას კადრი და „კუდის“ ყოფილი აგენტია, თურმე გაქანებული ნევროზი აქვს!.. „ქართული ოცნების“ მანქანები ქუთაისში ჩამოიქროლებენ თუ არა, ლაშა მაქაცარია წამოხტება და პეშვით წამლებს იყრის პირში. მოადგილე – სოროსელი და გიგა ბოკერიას კუდის ამწევი – გიგა შუშანია მაქაცარიას თურმე აიმედებს, – ნუ გეშინია, გავიმარჯვებთო!.. აქეთ ზეინაბ ხაჩიძე – ადმინისტრაციის უფროსი ყოფილა აჭრილი, – მიშას უფრო მაგარი კომპრომატები ექნება ბიძინაძე და ჩქარა გამოაქვეყნოს, თორემ გავგიჟდებიო!.. ამის გამო ქუთაისის „ნაცელიტაში“ ქირქილებენ, – მეტი კომპრომატი რალა უნდა ჰქონდეთ... ახლა კაკოია ბობოხიძეს თუ გაუკეთებენ უკანალში ცოცხს და იმას გვიჩვენებენ, თორემ გათავებულია ამბავიო!..

„ქრონიკას“ ის ამბავიც მიაწოდეს, რომ პოლიციის „ჩამოშლისა“ და საბოლოოდ დანგრევის შიშით ხელისუფლებამ თურმე ის ვებ-გვერდი დაბლოკა, რომელზეც პოლიციის მუშაკებს თავიანთი განცხადებები შე-ტრიარქის ამ განცხადების გამო, რომლის გაშიფვრაც მოგვიანებით საპატრიარქომ ამაოდ სცადა!..

ვინც ჩემს ხელწერას იცნობს, დამეთანხმება, რომ მე ძალიან ბევრი დამიწერია და დღესაც ვწერ ამ პრობლემატიკის შესახებ და ერთ რამეს საბოლოოდ მივხვდი, – ნუ ჩავაყენებთ მის უწმინდესობას გამოუვალ სიტუაციაში!.. ახლავე დავაკონკრეტებ, რასაც ვგულისხმობ!..

მთელი ერი ჭკუიდან გადაგვიყვანა იმ ამბავმა, რაც ამ დღეებში ტელევიზიებით ვნახეთ და სააკაშვილს სიკვდილი რომ ურჩევნოდა მის განთავისუფლებას, ოფიციალურად აი, ის ქილერი ჩამოაშორა ხალხმა ხელისუფლებას – ბაჩო ახალაია!.. ხალხის ჭკუიდან გადასვლა თქვენ მაშინ ნახეთ, მერაბიშვილს რა ფოტო და ვიდეომასალებიც აქვს სასულიერო პირებზე, აი, ის თუ გამოქვეყნდა!..

სააკაშვილი ის კაცია, თუ დასჭირდა, ამას გამოააშკარავებს!..

ეს პატრიარქმაც იცის და ერიდება ეკლესიის ავტორიტეტის მონიორწყლებას!..

ამიტომაც ნურავის ექნება იმის იმედი, რომ წმინდა სინოდი და საქართველოს წმინდა სამოციქულო ეკლესია რეჟიმის წინააღმდეგ ხმას ისე და იმ დოზით აღიმაღლებს, როგორც ეს საქმეს სჭირდება!..

უნდა გავუგოთ პატრიარქს!..

## წერილები „ქრონიკას“

### მანანა ღურჭუმელიძის მიმართვა საქართველოს პედაგოგიურ საზოგადოებას

უკვე ორი წელია, ემიგრაციაში ვიმყოფები და საზღვარგარეთიდან ვადევნებ თვალს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. ეს არ იყო ჩემი არჩევანი. ეს იყო იძულებითი ნაბიჯი, რომლის გადადგმაც მაიძულა ხელისუფლების მიერ პირადად ჩემსა და მთლიანად მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წინააღმდეგ გაჩაღებულმა

ცილისმწამებლურმა კამპანიამ. მედიატერორი ადამიანებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების უმძლავრესი იარაღია, რომელიც უფრო „ეფექტურად“ აღწევს მიზანს, ვიდრე ქილერის მიერ ნასროლი ტყვია.

დღეს საქართველოს მასწავლებლობა სრულიად დაუცველია. მას აღარ აქვს საკუთარი პროფესიული კავშირი და დარგის მუშაკთა ბედი მთლიანად არის დამოკიდებული როგორც სამინისტროს, ასევე საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა (რესურსცენტრთა უფროსები,

დირექტორები) და მანდატურთა ხუშტურებზე. იმ პერიოდში, როდესაც მე ვხელმძღვანელობდი საქართველოს განათლების მუშაკთა პროფესიულ ორგანიზაციას, ყველაფერს ვაკეთებდი მასწავლებელთა შორის მებრძოლი სულისა და სოლიდარობის გრძნობის ჩამოსაყალიბებლად. სამწუხაროდ, დროის სიმცირის გამო, ბევრი ვერაფერი შევძელი, თუმცა საზოგადოებას ახსოვს 2006-2010 წლებში ჩვენ მიერ ჩატარებული ხმაურიანი აქციები და მანიფესტაციები.

დიახ, იმ წლებში საქართველოს მასწავლებლობა იბრძოდა და არ ნებდებოდა ძალადობას. მას არ დაუკარგავს ყველაზე მთავარი – ღირსების გრძნობა, რომლის გარეშე ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე კვალიფიციური პედაგოგიც კი განწირულია მარცხისთვის საკლასო აუდიტორიაში. სწორედ ამ შეურიგებელი პოზიციის გამო დამიპირისპირდა მთელი სახელმწიფო აპარატი, პრეზიდენტი, განათლების სამინისტრო, სულგაყიდული მედიასაშუალებები და საბანკო სექტორიც კი. სწორედ ამ უთანასწორო შეჯახების შედეგად დაინგრა თქვენი უფლებების დამცველი ორგანიზაცია.

და დღეს, სამშობლოდან 10 000 კილომეტრზე გადახვეწილს, გული მტკივა, როდესაც ვხედავ, როგორ არის ლაფში ამოსვრილი და საბურთაოდ ქცეული მასწავლებლების სახელი.

გული მტკივა, როდესაც ვუყურებ პრეზიდენტთან შეხვედრებზე მიკროავტობუსებით ცხვრებივით მირეკილ ჩემს კოლეგებს. გული მტკივა, რადგან ველარ ვხედავ მათ ანთებულ თვალებს და შემართებას. რატომღაც, თქვენ შორის საყოველთაო აპათიაა გამეფებული. თითქოს შეგუებიხართ თავსმოხვეულ უსამართლობას, ხელი ჩაგიქნევიათ და დინებას მიჰყვებით მკვდარი თევზებივით.

ნუთუ, ერთხელ მაინც არ დაფიქრებულხართ იმაზე, რატომ გთვლით საზოგადოებრივი აზრი მომავალ არჩევნებში სისხლიანი რეჟიმის უპირობო მხარდამჭერებად? ნუთუ, არ განუხებთ თქვენი მისამართით გამოვლენილი ირონია და აგრესია? თქვენ ხომ ბავშვებს უნდა ჩახედოთ უმანკო თვალებში და მათ თქვენს სახეზე უნდა ამოიკითხონ ის, რაც სულიერ საზრდოს მისცემს თაობას და დაეხმარება აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში.

და ამ დროს რა ხდება? თქვენი უმეტესობა დუმს და ხმას არ იმაღლებს ძალადობის წინააღმდეგ. ნაწილი პირიქით, აქტიურად ჩამდგარა სისხლიანი რეჟიმის სამსახურში. ზოგი უბნის კოორდინატორია, ზოგიც – საარჩევნო კომისიის წევრი და სწორედ თქვენი დახმარებით აპირებს ხელისუფლება გაყალბების არაერთგზის ნაცადი კარუსელის დატრიალებას. ზოგიერთი კი ადმინისტრაციის დავალებით მონდომებით აგროვებთ ინფორმაციას მოსწავლეთა მშობლების პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ...

სირცხვილია ეს ყოველივე!

მე კარგად ვიცი, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა შინაგანად კრიტიკულადაა განწყობილი ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ახლა გადამწყვეტი მომენტია და დადგა დრო, ეს განწყობა რეალურ ქმედებაში გამოიხატოს. გახსოვდეთ, „ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ ერთხელ დარჩენა ხელისუფლებაში კატასტროფა იქნება მთლიანად ქვეყნისთვის, პირველ რიგში, განათლების სისტემისთვის. არ დაგავიწყდეთ – ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც რვა წელი გატყუებდნენ და აბუჩად გიგდებდნენ. მათი დამსახურებაა, ათასობით თქვენი კოლეგა ქუჩაში რომ აღმოჩნდა და საზღვარგარეთ გადაიხვეწა. ეს სწორედ ისინი ერეკებიან დღესაც სკოლებიდან განსხვავებული შეხედულების მქონე პედაგოგებს.

ეჭვი არ შეგეპაროთ – ისინი თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში, ძველებურად განაგრძობენ ბოგინს და განათლების სისტემის ნგრევას. ნუ იმედოვნებთ, რომ რომელიმე თქვენგანი გადარჩება თავის ჩალუნვისა და ხმის გაკმენდის ხარჯზე. ეჭვიც არ შეგეპაროთ – თითოეული თქვენგანის ჭიშკართან წამოიჩოქებს დორბლიანი აქლემი და მერე გვიანლა იქნება თითზე კბენანი.

1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები რიგითი არჩევნები არ არის საქართველოს მოსახლეობისთვის. ამ დღეს უნდა გაირკვეს ჩვენი სახელმწიფოდ ყოფნა-არყოფნის პერსპექტივა. ამ დღეს ქართველმა ხალხმა უარი უნდა უთხრას ძალადობასა და უსამართლობას. ამ დღეს უნდა დავამტკიცოთ, რომ შემდგარი ერი ვართ და შეგვიძლია კუთვნილი ადგილი მოვნახოთ ცივილიზებული ქვეყნების თანამეგობრობაში.

თქვენ, საქართველოს მასწავლებლებმა, 1-ლ ოქტომბერს ხმამაღლა უნდა თქვათ სათქმელი. ამ დღეს ხელისუფლების გვერდით დგომა სირცხვილია, მეტიც, იგი ხარაკირის ტოლფასი ქმედებაა.

მე შორს ვარ იმ აზრისგან, არჩევნებში ამა თუ იმ კონკრეტული ოპოზიციური პარტიის მხარდაჭერისკენ მოგიწოდოთ. თქვენ უკეთ იცით, ვინ იმსახურებს ნდობას წარსულში ნაკეთები საქმეების, ახლანდელი პოზიციისა და პერსპექტივის გათვალისწინებით. მთავარია, უარი უთხრათ სიყალბეს და დაიბრუნოთ ღირსების გრძნობა. მხოლოდ ამ შემთხვევაში გექნებათ მორალური უფლება, შეაღოთ საკლასო ოთახის კარი, თვალებში ჩახედოთ აღსაზრდელებს და მწარე სირცხვილის გრძნობა არ მოგგვაროთ მათმა მომლოდინე, გამომცდელმა მზერამ.

მხოლოდ ამ ანტიხალხური ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ექნება ქვეყანას ნორმალური განვითარების პერსპექტივა. მხოლოდ ასეთ პირობებში შევძლებთ მასწავლებლები, თავიდან დავიწყოთ ჩვენი გაპარტახებული ორგანიზაციის მშენებლობა, იმ ორგანიზაციისა, რომელიც უეჭველად გახდება განათლების მუშაკთა უფლებების დაცვის გარანტი ახალ საქართველოში.

მე მჯერა, რომ თქვენ ღირსეულად ჩააბარებთ ამ გამოცდას, კოლეგებო!

*კანადა, ტორონტო, 2012 წლის 20 სექტემბერი.*

# ეს არის ინტერვიუ, რომელსაც საზოგადოება ერთ წელზე მეტია, ელის!!! „ალია ჰოლდინგის" ფოტორეპორტიორი და „რუსეთის ჯაშუში" გიორგი აბდალაძე ყველა კითხვას პასუხობს!!!

დიმიტრი ტიკარაძე
593 93-81-18

**ეს არის ინტერვიუ, რომელსაც საზოგადოება ერთ წელზე მეტია, ელის!!!**

**„ალია ჰოლდინგის" ფოტორეპორტიორი და „რუსეთის ჯაშუში" გიორგი აბდალაძე ყველა კითხვას პასუხობს!!!**

**მეგობრებსა და ნაცნობებზე რომ არაფერი ვთქვათ, არც საქართველოში და არც მსოფლიოში არავის სჯერა, რომ მან დანაშაული ჩაიდინა, თუმცა სააკაშვილის სასამართლო განაჩენით ის ჯაშუშია! მას ახლაც პირობითი მსჯავრი აქვს და მის მოხდამდე კიდევ 3 წელი დარჩა...**

**მთელ საქართველოს ახსოვს შარშანდელი ივლისი, როცა გიორგი აბდალაძე, ზურაბ ქურციკიძესთან, ირაკლი და ნათია გედენიძეებთან ერთად დააკავეს. აქედან გამომდინარე, იმ 15-დღიანი ჯოჯოხეთის, ჟურნალისტების საპროტესტო აქციებისა და მათი შედეგების პრეისტორიით თავს არ შეგაწყენთ...**

**გიორგი აბდალაძე დღეს პირველად ისაუბრებს იმაზე, რაც იმ 15 დღის განმავლობაში გლდანის მერვე საპყრობილეში ნახა, იტყვის, როგორ შეაწყვეტინეს შიმშილობა და როგორ მიიღეს მისგან აღიარებითი ჩვენება, დაასახელებს კონკრეტულ გვარებს და გვეტყვის მისი დაკავების რეალურ მიზეზს...**

**მაშ ასე, სკანდალური და ექსკლუზიური ინტერვიუ „ალიასა" და „ქრონიკის" ფოტორეპორტიორ გიორგი აბდალაძესთან:**

**— გიორგი, დავიწყოთ შენი დაჭერის ღამით და მოკლედ და თანმიმდევრულად გავიხსენოთ ყველაფერი...**

– ალბათ, გახსოვს, რომ 7 ივლისის ღამეს ჩემი მეუღლის დაბადების დღე იყო. სამსახურიდან წასვლისას შენც გითხარი ამის შესახებ. მერე ყვავილები ვიყიდე, სახლში ავედი და ბავშვთან ერთად მეუღლის დაბადების დღე აღვნიშნე. უკვე გვეძინა, ღამის სამი საათი იქნებოდა და კარზე ზარი გაისმა. გავიხედე „გლაზოკში", ბევრი ხალხი ჩანდა. მეზობლის ბიჭები მეგონნენ და ერთის სახელი გავძახე, შენ ხარ-მეთქი? კიო. გავაღე კარი და შემოვარდა ერთი 15 კაცი. გავოგნდი, ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. გიორგი აბდალაძე შენ ხარო? კი-მეთქი და ჩვენო კუდ-იდან ვართ და უნდა დაგაპატიმროთო. რისთვის-მეთქი? – ვერ ვხვდები, სიმართლეს მეუბნებიან თუ მეხუმრებიან. ყველა ოჯახის წევრის ტელეფონი გამოგვატანინეს და მაგიდაზე დაგვაწყობინეს. ამოიღეს პატარა ვიდეოკამერა, დააყენეს და შენო, ჯაშუშობა გედება ბრალადო. ამაზე ამიტყდა სიცილი. არ ველოდებოდი ასეთ სისულელეს. ერთ-ერთი მეუბნება, რა გაცინებსო, შენ არ იცი, რა გელოდებაო. თან კამერით ვიღებთ და სერიოზულად იყავიო. დამადეს ხელბორკილები. ახლა უნდა ჩავატაროთ ჩხრეკაო და დისკები რაც გაქვთ, გამოიტანეთო. გამოვიტანეთ კინოფილმებისა და ჩემი ფოტოების დისკები და ჩემმა სიმამრმა გამოიტანა თავისი დისკები ყუთში ჩაწყობილი. გეოგრაფიის წიგნზე მუშაობს და ფაილები აქვს ჩაწერილი. მოკლედ, ამ დისკების აღწერა დაიწყეს. ეს გრძელდებოდა დაახლოებით ერთი საათი. ამ დროს დავინახე, რომ ერთ-ერთმა რაღაც დისკი ამოიღო „საროჩკიდან" და ჩადო სიმამრის დისკებში. არ გამიპროტესტებია, რადგან შევშინდი, რომ რამე არ მომხდარიყო სახლში, ოჯახის წევრების მიმართ. ვიფიქრე, გაირკვევა ყველაფერი, დამტკიცდება ჩემი სიმართლე და დღესვე გამომიშვებენ სახლში-მეთქი. მერე ჩამიყვანეს დაბლა, მანქანიდან ამომაღებინეს ფოტოაპარატი, დაულუქავად ჩააგდეს პარკში და დალუქულ დისკებთან და ტელეფონებთან ერთად წაიღეს. სანამ წამიყვანდნენ, მეუღლეს შენი ტელეფონის ნომერი ვუთხარი, სასწრაფოდ დაურეკე, ტყუილად დამიჭირეს-მეთქი. მანქანაში ის თანამშრომელი, რომელმაც რაღაც დისკი ჩამიდო, მეკითხება, ხომ იცი, რატომ ხარ დაჭერილიო? ვერ ვხვდები-მეთქი. ახლა ნახავ, რაც მოგივა და მერე კარგად მიხვდებიო. დილის 6 საათზე შემიყვანეს „მოდულში". ერთმანეთს ეუბნებიან, – „ნარუჩნიკების" გასაღები დავკარგეთო და თან მეკაიფებიან, ხომ არ გიჭერსო? დაბლა ჩამიყვანეს, სადაც კამერებია და რაღაც საბუთებს ავსებენ. იქ ვინც დაგვხვდა, კითხულობს, – ეს რისთვის დაიჭირეთო. ეს „ჩვენს ძმებს" ეხმარებოდაო. რუსებსო? კიო. მე ვთქვი, ეს კიდევ დასამტკიცებელია-მეთქი. დამტკიცებულია ყველაფერი და თქვენს დედებს მოვტ...ნავთო. უცებ ვიღაცა გამოვიდა, ხელში ელექტროშოკი უჭირავს და დანარჩენებს ეუბნება, – მგონი, გაფუჭდაო. მე მეუბნება, ახლა შენზე მოვსინჯავთ, მუშაობს თუ არაო. ვხვდები, რომ აშკარად ფსიქოლოგიურად ზემოქმედებენ ჩემზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ რეალურად არაფერს მიზამენ. მართლაც არ დაუდიათ ის ელექტროშოკი. შემიყვანეს კამერაში, სადაც ორი პატიმარი დამხვდა. ამის შემდეგ უკვე „მოდულში" კარგად მექცეოდნენ და ზედმეტი არაფერი უთქვამთ...

**— ამის მერე შენთან შემოვიდნენ ადვოკატები...**

– კი, დილით შემოვიდნენ ადვოკატები. მითხრეს, რომ დიტომ გამოგვგზავნა, „ალია ჰოლდინგის" ადვოკატები ვართო. მე ვუთხარი, რომ ტყუილად ვარ დაჭერილი, ვაცხადებ მშრალ შიმშილობას და ან ცოცხალი გამოვალ აქედან ან მკვდარი-მეთქი. თან შენთან გამოვატანე წერილი, რომელიც დაიბეჭდა კიდეც. მოკლედ, იმ ორი დღის განმავლობაში ადვოკატები რამდენჯერმე შემოვიდნენ, მითხრეს, რომ მასალების მიხედვით ძალიან მძიმე ბრალდება გაქვს და რა იყო რეალურად, არ დაგვიმალოო. ვეუბნები, არაფერი არ დამიშავებია და თავს შევაკლავ ჩემს სიმართლეს-მეთქი.

**— ადვოკატებისგან გაიგე რომ შენთან ერთად სხვა ფოტორეპორტიორებიც იყვნენ დაჭერილები?**

– კი, თუმცა, მანამდე „გლაზოკში" დავინახე ნათია გედენიძე, რომ გამოიყვანეს კამერიდან და მივხვდი, რომ მარტო მე არ ვიყავი დაჭერილი. ადვოკატებისგან გავიგე, რომ გარეთ აქციები დაგიწყიათ. ამის მერე წაგვიყვანეს სასამართლოში, წინასწარი პატიმრობის შეფარდებაზე. პირველად იქ ვნახე ზურა ქურციკიძე და ირაკლი გედენიძე. დარბაზში მე შუაში ვიჯექი და ისინი აქეთ-იქიდან მესხდნენ. ქურციკიძე გაფითრებული იყო. როგორ ხარ-მეთქი და ძაან მცემესო. რაზე დაგვიჭირეს-მეთქი? აზრზე არ ვარო. გედენიძეს თავი ჰქონდა ჩაღუნული. უკვე ვიცი, რომ რაღაც აღიარებითი ჩვენება აქვს მიცემული და ვეკითხები, – ირაკლი, რატომ აკეთებ ამას-მეთქი? ყველამ გამანებეთ თავიო, – ისე მითხრა, რომ მივხვდი, ძალიან ცუდ დღეში იყო. ქურციკიძეს ვუთხარი, მე არ ვაღიარებ ამ სისულელეს და თავს შევაკლავ-მეთქი. არც მე ვაღიარებო. შემოვიდა მოსამართლე, პრაქტიკულად არაფერი უკითხავს ჩვენთვის. ნოტარიუსივით დაამტკიცა ორთვიანი პატიმრობა და გავიდა. ჩაგვიყვანეს დაბლა და კუდ-ის ერთ-ერთი თანამშრომელი მეუბნება, ახლა ციხეში უნდა გადაგიყვანოთ და იქ უკვე დედის ტ...ვნა გელოდებათო. შენ ხომ არ გგონია, ვინმე გაგახარებსო. გლდანის გზაზე რომ მივდიოდით, ერთი მეუბნება, ეს გზა კარგად დაიმახსოვრე, მინიმუმ 20 წელი ვერ ნახავ, საერთოდ ცოცხალი თუ გამოხვედი იქიდანო.

**— გლდანის ციხე... ყველაზე საინტერესო ამბები აქ იწყება...**

– საინტერესო ეძახე და მაგის გახსენებაზე ახლაც ცუდად ვხდები. შეყვანისთანავე მივხვდი, რომ „მოდულისგან" აბსოლუტურად განსხვავებულ სიტუაციაში მოვხვდი. როგორც ნახირს, ისე გვექცევიან. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჩვენ კარანტინში არ ჩაგვიყვანეს. შეგვაგდეს, „აბეზიანნიკებს" ეძახიან. ისე ყარდა იქაურობა, ვერ აგიწერ. გედენიძე ჩემს გვერდით ჩასვეს, ქურციკიძე – წინ. ქურციკიძის გვერდით ვიღაც პა-














ტიმარი აგდია იატაკზე, გალიის გარეთ აქვს ხელები გამოყოფილი, „ნარუჩნიკები“ ადევს,

როცა ადვოკატთან აყავხარ, იქ პატიმრები ერთ რიგში არიან გამწკრივებულები. ერთმანეთ-

„რადიო პალიტრა“ დავიჭირე ასე, მაგრამ ძალიან ცუდი მიღება ჰქონდა. ორშაბათს



ქი. რაო, არ იყვნენ ის ხალხი დასაჭერი და ყველას დედა არ ჰქონდა მოსატ...ნავიო? აქვე გეტყვით, რომ ციხეში ძალიან ბევრი იყო 26 მაისს დაკავებული. საშინელ დღეში ჰყავდათ ყველა. ერთ-ერთი ჩემ გვერდით საკანში იჯდა, 4 შვილის მამა, რომელსაც 5 წელი ჰქონდა მისჯილი. მე ვეუბნები, ამ საცოდავ ხალხს რომ დაერიეთ, თუ მაგრები ხართ, ბურჯანაძე დაგეჭირათ-მეთქი. ბურჯანაძეს არ დავიჭერთ, მაგრამ ვერასოდეს ელირსება, რომ ქმარ-შვილი გვერდით ჰყავდესო და დაიწყო ბურჯანაძის გინება. მერე მეუბნება, შენ გაქვს უსაზიზღრესი მუხლიო. დაიმახსოვრე, შენ თუ აქედან ცოცხალი გახვიდე, ჩემს დედას შეეციო. მერე დამიწყო გინება. ნუ მაგინებ-მეთქი. რას ჰქვია, ნუ გაგინებო. შენ აქედან ცოცხალს არ გაგიშვებ და წამებაში ამოგხდი სულსო. განცხადება დამიწერე, თორემ თუ გინდა, ისე გიქნია, სული გაგძრობიაო. როგორც მერე გავიგე, ეს განცხადება მერაბიშვილის ჟურნალისტებთან შეხვედრამდე უნდოდათ მიელოთ, მერაბიშვილს რომ ეთქვა, აბდალაძემ შიმშილობა შეწყვიტაო...

მერე ეს ფაცაცია მეკითხება, ეს მიტინგები შენ გამოაო? კი-მეთქი. მერე რა გგონია, რომ ამ აქციებით რამეს მიაღწევო? მანანა არჩვაძის ხალხი, ცოტნე გამსახურდიას განთავისუფლების მოთხოვნით ყოველდღე მოდიოდა, მაგრამ ვერ დავუმატეთ სამი წელიო? სანამდე გაგვისწორდება, მანამდე გვეყოლება აქო. აქციები შენ არ გიშველისო. ზურაბ ჟვანიაზეც ატყდა ამბავიო, გირგვლიანზეცო, მარა ვინ რა მიიღოო. დამთავრდება ეს აქციები და მერე ნახე შენ, რა დღეში ჩაგაგდებთო. ხომ არ უნდა მეყურებინა და იმ პატიმრებს ჩემ გამო უნდა მოეკცელდნენ ასე. მომეცით ფურცელი-მეთქი და დავუწერე, რომ ადმინისტრაციის რჩევის გამო შევწყვიტე შიმშილობა. გამოაცხადეს „ატბოი“... ჩამიყვანეს, დამალევინეს წყალი და ცუდად გავხდი. გამიკეთეს გადასხმა, ცოტა მაჭამეს და ამიყვანეს ადვოკატებთან. უკვე ეკა ბესელიაც ჩაერთო საქმეში. ეკა მეკითხება, შიმშილობა რატომ შეწყვიტეო. ვერ ველაპარაკები, რადგან ვიცი, ყველაფერი ისმინება, მაგრამ ეკას რვეულში დავუწერე, პატიმრების წამებას აპირებდნენ ჩემ გამო-მეთქი...

**— ეკა ბესელიამ განცხადებაც გააკეთა მაშინ, გიორგი აბდალაძეზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინეს, რაც პირადად მას არა, მაგრამ სხვა პატიმრებს ეხებოდაო...**

– სხვათა შორის, როცა

## „ამ ინტერვიუს შემდეგ თუ მე, ან ჩემი ოჯახის წევრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნა, მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება მიხეილ სააკაშვილს, ვანო მერაბიშვილს და ზურაბ ადეიშვილს!!!

ვერც დგება, თავზე რაღაცა აქვს გადაფარებული, ყმუის, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით და აშკარად ეტყობა, რომ საშინლად ნაცემია. ბადრაგი მივა, აგინებს. ქურციკიძემ ხელით მანიშნა, თავი უნდა ჩამოვიხრჩოო. მე ვანიშნებ, ნუ იზამ ამას, ბოლომდე მივაწვეთ-მეთქი. გადაგვიყვანეს „აბეზიანნიკებიდან“. მე შემიყვანეს „ბე“ ფლიგელში, მეცხრე კამერაში, სადაც დამხვდა ერთი პატიმარი. ამ პატიმარს ვეკითხები, აქ როგორი სიტუაციაა, რა ხდება-მეთქი. სრული ჯოჯოხეთიაო. შენ თვითონ ნახავო. აქ ისეთი ამბები ხდება, შეიძლება მსოფლიოს არც ერთ ციხეში არ ხდებოდეს ასეთი ამბებიო.

**— მოდი, ცოტა გადავუხვიოთ მოვლენების თანმიმდევრობას და რადგან ამ ჯოჯოხეთზე ვსაუბრობთ, მითხარი, წამების რა მეთოდები ნახე შენი თვალით, ან რა გაიგე პატიმრებისგან?**

– ცემაში კლავენ პატიმრებს. საჭმელში ჩაუფურთხებენ და აჭმევენ. ცივ წყალში შეაგდებენ და საათობით არ უშვებენ. დააბამენ, დააგდებენ და შეიძლება 2-3 დღე ჰყავდეთ ასე, საკუთარ განავალში ჩამჯდარი, რომ ვერ ინძრევა. წყალს გამოურთავენ და ასე ამყოფებენ დღეების განმავლობაში. შეუვარდებიან საკანში, გახდიან, შეყრიან ხუთ-ექვს კაცს საწოლის ქვეშ და საათობით წიხლებითა და დუბინკებით სცემენ...

პირადად მე ნამდვილად არავის ვუცემივარ, მაგრამ ძალიან ხშირად, გვერდით კორპუსიდან ყვირილის, წივილის, კვნესისა და ცემა-ტყეპის ხმები საათობით ისმოდა. ში ლაპარაკი არ შეიძლება, მაგრამ მაინც ვახერხებდით დალაპარაკებას. იქ ერთ-ერთმა მითხრა, აქ პატიმრებს დუბინკებით ტ...ნავენო. ერთი პატიმარი ამოიყვანეს. აი, ფილმებში კონცლაგერის პატიმრები რომ გინახავს, ხერხემალზე ჰქონდა ქიპი აკრული. ჩონჩხი და ტყავი იყო მარტო. ერთმანეთს ეუბნებოდნენ, რატომ არ წაათრევენ ამას „რეზბალნიცაზე“, დღე-დღეზე მოკვდება ეს დედამოტ...ნული და „ტრუპი“ ჩვენ რატომ უნდა დაგვეწეროს, იმათ დაეწეროს, წაათრიონ დროზეო...

საშინელებაა, დიტო, ამის სიტყვებით აღწერა. როცა იქ, ციხეში, ყველაფერს ამას იგებ, საკუთარი ყურით ისმენ და ხედავ, ფსიქოლოგიურად ნადგურდები... წარმოიდგინე, რაც ტელევიზორში ამ დღეებში ვნახეთ, ის ყველაფერი შენს გვერდით ხდება, ეს ყველაფერი გესმის, ხედავ და იცი, რომ, ადრე თუ გვიან, შენი რიგიც დადგება...

**— დავუბრუნდეთ შენს ამბავს...**

– მოკლედ, ისევ ვაგრძელებ შიმშილობას. შაბათ-კვირა დაემთხვა და ადვოკატები ორი დღე ვერ შემოვიდნენ. აზრზე არ ვარ, რა ხდება გარეთ. ინფორმაციის არავითარი საშუალება არ არსებობს. ერთადერთი რადიოა და ისიც „ფორტუნასა“ და „იმედს“ იჭერს. „იმედზე“ მხოლოდ ზოგადად ამბობდნენ რაღაცებს ჩვენზე. მერე ჩემმა თანამოსაკნემ მითხრა, ზემო „კოიკაზე“ თუ დადგები და რადიოს გისოსებს მიადებ, იქნებ სხვა არხიც დაიჭიროსო.



ადვოკატები შემოვიდნენ. უკვე მეხუთე დღეა, ვშიმშილობ და ძალიან ცუდად ვარ. აცეტონის სუნი ამდის. ადვოკატებთან შეხვედრამდე რიგში დავინახე გიორგი დემეტრაძე. სხვა პატიმრებთან შედარებით მხნედ გამოიყურებოდა. ნიკა კვეზერელიც ვნახე იქ. გამწარებული იყო. აშკარად საშინელ დღეში ჰყავდათ. აქ რეებს აკეთებენ, შენ ვერ წარმოიდგენო...

მოკლედ, შევხვდი ადვოკატებს და გავიგე, რომ გარეთ თქვენ საპროტესტო აქციებს აგრძელებთ. ისევ იმ განწყობაზე ვარ, რომ მე ვერ შემეხებიან და ბოლომდე უნდა მივაწვე ჩემს სიმართლეს. საღამოს ამიყვანეს ციხის უფროსთან, დავით ხუჭუასთან. რატომ შიმშილობო. მე ვუთხარი, არ ვეთანხმები ბრალდებას-მეთქი. აბა, რატომ დაგიჭირესო. მე ვუთხარი, 26 მაისის გამო-მეთდედის ტ...ვნაში იქნები სულ და სიკვდილს ინატრებ, ისეთ დღეში ჩაგაგდებო...

მეორე დღეს, სამშაბათს, ვანო მერაბიშვილთან ჟურნალისტების შეხვედრა სანამ დაიწყებოდა, გამომიყვანეს საკნიდან და შემიყვანეს ერთ-ერთ ოთახში, სადაც ერთი 7-8 კაცი დგას, ციხის თანამშრომლები. ერთ-ერთი იყო ოლეგ ფაცაცია, აი, ის, კადრებში თმებით რომ ათრევს პატიმარს და წიხლებს რომ ურტყამს. დანარჩენების სახელები არ ვიცი, მაგრამ მე კარგი ფოტომეხსიერება მაქვს და ყველა შემიძლია სახეზე ამოვიცნო. ოლეგ ფაცაცია მეუბნება, მოდი, ბიჭო, შენ აქო. შენა ხარ, რომ შიმშილობო? ხო-მეთქი. მერე რატომო? ბრალდებას არ ვეთანხმებიმეთქი. ეგ სულ ყ...ეზე მკიდია, ახლა დროზე დამიწერე, რომ შიმშილობას წყვეტო. გგონია, პატრონი გეყოლება ვინმეო. გარეთ კიდევ შენს ცოლ-შვილს რაც მოუვა, ეგ ცალკე საკითხიაო. მაინც არ შევწყვეტ შიმშილობას-მეთქი. შენ მე მეჯიბრები ხომო? ახლა გაჩვენებ შენ, რა გელოდებაო. ხომ არ გგონია, ახლა ხელს დაგაკარებო. მერე რომ არ დაიწყო, ნაცემი ვარ და ამბავიო. ვინ ზის ამასთან კამერაში, გამოათრიეთ, მე მაგის დედას შევეციო. სხვა პატიმრებიც გამოათრიეთ და ამის თვალწინ ყველას დედა მოუტ...ანით, მერე შეიყვანეთ იმათთან კამერაში და არჩიოს მტყუან-მართალიო. ნახავ ახლა, ვისი აჯობებსო. რაცია ჩართო და აბა, ბიჭებო, მოემზადეთ, ამას პატიმრების დედის ტ...ვნა უნდა ვაყურებინო და მერე მიხვდება, რა ელოდება და ვისთან აქვს საქმეო. წარმოგიდგენია, რაც ახლა ვიდეოებში ნახეთ, იმისთვის საკანში დამაბრუნეს და ჩემს თანამესაკნეს ეს ამბავი მოვუყევი, მითხრა, ტყუილად დასთანხმდი შიმშილობის შეწყვეტაზე, ჩვენ ისედაც ამ დღეში ვართ აქ და მაგის გამო შენ პატიმრები არაფერს გეტყოდნენო. მე ვუთხარი, ვერ ვუყურებდი სხვის წამებას და მით უმეტეს ჩემ გამო ვერავის ვერ ვაწამებინებდი-მეთქი. მერე საერთოდ როგორ უნდა მეცოცხლა-მეთქი. ამ ამბების შემდეგ, როცა გავიგე, რომ ქურციკიძესაც ალიარებინეს ეს სისულელე, თავის მოკვლის მცდელობაც მქონდა. იქ, საკანში, ერთ ადგილას ბრიტვა იყო დამალული. ღამე, როცა ჩემმა თანამესაკნემ დაიძინა, ჩუმად მინდოდა ამ ბრიტვის გამოღება და ვენების გადაჭრა. რომ ვჩალიჩობდი ბრიტვის გამოღებაზე, გაიღვიძა იმ ბიჭმა და მიხვდა, რასაც ვაპირებდი. მეხვეწა, არ გინდა, ნუ იზამ ამასო. ძალიან ცუდად ვიყავი. ვფიქრობდი, რომ ჩემი გამოშვების შანსი არ იყო და იქ დარჩენას სიკვდილი მერჩივნა. მე ვუთხარი, კაი, დაიძინე, არ ვიზამ-მეთქი. ვფიქრობდი, რომ დაიძინებდა, მერე მაინც სისრულეში მოვიყვანდი ჩემს ჩანაფიქრს. მთელი ღამე არ დაიძინა. იჯდა და ლოცვებს მიკითხავდა. დღეს რომ ცოცხალი ვარ, მისი დამსახურებაა.

**— აღიარებით ჩვენებაზე გადავიდეთ...**

– ერთ დღესაც მოვიდა პროკურორი, ქაჯაია. ამ შეხვედრას მხოლოდ ერთი ადვოკატი ესწრებოდა. აქ გავიგე, რომ ქურციკიძესაც აღიარე-

გაგრძელება ოცდამეექვსე გვ.

ოცდამეხუთე გვერდიდან

ბინეს ეს სისულელე და მე ვარ დარჩენილი. უცებ ქაჯაია მეუბნება, ანეკდოტი უნდა ჭკვიანურად მოიფიქრეო...

მეორე დღეს ადვოკატები მოვიდნენ. ეკა ბესელიას ვეუბნები, ასეთი ამბავია, საპროცესოს მთავაზობენ-მეთქი. ეკა მეუბნება, არ ლი დათო დევნოზაშვილი დამიჯდა და მეუბნება, ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, შენ რას მოყვებიო. ეს ის დათო დევნოზაშვილია, გაზეთ „ბათუმელების“ ჟურ-



ქი. დაიწყე იმით, ცხინვალში რომ დაგიჭირესო. დავიწყე მოყოლა და ვთქვი ყველაფერი ისე, რაც სიმართლე იყო. არა, ასე არ გვაწყობსო. აბა, თავიდან მოყევიო. მე დავიწყე ისევ და უცებ ჩავამატე, იქ გადამიბირეს რუსებმა და თანამშრომლობაზე დამითანხმეს-მეთქი. ოო, ეს კაიაო და ფურცელზე დაწერილ 11-ს მინუს 2 მიაწერა. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და ასე შემათხზვევინეს რაღაც სისულელეები და თან 11 წელს ნელ-ნელა აკლებდნენ და აკლებდნენ. გვერდით ოთახში აშკარად ვილაცები იყვნენ, რადგან ესენი სისტემატურად გადიოდნენ, შემოდიოდნენ და ახალ რაღაცებს მეუბნებოდნენ. მეუბნებიან, იგორ გიორგაძეზეც უნდა თქვა რამე, რადგან მერაბიშვილმა ერთ-ერთ შეხვედრაზე თქვა, აბ-

სტენოგრამაო. სტენოგრამა რა არის-მეთქი? – მართლა არ ვიცოდი რას ნიშნავდა. რა მნიშვნელობა აქვს, ჩანაწერიაო, მარა ასე უნდა თქვაო. ჩანაწერს ვიტყვი-მეთქი. არაო, აუცილებლად სტენოგრამა უნდა თქვაო. ვერაფრით ვერ დავიმახსოვრე ეს სიტყვა. დავიწყებ ლაპარაკს, ვამბობ ჩანაწერს. გაგიჟდნენ, ხომ გითხარით, სტენოგრამა უნდა თქვაო. მთელი ღამე მაზეპირებინეს. მერე მეუბნებიან, ხვალ ეგ ყველაფერი ეკა ბესელიასთან და ადვოკატებთან უნდა მოყვეო. ეკა ბესელია მანდ მთავარიაო. მერე დაიწყეს ერთმანეთში მსჯელობა, ახლა ბესელია ამაზე ასე იტყვის, ამას იკითხავს, იმას იკითხავს და „დავაი“, რეპეტიცია გავიაროთ, მე ვიქნები ეკა ბესელიაო, – ერთი ამბობს. მარეპეტიციეს მთელი ღამე. 4 თუ 5

არა-მეთქი, ვთქვი ალალად და ეკამ ატეხა ყვირილი, ეს ოქმში დააფიქსირეთო. მივხვდი, რომ ავიჭერი. ხელმეორედ მკითხეს, – ბოლოს ვუთხარი, ნაწილობრივ-მეთქი. ეკამ მოთხოვნით ესეც დააფიქსირეს ოქმში. მესამედ მკითხეს და უკვე, კი-მეთქი, ვთქვი. მერე მოვყევი ის სისულელეები, რაზეც მთელი ღამე მავარჯიშეს. სანამ წავიდოდა, ეკა ბესელიამ საქმის მასალების გაცნობა მოითხოვა. ოფიციალური განცხადებაც დაწერა. გამომძიებელმა უთხრა, კი ბატონო, გაგაცნობთ საქმესო. ღამის პირველ საათზე მოვიდნენ და მეუბნებიან, ხვალვე გიშვებთ ციხიდან, მაგრამ ახლავე უნდა დაწერო განცხადება და ეკა ბესელიას აცილება მოითხოვოო. ჩვენ არ გვაწყობს, რომ მაგან საქმის მასალები ნახოსო. დავწერე

**მე ყველაფერი ვთქვი და ქართულ საზოგადოებასაც მივმართავ – ან უკანალში ცოცხებით უნდა ვიცხოვროთ, ან ნორმალური ადამიანებივით. ყველა უნდა დავუპირისპირდეთ ამ ძალადობას, დავდგეთ ერთმანეთის გვერდით და ვთქვათ სიმართლე. უკვე სამართლიანობის დრო დადგა!!!“**

მოგიყვეო, – ჭიჭიკიასთან მიქელ-გაბრიელი მივა და ეტყვისო, ჭიჭიკია, ექიმბაშობა დაიწყეო. რომ მიხვალ ავადმყოფთან, თუ დაინახავ, რომ ფეხებთან ვუდგავარ, დაალევინე რამე ბალახის ნახარში და უთხარი, კარგად გახდებიო. თუ დაინახე, თავთან ვუდგავარ, მაშინ უთხარი, რომ არაფერი გეშველებაო. დაიწყო ჭიჭიკიამ ექიმბაშობა, ცნობილი გახდა და ფულიც იშოვაო. ერთ დღეს გაიღვიძა და დაინახა, თავზე მიქელ-გაბრიელი ადგასო. სასწრაფოდ შემობრუნდა ჭიჭიკია, რომ ფეხებთან ჰყავდეს მიქელაო. ისიც გადმოვიდა და ისევ თავთან დაუდგაო. ეს კიდევ შემობრუნდა და მიქელ-გაბრიელი ეუბნება, – ჭიჭიკია, კაცურად მინდა წაგიყვანო, თორემ სულს პროჭიდანაც ამოგაძრობ, დედას მოგიტ...ნავო...

ეგრეა შენი საქმეცო. არაფერი შენ არ გეშველება და ახლა შენზეა დამოკიდებული, რას იზამო. ახლა შენ ცოტა დრო გაქვსო, თორემ მერე შენი ალიარებითი ჩვენება სულ ყ...ეზე გვკიდიაო. მომაფიქრებინე-მეთქი, პროკურორს ვუთხარი და ადვოკატს მოვუბრუნდი, ხვალ ყველა ადვოკატი მოდით-მეთქი.

შუაღამისას კამერიდან გამიყვანა ბადრაგმა და მეუბნება, გასვლის ბილეთი გაქვს და შეირგეო. ამანაც შემახსენა ჟვანია, პატარკაციშვილი, გირგვლიანი... ათასი რამე მოხდა, მაგრამ ამ აქციებით ამათ ვერავინ მოერია და დასთანხმდე, ამ საქმეს მოვიგებთ, შენ არ იცი, გარეთ რა ხდებაო. ვეუბნები, ესენი ცოცხალს არ დაგვტოვებენ-მეთქი. ნუ გეშინია, ხელს ვერ გახლებენო. ამას ველაპარაკები, მაგრამ უკვე შოკში ვარ და თან ქურციკიძის ალიარების მერე საერთოდ გავნადგურდი. მერე ისიც გავიგე, რომ ქურციკიძესაც უცდია საკანში თავის ჩამოხრჩობა. ადვოკატები რომ წავიდნენ, ისევ წავიდა ჩემზე ნაჟიმი. ეს ბადრაგები მელაპარაკებიან ისევ. პრინციპი იგივეა, რომ ციხიდან ცოცხალი ვერ გავალ და აქ წამებაში ამომხდიან სულს. მოკლედ, დეტალებს აღარ მოვყვები. ის





ოლეგა ფაცაცია აქტიურობდა ყველაზე მეტად. მას ვუთხარი, საპროცესოს დავთანხმდები-მეთქი. იმ ღამესვე მოვიდა კუდ-ის სასტავი. ღამის პირველ საათზე ამიყვანეს ადმინისტრაციის შენობაში. დამსვეს. კუდ-ის თანამშრომენალისტს რომ აშანტაჟებდა და სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას სთხოვდა. მოკლედ, ფურცელზე დაწერა 11, ესაა შენი სასჯელიო და რასაც მოყვები, იმის მიხედვით გამოაკლდება ამას ციფრებიო. რა მოვყვე-მეთდალაძე გიორგაძის კაციაო. რა უნდა ვთქვა-მეთქი და დამაწერინეს, რომ მეტრო „რუსთაველთან“ შემხვდა ვილაც პიროვნება, რომლის სახელი და გვარი არ ვიცი, შემახსენა, რომ მე ვარ აგენტი და მომთხოვა, გადამელო იგორ გიორგაძის მხარდამჭერების აქციები. მე ამ აქციებს, სხვა აქციების მსგავსად, გაზეთისთვის მართლაც ვიღებდი. მოკლედ, დამაწერინეს რაღაც სისულელეები. თან ამ ვაჭრობაში ჩამოვედით ერთ წელიწადზე. ახლაო, ეგ ყველაფერი უნდა ჩავწეროთ ვიდეოზე და ჩვენებს უნდა ვაჩვენოთ ზემოთო. დავიწყეთ ვარჯიში. ეს ტექსტი ხომ უნდა დავიზეპირო? უნდა თქვაო, რომ ქურციკიძემ გთხოვა საათი იყო, საკანში რომ ჩამიყვანეს...

**— მეორე დღეს ადვოკატებთან ერთად შენ „აღიარე დანაშაული“, რომლის ვიდეოც გამოაქვეყნეს...**

– კი. ეკა ბესელია და ადვოკატები რომ შემოვიდნენ, ეკა მიხვდა, რომ რაღაც ისე ვერაა საქმე და მარტო დაგვტოვეთო, მოითხოვა. დაგვტოვეს მარტო, მაგრამ ეკას ვერაფერი ვერ ვუთხარი. ის ოთახი ისმინება. შეგვიყვანეს უკან. როგორც გაფრთხილებული ვყავდი იმათ, თავიდან იკითხეს, ვიდეოჩანაწერი რომ გაკეთდეს, თანახმა თუ ხარო და კი-მეთქი. მერე უცებ თავში მეკითხებიან იმას, რაც რეპეტიციის მიხედვით ბოლოს უნდა ეკითხათ, – ალიარებ თუ არა დანაშაულსო?

განცხადება ეკა ბესელიას აცილების მოთხოვნით. მომცეს ადვოკატ მირდატ ქამადაძის ნომერი, ამას უნდა დაურეკოო, ვითომ ახლობელია, ისე უნდა მოიკითხო და დაელაპარაკოო და უნდა უთხრა, რომ გინდა, შენი ადვოკატი იყოსო. ის ყველაფრის საქმის კურსშია, ჩვენი კაცია და სასამართლოზე გამოვაო. ღამის 2 საათზე, ჩემი თანამოსაკნის ბარათით დამარეკინეს ამ მირდატ ქამადაძესთან და სასამართლოზე მართლაც ის მოვიდა. ისიც მითხრეს, ახლა სასამართლოზე სიმართლე არ თქვა და ჩორტი არ ჩააგდო, თორემ ეგეთი ვახტანგ მაისაია გვყავს აგერ, შენსავით ჯაშუშობისთვის დაჭერილი და თუ გინდა, გაჩვენებთ, რა



დღეშიაო. დანარჩენი ადვოკატები დილით მოვიდნენ სასამართლომდე, მითხრეს, რომ „ალიამ" ხელშეკრულება შეგვიწყვიტა, იციან, რომ აღიარება ზეწოლის ქვეშ მიეცი და ამას არ ეთანხმებიანო. მივხვდი, ასე რატომაც გააკეთეთ და ეს სწორი ნაბიჯიც იყო. ჩემი გამოშვება ისედაც გადაწყვეტილი იყო და მათ ადვოკატი ფორმალურად სჭირდებოდათ...

**— გიორგი, მანამდე შენთან შემოვიდნენ „წითელი ჯვრის" წარმომადგენლები და სახალხო დამცველი, მათ რატომ ვერ უთხარი, რეალურად რა ხდებოდა ციხეში?**

– „წითელი ჯვარი" ერთადერთი ორგანიზაციაა, რომლისაც ამათ ძალიან ეშინიათ. შეხვედრაზე რომ მოვიდნენ, ჯიბეში „ჟუჩოკი" ჩამიგდეს და მითხრეს, ზედმეტი არაფერი ილაპარაკოო. თორემ ესენი წავლენ და შენ აქ რჩებიო. რაც შეეხება სახალხო დამცველს, მიუხედავად იმისა, რომ მეც ციხიდან და შენც გარეთ ყოველდღე მოითხოვდი, შემოსულიყო, მხოლოდ მას შემდეგ შემოვიდა, რაც „აღიარებითი ჩვენება" მიმაცემინეს, თუმცა მივხვდი, რომ გიორგი ტულუში არასოდეს არაფერს არ წარმოადგენდა. არც ახლაა არაფრის გამკეთებელი ეს კაცი. შემოვიდა, შემიყვანეს ოთახში, სადაც ბადრაგებიც არიან და მეკითხება, ნაცემი ხომ არ ხარო. არა-მეთქი. მართლა ჯაშუშობდიო? გაკვირვებულმა შევხედე, შენ გჯერა მაგის-მეთქი? მიუხედავად იმისა, რომ „აღიარება" უკვე დაწერილი მაქვს. ხო, რა ვიციო და წავიდა. ახლა ეს კაცი დაიცავს პატიმრების უფლებებს ან ციხეში მდგომარეობას გამოასწორებს? ზღაპარია ეგ... თან მოადგილედ ვინ დაუნიშნეს? შოთა უტიაშვილი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჩვენი დაკავების და შემდეგ „აღიარებითი ჩვენებების" მიღების ოპერაციას...

**— ახლა დავუბრუნდეთ მთავარ საკითხს — რეალურად რისთვის დაგიჭირეს?**

– 26 მაისის ფოტოების გამო. მე ისევ იმ აზრზე ვარ, რაც დაჭერის პირველივე დღეებში ვთქვი, შენ გამოგიგზავნე და „ქრონიკაში" დაიბეჭდა კიდეც. ერთადერთი მიზეზი ჩვენი დაჭერის, 26 მაისის შემზარავი ფოტოების გადაღება და მისი უცხოურ პრესაში გავრცელება იყო. ჩვენ ვიყავით სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ადეიშვილის პატიმრები. როგორც მერე გავიგე, უცხოეთში, ერთ-ერთ შეხვედრაზე გიორგი ბარამიძისთვის ეს სურათები დაუდიათ და უკითხავთ, ესაა თქვენი დემოკრატიაო? ბარამიძეს ეს სააკაშვილისთვის უთქვამს. სააკაშვილს უკითხავს, ფოტოები ვინ გადაიღოო და რომ უთქვამთ, ერთ-ერთი, ირაკლი გედენიძე შენი თანამშრომელიაო, იქვე გაუცია ბრძანება, ყველა ციხეში ამოალპეთო. შახ აივაზოვი სასწრაფოდ იმიტომ გამოუშვეს, რომ ამერიკის საელჩო ჩაერია საქმეში. რადიო „თავისუფლების" ფოტორეპორტიორის, ნოდარ ცხვირაშვილის დაჭერაც იყო დაგეგმილი, მაგრამ იმ ღამეს რომ მივიდნენ, სახლში არ დახვდათ, მერე კი საქმე აღარ გაირთულეს. რომ არა „ალია ჰოლდინგის" საპროტესტო აქციები, რომ არა ჟურნალისტების მხარდაჭერა და სოლიდარობა, ჩვენ ან დღესაც ციხეში, იმ პირობებში ვიქნებოდით, რომელიც მთელმა მსოფლიომ ნახა, ან, შესაძლოა, ცოცხლებიც არ ვყოფილიყავით. რამდენჯერმე მითქვამს, მაგრამ ახლაც გავიმეორებ – მინდა ულრმესი მადლობა გადავუხადო ყველას, გიორგი ბრეგვაძეს, შენ, „ალიას" თანამშრომლებს, ყველა იმ ჟურნალისტს, პოლიტიკოსს, საზოგადოების წარმომადგენელსა თუ უბრალო მოქალაქეს, რომელმაც




ჩვენს მიმართ სოლიდარობა გამოხატა. ჩვენ თქვენ გადაგვარჩინეთ.... სხვათა შორის, როგორც მერე გავიგე, გიგა ბოკერია პირადად გადიოდა ჟურნალისტებთან კონტაქტზე და ეხვეწებოდა, აქციები შეწყვიტეთ და ფოტორეპორტიორებს მალე გამოვუშვებთო...

**— მაგაში მეც დაგეთანხმები, რომ ასე იყო. ბოკერია უშუალოდ იყო დაინტერესებული აქციების შეწყვეტით... და ბოლო კითხვაზეც გადავალ — მე ამაზე პასუხი ვიცი, მაგრამ საზოგადოებას, ალბათ, გაუჩნდება კითხვა, რატომ გადაწყვიტე ამ ყველაფრის თქმა სწორედ ახლა და არა აქამდე?**

– დავიწყოთ იმით, რომ ყველამ იცოდა, ციხეებში რაც ხდებოდა, მაგრამ ამის აღქმა და დაჯერება უჭირდათ. ეს რომ აქამდე მომეყოლა, საზოგადოების უმრავლესობა, ალბათ, არ დაიჯერებდა და ვერ წარმოიდგენდა იმას, რაც ციხეში ხდებოდა. ახლა ყველასთვის გასაგებია, რა დღეში ვიყავით ჩვენ, რა ზეწოლების ქვეშ შევწყვიტე შიმშილობა, მივეცით აღიარებითი ჩვენება და რა დღე გველოდა, ასე რომ არ მოვქცეულიყავით. მერაბიშვილის საუბარი ხომ გახსოვთ სააკაშვილთან და ადეიშვილთან, რომელიც შემდეგ „სოროკა.ნეტ"-მა გამოაქვეყნა? ხომ გახსოვთ, როგორ დასცინის მერაბიშვილი ჩემი ცოლს, რომ შემომითვალა, – ვაჟკაცურად იდექი, არაფერი აღიარო და სიმართლე გაიტანეო. მერაბიშვილმა და სააკაშვილმა ძალიან კარგად იცოდნენ, რა მეთოდებით მიიღეს ჩემგან აღიარებითი ჩვენება და საერთოდ, რა ხდებოდა ციხეებში. იმიტომ იცინიან ამაზე ასე, რომ იციან, თუ არ ვაღიარებ, რა დღეში აღმოვჩნდები და როგორ ვაჟკაცურად გავიტან სიმართლეს. ადეიშვილს რომ ეუბნება ჩემს აღიარებით ჩვენებაზე მერაბიშვილი, გახსოვთ? არის თუ არა ეს ბილეთიო? რა, ადეიშვილმა არ იცოდა, რა მეთოდით მიიღეს ეს „ბილეთი" ჩემგან? მისი პროკურორი იქ არ იყო? ესენი ყველა ამ დანაშაულის უშუალო ხელმძღვანელები არიან. მაგათი ნებართვის გარეშე ვერავინ გაბედავდა ციხეში ისეთი მეთოდების გამოყენებას...

ხო, კიდევ... რაც გამათავისუფლეს, მას შემდეგ ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ ვარ. ჩემთვის პასპორტი არ დაუბრუნებიათ, საზღვარგარეთ რომ არ წავსულიყავი და ეს ყველაფერი არ მომეყოლა. მერე, კუდ-ში მომცეს მობილური ტელეფონი და მითხრეს, ეს სულ თან უნდა ატარო და ამ ტელეფონით ჩვენ უნდა დაგვირეკო, თუ რამე მოხდაო. რა უნდა მოხდეს-მეთქი. აი, თუ ვინმე რუსეთიდან დაგირეკავსო. ვეუბნები, ვინ უნდა დამირეკოს, თქვენ ხომ მაინც იცით, რომ ჯაშუში არც არასოდეს ვყოფილვარ-მეთქი. რომ გეუბნებით, წაიღეო. არჩევნების პერიოდში შენ აუცილებლად დაგირეკავენ უცხოეთიდან და ამ ამბით დაინტერესდებიანო. უცხოელი ჟურნალისტები ყველა ჩვენი ქვეყნის მტრებია და როგორც კი რომელიმე დაგირეკავს, მაშინვე ჩვენ უნდა გაგვაგებინოო. მერე, როგორც გავიგე, ქურციკიძესა და გედენიძესაც მისცეს ასეთი ტელეფონები. მე ამ ტელეფონს ახლა შენ გაძლევ, ეს „ალია ჰოლდინგში" შეინახეთ და იცოდეთ, აქ კუდ-ის იმ თანამშრომლის ტელეფონი წერია, რომელთანაც მე უნდა დავრეკო. აქვე მინდა გავაკეთო განცხადება: ამ ინტერვიუს შემდეგ თუ მე, ან ჩემი ოჯახის წევრების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნა, მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება მიხეილ სააკაშვილს, ვანო მერაბიშვილს და ზურაბ ადეიშვილს... აქვე ვაცხადებ, რომ ეკა ბესელიას აცილება ზეწოლით დამაწერინეს, ამ ადამიანს ბოლომდე ვენდობი და თუ პროკურატურა გადაწყვეტს ჩემს დაკითხვას, ამ დაკითხვაზე მხოლოდ მასთან ერთად გამოვცხადდები.

მე ყველაფერი ვთქვი და ქართულ საზოგადოებასაც მივმართავ – ან უკანალში ცოცხებით უნდა ვიცხოვროთ, ან ნორმალური ადამიანებივით. ყველა უნდა დავუპირისპირდეთ ამ ძალადობას, დავდგეთ ერთმანეთის გვერდით და ვთქვათ სიმართლე. აქვე მოვუწოდებ ირაკლი გედენიძეს და ზურა ქურციკიძეს, თქვით სიმართლე და თქვენც მოყევით ყველაფერი, რა და როგორ იყო. რისთვის დაგვიჭირეს რეალურად, რა ნახეთ ციხეში და თქვენგან რა მეთოდებით მიიღეს აღიარებითი ჩვენებები. უკვე სამართლიანობის დრო დადგა!!!

**რედაქციისგან:** „ალია ჰოლდინგი" მოითხოვს, გიორგი აბდალაძის ამ ინტერვიუს საფუძველზე ფოტორეპორტიორების საქმეზე დაიწყოს ხელახალი გამოძიება, დადგინდეს სიმართლე და იურიდიულად მოხდეს გიორგი აბდალაძის სრული რეაბილიტაცია. ამასთანავე, მოვითხოვთ, სათანადოდ დაისაჯოს ყველა ის პირი, რომელმაც მისგან ფსიქოლოგიური ზემოქმედების გზით მიიღო აღიარებითი ჩვენება.

აქვე მივმართავთ საერთაშორისო საზოგადოებას, დაინტერესდნენ ფოტორეპორტიორების საქმით და ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ მოახდინონ მყისიერი რეაგირება.

ჩვენ ამ საგაზეთო ინტერვიუსთან ერთად, გიორგი აბდალაძის სრულ მონაყოლს ვიდეოჩანაწერის სახით ვინახავთ, რომელსაც პარალელურ რეჟიმში გადავცემთ საერთაშორისო ორგანიზაციებს.



ნელი ვარდიაშვილი 599 65-81-95

**გურჯაანელი „ქართული ოცნების“ წევრი, მიხეილ ფურცელაძე, „ქრონიკაში“ ღიად საუბრობდა ნაციონალების დანაშაულობებზე კახეთში. იგი ასევე აკრიტიკებდა იმ ადამიანებს, რომლებიც, მისი თქმით, „ქართული ოცნების“ შტაბში კი იმყოფებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში „ნაციონალებთან“ იყვნენ შეკრულები. ამას მოყვა ის, რომ დღეს ფურცელაძეს პოლიცია დასდევს და როგორც თავად ამბობს, მისი დაპატიმრება უნდათ.**


მიხეილ ფურცელაძე

**მიხეილ ფურცელაძე:**

– 15 დღის წინ გურჯაანში, ჩემს სახლში, მოვიდა პოლიციელი და მითხრა, პოლიციაში გიბარებენო. მერე უწყებაც მიიტანეს სახლში. გამომძიებელს ტელეფონით რომ დავუკავშირდი, მითხრა, შენთან შეკითხვები გვაქვსო. ყველანაირ შეკითხვას გავცემ პასუხს ტელევიზიით, გაზეთით, სკაიპით, მაგრამ მაგათთან არ მივალ, რადგან ზუსტად ვიცი, რალაცას შემითითხნიან და დამიჭერენ. თქვენი გაზეთის წინაშე დავიფიცებ, არანაირი დანაშაული არ ჩამიდენია და მაგათთან საქმე არა მაქვს. ეს წლები საქართველოში არ ვყოფილვარ, საფრანგეთში, ნიცაში ვცხოვრობდი 9 წელი. ნელი, დაახლოებით 2 თვის წინ სახლში უწყება მომივიდა და 12 თვე ავტომანქანის მართვის უფლება ჩამომართვეს. მანქანა, რომლითაც ვითომ რალაც დავარღვიე, 21 წლის წინ გავყიდე, მაგრამ არ გავასაჩივრე. „ნაციონალებთან“ რამის ახსნას კი არა, დალაპარაკებასაც არ აქვს აზრი. ხომ ხედავთ, რასაც უკეთებენ პატიმრებს?! მამაჩემი პატიმარი იყო და ზონაშიც ვყოფილვარ მასთან. იცით, როგორ პატიმრებს უკეთებდნენ ცუდ რალაცებს? ვინც 3 წლის ბავშვის გაუპატიურების ბრალდებით იჯდა. ასეთი სადისტები მარტო „ნაციონალები“ არიან, მეც პოლიტიკური ნიშნით მხოლოდ იმიტომ დამდევენ, მათ ნამდვილ სახელს რომ ვარქმევ. ახალაიას თანაკლასელს ვიცნობ და იცით, რას ამბობს მასზე? – სკოლაშიც ასეთი იყო, კლასელები ვეზიზლებოდით. როგორც შეიძლებოდა მისთვის პენიტენციური სისტემა, ანდაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაებარებინათო?! თავად პატიმრებისგან ვიცი, რომ უცხოელები რომ ჩამოდიან ციხეების შესამოწმებლად, წინასწარ ყველა პატიმარს ავალებენ, ბედნიერი სახე მიიღონ და მათ ასე შეხვდნენ. რომელიმემ უცხო ენა თუ იცის, ხმა არ ამოიღონ, თორემ ცემაში ამოხდიან სულს და ა. შ. საშინელ მდგომარეობაში მყოფ პატიმრებსაც სხვა რა გზა აქვთ, მათთან ბედნიერ სახეს ილებენ და აქამდეც ამიტომ იყვნენ ეს მანიაკები დაფარულნი. ეს ხალხი კი არ უნდა ისხდეს ციხეებში, ახლა გეტყვით, ვინ უნდა იყვნენ იქ, თუნდაც, კახეთიდან.

**— თქვენ კახელი „ნაციონალების“ დაჭერას ითხოვთ?**

– კახეთში არ მეგულება „ნაციონალი“, რომელსაც რამე სახის სარგებელი მოაქვს ხალხისთვის, ან ამის შემდგომ მოუტანს. გურჯაანში თბილისის ყოფილი პროკურორი და კახეთის ყოფილი გუბერნატორი ღვინიაშვილი უკვე მეორედ იყრის პარლამენტის დეპუტატობაზე კენჭს, არადა, მისი პროკურორობის დროს მოხდა საკმაოდ გახმაურებული მკვლელობები. ამის შემდეგ იყარა კენჭი და გახდა გურჯაანის დეპუტატი. მაშინ გურჯაანელებს გამოუცხადა, მე ის კაცი არ გეგონოთ, სადმე თანამდებობაზე გავიქცე, თქვენ უნდა მოგხედოთო, მაგრამ ორი თვის შემდეგ გახდა გუბერნატორი. მოადგილედ ის სიბაშვილი დაისვა, რომლის ორიენტაციაც მთელმა კახეთმა და საქართველომ იცის. მანამდე იგი გურჯაანის გამგებელი იყო და მიშა მაჭავარიანივით და ბარამიძესავით არჩევნების კარგი გამყალბებელი, ამიტომაც დათანხმდა სააკაშვილი, გუბერნატორის მოადგილე რომ გამხდარიყო. ახლა სანამ ღვინიაშვილი კიდევ იყრის კენჭს დეპუტატობისთვის გურჯაანში, სიბაშვილი ასრულებს მის მოვალეობასაც და თან ყოველმხრივ ეხმარება კიდევაც გადეპუტატებაში. გუბერნატორ ღვინიაშვილს კიდევ ერთი მოადგილე ჰყავდა, რომელიც სიბაშვილივით ისევ ამ თანამდებობაზეა, – ალეკო კახიძე. წინათ იგი პოლიციელი იყო. ნარკოტიკებსაც უდებდა უდანაშაულო ადამიანებს, აწამებდა და სულსაც ხდიდა. ეს ხალხია კახეთში უპირველესად დასაჭერი და მერე ცხადია, მათი დამქაში „ნაციონალებიც“ ზედ უნდა მივაყოლოთ. ღვინიაშვილის კიდევ ერთხელ გადეპუტატება არ შეიძლება და ალბათ გურჯაანელები ამას არც დაუშვებენ. ამ ჯალათებსა და ქვეყნის ამომგდებებს უდანაშაულობის ავადმყოფობა აქვთ შეყრილი და ჰგონიათ, რომ არასდროს არ მოეკითხებათ ის, რასაც ისინი აკეთებენ. ციხის ამბებიც ამიტომ მივიდა კულმინაციამდე, რომ თავად ოპოზიციაშიც ბევრ რამეს მალავდნენ. მაგალითად იმას, რომ ბურჯანაძის აქციის შემდეგ დაპატიმრებული ადამიანების დიდი ნაწილი სწორედ ასე, სადისტურად რომ აწამეს და დუბინკები ისე გაუკეთეს, როგორც ახლა ჰქონდათ გაკეთებული პატიმრებს უკანალში. ეს მაშინ არ გახმაურდა, არადა, უნდა ატეხილიყო ერთი ამბავი. ეს მთავრობა არა მარტო უნდა წავიდეს ხელისუფლებიდან და დამნაშავეები დაისაჯონ, პარტია რომელსაც ნაციონალური მოძრაობა თუ რალაც ჭირი ჰქვია, საერთოდ უნდა გაუქმდეს. არ მინდა ნაციონალების დედებს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ხშირად მებადება აზრი და უნდა გითხრათ, ასე მგონია, ყველას ერთი მამა ჰყავდა, ასეთი ავადმყოფები რომ არიან?! ახლა თქვენი გაზეთით ვეუბნები ამ ავადმყოფ ადამიანებს, „ნაციონალებს“, თუ ვინმეს ჭკუა შერჩენია და უნდათ, რომ გადარჩნენ, 1-ლ ოქტომბრამდე დატოვონ თანამდებობები, სხვანაირად მერე ამისი შანსი აღარ ექნებათ. არჩევნების შემდეგ ღვინიაშვილი, სიბაშვილი და კახიძე კახეთში ველარ იცხოვრებენ, ან სადლაც, კენგურუებთან უნდა გადაიხვეწონ, ანდაც სამუდამო პატიმრობაში იყვნენ იმ ციხეებში, რომელიც თავად შექმნეს სხვებისთვის. იცით უკვე რას ეხვეწება ხალხს ღვინიაშვილი? – თუ მაინცდამაინც „ოცნებას“ უნდა მისცეთ ხმა, იქნებ, მაჟორიტარებიდან მაინც დამიჭიროთ მხარიო. ასეთი თხოვნა „ნაციონალი“ მაჟორიტარიდან მხოლოდ ჩვენს რაიონში არ ითქვა, ეს ითქვა თიანეთშიც, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს, თიანეთელები გურჯაანელებზე მაგრები აღმოჩნდნენ. „ნაციონალების“ ოფისის წინ ჩაატარეს აქცია, სადაც ისეთი შემართება იყო, „ნაციონალები“ გასუსულები იყურებოდნენ ფანჯრებიდან და ხმას ვერ ილებდნენ. გურჯაანში ასე არ არის, იქ ხალხს კიდევ აქვს ნაცმაცების შიში.

**„ახლა თქვენი გაზეთით ვეუბნები ამ ავადმყოფ ადამიანებს, „ნაციონალებს“, თუ ვინმეს ჭკუა შერჩენია და უნდათ, რომ გადარჩნენ, 1-ლ ოქტომბრამდე დატოვონ თანამდებობები, სხვანაირად მერე ამისი შანსი აღარ ექნებათ“**

**— ალბათ, ვინმე აშინებს. ასეა?**

– გურჯაანის პატრულში მუშაობს ჩემი მოგვარე, დავით ფურცელაძე. თქვენს გაზეთში ამას წინათ მოვყევი, როგორ დადის მოსახლეობაში პატრული და მათ პირადობის მოწმობებს ართმევს. მაშინ ამ პატრულის ვინაობა არ ვთქვი, მაგრამ ახლა ვამბობ, – ეს იყო დავით ფურცელაძე. ამას წინათ ორი ტყუპი, 9 წლის ბიჭები სურსათის მალაზიაში „ოცნების“ მაისურებით შევიდნენ და ამ ნაძირალამ ორივეს მაისური იქვე გახადა, შიშვლები გაუშვა სახლში. მას აქვს საკუთარი საცხობი და ბავშვების მაისურები იქ დაწვა თონეში. აი, ვინ არის კიდევ კახეთში დასაპატიმრებელი უკანონო საქციელისთვის. ამ ბავშვებს პოლიტიკასთან კავშირი არ ჰქონიათ, მაგრამ ასე მოექცნენ და უფროსებს, ვინც მათ საწინაალმდეგოდ რამეს იტყვის, მოიმოქმედებს, რას უკეთებენ, ხომ წარმოგიდგენიათ არა?! ისე, გურჯაანში რაც „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატი მანანა ბერიკაშვილი ჩამოვიდა, „ოცნების“ მაისურებიც პირველად მაშინ გამოჩნდა. ივანიშვილიც 25 სექტემბერს ჩამოდის გურჯაანში, მანამდე ხომ გიყვებოდით, ვინც ხელმძღვანელობდნენ „ქართული ოცნების“ შტაბს, – ნაციონალებთან შეკრული ადამიანები. ქალბატონო ნელი, ღვინიაშვილმა გურჯაანში გამარჯვება ვერ უნდა შეძლოს. რაც შეეხება სიბაშვილებს, როგორც ახალაიები არიან სამეგრელოში, ისეთივე სისხლისმწოველები არიან ძმები სიბაშვილები კახეთში. ერთი ძმა გუბერნატორის მოადგილეა და მეორე გურჯაანის პოლიციის უფროსის მოადგილე. პოლიციის უფროსი მარიონეტად უზით, თორემ ფაქტობრივად, ყველაფერს გუბერნატორის მოადგილე სიბაშვილის ძმა განაგებს. ისინიც სხედან გურჯაანში ბიზნესწილებში და ყველაფერს აკონტროლებენ. უარესს გეტყვით, გურჯაანში, ჯარისკაცის მამის ძეგლთან ახლოს, ცხოვრობს გუბერნატორის მეორე მოადგილის, კახიძის ახლო ნათესავი და კახიძეს ახლა იქ აქვს გახსნილი არაოფიციალური რეზიდენცია. ამ სახლში იბარებს იგი, თავისი ჭკუით, კახეთში მყოფ, „ნაციონალებისგან“ შეწყალებით ციხიდან გამოშვებულ კრიმინალურ ავტორიტეტებს და ავალებს, ღვინიაშვილს არჩევნებზე კონკრეტული რაოდენობის ხმები მოუგროვონ. სხვანაირად, მათ ისევ დაჭერით ემუქრება და ასეთი რამ ამ ხალხს რატომ უნდა შერჩეს? მაგათ აუცილებლად უნდა მოეკითხოთ პასუხი. რაც ამ სახლში ხდება, ფირზეც არის ალბეჭდილი და აუცილებლად გამოქვეყნდება. ქურდული „სხადნიაკი“ მართლაც ჩატარდა ევროპაში და მათ მიიღეს გადაწყვეტილება, „პამილოვანიით“, ანუ შეწყალებით ციხიდან გამოსულ ქურდებს ისინი არაავტორიტეტებად ცნობენ და ეს ხალხი ვითომ ახლა ავტორიტეტებს რომ წარმოადგენენ კახეთში, არაფერიც არ არიან. ესენი შერჩებიან გაქცეულ „ნაციონალებს“ და ამ დავალების შესრულება მათ მეტს არაფერს არ მოუტანს. რიგითი მოქალაქეებიც მიჰყავთ ამ სახლში დასაშინებლად, არჩევნებზე „ოცნებას“ რომ არ მიცენ ხმა. სხვათა შორის, გურჯაანში არიან იელოველები, რომლებიც „ნაციონალებს“ უჭერენ მხარს, რადგან ამათ ხელში სექტებმა კარგად იგრძნეს თავი. სხვა სექტებიც ასე არიან, რადგან სწორედ „ნაციონალები“ არიან მართლმადიდებლობის მტრები. ვითომ ევროკავშირის რეკომენდაციებს იცავენ, რელიგიურ უმცირესობებს ხელს აფარებენ, სინამდვილეში კი თავად არიან სექტანტები და საკუთარი სარწმუნოების მტრები. გურჯაანის ცენტრში იელოველებმაც შენობა იყიდეს „ნაციონალების“ ხელშეწყობით და იქ ტაძრის აშენება უნდათ, მაგრამ სისხლი დაილვრება და ეგ არ მოხდება, ქალბატონო ნელი.

**— გურჯაანის „ოცნების“ შტაბში ყვირალაშვილი და სიბაშვილი აღარ არიან?**

– არა, ქალბატონო ნელი, თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული ჩვენი წერილების შემდეგ მოხსნეს ორივე. ორი კვირის წინ კი ყვირალაშვილი სიბაშვილის კაბინეტთანაც ნახეს ატუზული და ამის მტკიცებულებებიც გვაქვს. კიდევ ერთ განცხადებას გავაკეთებ თქვენი გაზეთით: ვისაც გურჯაანში ჩემს ახლობლად ვთვლი და ჯერ კიდევ „ნაციონალურ მოძრაობას“ უჭერენ მხარს, ან აპირებს არჩევნებზე ნიშანი 5 შემოხაზოს, თუ მანამდე არ გადაიფიქრებენ, მერე, სულ მცირე, აუცილებლად გავაწნავ სილას და საერთოდ მოვიძულებ. ღვინიაშვილს ერთი „ფანტანის“ მეტი არაფერი აქვს გურჯაანში გაკეთებული და ისიც ცენტრს ამახინჯებს. თავადაც თქვა, თურქეთში იყო ასეთი და მომეწონაო. უარესს გეტყვით, კურორტ ახტალაზე ახლახან 200-300-წლიანი მუხები მოჭრეს და კაუჩუკის გზის დაგება უნდათ, ველოსიპედით სანდრამ და მიშამ რომ იკატაონ. ერთი დღისთვის სპობენ საუკუნეების ხეებს. გურჯაანში რომ შევდივართ, სადაც ღვინიაშვილსა და სიბაშვილს კომერციული ობიექტები აქვთ, აშენდა ტაძარი. ამ ტაძარში ნახევარი თანხა ივანიშვილმა გადმორიცხა, მაგრამ ღვინიაშვილი ხალხთან თავად იბრალებს ამას. მე ადრეც გითხარით, როგორ აიძულებდა ბიზნესმენებს, ფული დაედოთ ამ ტაძრისთვის და მათი გადარიცხული თანხებიდან რა მოახმარა ამ ტაძარს სინამდვილეში, ესეც საკითხავია. იცით, როგორ სადღეგრძელოს ვსვამ ამ ბოლო დროს?! მე რომ ვეზიზლები, იმ ადამიანსაც გაუმარჯოს, ვინც მიშას ხმას არ მიცემს-მეთქი. ამიტომაც მოვუწოდებ ყველა გურჯაანელს, არავითარ შემთხვევაში „ნაციონალურ პარტიასა“ და ღვინიაშვილს ხმა არ მისცენ, თუ უნდათ, უკეთესი ცხოვრება ჰქონდეთ. თუ არ უნდათ, ის რაც ახლაა, – ცოცხები და ცემა-ტყეპა.


გიორგი ღვინიაშვილი

დიტო ჩუგინიძე
599 64-25-77

# საქართველოს ისტორიაში სამუდამოდ დარჩება ორი ყველაზე უფრო ცნობილი მუხაძე — ერთი თბილისის გადამბუგველი, ხოლო მეორე — მამათმავალი და პატიმრების გამაუპატიურებელი!..

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ძველი ქართული გვარი – მუხაძე (იგივე „მუხასძე“, – დ. ჩ.) დაკავშირებულია ორ საზიზღარ და ამაზრზენ ფაქტთან!..

მონღოლების შემოსევის დროს ზნედაცემულმა და ანგარებიანმა საქართველოს მაშინდელმა დედოფალმა – რუსუდანმა – თამარ მეფის ასულმა, რომელმაც უკადრებე-





ლი იკადრა და იმისათვის, რომ თავისი ბინძური პოლიტიკური ზრახვები აღესრულებინა, ძმისშვილს – დავით ლაშა-გიორგის ძეს საკუთარ ქალიშვილთან – თამართან ცილი დასწამა, სწორედ ვინმე „მუხასძეს“ უბრძანა, – მონღოლები რომ გამოჩნდებიან, თბილისი ცეცხლს მიეციო!.. თავად რუსუდანი ქუთაისს გაემგზავრა, ხოლო „მუხასძემ“ ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა ზნედაცემული დედოფლის დანაბარები და საქართველოს სატახტო ქალაქი გადაბუგა!..

რაც შეეხება მეორე მუხაძეს, სახელად ალექსანდრეს – ეს გახლავთ გლდანის ნომერ მერვე საპყრობილის თანამშრომელი და როგორც ირკვევა, – მამათმავალი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის პირადი ქილერებისა და ასპიტების – ბაჩო ახალაიას, დათა ახალაიასა და მეგის ქარდავას დავალებით ციხეში ხალხს აუპატიურებდა, ხოლო ამ ყველაფერს ბაჩო ახალაია და მეგის ქარდავა უყურებდნენ და, ალბათ, მერე ძილის წინ დასაწყნარებლად და დასამშვიდებლად უყვებოდნენ მიხეილ-ალას!..(!!!)

დიახ, ალექსანდრე მუხაძეს, საქართველოდან გაქცეული და გადახვეწილი ვლადიმერ ბედუკაძე, ხელს ადებს, რომ მან ბაჩო ახალაიასა და მეგის ქარდავას თვალწინ გააუპატიურა და მერე სული ამოხადა კონტრდაზვერვის პოლკოვნიკს – სერგო თეთრაძეს!..(!!!)

ანუ საქართველოს ისტორიაში სამუდამოდ დარჩება ორი ყველაზე უფრო ცნობილი მუხაძე – ერთი თბილისის გადამბუგველი, ხოლო მეორე – მამათმავალი და პატიმრების გამაუპატიურებელი!..(!!!)

მე თუ მკითხავთ, ვაჟკაცმა და ამაყმა მუხაძეებმა ამ ნაძირალასა და გვარის შემარცხვენელ მამათმავალს პასუხი უნდა მოსთხოვონ!..

რაც შეეხება ახალაიებსა და მეგის ქარდავას, დაზუსტებული და ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, დათა ახალაია და მეგის ქარდავა – ეს ორი ზონდერქილერი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურაში სწავლობს და რაც პირადად ჩემთვის ქვეყნიერების თავზე ჩამოქცევის ტოლფასია, მიხეილ სააკაშვილის კვაზიფაშისტური რეჟიმის ამ ორი დრაკულას „სამეცნიერო მოღვაწეობას“ ხელმძღვანელობს ჩემი სიჭაბუკის დროინდელი მეგობარი, რომლის გვარ-სახელსაც ახლა ცოცხალი თავით არ გავთქვამ!..(!!!)

ვინც ეს ამბავი მითხრა, ჩემი მეგობრის გვარი ისე ჰაიჰარად მიხსენა, ამისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია. აშკარად ეტყობოდა, წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ ვინ იყო დათასა და მეგისის მეცნიერ-ხელმძღვანელი ჩემთვის, მაგრამ როცა ყურები ვცქვიტე და ვუთხარი, – ესა და ეს კაცი ჩემი ახლო მეგობარია და უწესიერესი კაცია-მეთქი! – დაბნეულმა მიპასუხა, – წესიერ კაცს ახალაიებთან და მეგის ქარდავასთან რა უნდაო?!

ქართველთყლაპია დათა ახალაია და მეგის ქარდავა ირაკლი ფრანგიშვილის ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის სამართალმცოდნეობის განყოფილებაზე თურმე შარშან ჩაირიცხნენ, სადაც მათ კი არ ასწავლიდნენ რამეს, არამედ, პირიქით, ესენი ასწავლიდნენ ლექტორ-მასწავლებლებს, პროფესორებსა და თანაკურსელებს ადამიანისთვის ცოცხისა და პრეზერვატივწამოცმული „დუბინკის“ უკანალში შერჭობის ტექნიკას, კაცის გაუპატიურების მეთოდიკას, ადამიანის ხორცისგან სხვადასხვა კერძის მომზადებას, ადამიანის ასო-ასო აკუწვის ხელოვნებასა და ა. შ.

მართალია, „დოქტორი“ დათა ახალაია და „დოქტორი“ მეგის ქარდავა ამ მომენტისათვის სააკაშვილს სადღაც წკვარამსა და ჯოჯოხეთში ჰყავს გადამალული, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, – მთავარია, ფრანგიშვილის უნივერსიტეტში ორი სახელგანთქმული „დოქტორანტი“ – ბაჩოს ძმა – დათა და მეგისი ირიცხებიან!..



წყარომ ისიც მითხრა, რომ მიხეილ სააკაშვილის ეს ორი პირადი სატანა დოქტორანტურაში საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის – ჯემალ გახოკიძის პროტექციით მოხვდნენო!..

ეჰ, ჯემალ ბიძია, თქვენ მამაზეციერმა იმოდენა განსაცდელი მოგივლინათ, – პირადი ტრაგედიის გარდა, რომლის შესახებაც ახლა აქ არ ვისაუბრებ, საქართველოს ეროვნული გმირის – ცხონებული გოჩა ესებუას წმინდა სისხლშიც ამოევლეთ კისრამდე და ამ ხნის კაცმა ჭკუა ვერ უნდა ისწავლოთ?

ამ სატანისტებთან კავშირსა და ძმაკაცობას სიბერეში მაინც არ უნდა გაანებოთ თავი?!

ისე იქნა ჩემი დამაწყევარი, მეგის ქარდავა და დათა ახალაია რომ აწი დოქტორანტურაში ისწავლიან!..

ერთ რამეზე კი აუცილებლად ვიზრუნებ, პატივცემულო მკითხველო, – ვეცდები, იმ ჩემს მეგობარს აწი მოწაფეებად ადამიანები ჰყავდეს და არა – მხეცები!..

**P. S. საგანგებოდ დავუკავშირდი ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის — ირაკლი ფრანგიშვილის მრჩეველს — ნინო კუპრაშვილს (599 60 90 99) და ვკითხე, — მართლა ირიცხებოდნენ თუ არა უნივერსიტეტის დოქტორანტურაში დათა ახალაია და მეგის ქარდავა...**

**ქალბატონმა ნინომ ყურადღებით მომისმინა და მითხრა, — ყველაფერს გავარკვევ და ნახევარ საათში თავად დაგიკავშირდებითო!..**

**იმის შემდეგ რამდენჯერმე დავურეკე, მაგრამ ქალბატონი ნინოს ტელეფონი მუდმივად დუმს...**

**„დოქტორ“ დათა ახალაიას ძმა — „ჰანიბალ ლექტორი ბაჩო“ სადღაც გაქრა!..**

**როდის და სად გაქრებიან დათა და მეგისი, ჯერჯერობით, უცნობია!..**

„სრულიად შეძრწუნებული და აღშფოთებული ვარ ამ საზარელი კინოკადრებით. კატეგორიულად ვგმობ პატიმრებისადმი არაადამიანურ მოპყრობას, რომელ რასას და ეთნიკურ ჯგუფსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი. აშკარაა, რომ ქვეყნის აღმშენებლობისა და კრიმინალთან ბრძოლის წარმატებულ პროცესში ჩვენ დავუშვით მძიმე შეცდომა, როდესაც სათანადოდ ვერ შევაფასეთ ის სიგნალები, რომლებიც მოდიოდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისგან. ოსვენციმი ჩვენი სირცხვილია! ამიტომ მე დავავალე რაიხმინისტრ იოზეფ გებელსს, მთლიანად თავის თავზე აიღოს საკონცენტრაციო ბანაკების სისტემის რეფორმირება და დოქტორ მენგელესთან ერთად შეიმუშაოს ახალი სტრუქტურა ერთა ლიგის შესაბამისი რეკომენდაციების მიხედვით.

ადოლფ ჰიტლერი“...




დარეჯან მიქაბერიძე
577 40-40-08

„ვარდების რევოლუციის“ სინამდვილისთვის უპრეცედენტო შემთხვევა – ალაყაფის კარს გილებენ და შედიხარ დახურულ სივრცეში, სახელმწიფოში არსებულ სახელმწიფოში! საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე რამდენიმე ნაბიჯილა გვაშორებს. „გვანამებენ! გვცემენ! გვიშველეთ!“ – გუგუნებს ციხე. 17 წელია, ჟურნალისტიკაში ვარ, შესაბამისად, არაერთი ე. წ. ბუნტის მომსწრე, ბოლოს და ბოლოს, თავად ვიყავი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პრეს-სამსახურის უფროსი, „ყველა ციხის კარი შემიღია“, პატიმართა მსგავსი პროტესტი ერთი მახსენდება „ვარდების რევოლუციამდე“ ქუთაისში, როცა პატიმარი გააუპატიურეს ადმინისტრაციის თანამშრომლებმა და „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მთვრალი ახალაია რომ შევარდა მეხუთე საპყრობილეში. უკვე 9 წელია, ციხეების (რეფორმატორულად თუ ვიტყვი, სასჯელაღსრულების დაწესებულების) ალაყაფის კარი ჟურნალისტებისთვის დახურულია. სააკაშვილს კი უყვარს გამჭვირვალეობა, მაგრამ არც ისეთი, ის ადგილი მოაშიშვლოს, საიდანაც „ნაციონალური დემოკრატია“ „ნაციონალურ ჯოჯოხეთს“ უდრის! ამიტომაა, რომ ამ პერიოდში ციხიდან გამოტანილი ყველა ინფორმაცია ინკოგნიტო წყაროს უკავშირდება. ადვოკატები თავისი დასაცავი პირის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ და ვერ ასახელებდნენ საკუთარ გვარს, პატიმრები კიდევ სიცოცხლის გადარჩენაზე ფიქრობდნენ და ინკოგნიტოდ დარჩენას ამჯობინებდნენ. იშვიათად, მაგრამ მაინც იყო შემთხვევები, როცა პატიმრები, „ამაზე მეტი რაღა უნდა დაგვემართოს“ პრინციპით, დაუფარავად საუბრობდნენ. მე მახსენდება პატიმარი თაბაგარი, რომელიც თვეში ერთხელ მაინც მიგზავნიდა წერილებს, სადაც დეტალურად ყვებოდა, თუ რა სადისტურად ექცეოდნენ მას ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, თავად დირექტორი და მისი მოადგილე. ახლა ცოტა სასაცილოდ ჟღერს პროკურატურის მოწოდება, ვისაც ფირი გაქვთ, სადაც ჩაწერილია წამების ფაქტები, წარმოადგინეთ, თორემ თანამონაწილე არა, მაგრამ დანაშაულის დამფარველები ხართ და დაგაპატიმრებთო. საინტერესო პოზიციაა, არა?! არადა, კანონით ასეა, – პროკურატურას შეუძლია, გამოძიება ნებისმიერ საგაზეთო პუბლიკაციაზე, ნებისმიერ სიუჟეტზე დაყრდნობით დაიწყოს, თუკი ამ სტატიაში ან სიუჟეტში გამოკვეთილ დანაშაულზეა საუბარი. ახლა იმის თქმა, რომ არც გაზეთებს კითხულობენ და არც ტელეეკრანებს არ არიან მიშტერებულები, უბრალოდ, სასაცილოა, ამიტომ ადეიშვილის ხელქვეითების განცხადება, – ფირები მოიტანეთო, – მიმართულია მხოლოდ იმ ადამიანების წინააღმდეგ (და ასეთი სამად სამი ადამიანია), ვინც ეს ჩანაწერები გაავრცელა. არც გასაკვირი იქნება, ყველას მიმართ (ერთს კი ეძებენ) გამოაცხადონ ძებნა! რატომ არ აკმაყოფილებს პროკურატურას ის კადრები გამოძიებისთვის, რაც უკვე გავრცელდა? საკმარისი არ არის? და თან გაუპატიურებას არც არავინ ახსენებს, უფლებამოსილების გადამეტებაზე და წამებაზეა აქცენტი გაკეთებული. გაუპატიურება ცოტა მძიმე კატეგორიაა და ეს იურიდიულის პირველკურსელმაც კი იცის. პროკურატურა ახლა ცდილობს, როგორმე სხვა ფირების გამოაშკარავება შეაწყვეტინოს მხარეს. ანუ რა გამოდის? თუ კადრები ტელევიზიით გავა, ე. ი. იმ ტელეკომპანიასაც ექმნება საფრთხე, რომელიც გაუშვებს ფირს? სხვა დატვირთვა პროკურატურის ამ ინიციატივას არ აქვს. მეორე ნაბიჯი, რომელიც ხელისუფლებამ გადადგა დამუხტული სიტუაციის გასანეიტრალებლად, სახალხო დამცველის გამინისტრებაა. ყველაზე საინტერესო ფაქტი ის გახლავთ, რომ ტულუშის გამინისტრებამდე „ნაციონალებმა“ „თავში ხელები“ წამოიცხეს, როგორ არ ვაქცევდით ტულუშის საპარლამენტო მოხსენებებს ყურადღებასო?! შეიქმნა ფონი – ცუდი პარლამენტარები ყველაზე კარგ სახალხო დამცველს ყურს არ უგდებდნენ! ანუ ტულუში ერთნაირად მისაღები გახდეს როგორც პატიმრისთვის, ისე – ხალხისთვის! სინამდვილეში, როგორ არის საქმე? ტულუშის არც ერთი დასკვნა ისე მძაფრი არ ყოფილა, როგორც მისი წინამორბედის, არადა, ტულუშის სახალხო დამცველობის პერიოდში ხდებოდა ის, რასაც ახლა კიდევ ერთხელ აეხადა ფარდა! ამ ნიუანსს არავინ მიაქცია ყურადღება და არც არავის უკითხავს, როგორ აპირებს ტულუში დაიცვას იმ პატიმრების უფლებები, რომლებიც სახალხო დამცველის აპარატს არ ენდობოდნენ და არ უყვებოდნენ იმ საშინელებების შესახებ, რაც გლდანის მერვე საპყრობილეში ხდებოდა?! ახლა რა გულახდილობის ბუშტი გაუსკდება ვინმეს და რატომ დაუჯდება ტულუშს სალაპარაკოდ? მით უმეტეს, ძალიან ბევრი პატიმარი ან მისი ოჯახის წევრი აცხადებს, რომ სახალხო დამცველის აპარატი არც არაფერს უკეთებდა მათ ათასგზის მიმართვის მიუხედავად. ახლა ასეა საქმე, როგორმე გადააგორონ ეს ყველაფერი და როგორმე ჩაფარცხონ მოვლენები. ფაქტებისგან გაქცევა ძნელია, მით უმეტეს, რამდენიმე დღეა, ციხე გუგუნებს და არც პატიმართა დიდი ნაწილი აპირებს გაჩუმებას.

**„ამ ნიუანსს არავინ მიაქცია ყურადღება და არც არავის უკითხავს, როგორ აპირებს ტულუში დაიცვას იმ პატიმრების უფლებები, რომლებიც სახალხო დამცველის აპარატს არ ენდობოდნენ და არ უყვებოდნენ იმ საშინელებების შესახებ, რაც გლდანის მერვე საპყრობილეში ხდებოდა?!“**



უ ფ ლ ე ბ ა თ ა დამცველმა ლალი აფციაურმა ხუთშაბათს გვიან საღამოს დამირეკა: „ახლა დამირეკეს და გლდანში მივდივარ, წამოხვალ?“ უარს როგორ ვეტყოდი, წავედი. ეს ის ციხეა, რომელიც სააკაშვილმა დიდი ზარ-ზეიმით გახსნა, ეს ის ციხეა, რომელიც, სააკაშვილის თქმით, ევროსტანდარტებს უტოლდება კი არა, აჭარბებს და ეს ის ციხეა, საიდანაც ახლა მხოლოდ გოდება ისმის. როგორც ჩანს, სააკაშვილის სმენას ეს გოდება ევროპულად ელამუნება. ახლა მისი მთავარი პრობლემა ის კი არ არის, რა სადიზმსაც აეხადა კიდევ ერთხელ ფარდა, ის უფრო ადარდებს, რომ ვილაც „გაიშნიკმა“ კადრები მოიპარა და გაიქცა“. არადა, იურისტია სააკაშვილი და წესით, სხვა რამ უფრო უნდა ადარდებდეს, ვიდრე „ვილაც „გაიშნიკის“ გაქცევამდე სამსახურში მიღებაა და სამსახურში მიღებიდან გაქცევა! მიშას სხვა ბევრი რამეც ადარდებს და, საერთოდ, მისი ნება რომ იყოს კი არა, რომ მიუშვან, ალბათ, გლდანს საერთოდ გადაწვავს, მაგრამ ახლა აქ სიტუაციას ხალხი აკონტროლებს!

– ჩემი შვილი როგორაა, არ ვიცი, არაფერი ვიცი... ხალხო, გვიშველეთ! – თავისთვის მოთქვამს ერთი ქალბატონი.

– ისევ აწამებენ პატიმრებს, რუსთავში „სტროიში“ დააყენეს ყველა... ახალი უფროსი მიიყვანეს იქ, გამოიძახა პატიმრები, – აბა, ხმა ამოგიღიათ და მე ვიციო! დასისხლიანებულია ბევრი. ასეა ყველგან! – ყვება მეორე ამბავს.

ამ დროს აფციაური უკვე შევიდა საპყრობილეში. მოულოდნელად ისეთი ხმაური ატყდა, თითქოს მიწა ადუღდაო. ყვირილი და დარტყმის ძლიერი ხმა ერთმანეთში აირია. გარეთ პერიმეტრზე მყოფები „კედლებს“ მიაწყდნენ. მივხვდი, რაც ხდებოდა!

– ბუნტია, – ვთქვი.

უცებ აირია ყველაფერი. ვილაცა სადღაც გარბის, ვილაცა რაღაცას ყვირის, ვილაცა ვილაცას ეძახის. ვილაცა დაიბნა, ვილაცა დაფეთდა და მე რა დამაბნევდა, მსგავსი ასჯერ მაინც მინახავს. გალიაში გამოკეტილი ფოცხვერის სახე ჰქონდა ერთ ქალბატონს, ვიდრე ვიცოცხლებ ეს სახე არ ამომივა მეხსიერებიდან:

– თუ რამე დააშავა ჩემმა შვილმა კანონით, სამართლით აგებინონ პასუხი, ნეკნები აქვს დალეწილი, თვალები ჩალურჯებული...

ხმაური გაძლიერდა. მთელი ათი წუთი ვიდექი და ვუსმენდი ამ ხმაურს. ამაზრზენია! რკინის და ადამიანების ხმა ერთად! „გვიშველეთ, დაგვხოცეს“!

– ნიკაააააააააა!..

შავოსანი ქალი ეძახის თავის შვილს.

– დედა, რა ვქნა ახლა, სად წავიდე ამ შუაღამისას? – მოთქვამს. ტელეფონის საათს დავხედე, ამასობაში შუაღამე მოსულა. გამეცინა, – დღე რომ იყოს, სად წავიდოდა, ნეტავ, ვისგან მიიღებდა ამომწურავ პასუხს? – საკუთარ თავს ველაპარაკებოდი უკვე.

– საშინელებები ხდება იქ, საშინელებები, ამოწყდნენ ესენი!.. პასუხი მაინც გვითხრან... ვაიმე, შვილოო!!! ცემას აიტანს და ის, რაც ვნახე... არააა!.. ღმერთო, დაიფარე, სიკვდილი სჯობია!.. ვაიმე, შვილოოო!..

ციხის მხრიდან ყვირილი ისევ ისმის. უცებ გავიგონე:

– ლალიიი!.. ლალიიი!.. ამოდი ჩვენთან!.. ლალიიი!..

ვილაცა პასუხობს, სიტყვებს ვერ ვარჩევ. ფანჯრებიდან ლანდად ჩანს სახეები, არა – ადამიანის თავები. უცებ ზურგს უკან მომესმა შეკივლება. ისედაც ზამბარასავით ვიყავი დაჭიმული, ისეთი სისწრაფით მივატრიალე თავი, კეფა ამტკივდა. ვილაც ქალი ჩაკეცილიყო, მეორე წყალს ასხამდა სახეზე. დაჭრილებიც მინახავს ომში, დაბომბვაშიც მოვყოლილვარ, ტყვეც ვიყავი და პატიმარიც, მაგრამ ასეთი შინაგანი სიცივე ერთხელ განვიცადე მხოლოდ ომის დროს, სენაკის საავადმყოფოს ეზოში დაჭრილები რომ შემოიყვანეს და ერთი ახალგაზრდა, ასე 17-18 წლის ბიჭი, ექიმებს რომ ეხვეწებოდა, – ნარკომანი არა ვარ და ბევრი წამალი არ გამიკეთოთ, ცოტაც მეყოფაო და თან ტყვიებისგან დაცხრილული მუცლიდან გამოყრილ ხორცებს ხელით რომ ამაგრებდა, ზუსტად ისე შემაცია, როგორც მაშინ. თავად მომხდარი, რაც ახლა კადრებად დაიდო, ბევრჯერ მომისმენია, დამიწერია, ჩემგან რა ახსნა გჭირდებათ და მართლა ძალიან ძნელია ამ რეალობას, ამ სადიზმს უყურო გულგრილად. მოხუცები, ახალგაზრდები, კაცები, ქალები – ყველა ტიროდა და მათი ტირილი უერთდებოდა ციხის

კედლებიდან გამოხეთქილ ვარამს, – გვიშველეთ!!! გვხოცავენ!!! დაახლოებით ორი საათი იქნებოდა, **ლალი აფციაური** რომ გამოვიდა ციხიდან:

– გვიან ღამით დამირეკეს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პატიმრის მშობლებმა და მითხრეს, რომ ციხიდან ნაწამები პატიმრები გაჰყავდათ, რომ ეს დღეებიც აწამებდნენ პატიმრებს. გვიანი იყო, როცა მივედი მერვე საპყრობილეში და როგორც ადვოკატმა, მოვითხოვე შესვლა, დამთანხმდნენ. იცით, რომ პატიმრებისა და მათი ოჯახის წევრების რიგგარეშე პაემნებიც მიმდინარეობს. ციხის ახალმა დირექტორმა, სამწუხაროდ, გვარი არ ვიცი, გურამი ჰქვია, მოითხოვა ჩემთან შეხვედრა. 2 წუთის შესული არ ვიყავი ციხის ეზოში, რომ უცებ დაიწყო ხმაური, პატიმრების ყვირილი. დაიბნა დირექტორი და ხმადაბლა ამბობს: ბუნტი დაიწყო! როგორც კი ეს გავიგონე, შოკში ჩავვარდი. უკვე ვყვიროდი, – სასწრაფოდ გადამიყვანეთ კორპუსებზე, სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ-მეთქი. იმ წუთასვე დამთანხმდა. გადავედით კორპუსებზე, მთელი გზა ვყვიროდი: გაჩერდით! შეჩერდით! მომისმინეთ! ყველა კორპუსის ყველა ფანჯარასთან ვჩერდებოდი და ვყვიროდი, – გაჩერდით!

**— გარეთაც ისმოდა, საშინელი მოსასმენია რკინის ხმაური და ყვირილი ერთად.**

– ბუნტის დაწყების საშიშროების წინაშე ვიდექით. რამდენიმე წამით ჩერდებოდნენ პატიმრები, გვისმენდნენ და გრძელდებოდა ხმაური. გარედან ხალხის შეძახილები ისმოდა, ქაოსი იყო, სრული ქაოსი. ზუსტად 2 საათი დამჭირდა იმისთვის, რომ სათითაოდ ყველა კორპუსთან მივსულიყავი და მეთხოვა პატიმრებისთვის – გაჩერებულიყვნენ. ამის შემდეგ მე მოვითხოვე, რამდენ საკანშიც მოვახერხებდი შესვლას, ყველაში შევეყვანეთ. იმ წუთშივე დამთანხმდნენ. დავიწყე შემოვლა, თითქმის ყველა კორპუსის ყველა საკნის „ფორტოჩკა" გავალებინე, ვინც კი ითხოვდა დალაპარაკებას. მე მათ ვუხსნიდი, რომ მათი მდგომარეობა გამოსწორდება და ახლა საჭირო არ არის ხმაური. თავად პატიმრები ამბობდნენ, რომ მოიხსნა ყველა შეზღუდვა, რაც იყო დაწესებული; ანუ აქამდე დღის განმავლობაში იყო ასე: არ უნდა წამოწოლილიყვნენ, არ უნდა მოეწიათ სიგარეტი, არ უნდა



გაეცინათ, ხმამაღლა არ უნდა ესაუბრათ, ზურგზე ხელდაწყობილი და თავჩაქინდრული უნდა ყოფილიყვნენ. ეს ისედაც იცი, არაერთხელ გვითქვამს მე და შენ. ეს შეზღუდვები მოხსნეს.

**— ერთი ინფორმაცია მინდა გითხრა: რუსთავში, მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა, ახალმა უფროსმა პატიმრები გამოიყვანა და უთხრა, რომ დაისჯებოდნენ, თუ ხმას ამოიღებდნენ. რა გარანტიაა და ვის იმედად დაჰპირდი პატიმრებს, რომ ყველაფერი შეიცვლება და მათ ხელს არავინ ახლებს?**

– მანდაც წავალ და მწკრივში სწორედ ასეთი უფროსების ჩაყენების დროა. ისიც გაცხადდა, რომ პატიმარს ყური მოაჭრეს. ეს ხელისუფლება ახლა რასაც აკეთებს, შიშისგან არის გამოწვეული. თავის ნებაზე რომ მიუშვა, ახლა ესენი იგივეს და უარესს გააკეთებენ, იმიტომ რომ სათავეში მიშაა და მიშას ნულოვანი ტოლერანტობის დამსახურებაა, რაც ხდება. აქ არ არის ლაპარაკი სხვა რამეზე, თუ ხალხი ისე არ დადგება ფეხზე, როგორც ეს იმ ორ-სამი დღეა დგანან, სხვაგვარად არაფერი გამოვა. შენ კარგად იცი, 8 წელია, იმ ფაქტებზე ვყვებოდით, რაც ცოტა ხნის წინ ვიხილეთ ვიზუალურად და მოვუწოდებდი პატიმართა ოჯახებს, გამოდით-მეთქი, მაგრამ 100 ადამიანიც ვერ გამოვიყვანეთ და გახსოვს ეს შენ!.. საკნების შემოვლის შემდეგ ადმინისტრაციის შენობასთან დამიძახეს პატიმრებმა, – ისე არ გახვიდეთ, კარცერი და კარანტინი რომ არ ნახოთო. ჩავედი კარცერში, ყველა „კამერა" დაცარიელებული იყო. პატიმრებმა მითხრეს, სადაც იყო ე. წ. კარანტინი, ყოველ პარასკევს „ბართლომეს ღამეს" აწყობდნენ სადისტები. ჩავედი, იქ არის 8 საკანი, სადაც იყვნენ ახლად შემოყვანილი, ანუ კარანტინში მყოფი პატიმრები და კარცერიდან გადმოყვანილი პატიმრები, რომელთაც კარცერი ჰქონდათ მისჯილი – ზოგს გალიმებისთვის, ზოგს ხმამაღლა საუბრისთვის. მოვითხოვე ამ პატიმრების, ყველას გადაყვანა კორპუსზე. დაუყოვნებლივ დამთანხმდნენ. ძველი კადრიდან იქ არის ალეკო ჯანჯღავა, რომელთან ერთადაც სათითაოდ გამოვიყვანეთ თითოეული პატიმარი, ჩემ თვალწინ მოხდა ამათი კორპუსზე გადაყვანა. ამას პატიმრებისგან დიდი ოვაცია მოყვა.

**— ამიტომ იყო, „ლალი! ლალიო!" რომ ყვიროდნენ?**

– ძალიან დიდი ოვაცია იყო, კი. მთელი ციხე შევამოწმე, შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე ის შეზღუდვები, რაც იყო დაწესებული, უკვე მოიხსნა.

**— რომ სცემენ და ნაცემები რომ არიან?**

– რა თქმა უნდა, არიან! უსასტიკესად ნაცემები არიან, ერთი ორი თვის წინ, ერთი კვირის წინ, ორი დღის წინ, ყველა ამბობს და გვარებს ასახელებენ, ვინ აწამებდა მათ. მე სულაც არ მიკვირს მათი პროტესტი, აქამდე ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. კი ნახე შენც, სამჯერ შევბრუნდი ციხეში.

**— რამდენიმე ქალბატონმა თქვა, ჩემი შვილი სცემესო.**

– რამდენჯერაც ეს მითხრეს, იმდენჯერ შევედი უკანვე, პატიმრები არ მიდასტურებდნენ, რომ ისინი ამ ორ დღეში სცემეს. ყველა ადასტურებს, რა ხდებოდა წინა დღეებში, ყვებიან ყველაფერს დეტალურად.

**— ახალაია რომ პატიმრის მეუღლეების გაუპატიურებას ავალებდა თანამშრომლებს, ამასაც?**

– არის პატიმარი, რომელიც ამბობს, რომ მას შეუძლია, ეს დაადასტუროს და დაამტკიცოს, მე ვერ ვიტყვი ამ პატიმრის ვინაობას. ყველა




პატიმარი ერთნაირად ამბობს, – ჯოჯოხეთში ვართ, გვიშველეთო! ზუსტად ვიცი, რამდენი პატიმარიცაა დღეს საქართველოში, ყველა ერთსულოვნად ხმას მისცემს ამ კრიმინალური ხელისუფლების წინააღმდეგ და დაალაგებენ ფაქტებს.

**— თუმცა არა მგონია, სასამართლომ რამე გაითვალისწინოს, ეგრე იყო ბუნტის დროსაც, მაგრამ ახალაია არავის დაუსჯია. კიდევ მითხარი, არის საშიშროება იმისა, რომ სპეცრაზმი შეიყვანონ? არ დაგავიწყდეს, იყო მოწოდება გარეთ აქციების შეწყვეტის შესახებ და პოლიციაც უფრო გათამამდა, — ახალაია გადადგა და მეტი რა გინდათო? — სააკაშვილის მომხრეები აცხადებენ.**

– რას ნიშნავს, გადადგა? ახალაია უნდა გადადგეს? ახალაიას უვადო პატიმრობა უნდა მიესაჯოს! რას ჰქვია, გადადგა და მორჩა?! კალმახელიძესაც უვადო პატიმრობა უნდა მიესაჯოს! ყველა შემსრულებელს, ყველას, ვინც პასუხისმგებელი იყო. ცემაში შიმშილით კლავდნენ პატიმრებს და ყველა გარდაცვლილი პატიმრის სურათები, დაღუპვის მიზეზები, ექსპერტიზის დასკვნები იცი შენ, გადაგზავნილი რომ მაქვს საერთაშორისო ორგანიზაციებში. გახსოვს, „ქრონიკამ" დაწერა 23-24 წლის ბიჭზე, რომელიც შიმშილით მოკლეს. გახსოვს, 35 კილო ძვლები რომ მიუტანეს უბედურ დედამისს? გახსოვს, ის გარდაცვლილი კუბოში მარტო ძვლები რომ ეწყო? ადამიანების გულგრილობამ მიგვიყვანა აქამდე, მათ შორის, პატიმართა ოჯახების გულგრილობამ! – გვეშინია, გვეშინიაო! რომელ შიშზე იყო ლაპარაკი?! ვამბობდი თუ არა, რაც ხდებოდა და არ ვამბობდი, რომ პატიმრების წამებას იღებდნენ? არ ვამბობდი, რომ ვიდეო მასალას აკეთებდნენ? ეს ვიდეო მასალა, რომელიც ახლა გაჟღერდა, ხელისუფლების არქივიდან მოდის, როგორ გამოჟონა, სხვა თემაა. არ ვამბობდი, რომ გადაღებულ ფირებს პატიმრების დასაშანტაჟებლად იყენებენ-მეთქი? ახალი ითქვა ახლა რამე? – არაფერი, ვიზუალური მასალა დაიდო ახლა. მინდა გითხრა, რომ ხომ ყველაფერი ვიცოდით, მაგრამ ვიზუალური მასალა იმდენად შოკისმომგვრელი იყო, ვერ გამოვდივარ მდგომარეობიდან.

**— ანუ ბუნტი არ შედგა!**

– არა, მადლობა ღმერთს, არ შედგა, არადა, თითქმის დაწყებული იყო. სპეცრაზმს შეიყვანდნენ, დარეჯან, მადლობა ღმერთს, რომ დამიჯერეს პატიმრებმა.

**— შემოგიტრიალდება ეს უკულმა.**

– არა, არ შეიძლებოდა, გარანტია არ გვაქვს, მაგრამ ხელისუფლებას ექნებოდა მოტივი, სპეცოპერაცია ჩაეტარებინა. დიახ, არ არის გარანტია, მაგრამ იქ აუცილებლად უნდა იყვნენ პატიმრების ოჯახები, ხალხი უნდა იყოს ციხესთან.

**— მთელი ცხოვრება იქ ხომ არ იქნებიან?**

– როდესაც 50 ათასი კაცი ქუჩაში პროტესტის ნიშნად კვირაში ერთხელ გამოვა პლაკატით: „არ აწამოთ", – დამთავრებულია ყველაფერი! ხელს ვერ გაანძრევენ!

**— ამასობაში არჩევნები მოვა. ასეთი ამბავია და ყურმოჭრილი კაცი გვყავს შედეგად.**

– წავალთ იქაც მე და შენ და გავარკვევთ ყველაფერს!

წერილობითი მაგალითები თუ აწყობს პროკურატურას და მაინცდამაინც ფირებს არ ეყრდნობა მხოლოდ, აი, მაგალითები:

„ერთი ბიჭი იქვე სცემეს, პატიმრის ძმაა, ურტყამდნენ და თან ეუბნებოდნენ: ახლა ნახავ, იმ შენს ნაბიჭვარ ძმას რა მოუვაო... იმის გამო სცემდნენ, რომ გოჯოს გამოესარჩლა, ერთი პატიმრის ცოლს..."

„პატიმრის ცოლებს კი არა, დედებს და შვილებსაც აყენებდნენ შეურაცხყოფას. აქ დავალება იყო პირდაპირი, გასაუპატიურებელი უნდა გაეუპატიურებინათ! მერე გამოდიოდნენ და, – თქვენს ცოლს როგორ ვტყ...ვთ, ამას დავდებთ და ხალხს ვაჩვენებთო. ამ გზით იყო, ყველა დანაშაულს თავზე რომ იღებდნენ პატიმრები, ამიტომ იხსნებოდა საქმეები მეტეორული სისწრაფით".

„ჩაიხადე, უნდა გაგთხარო... – სულ ეს ისმოდა, – შენი დედა მოვტყან, მოგინდა კაი ბიჭობა? მე შენ გაჩვენებ კაი ბიჭობას".

გლდანში ახალი უფროსიც არის და ახალი მინისტრიც ჰყავს სასჯელაღსრულებას, მაგრამ მერე რა? იმ დროს, როცა ციხე გუგუნებდა, სააკაშვილი იუსტიციის სახლს ხსნიდა და ისევ დაკვეთით შესრულებულ ამ ამაზრზენ დანაშაულზე ლაპარაკობდა. ეტყობა, სააკაშვილისა და მისი ხელისუფლებისთვის, ზოგადად, უცხო ხილი არ არის გაუპატიურება, კონკრეტულად კი კაცისგან კაცის გაუპატიურება! უსქესო და შუბლგაწყვეტილმა შემსრულებელმა შეიძლება დაკვეთითაც (ფუი, ფუი და ისევ ფუი) შეასრულოს, მაგრამ დაკვეთით ჩაიხადო და თავი გაიბახო? ასეთი კაცებიც თუ არსებობენ საქართველოში, მართლა ცუდად ყოფილა ჩვენი ერის საქმე!

დაბოლოს, ძალიან მინდა, გულდასმით წაიკითხოთ ის, რასაც ახლა გთავაზობთ. წაიკითხეთ უკომენტაროდ, რამე გეცნობათ? წაიკითხეთ და გააანალიზეთ – რა უკეთესია, სიმართლისათვის ბრძოლა თუ სიმართლისათვის დუმილი?

**„სრულიად შეძრწუნებული და აღშფოთებული ვარ ამ საზარელი კინოკადრებით. კატეგორიულად ვგმობ პატიმრებისადმი არაადამიანურ მოპყრობას, რომელ რასას და ეთნიკურ ჯგუფსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი. აშკარაა, რომ ქვეყნის აღმშენებლობისა და კრიმინალთან ბრძოლის წარმატებულ პროცესში ჩვენ დავუშვით მძიმე შეცდომა, როდესაც სათანადოდ ვერ შევაფასეთ ის სიგნალები, რომლებიც მოდიოდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისგან. ოსვენციმი ჩვენი სირცხვილია! ამიტომ მე დავავალე რაიხმინისტრ იოზეფ გებელსს, მთლიანად თავის თავზე აიღოს საკონცენტრაციო ბანაკების სისტემის რეფორმირება და დოქტორ მენგელესთან ერთად შეიმუშაოს ახალი სტრუქტურა ერთა ლიგის შესაბამისი რეკომენდაციების მიხედვით.**

*გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური რესპუბლიკის რაიხსკანცლერი ადოლფ ჰიტლერი (ფრაგმენტი ციკლიდან: „ალტერნატიული ისტორიის მატიანე")".*



ნინო სამხარაძე
599 71-14-22

**ციხე შიგნიდან გატყდა! სააკაშვილის ხელისუფლება გადატყდა. პროცესებს ვეღარაფერი შეაჩერებს. ერთადერთი, რაც სააკაშვილს ამ ურთულესი მდგომარეობიდან გამოიყვანს, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაა. სხვა დანარჩენ შემთხვევაში, მისი პარტია პროპორციულ არჩევნებში არათუ წააგებს, არამედ ის აღიგვება პირისაგან მიწისა. იწყება ახალი კომპრომატების კვირა. საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი — პაატა პატიაშვილი, საინტერესო პოლიტიკურ ანალიზს აკეთებს.**

**— არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ასეთი დამანგრეველი კადრების ჩვენება რას გამოიწვევს, რამდენად დაშლის „ნაციონალურ მოძრაობას" და მსოფლიო თანამეგობრობას რა რეაგირება ექნება ამ კადრებთან დაკავშირებით? ჩვენ გვახსოვს, რა რეაქცია ჰქონდა მსოფლიოს ყადაფის წვალების კადრებთან დაკავშირებით...**

– მიუხედავად იმისა, რომ ყადაფი აღიარეს მსოფლიო დიქტატორად, იგი გახლდათ სამოქალაქო ომის ავტორი, ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩემთვის მიუღებელი იყო მისი წვალების კადრები. მაშინვე გავაპროტესტე, წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ჩვენთან ოდესმე მსგავსი რამ მოხდებოდა. სულ იმას ვფიქრობდი, – ნეტა, რა ხალხმა გააკეთა ეს?! როდესაც ვნახე, რომ ტელევიზიით ერთ-ერთ წამყვანს ენა მოაჭრეს და გააუპატიურეს, გავოგნდი, ვფიქრობდი, რომ ქართველები განსხვავებულები ვართ, ასეთი აგრესია ჩვენში არასდროს იქნება-მეთქი. მაგრამ აქ, საქართველოში, 21-ე საუკუნეში, იქ, სადაც ტრადიციის მიხედვით მამაკაცები ერთმანეთს ვადღეგრძელებთ, შენს ქვეყანაში, შენს ქალაქში არიან ისეთი ჯალათები, რომლებიც სისტემატურად აწამებენ ხალხს ყველაზე დაუნდობელი და წარმოუდგენლად საშინელი მეთოდებით. 39 წლის ასაკში ჩემთვის ეს იყო შოკი! ჩვენთან მამაკაცების აღზრდის ტრადიცია სულ სხვა დონეზე დგას და საქართველოში მამაკაცებს ისიც კი გვეთაკილება, როდესაც მამათმავალთან საკუთარი ნებით იჭერენ ურთიერთობას. და დღეს, როცა მამაკაცებს აუპატიურებდნენ, ამით სიამოვნებას იღებდნენ და ეს ჩანდა კიდეც, ეს არის იმის მანიშნებელი, რომ ერის ტრადიციული ღირებულებების წაშლა ხდება. ეს კიდევ უფრო საშინელებაა. ერთია, როცა ვილაცა ამის ბრძანებას გასცემს, მეორეა, რომ ასეთი ბრძანების შემსრულებელი, შესაძლოა, ვერ გვეპოვა 2003 წლამდე. ჩემთვის ძალიან საინტერესოა, რამდენია ასეთი სასტიკი ჯალათი 2003 წლის შემდგომ საქართველოში, რომლებიც თვალდაუხუჭავად შეასრულებენ ნებისმიერ სასტიკ ბრძანებას და სიამოვნებასაც მიიღებენ ამით. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ჯალათი დღეს ბევრი ჰყავს ხელისუფლებას.

**— როგორ ფიქრობთ, ამ ფირების გამოტანა იყო თუ არა კლანური დაჯახების შედეგი? ვანო მერაბიშვილის გვარმა გაიჟღერა. რამდენად შესაძლებელია, ახალაიებზე განაწყენებულმა ვანომ, რომელიც ჩამოაშორეს შინაგან საქმეთა სამინისტროს და იგი დღემდე ბიძინა ივანიშვილის სიმპათიებით სარგებლობს, პოლიტიკური კომპასი ბიძინა ივანიშვილზე გაასწორა?**

– ბუნებრივია, ამ ჩანაწერის გამოტანა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან შეუძლებელი იქნებოდა მაღალი თანამდებობის პირის მონაწილეობის გარეშე. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ნებისმიერი თანამშრომლის შესვლა და გამოსვლა მოწმდება, არსებობს სპეციალური სამსახური, რომელიც ანარმოებს ჩხრეკას, რათა არ იყოს შეტანილი კამერაში მობილური ტელეფონი ან ნარკოტიკი და ასე შემდეგ. ჩვენ ისიც ვიხილეთ, რომ ბედუკიძე არ იყო მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც არ ექვემდებარებოდა ჩხრეკის პროცედურას. ასე რომ, შეიძლება ბედუკიძემ გადაიღო, მაგრამ ამის გამოტანას მარტო ის ვერ გაბედავდა, რომ არ ჰყოლოდა მას ვინმე მფარველი, რომელიმე სერიოზული პირის სახით. მე არ მგონია, რომ უშუალოდ ვანო მერაბიშვილის მონაწილეობით გახდა ეს შესაძლებელი. ეს რომ ასე ყოფილიყო, მისი გვარი შეგნებულად არ გაჟღერდებოდა და პოსტ-ფაქტუმ იტყოდნენ, რომ ვანო მერაბიშვილს წვლილი მიუძღოდა ამ ხელისუფლების დემონტაჟში. მცდელობაა, რომ გუნდში დათესონ განხეთქილება, დათესონ ეჭვი. როდესაც რამდენიმე ადამიანმა ვანოს დაადო ხელი, არ არის გამორიცხული, რომ „ნაცებმა" ერთმანეთში ამაზე მსჯელობა ვანოს გარეშე არ დაიწყონ. ბუნებრივია, შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ საქმეში ჩარეულია, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს იმ მაღალი რანგის პოლიციელის გაკეთებულია, ვინც განაწყენებულია მმართველ გუნდზე. მე ვფიქრობ, ის ადამიანი დღეს სიმბოლურად არის სტრუქტურაში თანამდებობაზე და იცის, რომ არჩევნების შემდეგ მის მიმართ გატარდებოდა შესაბამისი ზომები, სისტემასაც დაემშვიდობებოდა და შესაძლოა, მეტი უბედურება დატრიალებულიყო მის თავს. ამიტომაც გააკეთა ის, რაც გააკეთა... ახალაიას დანიშვნა ძალიან ბევრს არ ესიამოვნებოდა, ძალიან ბევრი მაღალი თანამდებობის პირი იზრუნებდა, რამენაირად ახალაია ჩამოეცილებინათ. ბუნებრივია, ახალაიას ჩამოცილებამ მერაბიშვილის წისქვილზე დაასხა წყალი... შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გახდა ეკა ზღულაძე, რაც ნიშნავს, რომ ისევ ვანოს ექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტრო.

**— პოლიტიკურმა ტემპერატურამ, ფაქტობრივად, დაიწია მას შემდეგ, რაც პატრიარქმა სტუდენტებს დაშლისკენ მოუწოდა. ამით ხელ-ფეხი გაეხსნა სააკაშვილს და ის თავის აგრესიულ რიტორიკას დაუბრუნდა. ფიქრობთ თუ არა, რომ ხელისუფლება მომაკვდინებელ დარტყმას გადაფარავს?**

– პოლიტიკური ტემპერატურა დაიწია, როგორც კი კოალიციის ლიდერმა განაცხადა, რომ აქციები მათ ხელს უშლიდა და ისინი აუცილებლად უნდა მივიდნენ არჩევნებამდე. პატრიარქის განცხადებამ, რომ ასეთი რამ ყველა ქვეყანაში ხდება, დაბნეულობა გამოიწვია საზოგადოებაში, თუმცა ამას მოჰყვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 21 სექტემბრის ქადაგებასთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოს განმარტება, სადაც თვითონვე აღნიშნავენ, რომ უწმინდესის ქადაგების შემდეგ აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა. ეს ხელისუფლება წლების მანძილზე მსოფლიოს უმტკიცებდა, რომ დემოკრატიულ ქვეყანას აშენებდნენ, ამავდროულად, შიგნით ჰქონდა კონცლაგერი. ერთი დიდი კონცლაგერი იყო თვითონ საქართველო, სადაც რამდენიმე ადამიანის ხასიათზე იყო დამოკიდებული ნებისმიერი ჩვენგანის ბედი, ამავე დიდ კოლონიაში იყო მკაცრი რეჟიმის კოლონია ციხის სახით, სადაც ხდებოდა ადამიანის გატეხა. ძალიან კარგია, რომ ვიხილეთ საპატრიარქოს განმარტება. გაუგებრობა გამოიწვია იმან, როდესაც პატრიარქმა განაცხადა, – ასეთი რამ ხდება სხვა ქვეყნებშიც, მაგრამ ხელისუფლებას და ხალხს ეს სამარცხვინო ქმედება არ გამოაქვს საქვეყნოდ. საპატრიარქო განმარტავს, რომ პატრიარქის გულის ტკივილი გამოწვეული იყო და არის იმით, რომ ჩვენთან არ არსებობს სახელმწიფო მართვის მექანიზმი, როგორიც არის დასავლეთში, რაც თავისთავად გამორიცხავს მსგავსი და ჩვეულებრივი ქმედებების სისტემატურობას. პატრიარქის 21 სექტემბრის სიტყვების შემდეგ სააკაშვილმა იუსტიციის სახლის გახსნის დროს გაიმეორა ზუსტად ის სიტყვები და მეტიც, მან თქვა, რომ სხვა ქვეყნებში არ ხდება ამის გამოაშკარავება, მაგრამ ჩვენთან ეს მოხდა და ამით ხაზი გაუსვა თავის ე. წ. დემოკრატიულობას, რადგან ჩვენ ეს გამოვააშკარავეთო. დაიტრაბახა, რომ იქ, სადაც ვერავინ ვერაფერს ვერ აკეთებს ასეთი პრობლემის დროს, მან შეცვალა ორი მინისტრი. სხვათა შორის, მაკვირვებს, თუნდაც სამართალდამცველების მხრიდან ამ ყველაფრის შემდეგ 11 ადამიანის დაკავებით შემოფარგვლა... დეპარტამენტის თავმჯდომარის საკითხიც კი არ დგას, რომ ის უნდა იყოს მიცემული პასუხისგებაში. კურატორი მინისტრის მოადგილე, რომელსაც ევალებოდა ამ სისტემის პირდაპირ კურაცია, გვარიც კი არ ვიცით, ისეა გამქრალი. ამაზე არავინ არ საუბრობს. ასევე არავინ არ საუბრობს ხათუნა კალმახელიძის პასუხისმგებლობაზე, – ის, როგორც მინისტრი, თუ არ იყო ამ დანაშაულის ხელისშემწყობი, თანამონაწილე, მაშინ ყველა შემთხვევაში პასუხისგებაში უნდა იყოს მიცემული დაუდევრობის გამო, ვინაიდან მასთან მიდიოდა არაერთი განცხადება და ის თავისი უმოქმედობით ხელს უწყობდა დანაშაულის გამეორებას. წმინდა სამართლებრივადაც არ დგას საკითხი, რომ ვინმეს სურს ამ საზარელი დანაშაულის ბოლომდე გახსნა. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მხოლოდ გლდანის საპყრობილეში 11 ადამიანი ამას აკეთებდა ისე, რომ უფროსობამ არ იცოდა ეს, დეპარტამენტის თავმჯდომარე ჭაკუამ, რომლის პირველი მოადგილე – ზაზა მკურნალაძე, მონაწილეობდა პატიმრების წამებაში. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მინისტრის მოადგილე, რომელიც კურირებდა დეპარტამენტს, აზრზე არ იყო, რა ხდებოდა პენიტენციურ სისტემაში. ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ კალმახელიძემ არ იცოდა, რა ხდებოდა მის დაქვემდებარებაში მყოფ დეპარტამენტში. აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ხელისუფლება არ აპირებს ამ საქმის ბოლომდე გახსნას. ასეთი სიტუაცია არა მარტო გლდანშია, არამედ ყველა საპყრობილეში. ხვალ გაკვირვებული სახით პროკურატურამ რომ არ გააკეთოს განცხადება კვლავ, თუკი ვინმეს რამე ჩანაწერი გაქვთ, მოგვაწოდეთო, ვურჩევ, რომ მიხედონ სხვა დაწესებულებებს ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმში და სხვა საპყრობილეებს.

**— ხელისუფლება და პრეზიდენტი კითხვებს აქეთ სვამს, აქეთ არის აღშფოთებული, გაოგნებული, გაბრაზებული ამ საშინელების გამო, ზოგჯერ მგონია, ან სულ გაგიჟდა, ან ქვეყანას ფსიქიკურად შეშლილები მართავენ, მეტიც, სააკაშვილი ამბობს, რომ ამ ფირების გამოტანაში გადახდილია ორი მილიონი... მე მგონი, სააკაშვილი სწორედ იმიტომ ყრის ცოფებს, რომ ეს ამბავი გაუხმაურდა.**

– ადამიანურად ვამბობ, პირადად მე, ფული რომ მქონოდა, ორ მილიონსაც გადავიხდიდი, ოც მილიონსაც გადავიხდიდი ამ მასალაში, რასაც ვაჩვენებდი საზოგადოებას, რათა რამენაირად აღმეკვეთა ასეთი ჯოჯოხეთი, რომელიც იყო საპყრობილეებში. დღეს, როდესაც მტკიცებულებები საჯარო გახდა, ის კი არ ანალვლებთ ამათ, რა ჰქონდათ სისტემაში პრობლემა, არამედ ის ანაღვლებთ, თუ საიდან გამოვიდა ეს მტკიცებულებები. ამიტომ ვამბობ, ორს კი არა, ოც მილიონს გადავიხდიდი, ეს ჯოჯოხეთი რომ შემეჩერებინა.



**„ხელისუფლება 29 სექტემბერს, მაშინ როცა ივანიშვილი შემაჯამებელ აქციას გამართავს თბილისში, ალბათ, ისეთ საშინელ ჩანაწერს გაუშვებს, რომ დააბნიონ ხალხი!"**

**„დღეს, როდესაც კრიტიკული მომენტი აქვს სააკაშვილს, ვნახეთ, რომ ის რუსული ტანკების რაღაც გადაადგილებებზე საუბრობდა. ასე რომ, ორი მომენტია..."**

**— სააკაშვილი უკვე მესამედ ახსენებს საზოგადოებას, რომ მას აქვს ინფორმაცია, არსებობს ფაქტობრივი მასალები და მოუწოდა საკუთარ გუნდს, რომ ეს საზოგადოებას აჩვენონ. დადებს თუ არა ივანიშვილზე გამანადგურებელ კომპრომატს სააკაშვილი?**

– ეს აუცილებლად მოხდება, ასეთი განწყობით „ნაციონალური მოძრაობა", ბუნებრივია, არჩევნებზე არ მივა... „ნაციონალური მოძრაობა", ალბათ, გაავრცელებს ჩანაწერებს, რომლითაც შეეცდება, გადაფაროს პატიმრების გაუპატიურებისა და წამების თემა, მაგრამ ეს ის თემა არ არის, რომელიც ნებისმიერი ჩანაწერის შემთხვევაში გადაიფარება, ამიტომაც ვფიქრობ, რომ ისინი შესაძლოა დაელოდონ 29 სექტემბერს. მოგეხსენებათ, ამ დღეს ივანიშვილი შემაჯამებელ აქციას მართავს თბილისში და არჩევნებამდე ორი დღით ადრე ისეთი საშინელი ჩანაწერი გაუშვან, რომ დააბნიონ ხალხი. მაგრამ დღეს ისეთი სურათია შექმნილი, რომ არა მხოლოდ ოპოზიციური ამომრჩეველია აგრესიული, საკუთარი მხარდამჭერებიც იმდენად დაბნეულები და გაღიზიანებულები არიან, რცხვენიათ, „5"-იანი მაისურები რომ აცვიათ. ამიტომ მასალა, რომელიც იქნება გამოქვეყნებული „ნაცების" მხრიდან, იქნება საკუთარი მხარდამჭერების გასამხნევებლად. ასევე ვხედავთ, სააკაშვილი ყველა არჩევნებზე როგორ იყენებს რუსულ თემას. დღეს, როდესაც კრიტიკული მომენტი აქვს სააკაშვილს, ვნახეთ, რომ ის რუსული ტანკების რაღაც გადაადგილებებზე საუბრობდა. ასე რომ, ორი მომენტია. „ნაცებმა" კარგად იციან, რომ მათი ფილმების არავის სჯერა, ამას მხოლოდ საკუთარი მომხრეების შესაგულიანებლად გააკეთებენ, ან მეორეა, შესაძლოა ისინი შეეცადონ სიტუაციის სხვანაირად გადაფარვას, შეიძლება რომელიმე საზღვარზე დაძაბონ სიტუაცია. არ დაუშვებენ ხალხის ასეთი განწყობით მისვლას, ამიტომ უნდა ველოდოთ სიტუაციის რადიკალურად დაძაბვას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბერი მერკვირი საკუთარ კელიაში გამომწვარი იპოვეს!!!

21 ივნისს, ღამის თერთმეტი საათისკენ, ბერი მერკვირი საკუთარ კელიაში დაიწვა! ორი თვეა, ამ ფაქტს სამართალდამცველები იძიებენ, თუმცა, ჩვენთვის უცნობია ის ვერსიაც კი, რაზეც გამომძიებლები მუშაობენ. „ალია-ჰოლდინგმა" უკვე დაიწყო ჟურნალისტური გამოძიება და ბევრი დეტალი გამოიკვეთა, რასაც უახლოეს ნომრებში მკითხველი აუცილებლად იხილავს. ბერი მერკვირი რედაქციაში პირველად 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ მოვიდა და მას შემდეგ ინტენსიურად აქვეყნებდა „ქრონიკაში" კრიტიკულ წერილებს, რის გამოც, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, სასტიკად იდევნებოდა და რამდენჯერმე ფიზიკური ანგარიშსწორების მსხვერპლიც გახდა. განადგურებით ემუქრებოდნენ, აფრთხილებდნენ, რომ თუ არ გაჩუმდებოდა და წერას არ მოეშვებოდა, გააჩუმებდნენ. ამ ფაქტისა და კიდევ ძალიან ბევრი დეტალის გათვალისწინებით, გამოვთქვამთ ეჭვს, რომ ბერი მერკვირი დაადუმეს! თუმცა, დარჩა „ქრონიკის" არქივი და ყველა ის წერილი, რასაც ბერი მერკვირი 6 წლის განმავლობაში აქვეყნებდა. „ქრონიკა" ყველა ამ წერილს ელექტრონულად გამოაქვეყნებს!

და ბოლოს, „ალია ჰოლდინგი" თხოვნით მიმართავს ყველა იმ ადამიანს, ვისაც ამ ფაქტზე რაიმე, სულ მცირე ინფორმაცია მაინც მოეპოვება, დაგვიკავშირდეს რედაქციაში (2-333-170 მარინა ანდღულაძე, 599 65-81-95 ნელი ვარდიაშვილი) და დაგვეხმაროს სიმართლის დადგენაში.

## 2008 წელი

შესაქმიდან ვიცით, ღმერთმა სამყაროს შექმნისას ყოველივე ცოცხალი, მოკვდავი არსების გვირგვინად შექმნა უკვდავი, სუ-

მოკვდავ ცხოველებს დავემსგავსოთ. ერთადერთი იერარქიული უზენაესი ნება ღვთის ნება და ღვთისგან ბოძებული კანონებია. ყველა ერს ღმერთი აძლევს ხელისუფალს, მაგრამ თვითონ

ნებებს და რაც უფრო „გონიერი" ჯიშის იქნება კინოლოგ სოროსის აღზრდილი თუ აღსაზრდელი, მით მეტად იზრდება საქართველოს და ქართველი ერისთვის საშიშროების ხარისხი.

მი უდიდესი სიყვარულიდან გამომდინარე, ვალდებულებას გვაკისრებს, ვიბრძოლოთ. სანამ საქართველოს ხელისუფლებაში თუ ოპოზიციაში იქნებიან „ბოროტების ინსტიტუტის" აღზრდილები

ლილებები საარჩევნო კოდექსში, განხორციელებული უგუნური, უსამართლო, პატრონზე დამოკიდებული არსებებისგან, არ იძლევა საფუძველს და სამართლიანობის განცდას, ქართველი ერის

საზრდელების ქართულ პოლიტიკაში ყოფნა.

„ქართული აკადემიის", „ზნეობრივი ფორუმის" მხრიდან მეტ აქტიურობას ელის ღმერთი და ქართველი ერი ღვთისმშობლის წილხვედრი საქართვე-

# „ჩემი წერილებით სათქმელი სრულად ვთქვი, ბევრი ძალიან არაპოპულარული, მაგრამ... ბევრიც დამრჩა სათქმელი"

ლად და ხორცად ადამიანი გონებით, თავისუფალი ნებით. ადამიანი დაცემის დღიდან იმის მაგივრად, რომ მთელი ძალისხმევა ღვთის წიაღში დაბრუნებისკენ, უკვდავებისკენ მიემართა, ღვთისგან ბოძებული თავისუფალი ნებით და უგუნურებით (არა გონები უქონლობით), მაინც მოკვდავი, ცხოველური ინსტინქტებით ცხოვრებისკენ სწრაფვას ამჟღავნებს.

ყველას გვსმენია, ესა და ეს ჯიშის ძაღლი ძალიან გონიერიაო და გვავიწყდება, ღმერთმა ერთადერთ გონიერ არსებად ამ წუთისოფელში ადამიანი შექმნა. ღვთისგან შექმნილ გონიერ ადამიანს, ძაღლის და სხვა ცხოველებისგან განსხვავებით, საჭმლის დანახვებით ან შეპირებით ვერ მისცემთ ისეთ ბრძანებებს, წადი იქ! მოდი აქ! მომიტანე ის! უყეფე! უკბინე! ძაღლი ასრულებს ასეთ ბრძანებებს, ყეფს, იღრინება, იკბინება, მაგრამ არა იმიტომ, რომ გონიერია და სამშობლოს იცავს, არამედ ძაღლია თავისი ძაღლური ინსტინქტებით და იცის, პატრონის ნებაზეა დამოკიდებული, მშიერი იქნება თუ მაძღარი. არ არის ღვთის ნება, უკვდავი ადამიანი ერმა უნდა განსაზღვროს, რომელია ღვთისგან მოცემული ხელისუფალი, ამისთვის მოგვცა ღმერთმა გონი.

მოგმართავთ თქვენ, ე. წ. ოპოზიციის გარკვეულ ნაწილს, თუ ვაღიარებთ, რომ სრულიად საქართველოს პაპი და მისი ეკლესია ღვთისგან ბოძებულია, ღვთისგან ბოძებული „ერის მამის" მიერ „კურთხეული", „ლეგიტიმური" პრეზიდენტი და მისი ხელისუფლება რატომ არ გინდათ, აღიაროთ? სრულიად საქართველოს პაპმა აღიარა, აკურთხა, რაც, თქვენივე ცნობილი განცხადებებიდან გამომდინარე, პრეზიდენტის და მისი ხელისუფლების ლეგიტიმაციას ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს. ალოგიკურია თქვენი ქმედებები და განცხადებები, ორმაგ სტანდარტებს რომ არ ვხედავდე.

სოროსის ბოროტების ბუდის, „თავისუფლების ინსტიტუტის" წევრობა, თავის დროზე, ეშმაკზე სულის მიყიდვის აუცილებელი პირობა ყოფილა და ხარ თუ არა დღეს ამ ბუდეში, ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია. სული პატრონის, კინოლოგ სოროსის ხელში რჩება, რომელიც იძლევა ბრძა-

გავიხსენოთ, ვინ აცვეს ჯვარს მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე? – მღვდელმთავრებმა, ფარისევლებმა და მწიგნობრებმა. შიშველი ინტელექტი, თუ ის ეშმაკის ხელშია, რომელსაც ცხოველურ დონეზე დავყავართ და სიყვარულს, ღმერთს არ ემსახურება, უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენს, ვიდრე უმეცრება. მადლობა უფალს, ღმერთმა ქართველ ერს არც საკმარისი ინტელექტი და არც საკმარისი სიყვარული არ მოაკლო, ამიტომ მწამს, რომ ქართველი ერის გადაშენების მცდელობას სოროსის ინტელექტების მხრიდან, ქართველი ერის სიყვარული ღმერთისა და სამშობლოსადმი, მაინც გადაწონის.



ყოველგვარი ძალადობის, შეიარაღებული დაპირისპირების წინააღმდეგი ვარ და ასეთად დავრჩები, მაგრამ წმიდა დავით მეფსალმუნის (რომლის შთამომავალნი არიან ბაგრატოვანნი) ბრძოლის მაგალითი, თუ გინდ საკუთარი შვილის წინააღმდეგ, ღვთისა და სამშობლოსად-

თუ აღსაზრდელები, მანამ საქართველოში არჩევნებს ერქმევა ე. წ. და პაპი აკურთხებს თუ ვინ, სრული პასუხისმგებლობა ასეთი არჩევნების შედეგებზე მათ უნდა იკისრონ. ჩემთვის უზენაესია ჭეშმარიტად ღვთის და ქართველი ხალხის ნებაკურთხევა. არავითარი ცვ-

თავისუფალი ნების, ჭეშმარიტი არჩევანის დაფიქსირების. ამიტომ ჩემთვის, როგორც ღმრთისა და საქართველოს შვილისთვის, არალეგიტიმურია არა მარტო საქართველოს ე. წ. პრეზიდენტი, ხელისუფლება, არამედ „ბოროტების ინსტიტუტის" აღზრდილების და აღ-

ლოს, ამ ეტაპზე, გადარჩენისა და მომავალში გაბრწყინებისთვის. საქართველოს, ქართველი ერის ჭეშმარიტად მოყვარულთ არ მოგაკლდებათ ღვთის სიყვარული და შეწევნა. ღმერთი მოგიწოდებთ ბრძოლისკენ და მე უღირსი მიგულეთ თქვენთან, ჩემო კარგებო. უღმერთო, უზნეო საქართველო, რომლის ხელისუფალნი წელიწადში ღმერთს ცხრა მილიონს ჰპირდებიან, ხოლო ვიღაც შაკირას ერთ-ორ საათში შვიდ მილიონს უხდიან, არ არის საქართველო და ვიბრძოლოთ, დავიბრუნოთ ჩვენი წინაპართაგან შემონახული, ჭეშმარიტად ღირსეული ქართველი ერის საქართველო.

ყოვლადწმიდა სამება, დედა ღვთისა ჰფარავდეს ღვთივკურთხეულ საქართველოს, ქართველ ერს.

**P. S.** ჩემი წერილებით სათქმელი სრულად ვთქვი, ბევრი ძალიან არაპოპულარული, მაგრამ... ბევრიც დამრჩა სათქმელი, თუმცა საკმარისი იმისთვის, „ვისაც ასხენ ყურნი სმენად, ისმინეთ". შენდობას გთხოვთ და პატიებას, ჩემო საქართველო, ჩემო ქართველებო.

*ცოდვილი ბერი,*
*მერკვირი*

# დარეჯან მეფარიშვილის პასუხი ფორუმელ კარდუს, სპლიყვს და სხვა „ღირსეულ“ „ანონიმშიკებს“!

დარეჯან მეფარიშვილი
577 40-40-08




რატომღაც, ასე დამკვიდრდა, ტენდენციად იქცა და ქართული სინამდვილის სახე მიიღო ფაქტმა – თუ წერ სიმართლეს და აკრიტიკებ შექმნილ რეალობას, ხან ოპოზიციისა და ხან ხელისუფლების მხარდამჭერი ხარ, გააჩნია სტატიას. „ალია ჰოლდინგმა“ უნდა თქვას, „ბედი მაქვსო“, არ დარჩა პარტია, ვის „დანამატადაც“ არ გამოგვაცხადეს. ზოგისთვის ვანოსი ვართ, ზოგისთვის შალვასი, ზოგი მიშასთან მოგვიაზრებს და ზოგიც – ბიძინასთან. ზოგიერთი უფრო შორს მიდის და მატყუარას გვეძახის. მაშინ, როცა მუხროვანის ამბოხზე ვწერდით, სააკაშვილი ბინძურ გაზეთს გვეძახდა, მერე ფაშისტები გავხდით, ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი სააკაშვილისტებს გვიწოდებს. მოკლედ, ხალხი იმ მდგომარეობასავით ჭრელია, როგორშიც ვცხოვრობთ და ობიექტური თუ შეიძლება იყო, არც უნდა დაიჯეროს. არადა, ცალ-ცალკე და ერთად ყველას აქვს პრეტენზია, გაუყიდველები და ობიექტურები რომ არიან, ამ დროს კი საკმარისია სიმართლე ვთქვათ, თავიანთი დამოკიდებულებების მიხედვით „მოგვნათლავენ“. მეტიც, ამ ბოლო დროს მავანთ ხელისუფლებიდან და მავანთ სხვა „დანაყოფებიდან“ ისე უნდათ, „ალია ჰოლდინგი“ „მიახურონ“, სიბინძურეების შეთითხვნასაც კადრულობენ. არადა, კიდევ ვიმეორებ: მაღალ მატერიებზე, ობიექტურობასა და სამართლიანობაზე გვმოძღვრავენ, ლამის, ლექციებიც ჩაგვიტარონ და როცა გაირკვევა, რომ ჩვენ მართალს ვწერდით, მართალს ვამბობდით, ასეთი კატეგორიის ადამიანებს ბოდიშის მოხდაც კი უჭირთ, ანუ მომენტალურად მიშიზმი ემართებათ, – მე მართალი ვარ, მე ერთადერთი და განუმეორებელი და შეუმცდარი ვარ! ეს განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში იგრძნობა. აი, რა მოხდა ამას წინათ თბილისის ფორუმზე:

ვიცით თუ არა, რა არის ღირსება? გვაქვს თუ არა ღირსება? დავკარგეთ თუ არა ღირსება? მოკლედ, სადაც არის ღირსება, იქ ღირსეული ადამიანები არიან, თუ სადაც არ არის ღირსება, იქ უღირსების პარადია? და ყველაზე მთავარი: ყველაზე ცუდი არის თუ არა შემთხვევები, როცა ღირსებაზე ლაპარაკობენ ის ადამიანები, რომელთაც ეს სიტყვა სმენიათ მხოლოდ?! რატომ გავხსენი სტატია ასე? ერთი „უბრალო“ შემთხვევის გამო: ყველაფერი დაიწყო სოციალურ ქსელში და გაგრძელდა თბილისის ფორუმზე. სწორედ თბილისის ფორუმზე დაისვა ეს კითხვა, – რატომ ვკარგავთ ღირსებას? სათაური იმდენად შთამბეჭდავია, ადამიანს ეჭვი არ უნდა შეეპაროს ერთ რამეში – აქ, ამ თემაზე მხოლოდ ღირსეულები იკამათებენ! როგორ გავიგე ფორუმზე ამ თემის არსებობა და რატომ დამაინტერესა თემამ? ერთი „უბრალო“ მიზეზის გამო – თემა ჩემი ლანძღვით გაიხსნა, შემდეგ გადავიდნენ იმ რედაქციის ლანძღვაზე, სადაც მე ვმუშაობ და, საბოლოო ჯამში, დასრულდა ბოდიშის მოხდით, თუმცა ბოდიში ღირსებაზე მოლაპარაკე ადამიანებმა ძალიან უღირსად მოიხადეს, მეტიც, „ღირსეულებმა“ ძალიან უღირსი შეფასებები დადეს და ილაპარაკეს კონკრეტულ ადამიანზე, კონკრეტულ რედაქციაზე ისე, რომ იცოდნენ, ეს ადამიანი, ანუ მე, პასუხს ვერ გავცემდი მარტივი მიზეზის გამო – არ ვარ ფორუმის მომხმარებელი! ანუ რა მოხდა რამდენიმე დღის წინ, ჯერ კიდევ მაშინ, სანამ ეს შემზარავი კადრები გამოჩნდებოდა და ყველა თემას გადაფარავდა: სოციალურ ქსელში გამოჩნდა ლოპოტის სპეცოპერაციის დროს დაღუპული ქართველი ახალგაზრდების სურათები, პირდაპირ ვიტყვი, ამაზრზენი წარწერით (სურათი თან ერთვის სტატიას). ვიღაცას ეყო შხამიანი ფანტაზია და სამივე დაღუპულის სურათს მონტაჟით გაუკეთა წარწერა: მიშას ზონდერები... მარილი არ წეილო, იქინე დაგხვდება...

მე მახსოვს 26 მაისი! როგორც კი დავინახე ეს სურათი, არ გამიზიარებია, დავაკოპე და ჩემთან კედელზე გამოვაქვეყნე. მოგვიანებით, ეს პროცედურა მწარედ სანანებელი გამიხდა და რატომ, ამას თანმიმდევრულად მოვყვები. საქმე ის არის, რომ ამ სურათზე წარწერამ დიდი და სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. მე ჩემს კედელზე გამოქვეყნებულ სურათს კომენტარად ჩემი მოსაზრება დავურთე, – ყოჩაღ! მალადეც ნაროდს! აბა, თქვენ იცით, ასე გააგრძელეთ!... ახლა რომ ვთქვა, ამის გამკეთებელს ქვა გულზე-მეთქი, ძალიან ცუდი გოგო ვიქნები?! ამით მე ჩემი მოსაზრება გამოვხატე და კომენტარებს დაველოდე. ძალიან მინდოდა, მხოლოდ ამ სურათის გარშემო მეტრიალა დღევანდელ სტატიაში, მაგრამ არ გამომივიდა. ვიფიქრე, გავიხსენებდი ომის იმ წლებს, რაც მე პირადად გამოვიარე, რაც გადავიტანე, როგორც ერთმა ქართველმა, რას ვხედავდი და რას განვიცდიდი, მერწმუნეთ, ღირდა გახსენებად! მაგრამ ვინ დამაცალა? ქვეყნად იმდენი „ღირსეული“ ადამიანი დადის, თურმე, კალაპოტი რომ არ შეგაცვლევინონ, ისე ვერ ისვენებენ! სურათის გამოქვეყნებიდან დაახლოებით 15-20 წუთში ერთ-ერთი ფრენდი მწერს: „საიდან გაქვთ ეს სურათი?“ მეც მივწერე საიდანაც მქონდა. ფრენდი მეუბნება, რომ ამ სურათმა ფორუმზე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ჯერ ვერ მივხვდი, რა ფორუმზე მელაპარაკებოდა, მერე როცა ამიხსნა, ვუთხარი, რომ არ მიმიქცევია ყურადღება, საიდან, ვისი გვერდიდან დავაკოპე. და ეს მართლაც ასე იყო, მქონდა ერთი შემთხვევა, როცა სურათი გავიზიარე, მერე ეს სურათი პირველწყარომ წაშალა და ჩემთანაც დაიკარგა, შედეგად, ამ სურათის გამო დაწერილი სტატია გამიუქმდა... ამიტომ ვაკოპებ სულ და ვდებ კედელზე, რომ არ დამეკარგოს სურათი. ახლაც ასე მოვიქეცი. მოკლედ, ამ ფრენდის დავალებით მთელი ორი საათი ვეძებდი იმ ადამიანს, ვინც სურათი პირველმა გამოაქვეყნა, ვერ ვიპოვე. ამ დროს მიკავშირდება ერთი ქალბატონი და მეუბნება, რომ ფორუმზე მლანძლავენ მეც და გაზეთ „ალიასაც“. ამ ქალბატონმა გადმომიგზავნა ლინკი, ნეტავ, არ შევსულიყავი. ძალიან ძნელია, როცა ბრალს გდებენ და ვერ პასუხობ. კარგი, შეიძლება სტატია დავწერო ისეთი, რომელიც ამა თუ იმ მხარეს გაალიზიანებს, მაგრამ მხარეებს ყოველთვის აქვთ საპასუხო პოზიციის დაფიქსირების საშუალება. მე რა უნდა გამეკეთებინა? ისევ იმ ქალბატონმა მიშველა. აი, რას წერდნენ ფორუმზე, სადაც გამოუფენიათ ჩემგან გადაკოპებული ზემოთ ნახსენები სურათი, ოღონდ სურათზე თანდართული ჩემი კომენტარი, რატომღაც, „დავიწყებიათ“, სამაგიეროდ, „ავტორი“ მე რომ ვიყავი, ამას უაპელაციოდ აცხადებდნენ. პირველი, ზოგადად, კარდუ, კონკრეტულად გიგა ნასარიძე დაინტერესდა: „ჰკითხეთ მაგ დარეჯან მეფარიშვილს, საიდან აქვს ეგ ფოტო?“ „როგორც გინდათ, ისე მიიჩნიოს ყველამ, ფაქტია, რომ მაგარი ბინძური საქციელია. ჩემმა ნაცნობმა რომ გააკეთოს რაღაც მსგავსი (განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებებისა), მე მას დავკარგავ. იმედია, გამოუჩნდება ნორმალური ადამიანი ირგვლივ, ვინც საკადრის პასუხს გასცემს, ხოდა... (ჩვენ რომ ვიცით), ცოდო ჟურნალიუგა“, – ეს უკვე ვინმე სპლიყვის, დაბადების მოწმობაში თურმე სახელად სულხანი რომ უწერა, კომენტარია. როგორც მითხრეს, მგონი, თემის ავტორია, ანუ სათაური ამ სპლიყვს ეკუთვნის. სპილო, როგორც ცხოველი, დედამიწაზე ყველაზე დიდი არსებაა, მისი შვილი სპლიყვი ძალიან ლამაზია ბავშვობაში. მე, სიმართლე გითხრათ, სპილო არ მომწონს, მაგრამ ცხოველი სპლიყვი, ადამიან სპლიყვზე უკეთესი რომ არის, ამაში „თბილისის ფორუმელმა“ „სულხან-სპლიყვმა“ დამარწმუნა. გაუყიდავი ნასარიძე აგრძელებს ჩემი ვინაობის „გაშიფვრას“: „მე რა ვიცი, ვიღაც ოპო ფეისბუქელია. არსაიდან არ აქვს ის ფოტო გადმოშეარებული, ჰოდა იქნებ ჰკითხოთ, სად მოიპოვა?“ „ჰკითხეთ, ვისია სურათი?“ – ამ კითხვაზე პასუხები დაახლოებით ორ გვერდს მოიცავს, დასკვნა ერთია – მაინც არ იტყვის! ნუ, რა თქმა უნდა, კარდუ ფორუმელია და „იასნია“, ენდობიან, კარდუ არ იყიდება და მეფარიშვილი კიდევ „ჟურნალიუგაა“, მაშ, როგორ? ფორუმზე ხომ ყველა ღირსეული პოსტავს! ღირსეული და გაუყიდავი! საბოლოოდ, ღირსეულებმა გადაწყვიტეს, რომ მე მაინც არ ვიტყოდი სიმართლეს და თავი დაიმშვიდეს: „იმედია, გამოუჩნდება ნორმალური ადამიანი ირგვლივ, ვინც საკადრის პასუხს გასცემს“. არ ღირს, ყველა კომენტარს და ვითომ მოსაზრებას გამოვედევნო, ბოლოს და ბოლოს, „რამდენი ძაღლი დაყეფს, ყველას რომ გამოეკიდო ადამიანი, წინ ვერ წახვალ“, მაგრამ როცა ღირსებაზე „ანონიმშიკები“ (თურმე ფორუმზე მთელ მსოფლიოში „კლიჩკებია“ მოდაში, ასე ამიხსნა ერთმა ფორუმელმა, ზოგი თავისი სახელითაა, ვისაც როგორ უნდაო, სხვებისა არ ვიცი და მე ასეთებს „ანონიმშიკებს“ ვეძახი) ლაპარაკობენ და თან იმ ადამიანის გარეშე, ვისზეც დასკვნებს დებენ. ეს, სულ ცოტა, არაკაცობაა. დიახ, სასაცილოა ამ ტიპის შარვლიანებთან კაცობაზე ლაპარაკი, მაგრამ... ფორუმის პარალელურად ფეისბუქზე პირად მიმოწერაში მე „მამუშავებდა“ ერთი ფორუმელი. ვერა და ვერ დავაჯერე ეს ადამიანი, რომ მართლა არ მახსოვდა, საიდან წამოვიღე ფოტო, ბოლოს და ბოლოს, ვიღაცას (თუნდაც „ანონიმშიკი“),

რომელიც ბრალს გდებს ლამის მოღალატეობაში, დაუმალო სინამდვილე, სისულელეა, მაგრამ, აბა, „გაუყიდავ ღირსეულებს“ ამას გააგებინებ? „იმედია, გაირკვევა პირველი წყარო, თუ არადა, მოუწევს მაგ ქალს რაღაც-რაღაცებზე პასუხის გაცემა“, – ესეც კიდევ ერთი დასკვნა. სხვათა შორის, ამ „დასკვნის“ ავტორმა მოგვიანებით პირადად მომწერა ფეისბუქზე (თურმე, ჩემი ფრენდიც ყოფილა) ბოდიში, – შევცდი, ვიჩქარეო. „სამართლებრივად თუ არის შესაძლებელი, რომ პასუხი მოეთხოვოს?“ – დაინტერესდა სპლიყვი. კიდევ კარგი, სასამართლოს გარეშე არ უსჯიან ჯერ ადამიანებს, თორემ სპლიყვი უაპელაციოდ მხოლოდ ფორუმზე არ „დამაპატიმრებდა“. კარგით, მივყვეთ ახლა მოვლენებს: ერთ-ერთი ფეისბუქელი ფრენდი, რომელიც, ამავდროულად, არის ფორუმელიც, მწერს, რომ სურათი წავშალო. მე კატეგორიული უარი განვუცხადე, მან „დამანამუსა“, – თქვენს კედელს ბევრი მნახველი ჰყავს და ხომ შეიძლება, რომელიმე გარდაცვლილის ახლობელმა ნახოს ეს და გული ეტკინოსო? კიდევ კარგი, სურათი არ წავშალე, უბრალოდ, დავმალე და ეს ამ ფრენდსაც ვუთხარი. თურმე, მთელი ფორუმი ჩემთან ზის ფეისბუქზე და პარალელურად დაიდო „ინფორმაცია“ ფორუმზე, რომ მე წავშალე სურათი. ახლა ყველა კარდუ ხომ არ არის, ან სპლიყვი, ჰოდა ერთმა ეს ამბავი გამაგებინა, სასწრაფოდ გამოვაჩინე ისევ სურათი. გაირკვა, რომ თურმე ჩემს გამოქვეყნებულ სურათს ჩემივე კომენტარი ახლდა თან. „ღირსეულებმა“ „ღირსეულად“ განაცხადეს: „მეც ვნახე, ეგ მეფარიშვილი კატასტროფულ რაღაცებს წერს და ეს უკვე საეჭვოა, ამ შემთხვევაში აღშფოთებული კომენტარი კი აქვს“. ნუ ახლა, როცა თითქმის ყველა ფორუმელი (თითქმის!) საკუთარ დედას ანაცვალებს პარტიას, მათგან რაა გასაკვირი, არ მოსწონდეთ რასაც ვწერ?! არც გამკვირვებია, მაგრამ ყველაზე ამაზრზენი ჩემთვის მაინც ეს კომენტარი იყო: „საშინელებაა: თუმცა ფოტო ვინც დადო, იმას, ალბათ, ვერ მოსთხოვს ადამიანი პირველწყაროს. იტყვის, რომ სადღაც წააწყდა და გადააკოპირა. მორალზეა ამ შემთხვევაში საუბარი, სამწუხაროდ, და ამის მერე ამ ჟურნალისტის სტატიაში დაწერილი ისტორიის სიმართლე როგორ უნდა დაიჯერო, არ მესმის!“ „მიცვალებულს რომ ჯიბეს ამოუტრიალებს და ოქროს კბილს ამოუღებს, ის კატეგორიაა ჩემთვის. არ მინდა, სადმე შემხვდეს. სულს წარვიწყმიდავ“. „ამ კონკრეტულ შემთხვევაზე ვერაფერს ვერ ვიტყვი, თუმცა ერთხელ პირადად მქონდა შეხება ამ ადამიანთან, რომელმაც იმ მედიასაშუალებით, რომელშიც მაშინ მუშაობდა, ისე გააშუქა ჩემ მიერ მოფიქრებული და გავრცელებული ნიუსი, რომ თმები ყალყზე დამიდგა:

თავისი ნებასურვილით, დაზუსტებისა და გადამოწმების გარეშე, კარდინალურად შეცვალა ოფიციალური რელიზი, რაც გავრცელდა სააგენტოებით და დაეგზავნა მედია-საშუალებებს. აი, დაახლოებით წარმოიდგინეთ, მე რომ ჩემს თავს უფლება მივცე და თქვენი დღევანდელი დღის განრიგი დავწერო, მოვიგონო რაღაცები და შემდეგ დაგაბრალოთ, არ გახსოვთ, მაგრამ ზუსტად ამ განრიგით ჩაიარა დღევანდელმა დღემო“ (ამ „ანონიმშიკის“ სახელი ვერ გავიგე, ვერც ვუპასუხე. ისე, დღემდე ასე იყო, ჩემგან იპარავდნენ მასალებს და ატრიალებდნენ წალმა-უკუღმა, მაგრამ არა უშავს, ამაზე არ შევჩერდები). ესე იგი, რა გამოდის? მე შეგნებულად ვატყუებ ჯერ რედაქციას, მერე ხალხს! და ვინ ვარ მე? რა თქმა უნდა, მოღალატე! არ ვიცი, ფორუმელების უმრავლესობა რომელ კურორტზე ისვენებდა




2009 წლის იანვარში და სად ხვდებოდნენ დღესასწაულებს, მაგრამ მე 29 იანვარს, ეკლესიურად ერთ-ერთ მნიშვნელოვან დღესასწაულზე, ახალგორში დამაპატიმრეს რუსებმა და ოსებმა. ზემოთ მოყვანილი კომენტარი რომ წავიკითხე, მაშინ ვინანე პირველად კომპიუტერის კარგად არცოდნის გამო, არც ფორუმის მომხმარებელი რომ არ ვარ და არც სხვა ამდაგვარი საიტის. რა მექნა, ან რა მეთქვა? და ხომ არ გგონიათ, რომ ეს ყველაფერი დილის საათებში ხდება? მთელი ღამე გავათენე და მთელი ღამე ვტიროდი. ახლა პირველად და უკანასკნელად ვამბობ ხმამაღლა: თუ ყველა ომი და დავიდარაბა იმიტომ გამოვიარე, თუ ბევრი ჭაობიდან ისე გამოვედი, რომ ფეხი არ დამსვრია და მაინც ასე უნდა ილაპარაკონ ჩემზე ვიღაცებმა, მაშ ვყოფილიყავი კარდუ, ვირის გახმოვანებაში (თუ ყროყინს შევძლებდი) გმირად გამომაცხადებდნენ... მაგრამ ყველა ფორუმელი „ღირსეული“ ხომ არ არის და ერთმა „ულირსმა“ მომწერა ჩატში, დაწერე კომენტარი და დავდებო. ამ მართლა ღირსეული ქალბატონის წყალობით, ფორუმზე ჩემი კომენტარი გამოჩნდა: „ეს პოლიტიკის კი არა, ადამიანობის საკითხია, წინასწარ ნუ გალანძლავ ადამიანს...“ აი, ეს მომწერა ფბ-ზე: „თინიკო, ეს სურათი ფეისბუქში ვნახე ვიღაცის კედელზე, დავაკოპე, იმიტომ რომ სტატია უნდა დავწერო... დავდე ჩემს კედელზე და დავაკომენტარე... რა თქმა უნდა, მოყვა გამოხმაურება... მერე მითხრეს: აილე, ოჯახის წევრებმა არ ნახონო და მე დავმალე... ისევ კედელზე დევს ჩემთან, უბრალოდ, დამალულია... შენივე დახმარებით გავიგე, რომ თურმე ფორუმზე განიხილება ეს თემა... წავიკითხე კომენტარების ნაწილი და, სიმართლე გითხრა, ძალიან გამიკვირდა ზოგიერთის მოსაზრება... რას ნიშნავს ეს კომენტარი? – სპლიყვი: „მე რა ვიცი, ვიღაც ოპო ფეისბუქელია. არსაიდან არ აქვს ის ფოტო გადმოშეარებული, ჰოდა იქნებ, ჰკითხოთ, სად მოიპოვა?..“

„იქნებ, კომენტარის ავტორმა თქვას, როგორ ასკვნის, არსაიდან რომ არ მომიპოვებია? ვინ მდებს ბრალს? ჯერ მე როგორ გავაკეთებდი ამას (ტექნიკურ მხარეს ვგულისხმობ) და მეორე, როდის აქეთაა, გარდაცვლილზე მითქვამს აუგი, ზოგადად, და მით უმეტეს, ახალგაზრდებზე, რომლებიც მოკლეს? რას ჰქვია, ოპო ფეისბუქელი? ჩემი შეხედულების გამო მტერიც ვარ და, ამავდროულად, მიცვალებულებს შეურაცხყოფას ვაყენებ? ვის რა გაუკეთებია არ ვიცი, მაგრამ მე (არ მიყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს) ჩემი სამშობლოს ყველა გაჭირვება საკუთარ თავზე და ოჯახზე ვიწვნიე... ეს არაფერი, მაგრამ ვიღაცამ თქვას, ოპო ფეისბუქელია და ამიტომ მიცვალებულებს დასცინისო, ეს უკვე მეტისმეტია. მეც ვეძებ ამ სურათის ავტორს, სტატიასაც ვწერ და ცოტა უხერხული ხომ არ არის იმათგან დასკვნების დადება, ვინც არც მიცნობს და არც უკითხავთ, საიდანაა ეს სურათი? ან რომ ილანძღებიან, ბრალს მდებენ და მე პასუხს ვერ ვცემ, ეს ძალიან ადამიანურია?“ ამ ჩემს კომენტარს ერთადერთი სიმართლე, ანუ მართალი კომენტარი უსწრებდა წინ. ვიღაცამ დადო: „ამ ქალს ისეთები დაუწერია, თმები ყალყზე დაუდგება ნორმალურ ადამიანს, ასე რომ, არ გამოვრიცხავ არაფერს“. ამაზე პასუხია ის სიმართლე, რომელზეც წელან გავაკეთე აქცენტი: „100%-ით მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ამ დღეებში რაღაც მაგდაგვარი მასალა ან „ალიაში“ გამოცხვება, ან „ქრონიკაში“, ამ ფოტოთი, უბრალოდ, „მასის“ რეაქცია „დაზონდეს“. ოღონდ „დაზონდეს“ არა, თუ გამოვიყენებ იგივე ტერმინს, „დავზონდე“. ეგ იყო სულ. ჩემი ეს შეტყობინება იმ „ანონიმშიკმა“, რომელსაც, თურმე, მასალის თუ რაღაცის გადაკეთებით და „დიდი იაზვობით“ დავამახსოვრე თავი (ვეთანხმები, „იაზვა“ ვარ!) „დაასკვნა“: „როგორც ან განსვენებული ბაბუაჩემი იტყოდა, მიყენებულია კედელთან ქალბატონი და მეხუთე კუთხეს ეძებს“. მოკლედ, ჩემი კომენტარის შემდეგ კიდევ რამდენიმე გვერდი იწიწინეს და საბოლოოდ გაირკვა, რომ სურათი პირველად ფეისბუქში დადო ვიღაც უსახელომ და უგვარომ და „დიდი ლიახვი სამაჩაბლოს“ კედელზე გამოჩნდა პირველად ეს ფოტო. ამ მარაზმის წინამორბედი ფოტო კი ვიღაც „კარგი და თბილი ქალბატონის“ კედელზე გამოჩენილა. წინამორბედი კი ფოტოკოლაჟი იყო დახოცილი ქართველი და ქისტი ახალგაზრდებისა. ამ სურათს დაახლოებით „ვეფხი და მოყმის“ მსგავსი სტატია ჰქონდა თანდართული, სადაც ქალბატონი ორივე მხარეს ერთნაირად დასტიროდა. რა იყო ამაში ამაზრზენი? არაფერი, მაგრამ ვინმე დავარაშვილს სტატია არ წაუკითხავს, თურმე, ის დაუკომენტარებია და ეს ქალბატონი უგინებია. ქალბატონს უთქვამს: დედაჩემი გარდაცვლილია და მარილი არ დაგავიწყდეს, როცა იქით წახვალო. ეს სიტყვა მარილი ვიღაცამ გამოიყენა და დაამონტაჟა ამაზრზენი წარწერებით სურათი, სადაც მარტო დახოცილი ქართველი ბიჭებია ასახული. ახლა ვინ არის ეს „დიდი ლიახვი სამაჩაბლო“? – თავის დროზე, ესეც „ჩემი მეგობარი“ იყო ფეისბუქში, მაგრამ ისეთ უხამს კომენტარებს წერდა, დავბლოკე. ფორუმზე ირკვევა, რომ თურმე გორელი „ტიპია“ ბადრი ბასიშვილის „კამანდიდან“ და, რა თქმა უნდა, „მიშისტი“ (ბრჭყალებში სიტყვები ჩასმულია იმიტომ, რომ ფორუმელებს დავესესხე). ფორუმზე 5-წლიანი შესვენების შემდეგ, საგანგებოდ ამ თემის გამო, შემოვიდა დავარაშვილი და „გააიასნა“, რომ მას არ დაუმონტაჟებია ეს სურათი. დავარაშვილს ბოდიში მოუხადეს, მაგრამ როცა ბასიშვილის „დაბავკაზე“ მიდგა საქმე, ხმა არავის ამოუღია, – კარდუს, სპლიყვს და ა. შ. ცხოველთა სამყაროს სხვა წარმომადგენლებს არ ეყოთ ვაჟკაცობა, ბასიშვილის საწინააღმდეგოდ სიტყვა დაესველებინათ. „მორალისტებმა და ღირსეულმა ადამიანებმა“ არც მე და არც „ალიას“ მოუხადეს ბოდიში მანამ, ვიდრე ერთმა ისინი არ „დაანამუსა“ (კარდუ არ გამოჩენილა). „მაინც ალიელია და ამიტომ დავიჯერე, რომ გააკეთებდა... ალიასადმი ჩემი დამოკიდებულება იცით“, – ხომ კარგი კომენტარებია? თურმე, ვიღაც უსახელო „ანონიმშიკს“ შეხედულებები ჰქონია, რა კარგია, არა?! მოკლედ, გაირკვა ერთი რამ: თავად „ნაციონალები“ აკეთებენ პროვოკაციულ სურათებს და ივანიშვილის ხალხს „ტენიან“, რატომ? ეს მკითხველმა თავად განსაჯოს! სურათებზე და უხამსობაზე თუ მიდგება საქმე, კიდევ ერთი უხამსი სურათი მინდა შემოგთავაზოთ, ეს სურათიც ერთვის სტატიას. სურათზე გამოსახულია კახა კალაძე და წითლად თავზე აწერია: ძმის მკვლელი! სხვათა შორის, ამ სურათის (და არა მარტო ამის) ავტორი ცნობილია, ფეისბუქზე რამდენიმე მსგავსი ათეული სურათი „ნაციონალურ ახალგაზრდულ ფრთას“ ოფიციალურად აქვს გამოქვეყნებული. არც ამ და მსგავსი ნაცმაცუნური სურათების ავტორების „ჩაქოლვა“ გახსენებიათ „ღირსეულებს“. დიახ, დიახ, რატომ კარგავთ ღირსებას? არა, მართლა რატომ კარგავთ? ოი, არა გაქვთ და რას დაკარგავთ? დიახ, ზუსტად ასეა! ღირსება ვისაც აქვს, ის ღირსებას არ კარგავს, ულირსი კი ყოველთვის ღირსებაზე, ღირსების ზოგადად დაკარგვაზე აკეთებს აქცენტს, იმიტომ რომ საკუთარი ულირსობა დაფაროს! და რაო, მაინც დაგიფასდათ ზემოთ? დაგიფასეს ორდღიანი წიწინი და 17-გვერდიანი კომენტარები? არა? რათა, ბასიშვილის ხალხს რომ მიადექით? კაი, კაცო... აბა, რა გეგონათ? ჰო, მართლა, ფორუმელებო, ამ წერილს რომ წაიკითხავთ, სადაც თქვენსას იტყვით, იქ ჩემიც დაამატეთ, დამდეთ „ღირსეულებმა“ ამ „ულირსს“ ღირსეულად პატივი!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დებატებმა წამების შესახებ პრეზიდენტ სააკაშვილს საარჩევნო ბრძოლა ჩაუშალა

ციხის თანამშრომლები, რომლებიც პატიმარს ჯოხით აუპატიურებენ და სხვა პატიმრებს სცემენ: საქართველოში წამების ამსახველი ვიდეოები საარჩევნო ბრძოლას ამძაფრებს და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რეფორმატორულ იმიჯს აზიანებს.

საარჩევნო ბრძოლა საქართველოში პრეზიდენტ სააკაშვილსა და მის მოწინააღმდეგე, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილს შორის მწვავდება. საპარლა-

SPIEGEL




მენტო არჩევნებამდე თითქმის ორი კვირით ადრე ვიდეორგოლებმა კავკასიურ ქვეყანაში აღშფოთება გამოიწვია.

ერთ-ერთ ვიდეოზე წრიულად მდგომი ციხის პერსონალი პატიმრებს სცემს. ტელეკომპანია „მაესტრომ" გამოაქვეყნა მეორე ვიდეოც, რომელზეც ჩანს, თუ როგორ აუპატიურებს ჯოხით ციხის თანამშრომელი პატიმარს. მედიის ინფორმაციით, ეს კადრები თბილისის გლდანის მერვე საპყრობილეში არის გადაღებული.

საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე აგორებული სკანდალი პრეზიდენტ სააკაშვილის რეფორმატორულ იმიჯს საფრთხეს უქმნის. პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს მეთაურმა და 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" გმირმა რეფორმები მტკიცე ხელით გაატარა ამ 4-5-მილიონიანი ქვეყნის პოლიციაში, იუსტიციის სისტემასა და ადმინისტრაციაში. სააკაშვილმა ათასობით მოსამართლე, სახელმწიფო მოხელე და უამრავი პოლიციელი გააგდო სამსახურიდან, რათა სამართალდამცველ ორგანოებში კორუფცია და განუკითხაობა დაემარცხებინა.

### „შოკირებული და ძალიან გაბრაზებული"

აქამდე ნამოწყება უმეტესად წარმატებით მთავრდებოდა: „საერთაშორისო გამჭვირვალობის" თანახმად, კორუფციასთან წარმატებულად ბრძოლის რეიტინგში ქვეყანა წინ მიიწევს და უკვე 64-ე ადგილზეა, ისე რომ იტალიასაც კი უსწრებს.

სახელმწიფოს მეთაური სააკაშვილი „შოკირებული" იყო ამ ვიდეოების გამო და „ძალიან გაბრაზებული". ციხის მრავალი თანამშრომელი დაკავებულია, 33 წლის მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა.

ოპოზიციის ათასობით მხარდამჭერი შეიკრიბა თბილისის ცენტრში, რათა წამების ფაქტებსა და პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ პროტესტი გამოეხატა.

სააკაშვილსა და ოლიგარქ ივანიშვილს თვეებია, რაც გაცხარებული საარჩევნო ბრძოლა აქვთ, რომლის დასასრული სრულებით გაურკვეველია. ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის გამოკითხვების თანახმად, სააკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობას" გამოკითხულთა 37 პროცენტი უჭერს მხარს, ივანიშვილის „ქართულ ოცნებას" კი მხოლოდ 12 პროცენტი. თუმცა ამ მონაცემთა მნიშვნელობა შეზღუდულია, რადგან გამოკითხულთა 43 პროცენტს ან ჯერ არ გადაუწყვეტია, ან თავს იკავებს პასუხის გაცემისგან. ამის საპირისპიროდ, „ფორსას" კვლევის მიხედვით, ივანიშვილის 49 პროცენტი და სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობის" 43 პროცენტი ფეხდაფეხ ბრძოლას წინასწარმეტყველებს.

### სააკაშვილი — ოპოზიციის შეთქმულებას ხედავს

ივანიშვილი თავისი ხუთი მილიარდი დოლარით საქართველოს უმდიდრესი ადამიანია. ის წლების განმავლობაში ეხმარებოდა სააკაშვილის მთავრობას, თუნდაც პოლიციისათვის ახალი მანქანების შეძენით. თუმცა შემდეგ სულ უფრო და უფრო ავტორიტარულად მმართველ პრეზიდენტს ზურგი შეაქცია. 2011 წლის ოქტომბერში მან მოულოდნელად საპარლამენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურა წამოაყენა.

წამების ამსახველი ვიდეოების გამოქვეყნების უკან სახელმწიფოს მეთაური ოპოზიციის შეთქმულებას ხედავს.

„თითოეული, ვინც ეს მოიფიქრა, ვინც ეს გააკეთა და დაუშვა, რომ მომხდარიყო, უმკაცრეს სასჯელს იმსახურებს", – ამბობს სააკაშვილი.

შსს აცხადებს, რომ ციხის თანამშრომლებმა ჩართული კამერების წინ პატიმრების წამებისათვის ფული აიღეს. ერთ-ერთ დაკავებულ ციხის თანამშრომელს 17 000 დოლარი უპოვეს.

მდგომარეობა საქართველოს ციხეებში წლებია, დაძაბულია, ბევრი სასჯელაღსრულების დაწესებულება გადავსებულია. ქვეყანას აშშ-ის, ამერიკის ვირჯინიის კუნძულებისა და კუნძულსახელმწიფო სანტ კიტსისა და ნევის შემდეგ პატიმართა ყველაზე დიდი რაოდენობა ჰყავს. ეს რიცხვი ექვსჯერ აღემატება გერმანიის პატიმართა რიცხვს.

*foreignpress.ge*

# ციხის ძალადობის შესახებ გავრცელებულმა ვიდეოებმა საქართველოში აღშფოთება გამოიწვია

CNN
THE WORLD'S NEWS LEADER





იმ ვიდეოების ჩვენების შემდეგ, რომლებშიც მცველები პატიმრებზე ძალადობენ, მათ შორის, ერთი მამაკაცი ცოცხის ტარით აუპატიურებს პატიმარს, რამდენიმე პირი დააკავეს. ამ ფაქტმა ევრაზიული ქვეყნის, საქართველოს შიგნით და გარეთ აღშფოთება გამოიწვია.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ ის, რაც თბილისის გლდანის №8 საპყრობილეში მოხდა არის „ადამიანის უფლებებისა და ღირსების შემაძრწუნებელი ხელყოფა".

საქართველოს სატელევიზიო არხებმა, მათ შორის, „ტევე 9"-მ, ვიდეოები სამშაბათს ღამით უჩვენა. მთავრობას მათ ავთენტურობაში ეჭვი არ შეუტანია.

ვიდეომასალაში სახეები დაფარულია; ერთი მამაკაცი ყვირის, როდესაც მას ცოცხის ტარით აუპატიურებენ. კიდევ ერთ ვიდეოში ნაჩვენებია პატიმარი, რომელსაც მუშტებს ურტყამენ.

სამშაბათს ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ციხის ზოგიერთი თანამშრომელი არასათანადო მოპყრობაში დაადანაშაულა.

მინისტრმა თქვა, რომ ერთმა პატიმარმა „კარგი ანაზღაურების" სანაცვლოდ ციხის თანამშრომლებს ამ ქმედებების განხორციელება და მათი ვიდეო გადაღება შესთავაზა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ეს პატიმარი თამაზ თამაზაშვილია, ოპოზიციური პარტიის „ქართული ოცნების" წევრის, ირაკლი ლარიბაშვილის სიმამრი.

თავის მხრივ, ლარიბაშვილმა თქვა, რომ თამაზაშვილის სიცოცხლე საფრთხეში იყო და რომ ის პრეზიდენტის „მძევალი" გახლდათ.

მან ასევე თქვა, რომ თამაზაშვილს არავითარი კავშირი არ აქვს ამ ინციდენტებთან. ამავე დროს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა. „ჩემი მინისტრად ყოფნის დროს ვცდილობდი და ყველაფერს ვაკეთებდი, რომ დაცული ყოფილიყო ადამიანის უფლებები და რომ სასჯელაღსრულების სისტემა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ევროპულ სტანდარტებს მიახლოებოდა", – ნათქვამია ხათუნა კალმახელიძის განცხადებაში.

„ჰუმან რაითს ვოჩის" განცხადებაში გლდანის №8 საპყრობილე მოიხსენიებოდა, როგორც საქართველოს ერთ-ერთი „ყველაზე უფრო პრობლემური სასჯელაღსრულების დაწესებულება".

„ჰუმან რაითს ვოჩის" თანახმად, ძალადობის მსხვერპლთ იურიდიული დახმარება ესაჭიროებათ.

საქართველოში შეერთებული შტატების საელჩომ განაცხადა, რომ ის შოკირებულია გავრცელებული კადრებით და მთავრობას ამ საქმის გამოძიებისკენ მოუწოდა. „პატიმრებზე ძალადობა სერიოზული საკითხია, რომელიც გადაჭრას საჭიროებს, – აღნიშნულია საელჩოს მიერ ოთხშაბათს გავრცელებულ განცხადებაში, – ჩვენ დაბეჯითებით მოვუწოდებთ მთავრობას, ჩაატაროს სრულყოფილი და გამჭვირვალე გამოძიება და რაც შეიძლება სწრაფად უზრუნველყოს პასუხისმგებელ პირთა გასამართლება.

*foreignpress.ge*

# ციხის ვიდეოების გამო სააკაშვილი გასაჭირშია



წინასაარჩევნო ბრძოლის შუაგულში ციხეში სისასტიკის ამსახველმა ვიდეოებმა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური მძიმე მდგომარეობაში

Handelsblatt

ჩააგდო. მიუხედავად ხელმძღვანელი პირების განთავისუფლებებისა და გადადგომისა, ზიანი მაინც დიდია. მოქალაქეები პროტესტს გამოთქვამენ, ოპოზიცია თავის შანსს ხედავს.

პატიმართა წამებისა და გაუპატიურების ამსახველმა ვიდეოებმა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკა საქართველოში ათასობით ადამიანი პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოიყვანა.

სახელმწიფო პროკურატურამ სასჯელაღსრულების დაწესებულების 10 თანამშრომელი დააკავა. მინისტრი გადადგა. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში პირველ ოქტომბერს ახალი პარლამენტის არჩევნებია.

სააკაშვილი, რომლის მმართველობის სტილიც სადავო გახდა, ამბობს, რომ ვიდეოების გამო შოკირებულია. მისი თქმით, „ახალი საქართველოს მთელი იდეა არის ის, რომ უარი ვთქვათ ძალადობაზე".

სააკაშვილი, რომელსაც 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" დროს დიდ იმედებს უკავშირებდნენ, სულ უფრო მეტად უნდა ფიქრობდეს თავის პოლიტიკურ გადარჩენაზე.

სააკაშვილის მთავარმა მოწინააღმდეგემ, მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა, გერმანულ საინფორმაციო სააგენტოს განუცხადა, რომ იგი თავისი პარტიული კოალიციით პრეზიდენტს არჩევნებში დაამარცხებს.

„ევროპასა და დასავლეთში ჯერაც კიდევ ბევრს ჰგონია, რომ აქ დემოკრატიაა. აქ საშინელებები ხდება. ეს ძალადობა მთელ საქართველოშია", – ამბობს ოლიგარქი.

წინასაარჩევნო კვლევებით, ძალიან წინააღმდეგობრივი შედეგები იკვეთება. განსაკუთრებით მაღალია იმ რესპონდენტთა რიცხვი, ვისაც გადაწყვეტილება მიღებული არ აქვს. დამკვირვებლები ხელისუფლების შეცვლას შესაძლებლად მიიჩნევენ.

*foreignpress.ge*

მოამზადა მიხეილ სახვაძემ

# ქართული წიწილას თამაში

THE HUFFINGTON POST.

შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე პატარა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კერძი შემწვარი წიწილაა. წიწილას აბრტყელებენ და მერე წვავენ. სამწუხაროდ, ეს გემრიელი კერძი ქართული სახელმწიფოს დემოკრატიის ზუსტ მეტაფორად იქცა, დემოკრატიისა, რომელიც იმდენად გააბრტყელეს, რომ ქვეყანაში ფართოდ არის გავრცელებული პოლიტიკური რეპრესია, პოლიტიკურ ცხოვრებაში შიშის ატმოსფერო სუფევს და მედიის თავისუფლება შეზღუდულია. ბოლო დღეებში გავრცელებული ვიდეოები, რომელიც ციხეებში არსებულ საზარელ ძალადობას ასახავს, საქართველოს დღევანდელი ყოფის ანალოგია. გამოდის და არც არის გასაკვირი, რომ გაბრტყელება წიწილის შესაწვავად არის კარგი მეთოდი და არა დემოკრატიის განსავითარებლად.

გადამწყვეტ საპარლამენტო არჩევნებამდე ორ კვირაზე ნაკლები რჩება და საქართველოს მთავრობა წიწილის თამაშს თამაშობს. თუმცა წიწილის შეწვისგან განსხვავებით, ეს კულინარია არ არის, კარგად არ დასრულდება და თამაშში მაღალი ფსონები დევს.

ეს საქართველოს მთავრობის მხრიდან დასავლეთის გამოწვევაა იმაზე, თუ ვინ ვის დაასწრებს. 1-ლი ოქტომბრის არჩევნებამდე თვეების განმავლობაში უამრავი საერთაშორისო დამკვირვებელი, არჩევნების მონიტორი და უცხოელი დიპლომატი თუ ლიდერი გამოთქვამდა წუხილს და აცხადებდა, რომ არსებული გარემო სამართლიანი არჩევნებისთვის ხელსაყრელი არ არის. ციხის ძალადობასთან დაკავშირებულმა სკანდალმა, რომელიც ფართოდ გავრცელდა და განსაკუთრებით დამანგრეველია ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რომელსაც პატიმართა რაოდენობის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს მსოფლიოში, პოლიტიკური გარემო კიდევ უფრო გაამწვავა, რაც ასუსტებს მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მხარდაჭერას და მისი გამარჯვებისთვის აუცილებელს ხდის ფართომასშტაბიან გაყალბებას.

იმის ნაცვლად, ისეთი პრობლემების გადაჭრაზე ეზრუნათ, როგორიც არის მედიის ხელმისაწვდომობა, ოპოზიციის აქტივისტების პირდაპირი დევნა, ან საკუთარი თავის დაცვა მაინც, საქართველოს მთავრობამ არგუმენტი შეიმუშავა, რომ მთავარი ოპოზიციური ძალები, დასავლეთზე ორიენტირებული დიპლომატები, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყოფილი მოკავშირეები და სხვები, რომელთაც სათავეში უდგათ ბიზნესმენი და ქველმოქმედი ბიძინა ივანიშვილი, იმისთვის ემზადებიან, რომ არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადონ, გამოსვლები მოაწყონ და დასავლეთს ჩარევა მოსთხოვონ.



პოზიცია შეაჯამა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა, გიგა ბოკერიამ, რომელმაც ახლახან განაცხადა, რომ „შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ივანიშვილი ემზადება ისეთი სიტუაციისთვის, როდესაც ის, თუკი დამარცხდება და როდესაც დამარცხდება თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში, განაცხადებს, რომ ხმები მოპარულია და მოემზადება ქუჩის გამოსვლებისთვის..."

ამით საქართველოს მთავრობა არ ცდილობს გახდეს უფრო დემოკრატიული, არამედ ძირს უთხრის ოპოზიციას და ურთულებს მას იმის თქმის შესაძლებლობას, რომ არჩევნები გაყალბდა.

მათი გეგმის მიხედვით, არჩევნების შემდეგ, საქართველოს მთავრობა, რომელიც გარდაუვლად აღმოჩნდება ოპოზიციის უკმაყოფილების პირისპირ არჩევნებში არსებული დარღვევების გამო, იოლად იტყვის იმას, რომ ოპოზიცია მრავალი თვის განმავლობაში ჩიოდა და არჩევნების კანონიერად ცნობას არც არასდროს აპირებდა.

ეს დამაჯერებელი არგუმენტია და თავისთავად – ლოგიკურიც. ის ასევე უარყოფს ყველაზე საგულისხმო ფაქტს, კერძოდ შესაძლო პოსტსაარჩევნო დიალოგს. ოპოზიცია გააპროტესტებს არჩევნების გაყალბებას, რადგან, თუ არა მკვეთრი და გადაუდებელი ცვლილებები, არჩევნები ჩატარდება უსამართლოდ, არათავისუფლად და არადემოკრატიულად.

შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ, წინდაუხედავად, თავადვე ცხადი გახადა ის, რომ თუ დასჭირდა არჩევნებს გააყალბებს თუკი ვინმე მათ შეჩერებას შეეცდება. როგორც ეს წიწილას თამაშშია, საქართველოს მთავრობა მეტაფორულად თავის ავტომობილს მეორე ავტომობილისკენ მიაქანებს და იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ არც გაჩერდება და არც გადაუხვევს. შეერთებული შტატები და ევროპა, რომლებიც, შეიძლება ითქვას, რომ მეორე ავტომობილის საჭესთან სხედან, მართალია, გარკვეული ორაზროვნებით, მაგრამ მაინც მიანიშნებენ, რომ მათ საქართველოში სამართლიანი არჩევნები უნდათ და ახლოდან დააკვირდებიან პროცესს.

ან საქართველოს მთავრობას მოუწევს საქმის მიბრუნება, რომ გზა გაუხსნას უკეთეს არჩევნებს ან დასავლეთს მოუწევს სხვა გზის ძიება, როდესაც არჩევნები გაყალბდება. სხვა გზის ძიებაში ერთ-ერთი შეიძლება იყოს საქართველოს მთავრობის სიურეალისტური პოზიციის მხარდაჭერა, რომ მთავარი პრობლემა საქართველოში არა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების არარსებობაა, არამედ ის, რომ პოლიტიკური ოპოზიცია ძალიან ბევრს ჩივის. ერთი შეხედვით, ეს აბსურდული მტკიცებაა, თუმცა, გამორიცხული არ არის, დასავლეთმა განაგრძოს ამ კურსის მხარდაჭერა.

მეორე არჩევანი კი დასავლეთისთვის არის ის, რომ არ დაიხიოს უკან და არჩევნების შემდეგ მხარი დაუჭიროს ოპოზიციას, რომელიც გაყალბებულ არჩევნებს გააპროტესტებს, რითაც არჩევნების ლეგიტიმაციას ეჭქვეშ დააყენებს, რაც გამოიწვევს ერთმანეთისკენ მიმავალი ქართული და დასავლური მანქანების შეჯახებას. ამ ავარიის შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია, თუმცა, სავარაუდოდ, ის არ დასრულდება კარგად საქართველოს მთავრობისთვის და პოტენციურად ბევრ დასავლელ პოლიტიკოსს პრობლემას შეუქმნის.

ცხადია, ეს დასავლეთს რთულ მდგომარეობაში აყენებს, რადგან მისი არჩევანი იმაში მდგომარეობს, რომ ან არ შეიმჩნიოს არჩევნების თითქმის აშკარა გაყალბება საქართველოში ან დაუპირისპირდეს მას, იცის რა, რომ საქართველოს მთავრობა გაჯიუტდება და ამ ბრალდებებს უარყოფს. პირველი არჩევანი შეერთებულ შტატებს და ევროპას კარგად არ წარმოაჩენს და კიდევ ერთხელ მიაყენებს ზიანს მათდამი, როგორც არბიტრებისა და დემოკრატიის მხარდამჭერებისადმი ნდობას, მაშინ როცა მეორე არჩევანმა შეიძლება საქართველოსა და მთლიანად რეგიონში არასტაბილურობა გამოიწვიოს. ფანჯარა სამართლიანი არჩევნების მოთხოვნისა და ჩარევისთვის საქართველოში მალე დაიხურება, ხოლო როდესაც ის დაიხურება, ქართულ წიწილას თამაშში დასავლეთისთვის გამარჯვების სტრატეგია აღარ იარსებებს.

*foreignpress.ge*

## ათასობით ადამიანი პატიმრებზე ძალადობის წინააღმდეგ პროტესტს გამოხატავს

REUTERS

საპროტესტო აქციებს სულ უფრო მეტი ადამიანი უერთდება. არასამთავრობო ორგანიზაციები, დიპლომატები მთავრობას საქმის გამოძიებისკენ მოუწოდებენ.

მას შემდეგ, რაც ციხის ძალადობის ამსახველი ვიდეოს გავრცელებამ ქუჩის პროტესტი გამოიწვია, საპარლამენტო არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, პირობა დადო, რომ დაისჯებიან ის პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პატიმართა წამებასა და გაუპატიურებაზე.

თბილისში დემონსტრაციებმა სამშაბათს ღამით მას შემდეგ იფეთქა, რაც ოპოზიციურმა არხებმა წამების კადრები უჩვენეს. ოთხშაბათს ათასობით ადამიანი შეუერთდა საპროტესტო აქციას, მათ ორი მთავარი ქუჩა გადაკეტეს და მინისტრების გადადგომას მოითხოვდნენ.

მთავრობამ თქვა, რომ ვიდეო დადგმულია და გადაღებულია ციხის ზედამხედველების მიერ, რომლებიც „პოლიტიკურად მოტივირებულმა პირებმა" მოისყიდეს. ვიდეოში ზედამხედველების ჯგუფი სცემს, სახეში ურტყამს და შეურაცხყოფას აყენებს და საგნებით აუპატიურებს პატიმრებს. ეს ორმა ოპოზიციურმა სატელევიზიო არხმა აჩვენა, რომელთაგან ერთის მფლობელი ბიძინა ივანიშვილია. მისი „ქართული ოცნება" სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მთავარი მეტოქეა 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში.




პროტესტანტები ითხოვდნენ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების გადაყენებას და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებას. ზოგიერთი მათგანი სააკაშვილის მისამართით გაიძახოდა: „მიშა წადი".

მსგავსი საპროტესტო აქციები გაიმართა საქართველოს რამდენიმე დიდ ქალაქში, რომელიც არასტაბილურ კავკასიაში გაზითა და ნავთობით მომარაგების სატრანზიტო მარშრუტია.

რამდენიმე პოლიტიკური ლიდერი, მათ შორის ივანიშვილი, საპროტესტო აქციას შეუერთდა, მაგრამ საპარლამენტო არჩევნების წინ აქციის მონაწილეებს სიმშვიდისკენ მოუწოდა.

ადამიანის უფლებათა დამცველებმა და შეერთებული შტატების საელჩომ დაგმეს პატიმრებზე ძალადობა და მთავრობას დაუყოვნებლივ დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებისკენ მოუწოდეს.

„ქართული ოცნება", რომელიც რამდენიმე ოპოზიციურ პარტიას აერთიანებს, აქციებში დიდი რაოდენობის ადამიანს იზიდავს, მაგრამ გამოკითხვების თანახმად, მხარდამჭერების რაოდენობით მმართველ პარტიას ჩამორჩება.

*foreignpress.ge*

## სკანდალი ქართულ ციხეებში არსებულ ცუდ პირობებს ააშკარავებს

დაახლოებით 2000 ადამიანმა ორგანიზება გაუკეთა სპონტანურ საპროტესტო აქციას თბილისში ღამით, 18 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც ორმა დამოუკიდებელმა ტელეარხმა გადასცა ვიდეო მასალა, რომელშიც ციხის მცველები სცემენ და ცოცხის ტარებით აუპატიურებენ პატიმრებს თბილისის №8 საპყრობილეში.

RadioFreeEurope RadioLiberty

საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, უმალ დაგმო ძალადობა და განაცხადა, რომ ყველა პასუხისმგებელი პირი „უმკაცრეს დასჯას იმსახურებს..."

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა, ხათუნა კალმახელიძემ, რომლის გადადგომაც მოითხოვეს აქციის მონაწილეებმა, ამ ფაქტს იმით უპასუხა, რომ თანამდებობიდან მოხსნა ციხეების სისტემის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი სამინისტროს ჩინოვნიკი. მოგვიანებით, კალმახელიძემ თავად მიმართა გადადგომის თხოვნით პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილს. ექვსწუთიანი ვიდეომასალა ტელეკომპანიებმა „მე-9 არხმა" და „მაესტრომ" ეთერში რამდენიმე საათში გაუშვეს მას შემდეგ, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ დააკავა №8 საპყრობილის სამი მცველი პატიმრების მიმართ არაადამიანური მოპყრობისთვის. იმავდროულად, სამინისტრომ საკუთარი ვიდეომასალა გაავრცელა, რომელშიც ციხის ორი მცველი პატიმარს სცემს. სამინისტროს თქმით, ვიდეომასალა ციხის მცველებმა მათთვის პატიმარ თამაზ თამაზაშვილის მხრიდან დაუზუსტებელი ოდენობის თანხის სანაცვლოდ გადაიღეს. თამაზაშვილის შვილი და სიძე ქართული ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის მოკავშირეები არიან.

საქართველო ერთ სულ მოსახლეზე პატიმართა რაოდენობით მსოფლიოში მეექვსე ადგილზეა და იქ 100 000 მოსახლეზე 538 პატიმარი მოდის. საქართველოში ასევე გამორჩეულად მაღალია პატიმრების სიკვდილიანობის მაჩვენებელი: 2011 წელს გარდაცვლილი პატიმრების რიცხვმა 144-ს მიაღწია, ანუ ყოველ სამ დღეში – ერთი გარდაცვლილი პატიმარი.

*foreignpress.ge*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

ნანა თვალაბეიშვილი
„ქრონიკისთვის" ზუგდიდიდან
595 73-73-90

# „ვედგემშვიდობებუქუ, ბიძინა, მიჩქუ, მუჭო მალას ქუმურქუნი!.."

## („არ გემშვიდობები, ბიძინა, ვიცი, მალე მოხვალ!")



ზუგდიდში „ქართული ოცნების" აქციამდე ლამის 3 საათით ადრე ჩასულ „ქრონიკას" ნამდვილად არ მოუწყენია. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ღრმა ახალგაზრდობისას ნასწავლი „დამტვრეული მეგრული" ბოლომდე გამოვიყენე, ბევრი რამ მაინც „ამოუცნობი" დამრჩა. ქართულად ნაკლებად მოუბარ ხალხს დასდევდა „ქრონიკა" თუ იგივე „ქრონიკას" შეუკრეს „მეგრული ბლოკი", არ ვიცი! ფაქტია, იმერელი ქალი ვეწამე, მაგრამ რა ვეწამე! ერთი საათის სიარულისა და გამოკითხვების შემდეგ, რომ მეყო სითავხედე და გავაპროტესტე, ვინმე ქართულად დამელაპარაკეთ-მეთქი, მომადგა ერთი ახმახი და მართალია, ქართულად, მაგრამ მეგრული კილოკავით დამიწყო საქმის გარჩევა ჟურნალისტებთან მდგარს:

– გესწავლა მერე მეგრული, რომ დამდგარხარ და წიკვინებ! „ვაფშე", გაქ უფლება?

**— და რისი უფლება, რა გნებავთ, ბატონო?**

– აქციას რომ მიტარებ აქ!

**— მე არაფერს ვატარებ, მე ჟურნალისტი ვარ და ვაშუქებ. თქვენ ვინ ხართ საერთოდ?**

– ან მაგის უფლება ვინ მოგცა, აჩხაკუნებ ერთი საათია აპარატს, დამაწყდა ნერვები!

**— მე სურათებს ვიღებ, ახლა თქვენც გადაგიღეთ, მითხარით ერთი, ვინ ხართ?**

– გიორგი ვარ წულაია, ჩემს სახლში ხარ ჩამოსული და ჭკუა უნდა გქონდეს!

მართლა გაოცებულები ვუყურებთ მე და ჩემი კოლეგები ვინმე წულაიას გამოსვლას, რომელიც სადგურის წინამდებარე ტერიტორიას სწრაფად ტოვებს და ტაქსების გაჩერებისკენ მიდის. ადგილობრივებს ვეკითხები, თუ იცნობენ აქტიურ „არამკითხე მოამბეს", სურათებსაც ვაჩვენებ, მაგრამ არავინ იცის მის შესახებ დეტალები. იქაურობას ვტოვებ და მოედნისკენ მივემართები, შადრევანთან „ქართული ოცნების" პირველი აქტივისტები ჩანან. ადგილებს ადრიანად იკავებენ, ივანიშვილი კარგად გამოჩნდება აქედანო! პირველ კოკისპირულ წვიმას უკვე გადავლილი აქვს ხალხისთვისაც და აპარატურისთვისაც. „ქრონიკა" მათ წინ დგება და კითხვების დასმის მერე, დიალოგებსაც იწერს:

– ხობიდან წამოვედით ჩვენ, ტრასამდე რომ გამოვსულიყავით, 2 კილომეტრი ფეხით ვიარეთ, კი გვითხრეს, მოვიდოდით „მიკროთიო", მაგრამ ჩვენით წამოვედით. რა გვაქ დასაკარგი? სამ დღეში ჩემს შვილს სწავლა ეწყება, სტუდენტი ბავშვი დახეული ფეხსაცმელებით დარბის „ოცნებაში", რამე რომ ვუყიდო, იმის ფული არ გვაქვს, ამიტომ ვართ აქ!

– ჭკუასუსტები არიან ესენი. დოუჯინიათ, ლამაზია პრეზიდენტი, ლამაზიო და გიჟდებიან სოფლის ქალები მიშაზე! რათ მინდა ლამაზი პრეზიდენტი მარტო, ჭკუასუსტები არიან, აბა, რა არიან ეგენი?

– არ გინდათ, ქალბატონო, ივანიშვილი არ ლანძღავს თავის მოწინააღმდეგეებს და ნურც თქვენ გალანძღავთ, ეშინიათ, მაინც სამეგრელოა აქ! ვინც ვართ, ის ვართ!

– ააა, კიდო! რა ვართ? წალენჯიხამ და ჩხოროწყუმ რატომ უნდა გვაჯობოს ხობელებს, მე ვარ დასაქმებული, მაგრამ რად მინდა? ჩემი მეზობლები სახლში ზიან და არაფერი აქვთ. ჩემს გაყოლებაზე, ჩამოხსნეს სულ ამ წამების კადრების მერე როლანდის პლაკატები, ამაზე მეტი რა უნდა დაგვემართოს?

უკვე ისე გალიზიანებული და ხმამაღლა ლაპარაკობს ეს ხობელი ქალბატონი, მიჭირს გარჩევა, ტონალობის მომატებასთან ერთად, თან მეგრულს ურევს და ამ სიტყვას გაჰკივის: „ოქოსალი, ოქასალიიიი"?! ხელს იმ ატრიბუტისკენ იშვერს, რომელიც აქციაზეა გამოტანილი და მეც ადვილად ვხდები, რომ „ოქოსალი" მეგრულად ცოცხს ნიშნავს!

ხალხში შერეული „ქრონიკა" ადვილად ამჩნევს, რომ ზუგდიდში ჩასვლისთანავე ადევნებული დაბურულმინებიანი „შკოდა" სახელმწიფო ნომრით „ღBღ 234" კვალში გვიდგას და სადაც კი ფეხს გადავდგამ, უკან დამყვება, თან იმდენად შესამჩნევია მისი ადევნება, „ქრონიკის" ფოტოობიექტივშიც კი ხვდება. შიგნით მსხდომები კონტაქტზე არ გამოდიან, თუმცა ვისაც გავესაუბრები, მანქანა იქვე ჩერდება და მერე აგრძელებს სვლას. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ მიუხედავად ხალხმრავლობისა, სამეგრელოში შიში არ გატეხილა. თანამოსაუბრეები კი, რომლებიც წვიმაშიც კი ჩემთან ერთად შუაგულ ცენტრში დგანან, ხუმრობის ხასიათზე არიან. იწყებს ერთი და მერე სხვებიც იმეორებენ „შკოდის" დანახვაზე:

– ლურს როლანდის, ვაგაკურცხინუათ. შურ მიხირით, სუუუუუ!

ჟრიამულზე და სახელის, „როლანდის" ხსენებაზე ვატყობ, რომ მეგრელები ნაცმაჟორიტარზე კაიფობენ, ამიტომ თარჯიმანს ვითხოვ და თან მოლოდინში ვირინდები. წინ ახალგაზრდა ბიჭი ჩნდება, მე გეტყვი, რას ამბობენ:

– ძინავს როლანდის, არ გაალვიძოთ, ჩუუუუუუუ!

უცებ მახსენდება სოციალურ ქსელში გავრცელებული „პოსტერი" და მეც მეცინება. ანუ, ინტერნეტიც გაქვთ ხომ და აწყობილი ცხოვრება აქ? – ისე, ჩემდაუნებურად ვსვამ კითხვას და ეტყობა, იმდენად არაადეკვატური ვარ ხუმრობის შეფასებისას, უმალ მიბრუნებენ პასუხს აქციის მონაწილეები:

– სამეგრელოში ხარ, გენაცვალე, ჯუნგლებში კი არა?! ეს ახალაიებმა და საკაშვილმა გადააყოლა მთელი ქვეყანა გათახსირებულობას, მაგ არაკაცებმა! ჯერ სადაა, მოვა 1-ელი ოქტომბერი!

1-ელი ოქტომბრამდე კი ზუგდიდის ცენტრს ბიძინა ივანიშვილი ესტუმრა. საათისა და შვიდწუთიანი მიმართვის შემდეგ, როგორც იქნა, დაასრულა გამოსვლა. ამ დროში რეგიონის „მეოცნებე" კანდიდატებიც ჩაატია, რომლებიც მისი „სინდის-ნამუსი" ყოფილან, პრეზიდენტსაც მოუწოდა გადადგომისკენ და ბერას ფანებსაც გაუცრუა იმედი – „ყველა აქციას მისი სიმღერით ვასრულებდით და ახლა ამ ხელისუფლების ხელში, არ გვემღერებაო!"

აქციის დასრულებისთანავე, რკინის კონსტრუქციებში გამაგრებული ჟურნალისტები კომენტარების მოლოდინში იყვნენ. ლენტი „პირველმა მეოცნებემ" გაჭრა. როგორც ყოველთვის, ვრცლად ისაუბრა, რიგში ჩამდგარი ალასანიას კი ცინარა აბულაძე, 42 წლის გოგიტა აბულაძის დედა სთხოვდა დახმარებას, რომლის შვილიც იანვრის შემდეგ გაუჩინარდა. ანაკლიაში ინჟინერ-მექანიკოსად მომუშავე აბულაძემ წერილიც დატოვა: „გადავედი აფხაზეთში ბორია ივანოვთან, ამის შესახებ იცის მალხაზ პაჭკორიამო!" ეს უკანასკნელი კი სამეგრელო-ზემო სვანეთის კონტრდაზვერვის თანამშრომელია, თავად ცინარა აბულაძეს კი, მას შემდეგ, რამდენი საკაშვილის ვიზიტებზე გამოჩნდება, რომ გაუჩინარებული შვილის ამბავი ჰკითხოს, ძალოვნები ლევან ქირია და ლექსო თოდუა სასტიკად უსწორდებიან და 17 წლის ქალიშვილის გაუპატიურებით ემუქრებიან. გამწარებულ დედას ირაკლი ალასანია ჯერ ამშვიდებს, მერე ჰპირდება: „აი, ეს 10 დღეც დასრულდება და ყველაფერს გავარკვევთ!" დაპირება იმ ბოძის ქვეშ ხდება, სადაც ალასანიას სურათი ჩამოხეულია და იქვე მდგომი კაცი ცეცხლზე ნავთს უსხამს შვილდაკარგულ დედას: „რისი იმედი გაქვთ, ამ კაცს „სტოლბაზეც" არ აჩერებენ და ხელისუფლებაში გააჩერებენ?!"

ხალხი იშლება ნელ-ნელა, ლიდერებთან სამეგრელოში სხვადასხვა კუთხიდან ჩასული „მეოცნებეები" ფოტოსესიებს აწყობენ, უცებ მიკროავტობუსიც ჩნდება ხუთჯვრიანი დროშებითა და „ნაცების" საარჩევნო ნომრით. ნაცაგიტატორების ტრანსპორტი დიდი სისწრაფით დარბის მოედანზე, ქვეითად მყოფებს აშკარად საფრთხე ექმნებათ, მაგრამ არც საპატრულო ეკიპაჟი და არც პოლიციის მანქანები ყურადღებას არ აქცევენ. მაია ფანჯიკიძე გამოდის ასპარეზზე და „მეოცნებე" ახალგაზრდებს სიმშვიდისკენ მოუწოდებს, სათითაოდ კრებს თავის მომხრეებს და ერთ ადგილზე გაჩერებასა და პროვოკატორებთან კონტაქტში არშესვლას სთხოვს.

განსაკუთრებულ პროტესტს ერთი ქალბატონი გამოთქვამს, რომელიც ყვირილით ალაგებს სახელდახელო სავაჭრო მაგიდას:

– ესაა საქმე?! რამდენ აქციაზე ვიყავი და ასეთი არაფერი მინახავს.

– ანუ, თქვენ ჩამოსული ხართ, არა ხართ ადგილობრივი გარემოვაჭრე?

– არა, გენაცვალე! ჩვენ თბილისიდან დავდივართ, ხუთი ქალი ვართ, ასე აქციებზე მაგიდებს ვშლით და ფულს ვშოულობთ.

– დღეს ბევრი ივაჭრეთ?

– კი, სამას ლარამდე, სულ მექნება 2000 ლარამდე ნაშოვნი, ჩვენ ბერას კონცერტებზეც დავდივართ. თუ გინდა, გადამიღე, დასამალი არაფერი მაქვს, ასე წვალებით ვშოულობთ ფულს სხვადასხვა ადგილებზე სიარულით.

ბოლო სურათებს ვიღებ ზუგდიდური მივლინებისას, აქვეა როლანდ ახალაიას ბანერიც, რომლისთვისაც ივანიშვილის გუნდს სლოგანი შეუცვლია უნებლიეთ: „მეტი სარგებელი" „ქართულ ოცნებაში" დაუნახავს და ნაცკანდიდატიც გალიმებული დასცქერის ზემოდან. მოედანზე მანქანა ჩერდება, ყველა მისკენ ტრიალდება, ლუქში წელს ზევით გადმომდგარი კაცი მეგრულად ჭექავს:

„ვედგემშვიდობებუქუ, ბიძინა, მიჩქუ, მუჭო მალას ქუმურქუნი!"

## 24-30 სექტემბრის ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

მომავალზე იფიქრეთ. სასურველია, მეგობრებისა და იმ კოლეგების რჩევას მიუგდოთ ყური, ვისაც ენდობით. ამ ეტაპზე ერთობლივ ბიზნესში ფულის ჩადება არ ღირს, შესაფერისი დრო არ არის. შუა კვირის შემდეგ თქვენი სამუშაო გრაფიკი შეიძლება დაიძაბოს. შეეცადეთ, ძალიან არ გადაიღალოთ. კარგი იქნება, თუ შემოქმედებითად იაზროვნებთ და მეგობრებთან ერთად მეტ დროს გაატარებთ. ასე ნერვულ დაძაბულობას მოიხსნით. რაც შეიძლება მეტი დაისვენეთ, რათა საღად იაზროვნოთ.

**კურო 22.04-21.05**

კვირის პირველ ნახევარში თქვენი იდეების განვითარებისა და გეგმების განხორციელების საშუალება მოგეცემათ. შეეცადეთ, თქვენი შარმი მაქსიმალურად გამოიყენოთ. თუკი მოქმედებებში ზუსტი იქნებით და დისციპლინასაც არ მოასუსტებთ, ბევრს მიაღწევთ. ორშაბათს საინტერესო ინფორმაცია გაგახარებთ, ოთხშაბათს კი მეგობრების იმედი იქონიეთ. მოკლედ, ამ კვირაში იღბალი, მეტ-ნაკლებად, გაგანებივრებთ, ოღონდ, შეეცადეთ, პარასკევს ახალი არაფერი წამოიწყოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

შეიძლება ამ კვირაში ფორტუნა თქვენ მხარეს არ იყოს, მაგრამ გახსოვდეთ, თუ რამე არ გამოგივათ, დაღლილობის ბრალი იქნება. სამსახურში მოსალოდნელია კონფლიქტი და ხანგრძლივი საქმის გარჩევები, რაც, დიდი ალბათობით, ხელფასთან ან კარიერასთან იქნება დაკავშირებული. ეს კვირა ძალიან კარგია მათთვის, ვისაც იდეების განვითარებაზე ფიქრი შეუძლია, ოღონდ, მათი გარკვეული დროით გადადება მოგიწევთ. ნათესავებს თქვენს პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება არ მისცეთ. მათი კეთილი ზრახვების მიუხედავად, ეს არც თქვენ წაგადგებათ სასიკეთოდ და არც – მათ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

ორშაბათს არანაირ ავანტიურაში არ ჩაერთოთ, რადგან ძალიან დიდია დანაკარგების რისკი და არა მარტო ფინანსური. სამშაბათი და ოთხშაბათი შეიძლება ამ კვირის ყველაზე დაძაბული დღეები აღმოჩნდეს. პარასკევს მეგობრები გვერდში დაგიდგებიან და გარკვეული პრობლემის მოგვარებაში დაგეხმარებიან. შაბათს ნებისმიერ პრობლემას იოლად გაუმკლავდებით. რაც არ უნდა მოხდეს, შეეცადეთ, მოვლენები არ დააჩქაროთ.

**ლომი 23.07-22.08**

სულიერად ძალიან ძლიერი იქნებით, გონებაგამჭრიახი და საქმეებსაც რეალურად აღიქვამთ. ამიტომ, რაც არ უნდა მოხდეს, ბოლომდე იბრძოლეთ. დიდია დაწინაურების შანსი, მით უმეტეს, თუკი ფიქრობთ, რომ საჭირო დონეზე ხართ მომზადებული. სასურველია, ემოციები მოთოკოთ, რადგან შეიძლება ეს თქვენს კოლეგებს არ მოეწონოს. შეეცადეთ, ჭორაობის საბაბი არავის მისცეთ, მაქსიმალურად აკონტროლეთ თქვენი ქმედებები. შაბათს ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ, სასურველია, ეს ძალები დაუმთავრებელი საქმეების მოსამთავრებლად გამოიყენოთ.

**ქალწული 23.08-22.09**

დროა, თქვენს გეგმებს გადახედოთ და შეძლებისდაგვარად, გააკორექტიროთ. საკმაოდ დიდია შანსი, რომ სურვილები აგიხდეთ, მთავარია, რა გაქვთ ჩაფიქრებული. იცოდეთ, რომ თქვენი გაკეთებული საქმეები შეუმჩნეველი არ დარჩება. თუკი ვინმეს გაცნობის საშუალება მოგეცემათ, უკან არ დაიხიოთ, ამ ადამიანებს შეუძლიათ ახალი პერსპექტივები გაგიჩინონ. ორშაბათს ძალიან ენერგიული იქნებით და უამრავი რამის მოსწრებას შეძლებთ, სამშაბათს კი ბევრი რამ თქვენს არჩევანზე იქნება დამოკიდებული, ისევე, როგორც მოვლენების შემდგომი განვითარების ვარიანტები.

დიტო ჩუბინიძე
599 64-25-77

მიხეილ სააკაშვილი თავისი მამობილის, აღმზრდელისა და დიდი მასწავლებლის – ედუარდ შევარდნაძის დანაშაულებრივ შეცდომებს ერთმანეთის მიყოლებით იმეორებს, თუმცა წერილის დასაწყისში ისიც უნდა ვთქვათ, რომ სააკაშვილისგან განსხვავებით, შევარდნაძეს, უკაცრავად პასუხია, და უკანალში ცოცხგარჭობილი უმწეო პატიმრების კი არა, მხოლოდ ტყვიებით დაფლეთილი ან საეჭვო ავტოავარიებში მოყოლილი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების გვამების ხილვა უფრო ხიბლავდა!..

1992 წლის 7 მარტს, როცა თავის აწგანსვენებული მეუღლის დაბადების დღეზე შევარდნაძე თბილისში ჩამოვიდა, ნაცვლად იმისა, რომ ქართველი ერისთვის სამძიმარი ეთქვა და თავზე ნაცარი ხალხის დასანახად მაინც წაეყარა, – ეს რა უბედურება დაგვემართაო, „ამბროსიევიჩს“ სიხარულმა სძლია და სიფრთხილედაკარგულმა თქვა ის, რასაც მერე ყველა უარყოფდა: „მე მინდა, მადლობა გადავუხადო ქართველ ინტელიგენციას, რომელმაც ავტომატი აიღო ხელში და დაამხო გამსახურდიას დიქტატურა!“

თავიდან ქართველ ხალხს უკანალში ცოცხგარჭობილი პატიმრები და მსგავსი სიბინძურეები რომ გვიჩვენეს, სააკაშვილი კი გამოვიდა ვითომ ყურებჩამოყრილი და მოგვიყვა ზღაპრები, ეს რა „სისტემური მარცხი“ მოგვივიდაო, მაგრამ მას შემდეგ, რაც პატრიარქმა ბრძანა, – ასეთი რამეები სხვაგანაც ხდება და ამას არავინ არ ახმაურებსო, მიშა ფერზე მოვიდა და როგორც მოსალოდნელი იყო, აქეთ გადმოვიდა შეტევაზე!..

აი, რა თქვა, მაგალითად, მიშამ ბათუმში: „არც ისე მიამიტები ვართ, რომ არ ვიცოდეთ, რა თამაში მიმდინარეობს... ის ხალხი, ვინც ყლაპა ეს ყველაფერი, დაისჯება და ის ხალხი, ვინც გააკეთა ეს ყველაფერი, მაგრად დაისჯება!..“

ანუ კაცი იმას კი არ ამბობს, ეს რა სირცხვილი და უბედურება დაგვემართაო, არამედ იმას წუხს, ვახ, როგორ „ყლაპეს“ ჩემებმა და ეს რა ჩონჩორიკი მიირთვეს, თამაზ თამაზაშვილისა და თამაზ ელიზბარაშვილის ანკესზე რომ წამოეგნენო!.. მიშა იმასაც ამბობდა, თუ გახსოვთ, – ყოფილმა კორუმპირებულმა „გაიშნიკმა“ გამოიტანა ეს ჩვენი „ქაქი“ გარეთ და მთელი ქვეყანა ააქოთაო!..

ციხეებში შევარდნაძისთვის არასასურველ და განსაკუთრებით საშიშ მოწინააღმდეგეებს აუპატიურებდა!..

დიახ, შევარდნაძეს ჰყავდა ერთი ცირეკიძე, მაგრამ, მიშა, შენ შენი მასწავლებლის დაწყებული „დიდი საქმე“, რომელიც, სხვათა შორის, ამას წინათ მეუფე კალისტრატემ დაგილოცა და გიკურთხა, გაამრავლე, ერთი ათად აქციე და აქედან გამომდინარე, მამათმავლებს არჩევნებისთვის და მრავალი თვის განმავლობაში აგროვებდნენ ვიდეოებს. ცდილობენ, ჩაგვითრიონ იმაში, საიდანაც უკან დაბრუნება არ არსებობს. ჩვენ არ უნდა დავბრუნდეთ წარსულში... როგორიც არ უნდა იყოს დღევანდელობის პრობლემები, ძლივს დავიწყეთ მთლიანობაში თავის იქიდან დაძვრენა!..“

ჯერ ერთი, ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში „ჩაეხადა“, პირველად ვამბობ ამ სიტყვას ამ კაცის მისამართით, მაშინ ბარაქალა მის შორსმჭვრეტელობასა და გამბედაობას!..

აი, კიდევ ერთი მორიგი სისულელე, რაც შენს ბაგეებს დასცდა, მიშა!..

„ნურავის ნუ წააბილწინებენ მომავალს!.. ნურავის შეახებინებთ ბინძურ ხელებს ამ მომავალზე. ნურანაირ რუსულ ტექნოლოგიას ნუ დააბრუნებინებთ საქართველოში და ქვეყანას ნუ დააბრუნებინებთ წარსულ სიბნელეში... ჩაზნექილ სკამებს დააბრუნებენ. მემედი იქნება იქ, სადაც ზის – მოყუჩებულში. ჩაზნექილი სკამებიც დაიდგან სახლში – საქართველო ივლის წინ და გაიმართება!..“

„რუსული ტექნოლოგიებისა“ არაფერი გაიგება, მაგრამ ამერიკული ტექნოლოგია რომელია, – ციხის უკანალში გარჭობა? ანდა რას ნიშნავს „მემედი იქნება იქ, სადაც ზის – მოყუჩებულში?“

მიშა, ასლან აბაშიძე არ გიყვარს – არ გიყვარს, მაგრამ მთელი შენი ნაზირვეზირები რომ შეკრიბო და ის შეიხები და ვილაც თურქი ფაშებიც რომ თან დაუმატო ზედ, რომელთა სახელობის ქუჩებიც ბათუმში გახსენი და ხალხს ენა აქვს ამ ქუჩების ხსენებაზე მოტეხილი, მემედ აბაშიძეს კოჭებამდეც ვერ შესწვდებით!.. დიდი მემედბეგის სახელი სანამ საქართველო იარსებებს დარჩება, როგორც გმირთაგმირი, ხოლო შენ, მიხეილ ჩემო, შენც შემორჩები საქართველოს ისტორიას, მაგრამ მტრისას ასეთი შემორჩენა და ხსენება!.. შენზე იცი, რას იტყვიან ჩვენი შვილები და შვილიშვილები? – კაცმა ვარდებით დაიწყო და უკანალში გარჭობილი ცოცხით დაამთავრაო!..




მიშა, შენზე იცით, რას იტყვიან ჩვენი შვილები და შვილიშვილები? – კაცმა ვარდებით დაიწყო და უკანალში გარჭობილი ცოცხით დაამთავრაო!..

კაცო, აქოთებულ და სადისტ ხალხს რომ შეყრი ციხეში წესრიგის დასამყარებლად, არ იცი, რომ ერთ მშვენიერ დღეს კანალიზაციის „ტრუბა“ გასკდება და მაგ ნეტარ ცხვირს არათუ აქოთებული სუნი, არამედ კარგა ლაზათიანი მუშტი მოხვდება ხალხის პროტესტის სახით? არ იცოდით, რომ ბაჩო ახალაია სადისტი და მანიაკია? იქნებ, არც ის იცოდით, მისმა ძმამ – დათა ახალაიამ ვანო მერაბიშვილის ცოლთან და სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად ცხონებული სანდრო გირგვლიანი ოქროყანის სასაფლაოზე რომ დააჩეხინა თავის ქილერებს?

მიშა, შევარდნაძეს – შენს მამობილს, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი სადომაზოხისტური და მანიაკალური სექს-თამაშებით არასოდეს ერთობოდა, ჰყავდა ერთი ცნობილი მამათმავალი – ცირეკიძე, რომელიც იყო სპორტსმენი, გაუგონარი ძალის პატრონი და შენს ციხეში, შენს სამეფო კარზე და საერთოდ შენს საქართველოში ყველგან აწეული აქვთ მაზანდა!..

ხომ ხედავთ, მთელი „გეიბათუმი“ თქვენ გიჭერთ მხარს და მეტი მხარდამჭერი ღმერთმა ნუ მოგცეთ, ამას ვლოცულობ!..

მოკლედ, სისულელეს სისულელეზე ამატებ და ვერ ხვდები, რომ ხალხი უკვე შენს ხსენებაზე აფურთხებს, სააკაშვილო!..

გავეცნოთ შენს მორიგ სისულელეს, მიშა!..

„ვინც ეს დააფინანსა, იმას ქართველმა ხალხმა პასუხი რამდენიმე დღეში არჩევნებზე უნდა გასცეს. ვინც ინახავდა ამას არჩევნებისთვის, რათა დივიდენდები მიელო და შემდეგ გმირებად ექცია ის კრიმინალები, რომლებიც ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილეობენ. მათ ვერ უნდა მიიღონ დივიდენდები იმ არჩევნებზე, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ. ჩვენ ხომ ძალიან კარგად ვიცით, რომ ეს გაკეთდა ერთმანეთისადმი მტრულად და ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური ძალები ერთმანეთის შესახებ „მამალმამალ“ კომპრომატებს რომ აგროვებენ, ეს ვინმეს რატომ უკვირს, ვერ გავიგე და მეორე, – თქვე ცეცხლ თუ „ცოცხმოკიდებულებო“, რამდენიმე თვის განმავლობაში თქვენი მტრები ამ ყველაფერს ციხეებში იღებდნენ და თქვენ ეს არ იცოდით? მიშა, ამ ყველაფერს შენი მტრები კი არა, შენი მოყვრები და ყურმოჭრილი მონები იღებდნენ და როგორც ბედუკაძე და კიდევ სხვები ლაპარაკობენ, საბოლოო ჯამში, ეს ამაზრზენი კადრები მოდიოდა თქვენამდე, რაზეც, უკაცრავად პასუხია და „კაიფობდით“ და ერთობოდით!.. ასე არ იყო? თუ ასე არ იყო, მაშინ დაიჭირე ბაჩო ახალაია, დაიწყოს ნამდვილი გამოძიება და ვნახავთ!..

თუ ბიძინა ივანიშვილმა ამ კადრებში ფული გადაიხადა, რათა, უკაცრავად პასუხია და, თქვენთვის საქვეყნოდ

მე რა მაკვირვებს, პატივცემულო მკითხველო, იცით? სააკაშვილის უტიფრობა მაოცებს და მანცვიფრებს!.. მიშა, უკაცრავად პასუხია და ნათქვამია, – დედაბერი აკუილებდა და წყრებოდაო!.. სწორედ ასეა, შე უბედურო, შენი საქმე!.. ვინ წაუბილწა ხალხს მომავალი, შენმა ნაქებმა და ტუჩებდაბერილმა მინისტრმა – ხათუნა კალმახელიძემ არ ჩაიბარა ბაჩო ახალაიასგან ეს სიდამპლე და ჯოჯოხეთი? შენი, თქვენი, პირადი მონები არ სჩადიოდნენ ამ საშინელებებს? ამას ის ნაგავი ხალხი არ აკეთებდა, რომლებიც, შენი თქმით, თურმე ფრანგებს ასწავლიდნენ ციხის მართვას?(!!!)

ეჰ, მიშა, მიშა, იმდენი სისულელე მოიმოქმედე და ჩაიდინე წინა კვირას, იმ ყველაფერს რა ალნუსხავს და რა მოუყრის თავს?

ერთი კია, – შენ სწორედ ისე სამარცხვინოდ უნდა დაგემთავრებინა, როგორც დაამთავრე, – ცოცხით, უკანალითა და პრეზერვატივწამოცმული „დუბინკით“!..

24-30 სექტემბრის ჰოროსკოპი

**სასწორი 23.09-22.10**
შეეცადეთ, გარშემომყოფებთან იმდენ ხანს იურთიერთოთ, რამდენიც საქმეს სჭირდება, ოღონდ ეს შეზღუდვა ახლობლებს არ ეხება. სამშაბათი კარგი დღეა რთული პრობლემების მოსაგვარებლად და ადრე დაწყებული საქმეების მოსამთავრებლად. ოთხშაბათს სამსახურში ფიზიკური დატვირთვა მაქსიმალურად შეამცირეთ და სერიოზული შეხვედრები არ დანიშნოთ. შაბათს თქვენი გარჯა ნაკლებეფექტური იქნება, ამიტომ სასურველი შედეგის მისაღწევად დიდი ძალისხმევა მოგიწევთ. კვირა ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული დღე იქნება. მოსალოდნელია სასიამოვნო სიურპრიზები, ოღონდ ერთი რამ გახსოვდეთ – წარსულის ქექვა კრგს არაფერს მოგიტანთ.

**მორიელი 23.10-21.11**
მთლიანობაში, ამ კვირაში საქმეები კარგად წაგივათ, თავსაც კარგად იგრძნობთ და თითქმის ყველა საქმეში გაგიმართლებთ. შეიძლება მოხდეს მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც თქვენს ოჯახსა და ახლობლებზეც იქონიებს გავლენას. ურიგო არ იქნება, თუკი მომავალი მოგზაურობის დაგეგმვაზე და ფინანსურ უზრუნველყოფაზე დაფიქრდებით. სამსახურში თქვენი პირადი ცხოვრების დეტალებზე ნუ ისაუბრებთ, არავის მისცეთ ჭორაობის საბაბი.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
ამ კვირაში დაგროვილ საქმეებში გარკვევა მოგიწევთ, რადგან მათი შემდგომისთვის გადადება აღარ შეიძლება. სამშაბათისთვის სერიოზული საქმიანი შეხვედრის დაგეგმვა არ ღირს, რადგან დიდი ალბათობით, ამ საქმეში მოულოდნელი ფაქტორები შეგიშლით ხელს. ოთხშაბათს წამოჭრილი საკამათო საკითხის გარკვევა სასურველია, მომდევნო კვირისთვის გადაიტანოთ. მეგობრების რჩევას მაინცდამაინც ნუ დაეყრდნობით, რადგან შეიძლება უფრო მეტად აგებნეთ თავგზა. პარასკევს, საქმიანი მოლაპარაკებისას, პარტნიორებს საქმეებისადმი ახალი მიდგომა დაანახეთ და თქვენი ურთიერთობები დასტაბილურდება.

**თხის რქა 22.12-19.01**
თუ სწორ სტრატეგიას აირჩევთ, წარმატების მიღწევის საკმაო შანსი გექნებათ. სამშაბათს ძალიან მნიშვნელოვან და საჭირო ინფორმაციას მიიღებთ, რომელიც გარკვეული შემოსავლის მიღებაში დაგეხმარებათ. ნუ გაუშვებთ ამ შანსს ხელიდან. შუა კვირაში ნუ მიაქცევთ ყურადღებას, თუკი თქვენს ზურგს უკან ვინმე ჩურჩულს დაიწყებს, გაყევით თქვენს გეგმას და საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. ხუთშაბათს შეიძლება მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდეთ და არ არის გამორიცხული, ისეთი სიტუაცია შეიქმნას, რომ სიმამაცის გამოვლენა მოგიწიოთ.

**მერწყული 20.01-18.02**
თქვენს გონება-გამჭრიახობას ბოლომდე ნუ ენდობით, რადგან სანამ ყველა დეტალს გაიაზრებთ, თქვენი ნაფიქრი და ლოგიკურად დალაგებული მოქმედებების გეგმა თვალსა და ხელს შუა გაქრება. ამიტომ სხვათა რჩევებითაც ისარგებლეთ. ამ კვირაში ბევრი სასიამოვნო შეხვედრა გელით, მათ შორის, გავლენიან ადამიანებთანაც. იღბალი რაღაც საჩუქარს მოგიძღვნით. ამ სიტუაციაში მთავარია, ბედის საჩუქარი შემთხვევითობისგან გაარჩიოთ. ნებისმიერი სახის მოლაპარაკებები, როგორც პირადი, ისე საქმიანი, წარმატებით ჩაივლის.

**თევზები 19.02-20.03**
კვირის პირველ ნახევარში ახალი საქმის წამოწყება არ ღირს, უმჯობესია, დაგროვილი საქმეები დაასრულოთ და ის შეცდომები გამოასწოროთ, რომლებიც წინა კვირაში დაუშვით. შეეცადეთ, საკუთარ ფანტაზიებში არ ჩაიკარგოთ, დროულად მოდით გონს და თქვენს გეგმებს არაფერი დაემუქრება. პარასკევს შემოქმედებითი აღმაფრენა გელით, სამუშაო იოლ გართობად მოგეჩვენებათ და თქვენი პოტენციალის სრულად გამოვლენას შეძლებთ. არ დაივიწყოთ მეგობრები და ახლობლები, მათ თქვენი ყურადღება და მზრუნველობა ესაჭიროებათ.



# გაზეთები ალია და ქრონიკა გაფრთხილებთ!!!

## „საზღვარგარეთ მკურნალობის ცენტრი“ საშიშია თქვენი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის!!!!!

*ზაური ჭიჭინიშვილს!*



გილოცავთ დაბადების დღეს!
გისურვებთ სიხარულს, ჯანმრთელობას
და წინსვლას ოჯახთან ერთად.

*„ალია ჰოლდინგი“*



*ირმა ჯოხაძეს!*

ვულოცავთ დაბადების დღეს!
გისურვებთ ყველა ოცნების ასრულებას, სიხარულსა და ბედნიერებას სიცოცხლის მანძილზე.

*„ალია ჰოლდინგი“*

რეკლამა

## მკურნალობა მამაკაცებისათვის!

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დანეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, ნევროზი, შიშები, აგრესია) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე, ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით 100% შედეგებით.

*T: 558-15-63-87; 234-02-38 (ოფისი) ექიმი ქ-ნი ინგა*

### წყალში ხტომის რეკორდის დამყარებას... ღორი შეეცდება



საიდუმლო არ არის, რომ ღორებს ტალახში კოტრიალი ძალიან უყვართ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ღრუტუნიების ოჯახის წარმომადგენლებისთვის მხოლოდ პატარა რუები საკმარისი არ ყოფილა. ასე მაგალითად, დედა ღორი, სახელად მის პიგი, რომელიც ავსტრალიის ქალაქ დარვინში ბინადრობს, გიჟდება ყველაფერზე, რაც წყალს უკავშირდება და უფრო მეტიც, იგი სხვადასხვა სიმაღლიდან ხტომაზეც კი არ ამბობს უარს.

როგორც ირკვევა, მომდევნო დღეებში მის პიგი მსოფლიო რეკორდის დამყარებას და 5-მეტრის სიმაღლიდან გადმოხტომას შეეცდება.

ისე, სამართლიანობისთვის უნდა აღვნიშნოთ, რომ თუკი ავსტრალიელი ღორი ჰაერში ორმაგ ბრუნს ვერ გააკეთებს და წყალში უშნოდ ჩატყაპუნდება, იგი მაინც რეკორდსმენი გახდება.

*etotupo.ru*

### მონიკელებული საყურეები ჯანმრთელობისთვის სახიფათოა



რაც უფრო დიდია ყური, მით უფრო მეტი საყურე შეიძლება გაიკეთოს ქალმა. იფ, რა მაგარია?! მაგრამ მერე ყურპარტყუნა რომ შეიძლება შეარქვან? მეტსახელები და დაცინვა იქით იყოს, რადგან გაცილებით დიდი საფრთხე ელის თუნდაც სულ ციცქნა ყურების პატრონს, ერთი მონიკელებული საყურეც რომ გაიკეთოს.

იტალიელი მედიკოსების ინფორმაციით, საყურეებს, რომლებიც ნიკელს შეიცავენ, მინიმუმ კანის დერმატიტის გამოწვევა შეუძლიათ და ყველაზე ცუდი ის არის, რომ განკურნების პროცესი საკმაოდ რთული, ხშირ შემთხვევაში კი შეუძლებელიც კია.

იქიდან გამომდინარე, რომ საყურის შეძენა, რომელიც ნიკელს არ შეიცავს, ძალიან ადვილი საქმეა, უბრალოდ, არ ღირს გარისკვა და საკუთარი ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნა.

*medkarta.com*

### უძველეს ჩინურ სამალავში 4 ტონა ოქრო იპოვეს



აუ, წარმოიდგინეთ, განძს რომ იპოვით და თანაც 4 ტონა ოქროს! რამდენი ადამიანის სიცოცხლეს შეცვლიდით, არა?

თავს ვერ დავდებთ, ერთი ჩინელი ადამიანის სიცოცხლე მაინც თუ შეიცვლება უკეთესობისკენ, მაგრამ დარწმუნებულები ვართ, რომ ქვეყნის ხელისუფლება უსაზღვროდ ბედნიერი უნდა იყოს, რადგან უძველეს ჩინურ სამალავში არქეოლოგებმა 4 ტონა ოქროს მიაგნეს.

წინასწარი ინფორმაციით, საგანძური სუნების დინასტიას ეკუთვნოდა, რომელიც იმპერიას 960-1126 წლებში მართავდა.

მეცნიერების აზრით, ასეთი უზარმაზარი საგანძურის გადამალვა, სავარაუდოდ, საომარი მოქმედებების დროს უნდა მომხდარიყო, თუმცა ზუსტი ექსპერტიზა, ჯერჯერობით, არ დასრულებულა და ბევრი კითხვაა პასუხგაუცემელი.

*kp.ru*

### ჰერპესის ვირუსი კიბოს უჯრედების ზრდას აჩქარებს



ციტომეგალოვირუსი, რომელიც ჰერპესვირუსის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, კიბოს უჯრედების ზრდის პროცესს აჩქარებს და სიმსივნეს უფრო აგრესიულს ხდის.

კალიფორნიის წყნარი ოკეანის სამედიცინო ცენტრის სპეციალისტებმა აღნიშნული დასკვნა ხანგრძლივი კვლევის შედეგად გამოიტანეს. სამწუხაროდ, ციტომეგალოვირუსი, რომელიც 35 წელს გადაცილებული ადამიანების ლამის ნახევარს უჩნდება, უსიმპტომოდ ვითარდება, რაც მის დამარცხებას მნიშვნელოვნად ართულებს. ჯანმრთელი ადამიანებისთვის იგი დიდად საშიში არ არის, თუმცა სუსტი იმუნიტეტის მქონეები და ფეხმძიმეები სერიოზული რისკის ქვეშ ექცევიან. მეცნიერები იმედს გამოთქვამენ, რომ ამ აღმოჩენით არაერთი პრობლემის მოგვარება შედარებით ადვილი გახდება თუნდაც იმ მხრივ, რომ ონკოპაციენტებს, პირველ რიგში, ჰერპესვირუსებზე შეამოწმებენ.

*wordscience.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

### „ფეისბუქის“ შეცდომის გამო, გერმანელ ახალგაზრდას დაბადების დღეზე 1600 სტუმარი ეწვია



რთული წარმოსადგენია სიტუაცია, როცა ადამიანი პოლიციას იმის გამო მიმართავს, რომ სამართალდამცველებს სტუმრების თავიდან მოშორებაში დახმარება სთხოვოს. ასე არასოდეს მოიქცევით, რადგან ქართველებს სტუმარ-მასპინძლობა არ ემლიჯება, არა? მაგრამ როცა საუბარია 1600, თანაც დაუპატიჟებელ სტუმარზე, როგორ მოიქცევით, ძალიან გვაინტერესებს.

სანამ თქვენს არჩევანს შეიტყობდეთ, იმას გეტყვით, რომ სწორედ 1600 ადამიანი ესტუმრა ახალგაზრდა ჰამბურგელს დაბადების დღეზე.

„მსხვერპლის“ ვინაობის შესახებ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ სახელად ტესა ჰქვია და რომ სახლიდან გაქცევა და პოლიციისთვის დახმარების თხოვნა მას „ფეისბუქის“ შეცდომამ აიძულა.

თურმე, პოპულარული სოციალური ქსელის სისტემაში რაღაც აირია და ტესას დაბადების დღის მოსაწვევი დაახლოებით 15 ათას ადამიანს მიუვიდა, რომელთაგან წვეულებაზე მისვლა 1600-მდე ახალგაზრდამ გადაწყვიტა.

საბოლოო ჯამში, სიტუაცია მშვიდად გაირკვა და შეცდომით დაპატიჟებულმა დაუპატიჟებელმა სტუმრებმა მაინც კარგად მოილხინეს – პოლიცია მათ გართობას რამდენიმე საათის განმავლობაში აკვირდებოდა.

ისე, ამდენი ხალხი ქართველ პოლიციელებს რომ დაენახათ, ეგრევე დარბევას დაიწყებდნენ ცოცხებმომარჯვებულები. აბა, სხვა მაგათ არაფერი გამოსდით და...

*gazeta.ua*

## ამინდი



| | ორშაბათი | | სამშაბათი | | ოთხშაბათი | | ხუთშაბათი | | პარასკევი | | შაბათი | | კვირა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| ბათუმი | +20° | +18° | +23° | +16° | +23° | +15° | +26° | +16° | +26° | +16° | +29° | +18° | +28° | +20° |
| ქუთაისი | +20° | +17° | +25° | +14° | +27° | +16° | +27° | +17° | +28° | +15° | +30° | +22° | +30° | +24° |
| თელავი | +27° | +12° | +29° | +13° | +23° | +11° | +33° | +13° | +31° | +13° | +29° | +16° | +30° | +17° |
| ფოთი | +24° | +19° | +23° | +26° | +24° | +17° | +25° | +17° | +26° | +17° | +26° | +22° | +26° | +17° |
| გორი | +22° | +10° | +26° | +10° | +25° | +11° | +28° | +12° | +28° | +11° | +29° | +13° | +29° | +15° |
| ზუგდიდი | +21° | +15° | +26° | +14° | +27° | +16° | +26° | +16° | +27° | +15° | +29° | +16° | +28° | +15° |
| თბილისი | +25° | +16° | +28° | +16° | +23° | +14° | +22° | +14° | +24° | +17° | +30° | +19° | +27° | +18° |

ISSN 2298-0016
9 772298 001007
UDC (უაკ) 070.4 (479.22)
ძ-754